ლუარა სორდია

რობერტ მესხის ლირიკის თვალსაჩიერი

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2022

რედაქტორი: ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი **მარინე ტურავა**

რეცენზენტები: ფილოლოგიის დოქტორი **ლელა მირცხულავა**
ფილოლოგიის დოქტორი **დარიკო ფიფია**

© ლ. სორდია, 2022

გამომცემლობა **„უნივერსალი"**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-383-5

შინაარსი

თავი I
ესთეტიკური პრინციპები

მოვსვამ ღვინოს გრაალიდან და ლექსებად დავიღვრები 5
სიზმრების მუზეუმი 17
სიგიჟე ჩემი — მიზეზი ყოვლის 28
მე ვარ ნაწილი, მე ვარ მთელი ამასთანავე 34

თავი II
ქრისტიანული სიმბოლიკა

სულში მზით და ხელში სანთლებით 39
ნიცშეს რემინისცენცია 53

თავი III
ფილოსოფიური ლირიკა

საწუთრო და ოსტატის გენია 57
სადაც ჰადესს მისტერია ერთვის 64
ბედი წააგავს სისხლიან კორიდას 78
ბედნიერი ვარ! ახლა მივხვდი რა არის ღმერთი 86

თავი IV
სახისმეტყველების საკითხები

ბიბლიური პარადიგმები 91
დაგაქვს სურვილი, ზღვის ქაფივით დაუდეგარი 85
ცის პოლიფონია 104
ქარი ხომ პოეტის გიდია 110
ეშმას საუკუნე 119

თავი V
ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალები

არგონავტების მითი 126
სახელოვან წინაპართა სახეები. დავით აღმაშენებლის შარავანდედი 134
თამარ მეფის საფიცარი სახელი 139
მოეხვია მარჯნის ტროპიკს გველი 145
ლაზარე — ქართული ენისა და ქართველი ერის მარადიულობის იმედი 157

The Scope of Robert Meskhi's Lyrics. Summary 164

თავი I.

ესთეტიკური პრინციპები

მოვსვამ ღვინოს გრაალიდან და ლექსებად დავიღვრები

დიდი ლიტერატურის კრიტერიუმებია: რელიგიურობა, დინების წინააღ–მდეგ სვლა, ობიექტური ჭვრეტა წარსულის, აწმყოს მოვლენების, ნათელხი–ლვისა და ნათელსმენის ფენომენებით უხილავის ხილვის, უხმო ხმის მოსმენის უნარი, არა მიწიერი, არამედ საღვთო, მარადიული სიბრძნის მო–ხელთება, საწუთროს მანკიერებების დაგმობა და მარადისობაში გაღწევა, პიროვნულის, ეროვნულის პარალელურად, გლობალური სატკივრების გათავისება, ხსნის გზების ძიება, მომავლის უცდომელი ჭვრეტა.

რობერტ მესხის კუმირები არიან ბიბლიური წინასწარმეტყველები, ქართველი და უცხოელი კლასიკოსები, დასავლური და აღმოსავლური იდეალისტური ფილოსოფიის და ლიტერატურის წარმომადგენლები.

ქართველი პოეტის სიმართლისმოყვარეობა, მთავარი კრედო გაცხა–დებულია გახალხურებული სტრიქონებით: „მე კოკას ვგავარ, რაც შიგან დგას, იგივე რომ წარმოსდინდების“.

პოეტს ხელეწიფება ჟამიერიდან მარადიულობამდე ამაღლება. ის გვეცხადება, როგორც მენავე, მეთევზე, ოქროს თევზის მაძიებელი მებადური, ოქროს კვეთის პრინციპით დაინტერესებული, მონადირე გრძნობებზე, სულზე, ჭეშმარიტებაზე.

ზღვის ქაფივით დაუდეგარია, ქარივით დაუოკებელია მისი ამაღლე–ბული სწრაფვები. პოეტის თვალსაწიერში, მიწის პარალელურად, ზეცა, ზენა სამყაროა მოქცეული, სადაც იწერება მიწის პროგრამა. გალაკტიონივით, „ცის და მიწის შეზავებაა“ პოეტის იდეალი.

სულის საიდუმლოებების წვდომას რომ აღწევს, მისი სწრაფვის მთა–ვარი ორიენტირია ადამიანის ამქვეყნად მოვლინების მიზეზის და მიზნის შეცნობა, სიკვდილ–სიცოცხლის გამოცანის წვდომა. პოეტი ჰადესში მოგზაუ–

რობს დანტესავით, გალაკტიონივით, ტერენტი გრანელივით, გათავისებული აქვს სიტყვის ალქიმია.

ცის, ზღვის, ქარის ძალა შეუკრებია საკუთარ არსებაში, ცოდვების დამარცხებით, ზღვის დაურვებით ზეცამდე აღწევა დაუსახავს მიზნად.

ტყვეობის ბორკილი და ხუნდები დაულეწავს თავისუფლების მოთაყვანეს, ცაში ნავარდი, ფრთების გაშლა უსწავლია, ხიდზე გადასვლის საიდუმლოებას დაუფლებია, ვარდს და ეკალს განასხვავებს, სიკეთეს თესავს, „სულის ნაწიბურებს“ ისწორებს.

ზღვის დახევას გრძნობს, ასპიტებს არ ეპუება, ტყე ძუძუმტედ უქცევია, ჭის გათხრა, მწყურვალთა დარწყულება აბედნიერებს, სულის ავდარს ამარცხებს, ეძებს საზღვრის გაღმა, ბედს იქით. დონ კიხოტის კომპლესები ჩაუსახლებია თავის არსებაში, „სიყვარულის ინექცია“ ეიმედება, ქართულ ენას, ქართველ ერს ქრისტეს მიერ გაცოცხლებულ ლაზარედ აღიქვამს.

პოეტმა იცის, რომ ნიჭის, სიბრძნის მომმადლებულია სამების მესამე წევრი — სულიწმინდა.

პავლე მოციქული პრძანებს: „სხვადასხვაგვარია ნიჭი, მაგრამ სული ერთია.

„...თითოეულს ეძლევა სულის გამოვლინება სასიკეთოდ.

„ვინაიდან ერთს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა, მეორეს — ცოდნის სიტყვა იმავე სულით.

„ზოგს რწმენა — იმავე სულით და ზოგს განკურნებისა ნიჭი იმავე სულით.

„ზოგს სასწაულთქმედება, ზოგს — წინასწარმეტყველება, ზოგს სულების გარჩევა, ზოგს — სხვადასხვა ენები, ზოგს ენების განმარტება.

„ხოლო ყოველივე ამას აკეთებს ერთი და იგივე სული, რომელიც თითოეულს საკუთრივ უნაწილებს, როგორც ნებავს“ (I კორინთელთა, (2,4,7,8,9,10,11) (1,374).

რობერტ მესხი აცხადებს: „მოვსვამ ღვინოს გრაალიდან და ლექსებად დავიღვრები“ (ორომტრიალი) (2,5).

„გრაალი, საწმისი არის კოსმიური სიბრძნის, სულიწმინდის, ღვთისმშობლის სიმბოლო“ (3, 38).

ღვინოც საღვთო სახელია.

ესაია წინასწარმეტყველს იესო ქრისტეს მოვლინება წარმოუდგენია ნადიმის სახით, სადაც ადამიანები დაეწაფებიან „ძველ, დაწმენდილ ღვინოს“ (25,13) (4, 546).

სულიწმინდა არის „სიბრძნის ღვინო, სიყვარულის ღვინო“.

სულიწმინდის ქნარი ეწოდებოდათ გამორჩეულ ჰიმნოგრაფს — სირიელ ეფრემს და მოციქულ პავლეს.

სულიწმინდის კარნახით იქმნებოდა ბასილი დიდის ჰომილიები, სული-წმინდის შთაგონებულად ითვლება ახალი აღთქმა, ქრისტიან ღვთის-მეტყველთა წიგნები. სულიწმინდის მადლით ჭვრეტდნენ საიდუმლოს ბიბლიური წინასწარმეტყველები.

„ნიჭი არის საღმრთო სულის მადლი“ (ეფრემ მცირე).

„საღმრთო სულითაა განპირობებული ღვთიური მობერვა, შთაგონება“, წერდა გრიგოლ ნოსელი. ის აიგივებდა სულს, მობერვას, შთაგონებას („პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის“ (5, 278).

„ორფიკულ არგონავტიკაში“ უფალს „მომბერავი“ ეწოდება, ხოლო „მობერვა“ შთაგონების აზრით გვხვდება შუა საუკუნეებში (6,38).

ნეტარი ავგუსტინე ევედრებოდა უზენაესს, მოთმინებით ელოდა საღვთო ქარის მოვლინებას და ასეთ წუთებში სიხარულს ვერ ფარავდა: „აი, როგორც იქნა, შევისუნთქე მონაბერი შენმიერი ქარისა“ (7,218).

მადლი ღმერთთან მიახლოებაა, სულიწმინდის გადმოსვლა ადამიანზე.

ღვთიური სულის მოფენაზე ლოცულობდა დავით გურამიშვილი.

აკაკი წერეთელს „მახარობელი ნიავის“ სახით ევლინებოდა სულიწმინდა (სულიკო).

ვაჟა-ფშაველას „ქებათა ქებაში“ ციური ნიავია სულიწმინდის პერსონიფიკაცია, გალაკტიონის პოეზიაში — „ფერადი ქარები“ და მისი ვარიაციები, ტერენტი გრანელთან — „უხილავი ქარები“, „იდუმალ მხარეების გრიგალი“.

„მობერვის“ ცნებას ანალოგიურ ჭრილში აცნობიერებდა ანა კალანდაძე.

ახალი აღთქმა შეგვაგონებს: „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმინდისა, რომელიც ღვთისგან გაქვთ და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, (7,19) (1,364).

რობერტ მესხი არის ახლებური პოეზიის ქალაქის ხუროთმოძღვარი, მთვარის ქურუმი, ქარის ძე, მონადირე სულზე, სირენას ჰანგების მოხელეთების სურვილით ზღვაში მეთევზედ გამწესებული.

ჟამიერიდან მარადიულისკენ ისწრაფვის, „ოქროს კვეთის“ პრინციპის გათავისებას ცდილობს, „სიყვარულის ინექცია“ ეიმედება, ზნეობრივი სრულყოფისთვის იღვწის, რადგან იცის, უსიყვარულო, ურელიგიო კულტურა ფსევდოკულტურაა.

გალაკტიკებში ეროვნული, მარადიული ჰანგების მოსმენა ხელეწიფება: „მე ავკრეფ ნომერს შეუცნობი გალაკტიკების და კიდევ ერთხელ გავიგონებ ხმატკბილ „ჩაკრულოს“ — ზუმერს კოსმოსის“.

უფლისგან „მესამე თვალით“ მომადლებულს, უკვე აქვს საკუთარი არქიტექტურით გამორჩეული ქალაქი.

ზღვა ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედის ბედისწერაა, სასინჯი ქვა.

ბიბლიის, ღვთისმეტყველების მიხედვით, ზღვა ცოდვილთა, ბოროტეულთა თავშესაფარია: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ლექს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57,20) (4, 565).

აბობოქრებული ტალღების დაურვებას, ზღვაზე სიარულს, ცოდვებზე ამაღლებას მხოლოდ ქრისტე ახერხებდა.

ასეთი გაგებაა გალაკტიონთან, როცა აცხადებს: „გადავიარეთ მრისხანე ზღვები“.

ზღვის წიაღმავალია რობერტ მესხი.

ზღვა შეუბრალებლად ნთქავს, უფსკრულებში გადაუძახებს მცირედმორწმუნეთ, უსუსურთ, ზღვას მხოლოდ ხუნდებისგან, უღლისგან თავისუფალნი, გალიისგან, ბადისგან თავდაღწეულნი ერკინებიან.

პოეტის სულის ხომალდი მყარია და ბობოქარ ტალღებს არ უშინდება.

აფხაზეთელი პოეტი ზღვის გრიგალებს გადარჩენილი, ზღვაში ღია თვალებით დამარხულთა მგლოვიარე ჭირისუფალია.

ზღვის ფსკერი სავსეა დალეწილი გემებით, ჩაძირული ხომალდებით, დამსხვრეული იმედებით. სულის მყუდრო ნავთსაყუდელი მხოლოდ ერთეულებს რგებიათ.

„ნიჟარების“ ავტორს თამამად შეუძლია გაიმეოროს დავით გურამიშვილის სიტყვები: „ქარი ქრის და აფრაგაშლით ვარ ხომალდით ზღვას შერთული“.

პოეტმა ცხედრებით სავსე ზღვას თავი დააღწია, ამიერიდან გაღმა ნაპირია მისი სულის ხომალდის ნავთსაყუდელი, ზღვის ქაფივით დაუდეგარია მისი პიროვნება.

ურთულეს გზაზე პოეტის კუმირები არიან ქართველი და უცხოელი კლასიკოსები.

„კეთილი მწყემსია“ მისი წინამძღოლი: „ახლა თუ ვინმე ფრთებს მაფარებს, მხოლოდ ღმერთია“.

ტარიელ ჭანტურია „სიყვარულის ტრანსპლანტაციას“ ნატრობდა, რობერტ მესხს „სიყვარულის ინექცია“ ეიმედება.

გზა დიდი და შორია, პოეტურ პარნასს პრეტენზიულთა ქარავნები მიუყვებიან, ქაოსში დაკარგულებით სავსეა სავალი...

გალაკტიონი ჯვრით, გვიანი მტევნებით, ზენიტზე მდგარი შორი პალმებით, წმინდა ემბაზით, დიდი საიდუმლოთი, ქართული სისხლით იკვლევდა გზას ბურუსში, მხოლოდ ასე შეძლო მსოფლიოს პოეტურ გლობუსზე საკუთარი მერიდიანის გავლება.

სიმაღლისკენ სწრაფვას თავისი წესები აქვს, რადგან ლამპიონები თავისით არ აინთება, ის შენ უნდა აანთო, ზეცის კარების შეღება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

დიდ გზაზე მდგარ ახალგაზრდა პოეტს გაცნობიერებული აქვს ამ მგზავრობის ანაბანა. მისი ჰობია გალაკტიკებში, კოსმიურში, მარსის მინდორზე აღწევა.

უდიდესი ძალისხმევით ცდილობს პოეტი გადაცდეს მოკვდავთათვის დაწესებულ საზღვარს, გულის მიღმა, საგნების მიღმა იხილოს ჩვეულებრივთათვის მოუხელთებელი.

მაგრამ ასეთ ყოვლისშემძლე ფრთებს, გაძლების, განსაცდელგამოცდების ღირსეულად გადატანის უნარს უფალი მხოლოდ მის გზაზე მოარულთ მიჰმადლებს, რადგან „ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს“, სიბრძნე კი ორგვარია: საღვთო, მარადიული და მიწიერი, პრაგმატული, მაცდური.

დიდი სიბრძნეა პოეტის წინამძღვარი, წინაპართა ლანდები უნათებენ გზას, გავლილი აქვს რუსთაველის, გალაკტიონის, მსოფლიო პოეზიის სკოლები, ნაზიარებია როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ სიბრძნეს.

წინ დიდი გზაა, აღმართები და ციცაბოები.

ჯერ საკუთარი სული უნდა იხილოს რენტგენის სხივებით, პიროვნულ სრულყოფას მიაღწიოს, „მოიძიოს მტერი — საკუთარი თავი“: „...და ვფურცლავ ახლა საკუთარ თავს ფანჯრის რაფაზე“, — წერს პოეტი.

შეცნობილი აქვს, რომ „ხიდქვეშ არ მოვა არასოდეს, სულში რომ იცის, ის ხოშკაკალი“.

ჯერ უნდა გამოიგლოვოს აფხაზეთი, მიაკვლიოს მოვლენების მიზეზ—შედეგობრივ კავშირს, მიზეზთა მიზეზს, გაითავისოს უსაფლავოდ გამქრალთა, მედუზების, დელფინებისა და თევზების დატირებულთა სევდა.

ჯერ ბევრი, ბევრი ცრემლი უნდა დაღვაროს, რადგან „ამომშრალ თვალებს ქვეყანა მკვდარი ეჩვენებათ“ (გოეთე).

ვაჟა–ფშაველას ტირილი, იდეალების მსახურებაში გაღებული ცრემლი ანგელოზებთან მოხვედრის გარანტიად მიაჩნდა: „შემომღუღუნე, ჩონგურო, აკვნესდი, ამაკვნესია, მორწყე და ააბიბინე გულს ვარდი დანათესია... ჩემთვის ღვთის პირით ტირილში სამოთხე დანაპირია. ანგელოზთ გუნდში კი ვმღერი მაშინ, როს აქა ვტირია“ (შემომღუღუნე, ჩონგურო).

რობერტ მესხს ეიმედება თავისი გულწრფელი ცრემლების: „შენი ცრემლებიც შეიკვრება ერთ დღეს მდინარედ, ჩაჰყვება ტევრებს,... თევზსაც დაიჭერ. სამი სურვილი? არ გქონია ერთად არასდროს... ის ერთი მაინც აგისრულდეს, ერთი, რომელიც“... (ოქროს თევზი) (9,103).

ეს „ერთი“ არ არის მილიარდები, სასახლეები, თანამდებობა, ეს არის სიტყვის ოქროს მოხელთება.

„...ხელოვნება არის ბუნების იდუმალი კანონების გახსნა, რომელიც ჩვენთვის ამ გახსნის გარეშე მუდმივად დაფარული დარჩებოდა. ადამიანს შეუძლია ისინი გამოხატოს, ამისთვის მხატვარმა საჭიროა სისხლი და სიცოცხლე გაიღოს“, — წერდა შტაინერი (10,162).

ნიცშეს იდეალი იყო სისხლით დაწერილი სტრიქონები, რადგან მხოლოდ სისხლით შეიცნობა სული (11,55).

„რა გვეშველება, თუ ერთ დროს სისხლად არ იქეც, მელანო!“ — ასე ესახებოდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სირთულე (საახალწლო) (8,23-26).

„ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად“, — წერდა კონსტანტინე გამსახურდია.

„ვწერდი სისხლით“, — გვამცნობდა გალაკტიონ ტაბიძე.

„ცრემლი და სისხლი“ ეცხო ტერენტი გრანელის პოეზიას.

„მე ვარ პოეტი, სისხლით და კალმით ვებრძვი ყინვას და პირქუშ ამინდებს“, — ეხმიანება რობერტ მესხი დიდ წინაპრებს (მომიახლოვდა აპრილი გვიან) (12, 55).

პოეტის უპირველესი მისია სიკეთეა, სხვისი ტკივილის, დარდის, ჭრილობების გათავისება: „სინათლეს ხედავ?.. დარდს თუ ხედავ საბრალო მიწის? მიჭირს უშენოდ არსებობა, საშინლად მიჭირს. ვიცი, გამიგებ, მაპატიებ ზმანებებს გიჟურს, უძირო სევდის გადამკიდეს ჭრილობა მიხურს“ (სინათლეს ვხედავ) (12,21).

მოწოდებით პოეტი სიკეთის მსახურების იდეას ასე გამოხატავს: „მე მირჩევენია წვიმის ღრუბლები გაპოვნინო, შუა უდაბნოში უძირო ჭები გაგითხარო, ჩაძირული ხომალდების მუცლებიდან ძვირფასი მარმარილო ამოვიღო და კოშკის მოსაპირკეთებელი ქვები გაგირანდო“ (აკვარიუმი) (13,81).

პოეტი იტანჯება სრულყოფილების, მარადიული აზრის ძიებაში და ამბობს: „ალბათ, ძნელია ამოიცნო ყველაფრის არსი“ (12,10).

სულის თვალით, მესამე თვალით უნდა მოიხილოს ზესკნელ-ქვესკნელი, მიწა და ცა — „ცამდე აწვდილი ფრთებით“.

ამას სჭირდება „ნათელმხილველური ცნობიერება, მშვინვიერი მოგზაურობა, რომელსაც იგი სულიერი სამყაროს რეალურ ჭვრეტამდე მიჰყავს“ (14,16).

პოეტს „მესამე თვალი“ სჭირდება, რათა „სულის კარდიოგრამა“ გადაიღოს.

მარკუს ავრელიუსი განარჩევდა „ხორციელ თვალს“ და „ხედვის სულ სხვა ორგანოს, რომელიც არანაკლებ ნათლად და გარკვევით ჭვრეტს“ (15,247).

„უთხარი ერთი სულთნის ბებერ ალქიმიკოსებს, თუკი შეძლებენ გაკვეთილის შედუღაბებას, ვცდი — ოქროს კვეთა შევასწავლო მჭრელი სიტყვებით“ — წერს პოეტი და „ოქროს თევზის“ მოხელთებასაც ცდილობს (შაჰრაზადა) (9,59).

მისი ძიების სურვილი უკიდეგანოა — კოსმოსი, გალაკტიკები, მარსი, საერთოდ, მსოფლიო.

„...რეალობიდან გადავეშვი ირეალურში და ჩემი ნატვრა შენს სიზმარზე დავაქორწინე“, — ნათქვამია ლექსში „ირეალურში“, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს შემოქმედების სირთულეს (ირეალურში) (9, 85).

„ბედს იქით“ მიისწრაფოდა გალაკტიონი (ბედს იქით), უსაზღვროებაში იჭრებოდა.

„გადავცდი ყველა საზღვარს“, — წერს რობერტ მესხი (აღსარება) (9,82). „გავცდები ხიდსაც, ვერესაც, ბედსაც“, საბოლოო მიზანი კი კოსმიურში გაღწევაა (ირმის ნახტომი) (9,114–115).

მთელი ძალისხმევა მიმართული აქვს თავისუფლებისკენ: „თავისუფლება მხოლოდ ფრთების გაშლა როდია, მზის გული უნდა მათ გაშრობას და მოთმინება“ (შენ არ დამარჩენ) (...9,100).

„ვუცქირეთ მთვარეს, ყველაფრის მიღმა, მიუვალ მხარეს“, — წერს პოეტი და ყოველთვის სცილდება მზერა ჩვეულებრივთათვის მისაწვდომს.

ზღვასთან ერთად, მთა არის პოეტის ამაღლებული სულის მახასიათებელი: „კავკასიონის მწვერვალებს მიუყვება ჩემი კარდიოგრამა. რამდენიმე ამოვარდნა მაქვს — უშბა, თეთნულდი, მყინვარწვერი; იშემიის ნიშნები — როკი, საკენი, წლების წინ ნაინფარქტალი იალბუზი“ (კარდიოგრამა) (13,32).

ჭეშმარიტი სიტყვის ფასი „მთის გადაღმა“ გაღწევაა: „სიტყვას შენსას ჩალის ფასი აქვს, — საყლაპავთან რომ გაჩერდება და უნდა ცოხნო, ცოხნო, ცოხნო საქონელივით — კუჭის წვენი მოიშველიო. ჩემი სიტყვა მთის გადაღმაა. ვერ ჩავდივარ — ვეღარ ჩამოდის და ვდგავარ ასე — საუკუნოდ დამუნჯებული, უარყოფილი უმიზეზოდ, ასჯერ, ათასჯერ!“ (სიტყვას შენსას) (16,25).

მთა მთის გენიოსის — ვაჟას სახეს მოაზმანებს, რათა სულის თვალსაწიერი ბოლომდე გაიხსნას: „აქ მივხვდი ვინ ვარ, საით მოველ, ანდა

რატომ ვარ, რა სტკივა წიფელს, რად აწითლებს მიწას არწივი...“ (ვაჟაობაზე) (9, 106).

და კიდევ მთავარი, ჯერჯერობით უპასუხოდ დარჩენილი კითხვა: „როდისღა შევძლებ მივეახლო წარსულ აშუღებს, ო, ვფხოჭნი კედლებს, კითხვებს ვსვამ და ვეძებ პასუხებს“ (ვინ ხარ, საიდან?) (2,96).

პოეტი ლოცულობს ლექსისთვის, რომელსაც უწოდებს სემირამიდას, ოქროს ნაპირს, სანთელს, ცას, დედას: „გადმომეღვრები მეწამული წარღვნის ღამიდან, მომეახლები, როგორც ლურჯი სემირამიდა ... ლექსო ძლიერო, მაპოვნინე ჩემი სავანე — ოქროს ნაპირთან გაწყვეტილი მერიდიანი... ვერ მოვისვენე, ვეღარ გავთბი უცხო მხარეში. შენ დამიფარე, შენ გამბანე იორდანეში. ლექსო — სანთელო, ლექსო — ცაო, ლექსო — დედაო“ (ლექსო— დედაო) (17,44).

ზეციური ალით იწვის სული, ლექსია უმაღლესი ბედნიერება, მაგრამ ამ იდეალს ყველაფრის მსხვერპლად მიტანა სჭირდება: „ლექსი გვიპოვის სადმე ორივეს, ლექსი ზეციურ ალით მიფერფლებს, ლექსი მაჩუქებს მე ყოველივეს და ყოველივეს ლექსი იმსხვერპლებს“ (ლექსი გვიპოვის) (12, 32).

გალაკტიონისთვის მთავარი იყო „ცის და მიწის შეზავება“.

„ზეცა მწყურია და მიწა მშია“, — აცხადებდა ბოლოს თავიდან მიწის უარმყოფელი და ზეცაზე ორიენტირებული ტერენტი გრანელი.

რობერტ მესხი იმთავითვე ორივე საწყისის საიდუმლოებების მძებნელი პოეტია: „სადა აქვს მიწას პულსი და მაჯა, სადა აქვს ზეცას კარი და ზღურბლი?“ (დავბრუნდი ვითომ) (9,81).

ის „ქარის ძეა“, ამასთან „უმოწყალოდ დაწყევლილი მთვარის ქურუმი“ (9,86).

„რამდენიმე დღეა, ვირტუალური სამყარო გავიშინაურე... ყველა ვერსიას ვაკოპირებ, ყველგან მინდა ვიყო ღმერთივით“, — ასეთი უკიდეგანოა პოეტის თვალსაწიერი (ელექტროვერსია) (9,90).

რობერტ მესხის შემოქმედებაში შემთხვევით არ ჩნდება დონ კიხოტის აჩრდილი, კაცობრიობის ბედნიერებისათვის ამხედრებული რაინდის ზოგადსაკაცობრიო სახე.

გამოგონების დიდოსტატი პოეტი, მართლაც, ჰგავს „მწუხარე სახის რაინდს“, როგორც ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა: „ჩვენ ერთმანეთი

გამოვიგონეთ, როგორც ფუფალამ — შიოლა და დულსინეა — მწუხარე სახის რაინდმა, რომელსაც ახლა ვგავარ“ (ჰორიზონტი) (9, 128–129).

„ყველაფრის არსის ამოცნობას“ შესჭიდებია, ეძებს მარადიულ ჭეშმარიტებას, „გზას, რომელიც სრულყოფილებას გაზიარებს“.

შეცნობილი აქვს, რომ „სულის კარდიოგრამის“ გადაღებას „მესამე თვალი“ სჭირდება.

სიკეთის მსახურების იდეა ასეა გამოხატული: „მე მირჩევნია წვიმის ღრუბლები გაპოვნინო, შუა უდაბნოში უძირო ჭერი გაგითხარო, ჩაძირული ხომალდების მუცლებიდან ძვირფასი მარმარილო ამოვიღო და კოშკის მოსაპირკეთებელი ქვები გაგირანდო“ (აკვარიუმი) (13,81).

ასევე საქრესტომათიო ფრაზები გაჟღერდება სხვაგანაც: „მადლის დასადებ ქვას რომ ნახავ, დადე, წადი, სხვა ქვა ეძებე“ (ბრტყელ ქვას ვეძებდი. ქვა მძინარე ღმერთია. ოშო) (16,6).

იგივე პრობლემა ასევე გამოიხატა სხვა ლექსშიც: „მინდა ეს ხენდრო გულიდანაც ამომდიოდეს“.

სისხლის, ცრემლის, მსხვერპლის ფასად ააშენა რობერტ მესხმა თავისი პოეზიის ქალაქი, რომელსაც არ ჰქვია რომი, კართაგენი, თებე, მცხეთა, იერუსალიმი. ის სიტყვის ქალაქია: „შენს ქალაქს სახელი არა აქვს. იგი ჩნდება პირობითად, ჩვენი დიაფრაგმების გადაკვეთის ადგილზე, ხშირი ვიბრაციის თანხლებით... გულში“ (შენი ქალაქი) (9, 132– 133).

ამ ქალაქს შემოვლებული აქვს ქარვის, გიშრის, ძოწის, ზურმუხტის, ალმასის, მარგალიტის, სადაფის სონეტები.

ჩნდება იოანე მოციქულის გამოცხადების რემინისცენცია, რომელშიც ცოდვილები ცეცხლში ინთქმებიან, ხოლო მართალნი სიცოცხლის წიგნში ჩაიწერებიან, იქმნება ახალი ცა და ახალი მიწა. მოჩანს წმინდა ქალაქი, ახალი იერუსალიმი, ბაჯაღლო ოქროსი, ქალაქის ზღუდის საფუძველნი — ყოველგვარი პატიოსანი ქვით შემკულნი: პირველი საფუძველი იასპი, მეორე საფირონი, მესამე ქალკედონი, მეოთხე ზურმუხტი, მეხუთე სარდონიკი, მეექვსე სარდიონი, მეშვიდე ქრიზოლითი, მერვე ბივრილი, მეცხრე ტოპაზი, მეათე ქრისოპრასი, მეთერთმეტე ჰიაკინთი, მეთორმეტე ამეთვისტო.

„და თორმეტივე ბჭე – თორმეტი მარგალიტი, თვითოეული ბჭე თითო მარგალიტისა, და ქალაქის მოედანი ბაჯაღლო ოქროსი, მსგავსი ჭვირვალე მინისა.

ამ ზეციური ქალაქის ტაძარი არის უფალი ღმერთი და კრავი.

მისი მანათობელია არა მზე და მთვარე, არამედ ღმრთის დიდება. მისი სანთელია კრავი.

იქ შესვლის უფლება ექნებათ არა ბილწთ და ცრუთ, არამედ კრავის სიცოცხლის წიგნში ჩაწერილთ“ (გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა, 21, 18–27) (...4,998).

პოეტის შთაგონების წყარო ზეცაა, თავისუფლების საწინდარი — ხუნდების, ბორკილების დამსხვრევა: „...ნუ დამატყვევებ, მე ისედაც მიჭერს ხუნდები. ნუ მომწყვეტ ზეცას, ნურასოდეს ნუ მომწყვეტ ზეცას, თორემ ნოემბრის ფოთოლივით გაგიხუნდები“ (ნუ მომწყვეტ ზეცას) (9, 22).

ობიექტურობა, სიმართლისმოყვარეობა, დაუმორჩილებლობა, სწორი ხედვა, სუფთა გული განასხვავებს მშიერი ძაღლივით სალაფავს დახარბებულ უკეთურთაგან ჭეშმარიტ ოსტატს: „... სეხნი, გაუფრთხილდი თითებს, ხშირად სწორედ მათი გადაგრეხვით იწყება საკუთარ თავთან ჭიდილი და თვალებს ნურასოდეს ააფარებ ლიბრს, რადგან ისედაც ვერ ხედავენ თვალები და გულის მიღმაც შეიძლება იყოს მორყეული ბოგირი, სადაც მშიერი ძაღლი სალაფავს ელის და სცივა“ (ქარის მეტამორფოზა. სეხნიას) (72–73).

პოეტი მოგზაურია, სულით მოგზაური უდაბნოში, სამოთხეში, ცაში, კოსმიურში: „...გადმოვიარე ნაგატეა და იდუმეა, ვრცელი უდაბნო, მოხეტიალე პოეტი ვარ, ცვარ–ნამს ვაგროვებ, ზეთისხილი და ნიჟარები დამაქვს ხურჯინით. ვარსკვლავთმრიცხველი არ მჭირდება, — ისედაც ვიცი, სად ჩაეშვება ეს მთიები და სად ამოვა. მაგრამ სხვაგვარი ცის კარია, ღმერთო, ამჯერად. მაცადაში ვარ და ბეთლემით მოდის ნათელი“ (გადმოვიარე ნაგატეა და იდუმეა) (9, 55–56).

„მარსის წიაღში შემიყვარდა მე გაქანება“, — აცხადებდა ასტრალური მოგზაურობის უნარით მომადლებული ტერენტი გრანელი.

პლანეტების მოვლის სურვილი ვლინდება რობერტ მესხის პოეზიაში: „მარსის მინდორზე მეწამული მიმაქვს ლაბადა, ხარის წელიწადს უნდა დავხვდე მატადორივით“ (ქრისტეშობისთვე) (9,46).

დიდი მოგზაურობა და დიდ სიმაღლეზე ფრენის უნარია ჭეშმარიტი შემოქმედის უპირველესი ნიშანი.

მაგრამ მოგზაურობას და მაღლა ფრენას საკუთარი ძალების კონტროლი სჭირდება.

„მოგზაურის გზა უძნელესი და უსასრულობაა.

გაზომეთ თქვენი ძალები. გაწვდებიან ისინი მთელ მოგზაურობას?

საჭიროა თითოეული ნაბიჯის გაკონტროლება.

ამ გზას მრავალი ხიფათი და მოულოდნელობა ახლავს.

მთავარია შინ მშვიდობით დაბრუნება“, – გვირჩევს გიორგი გურჯიევი (12, 104)

გალაკტიონი „სიზმარეთის კოშკებს“ აგებდა, ნიკო სამადაშვილი „მარადისობის კოშკებს“, რობერტ მესხის პოეზიის კოშკი პალმების რტოებით და ოაზისის წყლით ნაგებია: „...გადავივლით ქვიან უდაბნოს ან უდაბნოებს...“

„პალმის რტოებით და ქვიშიანი ლექსებით ამოყვანილი კოშკი, რომელსაც ოაზისიდან მოტანილი წყლით ავაშენებთ, საქარავნე გზებისაგან მოშორებით მე და შენ, ერთად ყოფნა თუ გვაცალეს“ (თუ) (9, 130– 131).

რობერტ მესხის პოეზიის კოშკი მყარია, რადგან უდაბნოში, ურწმუნო სულით კი არ არის ნაშენები, არამედ ოაზისიდან მოტანილი წყლით, ღვთიური რწმენის წყლით, რომელსაც სულის განბანა, ახალ, მარადიულ ჭეშმარიტებასთან ზიარება ხელეწიფება. პალმა და წყალი საღვთო სახელებია.

ლექსში „ლაბირინთი“ „ლაბირინთია ტვინი და ნაფიქრალიც ტვინში უგზო–უკვლოდ დაწანწალებს“...

„წარსული, აწმყო და მომავალი — ბერმუდის სამკუთხედი, რომელშიც ტრიალებს ყველა: ვინც იყო, ან არის, ან იქნება... „შენ ახლა სამკუთხედის სწორედ იმ წიბოზე ხარ, „აწმყო“ რომ ეწოდება“.

ძნელია, უძნელესი ბერმუდის სამკუთხედიდან თავის დაღწევა, ეს სცილასა და ქარიბდას შორის მშვიდობიანად გავლის ტოლფასია და მხოლოდ მას ხელეწიფება ამ საშიშროებიდან განრიდება, ვინც ღმერთს ესათნოება, ვინც წილნაყარია საღვთო სიბრძნესთან.

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ. 2001
3. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1991
4. ბიბლია, თბ. 2013
5. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1989
6. ორფიკული საგალობლები, პროკლე დიადოხოსის საგალობლები, თბ. 1989
7. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
8. ვაჟა-ფშაველა, ხუთტომეული, ტ. 3, თბ. 2011
9. რობერტ მესხი, მთვარე და ქუჩა, „უნივერსალი“, თბ. 2010
10. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასი, „პითაგორა“, თბ. 1999
11. ფრიდრიხ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თარგმანი ერეკლე ტატიშვილის, თბ. 1993
12. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ. 2001
13. რობერტ მესხი, ნიჟარები, „უნივერსალი“, თბ. 2008
14. რუდოლფ შტაინერი, ადამიანის გზა თვითშემეცნებისკენ რვა მედიტაციაში, მთარგმნელი ამირან კვარაცხელია, თბ. 2000
15. მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები“, თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1972
16. რობერტ მესხი , NARCOSIS, თბ. 2020
17. რობერტ მესხი, წაშლილი ბაიათი, თბ. 2004
18. გიორგი გურჯიევი, სიყვარულის ორი სახე, თბ. 2006

სიზმრების მუზეუმი

რობერტ მესხის პოეზიის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია ინტერესი სიზმრის, ზღაპრის, ზმანების, მოჩვენების, აჩრდილის, ლანდის, არაკის სახე-ცნებებისადმი, რომელთაც დასაბამიდან იცნობდა მხატვრული აზროვნება, როგორც ყოფნის სიზმარეულობის, სიცოცხლის სწრაფწარმავ-ლობის, შემოქმედებითი პროცესისათვის დამახასიათებელი ფანტაზიის,

გამონაგონის, წარმოსახვის სურათხატს. ამასთან, ეს არის ჯერ კიდევ ბიბლიიდან, ანტიკური ეპოქიდან, მითოსის სამყაროდან მომავლის მოვლენების ხილვის, წინასწარმეტყველური ინტუიციის გამოხატულება. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ამერიკული, ფრანგული, ინგლისური, რუსული პოეზია, სპარსული, ინდური, ჩინური ლიტერატურა.

სიზმარი შეიძლება მიუთითებდეს სიცოცხლის სწრაფწარმავლობაზე, წარსულზე, აწმყოზე, იყოს წინასწარმეტყველური, მომავლის მაუწყებელი.

ყოფნის სიზმარეულობაზე საუბრობდა რაჯნეში „ტანტრაში“: „პრობ-ლემას წარმოადგენს არა მოქმედება, არამედ ყოფიერება. როდესაც თქვენ გაიგეთ თქვენი შინაგანი ყოფიერება და სინათლე, თქვენ უკვე არაამქვეყ-ნიური ხართ. ის, რაც წარსულში მოხდა, ფაქტიურად სიზმარში მოხდა. აი, რატომ ამბობენ ინდოელები, რომ მთელი ცხოვრება სიზმარია, მხოლოდ თქვენ არა ხართ სიზმარი, ყველაფერი დანარჩენი სიზმარს წარმოადგენს, მხოლოდ სიზმარია. სიზმრის მაყურებელი შეუძლებელია სიზმარი იყოს. სხვა შემთხვევაში სიზმარი არ იარსებებდა“ (ბჰაგვან შრი რაჯნეში, „ტანტრა“, უდიდესი შეცნობა) (1, 255).

ყოფნის სიზმარეულობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას ადრეი ბელი, მიუსე, ვერლენი, ბლოკი, უიტმენი, ედგარ პო, შტეფან ცვაიგი, ბოდლერი, დოსტოევსკი, გალაკტიონი, ტ. გრანელი, ნ. სამადაშვილი.

რობერტ მესხის პოეზიაშიც ამოიკითხება ყოფნის სიზმარეულობის მოტივი: „ახლა სხვა მხარეა შენთვის საზრუნავი; ჰოი, ღვთისმშობელო, ყოფნა სიზმარია, რა მაქვს სამდურავი?! („წილი“ ნაყარია) (2,36).

ლექსი „ნუ მოხვალ ახლოს“ ისევ ანალოგიურ პრობლემას უღრმავ-დება: „სიზმარია ჩემი ცხოვრება — ცა და ზვირთები“ (2,49).

პოეტის სიზმრების დიდი ნაწილი რეტროსპექტულია, წარსულთან, დაკარგულ დიოსკურიასთან, ზღვასთან არის დაკავშირებული: „როდის გამოვიქეცით ჯადოსნური ზღაპრიდან... მე დაღლილი მეთევზე, შენ — მწუხარე ქალთევზა?! ცხუმი — მოგონებების მოცახცახე მანეჟი... ერთმანე-თის სიზმრებში ჩიტებივით გავებით, რანაირად შევცურეთ სევდის ოკეანეში, დამსხვრეული ხომალდით, მოშვებული მკლავებით?“ (ნოსტალგიური) (3, 26–27).

ზღვასთან განცდილი ბედნიერი ბავშვობა წარსულის ზღაპრად აღიქ-მება: „თურმე დასრულდა ყველა გზა და ყველა ზღაპარი, ზღვა რომ ყვებოდა“ (გიორგობისთვე ჩაგესახლა სულში სენივით) (4, 94).

სიზმარშიც ობოლი და შემცივნებულია მისი ლექსის ლირიკული პერსონაჟი, სიზმარშიც „ჯვრიანი ობობა“ ევლინება (მილედი — ცისფერი ბოკალი) (4, 33).

სიზმარში ხედავს ელდორადოს, ხომალდებს: „სიზმარში ნანახი სწრაფმავალი ხომალდების ზურგზე ჩალისფერი მთვარე ქანაობს“ (ახლა) (3, 77). სიზმარში „უბელო ტალღებია“...

მწარე სინამდვილეს სიზმრად უქცევია აფხაზეთი, რომელსაც მხოლოდ ძილში ნახულობს: „აღარც ცხადია და აღარც ათას ერთი, ღამის ზღაპარია ჩემი აფხაზეთი“, სადაც „მოკლულთა აჩრდილები“ დადიან. სიზმარში ხან ცხუმი ეჩვენება, ხან თბილისი (ფერისცვალება) (5, 110).

„შენნაირ სიზმრებს ვერასოდეს იხილავს ბრძენი“, – ამბობდა შარლ ბოდლერი.

საოცარი სიზმარი, ზეცაში ყურებაა რობერტ მესხის ხვედრი: „...გავ-ყურებ ზეცას, თითქოს ვხედავ სიზმარს საოცარს, მე — ჩემს თავში და ამ ქალაქში გამოკეტილი“ (მტვრით და ნისლებით) (3,67).

„მოჩვენების“, ხილვების მომრავლებაზე საუბრობს პოეტი ლექსში „ჩინარი“ (3,36).

მარსისკენ ისწრაფოდა ტერენტი გრანელი: „მარსის წიაღში შემიყვარ-და მე გაქანება“.

სიზმარში მარსზე ხვდება ხარის წელიწადს რობერტ მესხი:

„სიზმარს ავყევი... მარსის მინდორზე მეწამული მიმაქვს ლაბადა,

ხარის წელიწადს უნდა დავხვდე მატადორივით“ (ქრისტეშობისთვე) (3, 46).

სიზმარშიც გეთსიმანია, ბრძენი ლაო-ძი ევლინება ზნეობრივ-სულიერი სრულყოფის მაუწყებლად: „რამ დამასიზმრა შორეული გეთსიმანია, მოხეტიალე საზანდარი, ბრძენი ლაო-ძი?“ (მარგალიტის სონეტი) (6,111).

პოეტის იმედია „ენდემური მოჩვენების“ მოხელთება და მხატვრულ სიტყვაში გაუკვდავება: „ხანდახან ვბედავ ტბის გულამდე... ჩაშლილი ბადით, ენდემურ მოჩვენებას დავდევ, უცნაური სახელით — „იმედი“ (ტბა) (3, 78).

ჭეშმარიტ პოეტს წყალობს გრაალი (სულიწმინდა), ზეცის ანგელოზი, სიტყვების ზღვა ბობოქრობს სულში. სიბრძნის ღვინოს ეზიარება, რათა ლექსებში გაბრწყინდეს მისი დაუდეგარი სული: „მე მახელებს ამ სიტყვების უცნაური აზვირთება, მოლანდება, მოლანდება, მოლანდება და ქაოსი. ცოტაც კიდევ და ჩემს ირგვლივ ყველაფერი აყვირდება, ღრუბლებიდან დაეშვება ფრთანათელი ანგელოზი. მოვსვამ ღვინოს გრაალიდან და ლექსებად დავიღვრები“ (ორომტრიალი) (4, 5).

რობერტ მესხის სიზმრების დიდი ნაწილი წარსულის კატაკლიზმებს მიგვანიშნებს: „სიზმრებში ჩარჩენილი ტაო“, – გულისტკივილით აცხადებს პოეტი (რეისი — თბილისი) (6, 40).

აფხაზეთელი პოეტის ხსოვნა, სიზმრები ზღვას, გემებს უკავშირდება: „ჩემთვის სამშობლო სიზმარია თეთრი გემების, ზღვა კი მაჯებზე გადამტყდარი საფირონია“ (ალბათ, ასეა) (3, 108).

„ზეცით ლტოლვილი, მიწით ლტოლვილი“ ადამიანისთვის სიზმრად ქცეულა მშობლიური აფხაზეთი — დედა: „დღეს სხვათა შორის მეკითხები: მე ზეცით ლტოლვილს, მიწით ლტოლვილს, ხომ არ შემცივდა... ხომ მახსოვს ცხუმი, როგორც დედა, როგორც სიზმარი“ (ასე მოსვლა მე ვინ მასწავლა?!) (5, 15).

სიზმარშიც „შტორმი“ ესიზმრება (ფიქრიას) (5, 55).

„...ძველი ნაპირი უფსკრულებში უნდა ვეძიო“, – წუხს პოეტი (2, 52).

ძიების ორიენტირია „ოქროს ნაპირთან გაწყვეტილი მერიდიანი“ (ლექსო, დედაო) (2, 44).

პოსეიდონი ზღაპრად ქცეულა და „ტალღის ქაფიდან შობილი მდევს სევდა პირველყოფილი“, წერს პოეტი (2, 45).

გაზაფხულის, ოკეანის, ტალღების, წვიმების, ცის ხსოვნაა სიზმრებში, ცხოვრება „სისხლიან კორიდას“ დამსგავსებია: „...ბედი წააგავს სისხლიან კორიდას... გაზაფხულს შევყურებ შორიდან... და ახლა მივცურავ სხვა ოკეანეში... წვიმებად მეღვრება ცის პოლიფონია: თქვი, რომ არ მესიზმრა ტალღები უბელო, თქვი, რომ ეს შენა ხარ“ (2, 51).

ერთადერთი იმედია „ნავის ზმანება“, ენდემური მოჩვენებები (ზმა–ნება) (5, 157).

პოეტისთვის მახლობელია გრძნობების ზღვა, ღვთიური არაკის — მუ-ზის, შთაგონების, ფიქრების წამომშლელი: „...იქნება ჩვენება პატარა ქალა-ქის, ზღვაურის — გრძნობების ღვთიური არაკის“ (აპრილი უშენოდ) (4, 25).

რობერტ მესხის პოეზიის ქალაქიდან გრძნობების ზღვა ბობოქრობს, ღვთიური არაკი ითხზვება, „ზღვაურია“ მისი ფიქრების მდევარი (კანდელა-ბრები ჩაქრება) (2,14).

„სიზმარი არის სიმბოლური... სიზმარში შეიძლება მთელი ისტორიების დანახვა“.

„შინაგანი მდგომარეობა ასევე პოულობს სიმბოლურ ასახვას სიზმრებში. განსაკუთრებული შინაგანი სენსიტიურობის მქონე ადამიანებ-თან სიზმარი მოქმედებს, როგორც წინასწარმეტყველება“.

„საკუთარი სიზმრების მეშვეობით ადამიანი შემეცნებას იძენს“.

„სიზმრებში ასევე შეიძლება გადმოიცეს ზენა სამყაროთა შეგრძნე-ბები“.

„შთაბეჭდილებები ზენა სამყაროდან სიზმრებს ჰგავს“, — წერს რუდოლფ შტაინერი (7, 116–118).

ზიგმუნდ ფროიდის მიხედვით, „სიზმრები საზრისის მქონენი არიან და მათი საზრისის გამოცნობა შეიძლება. ჯერ კიდევ კლასიკურ ძველ დროში სიზმრებს აფასებდნენ, როგორც მომავლის მაუწყებელს.

„ხშირად სიზმარი განიხილება, როგორც მისტიკური სამყაროს კარი-ბჭე, დღეს ბევრისთვის იგი ითვლება ოკულტურ ფენომენად. მას არაერთი ძაფი აკავშირებს ბნელით მოცულ საგნებთან. ესაა მიღმიური სამყარო.

„... ოკულტიზმთან ლაპარაკია ჯერ კიდევ შეუმეცნებელი ფაქტების რეალურ გულზე. ილუზიისა და ფანტაზიის ზემოქმედება მოცულია ძნელად შესაღწევი საბურველით... აქ სიზმარი დაგვეხმარება... რომ მთელი გულიდან... ტელეპატიის თემა ამოვგლიჯოთ“ (8, 254, 259).

რობერტ მესხის იდეალია „ღვთაების სიზმარი“ (რა უცებ წახვედი) (4, 29), „წამლეკავი სიზმრების გროვაა“ შემოქმედის ბედისწერა (ვიდრე ზამთარი ხელახლა მოვა) (4, 59).

ერთადერთი უმაღლესი იმედი სიზმრებია — ლექსები: „ლექსო ძლიე-რო, ნუ გამიცვლი სიზმრებს ლოდინში. შენღა დამირჩი, ვიცი, მოხვალ, ვიცი, მომხედავ“ (ლექსო, დედაო) (2, 44).

„ფერადი სიზმრებია“ პოეტის ხვედრი (მარცხენა სახელო) (3, 12).

ზეთისხილსაც ფოთლების ნაცვლად სიზმრები ასხია (მზის რაფსოდია) (5, 40).

„ანთებულ მეტეორებს“ ჰგვანან პოეტის სიზმრები — ლექსები: „ჩამიცვივდება ანთებული მეტეორები ერთი სიზმრიდან მეორეში, მერე იქითაც“ (ჩამიცვივდება ანთებული მეტეორები) (2, 55).

„ზღაპრიდან მოვარდნილი ქარების ალებია“ ლექსში „შენ იქნებ გგონია“ (4, 41).

„წამლეკავი სიზმრების გროვაა“ ლექსში „ვიდრე“ (4, 59).

სიზმარში ხედავდა „სისხლისფერ თოვლს“, როგორც ომის მომასწავებელს (დაგვიანებული ლექსი ალის) (5, 38–39).

გალაკტიონის პოეზიაში თოვლი შავია, ვარდისფერია, წითელია.

წითლად თოვს გოდერძი ჩოხელის „მგელში“.

რეალობიდან ირეალურში გადავარდნა, „სიზმარზე დაქორწინება“, ცისკენ სვლა მოასწავებს სულის ნავსაყუდელის მიგნებას ლექსში „ირეალურში“ (3, 85).

ხან ქრება „ფიქრების ზვავი“, მერე ცის ელვა, შუქი გვამცნობს შთაგონების მოვლინებას, ცის კაბადონი იხსნება და ზღაპარში ბავშვობის ხილვაა: „ანაზდად ჩაქრა ფიქრების ზვავი და მივანებე ყველაფერს თავი, მერე განათდა ცა, როგორც სახე და ელვის შუქში ბავშვობა ვნახე, პირველი ზღაპრით და მოსართავით. ელვა ანათებს კაბადონს ზეცის და ახლა, ალბათ, მოვგავარ შეშლილს“ (ელვა ანათებს კაბადონს ზეცის) (4, 10).

მუზა, „ზმანებაა“ პოეტის გზამკვლევი ფიქრთა ოკეანეში (თქვი, რომ ეს შენა ხარ) (2, 51).

სიზმარში ჟასმინი გამოკრთება (ჟასმინი), ხან გაღმა–გამოღმა მდგომი ნუშები ნახულობენ ერთმანეთს და ილოცებიან კეთილი სურვილებით (ნუშები) (4, 131).

პოეტის იდეალია ასიზი, ასიზის ტაძარი, ფრანცისკო ასიზელი, რომელიც ცნობილი იყო სიბრძნით, ჩიტის გულით, მინდიასავით გულთამხილაობით გამოირჩეოდა.

სიზმარ–ზმანების მოლოდინია პოეტის ცხოვრება, სიზმრის და ქარის დევნაა მისი ხვედრი (მანძილს იმოკლებას) (2, 16).

უდაბნოში აგავასავით უნდა აყვავდეს, ჭადარივით ფოთლები უნდა დაისხას სიზმარ–ხილვებში პოეტურმა სულმა: „მე დავიბადე, ვით უდაბნოს

ლურჯი აგავა, როგორც სიზმარი გაყვითლებულ ჭადრის ფოთლების“ (თოთო ბავშვივით) (2, 52).

„წუთოსოფლის წარმავლობის ზღაპარს“ რომ ქმნის, მიწიერი სამყაროს რაობას რომ უღრმავდება, მარადისობისკენ სავალ გზას კაფავს, რათა ჭეშმარიტებას ეზიაროს (წუთისოფლის მინიმა) (5, 158).

ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე ფიქრი გეთსიმანიას, ბრძენი ლაო ძის მოზმანებას იწვევს სიზმარშიც, ძილ–ღვიძილშიც აფორიაქებული პოეტის ცნობიერება: „რამ დამასიზმრა შორეული გეთსიმანია, მოხეტიალე საზან–დარი, ბრძენი ლაო–ძი?“ (დაგვიანებული. მარგალიტის სონეტი) (6, 111).

ხან „წვიმაა ორაკულის სიზმარში“ (წერტილები, ანუ ჩემი დაბადების დღე) (3, 79).

სიზმარ–ხილვების ტყეში ცხოვრობს ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის მოსახელთებლად: „ტყეში დავდივარ... სიზმრებს ვაგროვებ“ (Narcosis) (13,32).

„მოერღვა სიზმარს აბრეშუმის მკრთალი არშია“, — წერს ერთგან პოეტი (13,3).

ლექსში „წერტილები ანუ ჩემი დაბადების დღე“ — სულში ლოცულობს ავადმყოფი „მამაო ჩვენოს“ და წვიმასავით ჩარჩენილია „ორაკულის სიზმარში“ (3, 79–80).

მართლაც, ორაკულივით ხედავდა სიზმარში სიკვდილს (ამულეტი, დედას) (5, 34–35).

სიზმარში ევლინებოდა განგება, სიზმარში ესმოდა სიკვდილის კაკუნი, „ზამთრის სიმფონია სამგლოვიარო“ (თოვლის კაცი) (6, 114).

სიზმარში მოელანდა „შავი ავაზა“ (ცეკვა ღამესთან) (4, 90).

განსაცდელის მომასწავებლად მიიჩნევა სიზმარში ირინა ენუქიძის მოვლინება, რაც ბუნებრივად მოასწავებს „ნადირობის სეზონის“ დაწყებას, „ველური ძაღლების“ შემოსევას, რაც იმ დროის მახასიათებელი იყო (6, 83). ირინა ენუქიძე ხომ შესანიშნავი ქართველი ვაჟკაცის, სადისტურად მოკლული სანდრო გირგვლიანის დედა იყო.

პოეტს აქვს საოცარი ხილვები, საჰარის უდაბნოში გველები, მამონას მსხვერპლი იუდა ელანდება. სიზმრებიდან ფარაონ ტუტანხამონის დამცი–ნავი ხარხარი ჩაესმის: „გველის თვალებით მიმზერს საჰარა, მიმზერს იუდა

— მსხვერპლი მამონის და სიზმრებიდან მესმის ხარხარი ტუტანხამონის“ (გველის თვალებით მიმზერს საჰარა) (4, 85).

ცნობილია ფარაონ ტუტანხამონის სამარის კარზე წარწერილი წყევლა: „ვინც ფარაონს ძილს დაუფრთხობს, მოკვდება“.

1922 წელს იპოვეს ფარაონის ხელუხლებელი სამარხი. ექვსი დღის შემდეგ ლორდი კარნარვონი კაიროს სასტუმროში გარდაიცვალა შემდეგი სიტყვებით: „მესმის ძახილი. იგი მიხმობს... ტუტანხამონი“. ლორდის მამულში ყმუილის შემდეგ მისი ძაღლიც მოკვდა.

სიკვდილი ეწვია არქეოლოგ პიტერ მეისტს, რომელმაც აკლდამის კარიდან ქვა გადააგორა. გარდაიცვალა რადიოლოგი არჩიბალდ რეიდი, რომელმაც სამარხის ასაკი განსაზღვრა. ცოცხალი ვერ გადარჩა გათხრების ოცდაორი მონაწილე. კომაში გარდაიცვალა ამ ექსპედიციის კიდევ ერთი წევრი.

1979 წელს ტუტანხამონის ნიღაბს ლონდონის გამოფენისთვის ამზადებდნენ. შეფუთული ნიღაბი აეროპორტში წაიღეს, ხოლო მისი გამყოლი, დოქტორი ჰამელ მეჰრეზი საკუთარი კაბინეტის კარებთან წაიქცა“ (ფარაონის წყევლის საიდუმლო) (9).

პოეტის მიერ სიზმარში მოსმენილი ტუტანხამონის ხარხარი წყევლის ძალაზე აკეთებს აქცენტს და დამცინავია.

რობერტ მესხი ცხოვრებას უყურებს არა მხოლოდ ტრაგიკოსის თვალით, არამედ მეოცნებე, მაძიებელი, სიკეთისთვის დამაშვრალი ადამიანის ყოვლისმხილველი მზერით. ის არის გამოგონების დიდოსტატი, მაღალი იდეალის მაძიებელი, ამიტომაც არის მისთვის მახლობელი სერვანტესის დონკიხოტი: „...ჩვენ ერთმანეთი გამოვიგონეთ, როგორც ფუფალამ შიოლა და დულსინეა მწუხარე სახის რაინდმა, რომელსაც ახლა ვგევარ“, – წერს პოეტი ლექსში „ჰორიზონტი“ (3, 128).

პოეზიაშიც და ცხოვრებაშიც მორგებული აქვს ლამანჩელის როლი: „ჟანრი ტრაგედია — როლი ლამანჩელი“, წერს ლექსში „სცენა გადასაღები მოედნიდან“ (2, 20).

მართლაც ტრაგედია, მოუსვენრობა, კალმით ბრძოლა დაუნათლავს პოეტისთვის არსთაგანმრიგეს, ბრძოლა სიკეთის, სინათლის, ზნეობრივი იმპერატივისთვის.

პოეტი იყო სიზმრებშემოსილი, „სიზმრებზე დაქორწინებული“, „ქვიშის ნაპირთან რომ ესიზმრა ნისლის ფანტომი“ (13,52).

„ივნისის ზღაპარი“ დაკარგულ ქალაქზე, დაკარგულ ადამიანებზე მიანიშნებს (13,105–106).

საიდუმლო დოქტრინის მიხედვით, არსებობს წინასწარმეტყველური სიზმრები. ისინი ჩვენი უმაღლესი მეს მიერ აღიბეჭდება მეხსიერებაში... მძინარეს ან ესმის ხმა, ან მოახლოებულ მოვლენას ხედავს.

არსებობს ალეგორიული სიზმრები ან რეალურ მოვლენათა დაბინდული, წუთიერი ხედვები.

სიზმრები, რომლებიც გამოგზავნილია ადეპტების მიერ, რომლებსაც სურთ, რომ მათი ნება შევასრულოთ.

რეტროსპექტული სიზმრები წინა განხორციელებებში მომხდარ მოვლენებს შეეხება.

გამაფრთხილებელი სიზმრები ადამიანებისთვის, რომელთაც არ შეუძლიათ წინასწარ იგრძნონ.

უწესრიგო, წარმოდგენათა თამაშის შედეგად შექმნილი ქაოტური სიზმრები (10, 176).

ყველა ამ კატეგორიის სიზმრებს ვიპოვით რობერტ მესხის პოეზიაში.

იუნგი გვაუწყებს: „სიზმარი შეიძლება მოიცავდეს გარდაუვალ ჭეშმარიტებებს, ფილოსოფიურ დებულებებს, ილუზიებს, ველურ ფანტაზიებს, მოგონებებს, გეგმებს, ანტიციპაციას, ირაციონალურ განცდებს, ტელეპატიურ ხილვებს... სიზმარი ზოგჯერ სიკვდილ–სიცოცხლის საკითხია.

„აღმოსავლურ ფილოსოფიაში დიდ როლს ასრულებს მოვლენათა შესაძლო განვითარების წინასწარმეტყველური მეთოდი და მას დღესაც იყენებს იაპონიის მთავრობა პოლიტიკურ ვითარებათა გათვალისწინებისთვის.

სოფოკლეს ცხოვრებიდან ცნობილია ასეთი ფაქტი: როდესაც ჰერაკლეს ტაძრიდან ძვირფასი ოქროს ჭურჭელი მოიპარეს, სოფოკლეს სიზმარში გამოეცხადა ღმერთი და აუწყა, ქურდი ვინც იყო. სიზმრის სამჯერ გამეორების შემდეგ სოფოკლემ ის არეოპაგში განაცხადა. ეჭვმიტანილი დაიჭირეს, იგი გამოტყდა და ჭურჭელი დააბრუნა.

დანტემ საფლავში ჩაიყოლა თავისი პოემის ერთი თავის დაკარგვით გამოწვეული გულისტკივილი. პოეტის აჩრდილი სიზმარში გამოეცხადა

შვილს და ამცნო „ღვთაებრივი კომედიის“ ცალკე გადადებული XIII თავის ადგილსამყოფელი (11, 131).

სიზმარში იხილა ედისონმა ნათურის გაკეთების მომენტი. მან დაიმახსოვრა ეს სიზმარი და ნამდვილად გააკეთა ისეთი ნათურა, როგორიც მას ესიზმრა. მთავარი ისაა, აქვს თუ არა სიზმარს რამე მნიშვნელობა ცხოვრებისთვის (7).

სიზმრების ფენომენს სწავლობდნენ უძველესი დროიდან და მისი ახსნით იჭვრიტებოდნენ წარსულში, აწმყოში, ახდენდნენ მომავლის უცდომელ წინასწარმეტყველებას.

გოდერძი ჩოხელის რომან „მგელის“ პერსონაჟს, ლუკას „თეთრმა მოხუცმა“ (ღმერთმა) სიზმარში დაავალა, ეძებნა ყვავილი (ღმერთი) და, მართლაც, უღმერთობის პირობებში ლუკა იყო ამ დავალების უზადოდ შემსრულებელი, რომელიც ყვავილით (რწმენით) აფრთხობდა მგლებს — ათეიზმით მოშხამულებს.

შემთხვევითი როდია რობერტ მესხის განსაკუთრებული არჩევანი, ოცნება, ჰქონდეს სიზმრების მუზეუმი, რომელშიც დააფიქსირებს მრავალფეროვან, ახდენილ თუ აუხდენელ სიზმრებს, რათა ამ სიზმრების მიხედვით შექმნას საოცარი, გამონაგონი, მაგრამ რეალურზე ძლიერი, მიწიერი ნელსურნელებით გამორჩეული პოეტური სამყარო: „ვოცნებობ საკუთარ მუზეუმზე, რომელშიც მოყვებიან სიზმრებს მეზობლებზე, მეგობრებზე, ქმრებზე, ახდენილ და აუხდენელ სიზმრებს, ფერად და შავ—თეთრ სიზმრებს და ჩამიწერენ შთაბეჭდილებათა წიგნში წასვლისას“ (ვოცნებობ მუზეუმზე) (5, 45).

გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობნის“ პერსონაჟი საბა მუზეუმს აშენებს, ქვეყნის ღირსშესანიშნავი კულტურის ნიმუშებით, რომელმაც უნდა შეინახოს და გადაარჩინოს სამშობლოს წარსული, აწმყო, გაკვალოს მომავალში გასაღწევი გზები.

რობერტ მესხის სიზმრების მუზეუმს უმაღლესი მისია აკისრია: ერის სულიერი ფენომენის, მისი შემოქმედებითი პოტენციის გამოვლენა, სამივე დროზე აქცენტირება, სამშობლოს სულიერ–ინტელექტუალური შესაძლებლობის წარმოჩენა საერთაშორისო არენაზე.

ცნობილია, სტეფან ცვაიგი დოსტოევსკის სამყაროს „წუთისოფლის ყველაზე სრულყოფილ ჰალუცინაციას, ღრმა და წინასწარმეტყველურ სიზმარს... ფანტასტიკურში გადასულ რეალიზმს“ უწოდებდა (12, 243).

რობერტ მესხის სიზმრები, ზღაპრები, მოჩვენებები, ხილვები რეალური სამყაროს პროექციაა, ამავე დროს, იდეალურთან მიახლოებული, ადამიანის ურთულესი სულის, მისი ფსიქიკის საიდუმლოებების სიღრმეებში ჭვრეტის მომასწავებელი.

დამოწმებანი

1. ჟურნალი „საუნჯე“, №3, 1991
2. რობერტ მესხი, წაშლილი ბაიათი, თბ., 1996
3. რობერტ მესხი, მთვარე და ქუჩა, თბ., 2010
4. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ., 2001
5. რობერტ მესხი, მზის რაფსოდია, თბ., 2013
6. რობერტ მესხი, ნიჟარები, „უნივერსალი“, თბ., 2008
7. რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან, მთარგმნელები: ლ. ბაბლუანი, ა. კვარაცხელია, ასოციაცია „კოგოტო“, თბ., 2014
8. ზიგმუნდ ფროიდი, ფსიქოანალიზი, თარგმანი გერმანულიდან ვიტალი კაკაბაძის, „სიახლე“, თბ., 2002
9. გაზ. „კვირის პალიტრა“, 28 თებერვალი— 5 მარტი, 2011
10. ელენე ბლავატსკაია, მდუმარების ხმა, თარგმანი თ. თევზაძის, თბ., 2011
11. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, „დიოგენე“ თბ., 1995
12. სტეფან ცვაიგი, ფანტასტიკური ღამე, თბ., 1996
13. რობერტ მესხი, Narcosis, თბ., 2020

სიგიჟე ჩემი – მიზეზი ყოვლის

ჭეშმარიტი ხელოვნება არის ხილულს იქით, ბედს იქით, ჩვეულებრივ ადამიანთათვის დაწესებულ საზღვრებს იქით გაღწევა, რელიგიურობის პრიმატი, დინების წინააღმდეგ სვლა, სხვათათვის მოუხელთებელი სინამდვილის არსის გახსნა, უცდომელი ჭვრეტა მიწაზე, ცაში, უდაბნოში, ქვესკნელში, ხილულსა თუ უხილავში, შეღწევა ქვეცნობიერში, არა მხოლოდ ეფემერულში, არამედ მარადიულშიც, რაც ზეკაცურ შემართებას, ღმერთკაცობას უტოლდება და საცნაურს ხდის, რომ სხვათათვის უხილავის ხილვა მხოლოდ აღმატებული ძალისხმევის მქონე, არა მატერიალურ სამყაროზე, არამედ სულეთის სამყაროზე ორიენტირებულთა პრეროგატივაა.

შემოქმედთა ხედვა, სმენა, შეგრძნება აბსოლუტურად განსხვავებულია და მთლიანად ჩართულია იმ ზეგრძნობად სამყაროში, რასაც საინფორმაციო ველი, ნათელხილვა და ნათელსმენა, ხოლო აღმოსავლურ სამყაროში „აკაშა ქრონიკა“ ეწოდება. მაგრამ იქ შეღწევის უნარი მხოლოდ ერთეულთ, რჩეულთ ხელეწიფებათ.

რუდოლფ შტაინერი განასხვავებდა ტვინის მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროს, მარცხენაში ინტელექტუალური ინფორმაციების მოპოვების უნარს ხედავდა და მას ჰიპოფიზს უწოდებდა, ხოლო ტვინის მარჯვენა მხარეს წინასწარმეტყველურ ინტუიციას უკავშირებდა და ეპიფიზად მოიხსენებდა.

ცნობილია, რომ სხვადასხვაგვარ მოაზროვნეთა ტვინი აბსოლუტურად განსხვავებულია და ფსიქოლოგები ამიტომაც უღრმავდებიან მათ შესწავლას ტვინის მუზეუმში.

ხელოვნების ფსიქოლოგიაში არსებობს მიმართულება, რომელიც ამ აღმატებულობას, გენიალობას, სიგიჟეს უწოდებს, დადებითი გაგებით, რა თქმა უნდა, ეძებენ შემხვედრ წერტილებს ზენიჭიერებასა და სიგიჟეს შორის და ამ თვალსაზრისით შეშლილებად მოიხსენებიან კაცობრიულ აზრთა რჩეულები: დიკენსი, დოსტოევსკი, რუსო, ნიცშე, გოგოლი, ტოლსტოი (ჩეზარ ლომბოროზო) (1).

ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება გენიალურ მოაზროვნეთა გადახრებზე, რაც გამოიხატება მათ გაუცხოებაში, შიშში, დევნის მანიაში, მტრების

მოლანდებაში, არყოფილის ნამდვილივით წარმოდგენაში, ჰალუცინაციებისა თუ ხილვების მოჭარბებაში.

ნიჭიერთა ამ თავისებურებებს პათოლოგიურ გამოვლინებებს უწოდებენ და კატეგორიულად ამტკიცებენ, თითქოს შეშლილობის გარეშე არ არსებობს გენიალობა (ბლეზ პასკალი, ერნესტ კრეჩმერი, მაქს ნორდუ).

განსაკუთრებულად ამახვილებენ ყურადღებას გამოჩენილ ადამიანთა დეპრესიებზე, თვითმკვლელობისადმი მიდრეკილებებზე, თვითმკვლელობებზე, შიზოფრენიაზე.

ზიგმუნდ ფროიდი, კარლ გუსტავ იუნგი, მიხაილ ზოშჩენკო და სხვა ანალოგიურად მოაზროვნეები ხელოვნებას განმარტავენ, როგორც ფსიქოთერაპიას, სუბლიმირებას, შინაგანი წუხილის, ტკივილების, ნევროზების გადატანას და განმუხტვას მხატვრულ სახეებში, სიმბოლურ ხილვებში.

დიდი ამერიკელი პოეტის ედგარ პოს „გული მამხილებელი“ გვამცნობს: „დიახ! მე ძალიან ნერვებაშლილი ვარ, მაგრამ რად გინდათ თქვენ დაამტკიცოთ, რომ მე შეშლილი ვარ? ავადმყოფობამ გაამწვავა ჩემი გრძნობები, მაგრამ სრულიადაც არ დაუსუსტებია იგი, სრულიადაც არ დაუჩლუნგებია, უპირველეს ყოვლისა, გრძნობა სმენისა“.

ეს ნაწარმოები უთარგმნია გალაკტიონ ტაბიძეს (2,502).

გამოჩენილ ადამიანთა მახასიათებლად, შეშლილობის პარალელურად, მიჩნეულია ასევე დემონი, დემონურობა, სატანა.

ინგლისში ბაირონს დემონად აღიქვამდნენ, ბოდლერი ხაზს უსვამდა თავის წილნაყარობას სატანასთან, გოეთეს სატანას უწოდებდა გალაკტიონი (მაგიდა ალემბიკებით).

ტერენტი გრანელი გალაკტიონის არსებაში დემონს ხედავდა.

გოეთე გენიალობასთან აკავშირებდა შეშლილის, დემონის ცნებას და შეშლილ დემონად მოიხსენებდა ბეთჰოვენს: „საჭიროა მოკრძალება იმის წინაშე, რასაც გამოთქვამს ასეთი შეშლილი დემონი, რადგან მას გენია უნათებს გზას და ხშირად იქ უსხივოსნებს, სადაც ჩვენ უკუნეთით ვართ მოცული და ვერც კი მივმხვდარვართ, საიდან ამობრწყინდება მზე“ (3,102).

შეშლილს, გიჟს, გადარეულს, მთელ რიგ შემთხვევებში, აღმატებული გრძნობის სინონიმად გაიაზრებდა გალაკტიონი: „სული შეშლილი და ბედნიერი, შეშლილი ვერლენი, შეშლილი ბეთჰოვენი, შეშლილი ყაზბეგი,

შეშლილი ფიროსმანი, მუსიკალური და გადარევის ეფემერები, მოგონების შეშლილი ბოდვა, ძეგლი... შეშლილი თუ წინასწარის მთქმელი“...

გალაკტიონის შემოქმედებაში შეშლილად არის სახელდებული ყოველივე აღმატებული, უჩვეულო, იდენტურია ეს ორი დაპირისპირებული ცნება „სული შეშლილი და ბედნიერი“.

„ახლა სიგიჟე გრძნობის ბრალია“, – აცხადებდა ტერენტი გრანელი.

მაგრამ გენიალურ, თანაც, ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ ხელოვანთ გიჟად მოიხსენიებდნენ ტოტალიტალურ საბჭოთა იმპერიაში. „საბჭოთა კავშირში საღად მოაზროვნეებს გიჟებად აცხადებენ და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ათავსებენ“, — გადმოსცემდა ამერიკის რადიო „თავისუფლება“.

„უსამართლო სოციალურ საზოგადოებაში თავისუფლებისკენ სწრაფვა, უკეთეს შემთხვევაში, უცნაურობად, სიგიჟედ ითვლებოდა. ფსიქიატრიული რეპრესიები საქმით განამტკიცებდა მასაში მოარულ ვერსიას იმის შესახებ, რომ ვინც აღიმაღლებს ხმას სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის, სულით ავადმყოფია“ (4,49).

ამის მაგალითია გიჟად გამოცხადებული გენიოსის — ტერენტი გრანელის ბიოგრაფია, მისი მოთავსება ჯერ თბილისის, მერე სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც „შეშლილმა“ პოეტმა არა მარტო ლირიკული შედევრები, არამედ რვაასი გენიალური პორტრეტი და პეიზაჟი შექმნა.

ტერენტი გრანელისთვის ძალად მისადაგებული სიგიჟის ვერსიას არ იზიარებენ მისი ბიოგრაფი, მკვლევარ–გამომცემელი ლერი ალიმონაკი, ასევე ბიოგრაფი და მკვლევარი გივი ცქიტიშვილი, მწერალი და კრიტიკოსი რევაზ მიშველაძე, პოეტი მურმან ჯგუბურია, სერგო ჟვანია, მთარგმნელი ბექა ლაშხია–ხიბლელი, პოეტი კალე ბობოხიძე, ტერენტის დის შვილიშვილი, პროფესორი მამანტი როგავა.

ცნობილი ცისფერყანწელი პოეტის — ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ წინასწარმეტყველურად ნათქვამია: „მე მეჯავრება პოეტისთვის რამე ხელობა. მისთვის ვიწამე სამუდამოდ ეს კარიერა: „სიგიჟე, ჭლექი, ალკოგოლი და თვითმკვლელობა“ (5,117–118).

გრიგოლ რობაქიძე შემოქმედ ადამიანთა გაღწევას ჩვეულებრივი საზღვრებიდან, ჭეშმარიტების მიგნებისათვის გაღებულ ძალისხმევას

„ღვთაებრივ შეშლილობას“, „ჰიერომანიას“ უწოდებდა (მცველნი გრაალისა).

„ჭკუაზე შერყევა — ბედნიერება“ — აცხადებდა პოეტი ნიკო სამადა-შვილი და ამ შემთხვევაშიც შემოქმედის გენიალობა იგულისხმებოდა.

„არარსებული საგიჟეთის“ მკვიდრად გვეცხადება ჩვენი თანამედროვე პოეტი, ექვსი ლირიკული კრებულის ავტორი რობერტ მესხი, რომლის არაერთ შედევრში ვლინდება შემოქმედის ფსიქოლოგია, შთაგონების მოვლინების თანამდევი სულიერი გასხივოსნება, როგორც ელვა, ფიქრების ზვავის განათება ელვის სახით და მოახლოებული წარსულის სული: „ელვა ანათებს კაბადონს ზეცის და ახლა, ალბათ, მოვგავარ შეშლილს არარ-სებული საგიჟეთიდან, სადაც უჩუმრად ვიღაც შევიდა და მომიტაცა, ვით ზევსის ცეცხლი. ანაზდად ჩაქრა ფიქრების ზვავი და მივანებე ყველაფერს თავი, მერე განათდა ცა, როგორც სახე და ელვის შუქში ბავშვობა ვნახე, პირველი ზღაპრით და მოსართავით. ელვა ანთებს კაბადონს ზეცის და ახ-ლა, ალბათ, მოვგავარ შეშლილს“ (ელვა ანათებს კაბადონს ზეცის) (6,10).

„შეშლილი ბეთხოვენის“ ჰანგები სწვდება პოეტის სმენას ქარში, რაც უამინდობას აქარწყლებს: „ამჟამად მხოლოდ შენზე მინდობილს დამიკრავს ქარი შეშლილ ბეთჰოვენს, გამოვეთხოვე უამინდობას, დამღლელ ლოდინსაც გამოვეთხოვე“...(ილუზიაა – მოვა აპრილი (9,65).

გიჟური ხილვები დედამიწის დარდს უკავშირდება, რასაც სული სინათლე-შთაგონება აფიქსირებს: „სინათლეს ხედავ? დარდს თუ ხედავ საბრალო მიწის? ვიცი, გამიგებ, მაპატიებ ზმანებას გიჟურს, უძირო სევდის გადამკიდეს ჭრილობა მიხურს“ (სინათლეს ვხედავ) (6,21).

„შეშლილებმა“ უნდა გააცნობიერონ სიკვდილ-სიცოცხლის მისტერია, ამქვეყნად მოსვლის და წასვლის მიზანი და მიზეზი: „ჩვენ — შეშლილებმა — ერთ გულისთქმას ამოგაყოლეთ ამ არენაზე (პირობითად) ახლა კი ვდგავართ თოვლზე სპეტაკი ხალათებით, როგორც ის იდგა მდინარეში, როცა ნათლავდა თვალგაუხელელ ერს და მერე ჯებირს გადაღმა, სადაც სუყველა ზეთისხილი ერთად გადახმა, გააკრეს ჯვარზე და ნათელ შუბლზე – გვირგვინი ეკლის... ჩვენ – შეშლილებმა ერთ გულისთქმას ამოვაყოლეთ ამ არენაზე (პირობითად), სადაც დარჩენა სიკვდილია უთუოდ, მაგრამ ათმა-გად დიდი სიკვდილია წასვლა, თან ისე, ვერ მიხვდე მოსვლის ანდა წასვლის მიზანს და მიზეზს“ (თეთრი ხალათები. თებერვლიანებს) (8,139-141).

შემოქმედება არა მხოლოდ „შეშლილობაა“, ჯვარცმაცაა.

ამ ღვთაებრივი სიგიჟის, შფოთვის, სიზმარ–გამონაგონის საუფლოში გადავარდნის კიდევ ერთი ახსნაა ლექსი „დამეკარგები“: „...სიგიჟე ჩემი – მიზეზი ყოვლის, სიგიჟე ჩემი შფოთავს და კვნესის და უშენობის სიზმრებით მოსილს მოუსავლეთში წამიღებს ლექსი“ (6,27).

„სიზმრის“, ღირებული გამონაგონის მოხელთებას სიცოცხლის გაღება, ქრისტესავით ჯვარცმა, „სიგიჟე“, „შეშლილი თვალებით“ უხილავის ხილვის უნარი სჭირდება: „... მე მცივა უშენოდ, სიზმარო ღვთაების. წარსულთან ნუ წახვალ, წარსულთან არ დარჩე, მე ყველა სიგიჟე სულ შენზე დავხარჯე. სიკვდილის ტანგოში სიცოცხლე ქანაობს, სიცოცხლე— სიკვდილის ჩინური მარაო. და კვდება სიცოცხლე იესოს წვალებით, უმწეო გენიის შეშლილი თვალებით“ (რა უცებ წახვედი) (6,29).

„მარტოსულების“ იმედია სიგიჟის ზღვარზე მიმყვანი მუზა (დღეს გავგიჟდები) (6,87–88).

ლექსის ლირიკული პერსონაჟის მეგობრები არიან „...გულღია პოეტები — თითქმის გიჟები“ (ლუბას ვერანდა) (9,27).

შემოქმედებით სიგიჟეზე ფიქრი ბუნებრივად იწვევს დიდი წინაპრების — გრანელისა და გალაკტიონის რემინისცენციას: „... ქუჩა–ქუჩა დავდივარ ბნედიანი, ეული, მახსენდება ბავშვობის საყვარელი რვეული და გრანელისეული „mori“, გადარეული... კვლავ იწყება ზმანება საოცარი ბუნების, მენატრება ალერსი „ჩუმი არდაბრუნების“ (ფერადი ელეგია) (6,7–8).

„შეშლილი ბრძენის“ მიერ მზის — ღმერთის, „ღვთიური სონეტის“ ძიება პოეზიაა, ხოლო ცხოვრება „მონ—პარნასელი შეშლილი ბრძენის“ პიესა: „მზეს ვეძებ ჩრდილში, მზეს ვეძებ ჩრდილში, მზეს — ჩემი სულის ღვთიურ სონეტას, ჩემი ცხოვრება არის პიესა მონ—პარნასელი შეშლილი ბრძენის“, – ნათქვამია ლექსში „მზეს ვეძებ ჩრდილში“ (6,38), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს გენიალური შეშლილის მისიას — ეძებოს მზე, ღმერთი, სიკეთე.

„გიჟური ფიქრებისგან“, „წყეული ფიქრებისგან“ დაღლილი პერსონაჟი გვეცნაურება ლექსში „სადა ხარ“ (6,22–23).

„ოცნების გიჟია“ ლექსში „ოცნების ხიდი“ (16,32).

შემოქმედებითი პროცესის სიგიჟით, შფოთვით ატანილი, სიზმარშემოსილი გვევლინება პოეტი ლექსში „დამეკარგები“(6,27).

„სიყვარულის გიჟი“ ფიგურირებს ლექსში „გიჟი ვარ ისეთი“ (6, 35).

„ყვავილი“, „შეშლილი კაქტუსი“ და „ბახუსია“ ტკივილების დაამების წყარო ლექსში „იქსები“ (6,39).

გაზაფხულზე „გადარევაა“ ბედნიერების იმპულსი: „...მოდი, ნუ დამტოვებ გაზაფხულზე ასე ბედნიერს და გადარეულს“ (მოდი) (6,51).

გაზაფხულის და ცადაფრენის სიხარულია ლექსში „მომიახლოვდა აპრილი გვიან „...ო. ამ გაზაფხულს სიგიჟე ჰქვია და ცაში ასვლა ტყემლის რტოებად“ (მომიხლოვდა აპრილი გვიან) (6,55).

„შეშლილი ყალმის“ ზვარაკს მიმართავს პოეტი: „გდია მოლბერტი, შეშლილ ყალამს სხვა ფერი დაჰკრავს, განიპე, მკერდი, ვიდრე სურვილს დაღრღნის ბორიო“ (ზვარაკი. კახა კაჭარავას) (6,95).

„გაზაფხულია“ „შეშლილი“ პოეტის სტრიქონების ადრესატი: „...გაზაფხულო, ხომ მასწავლი ბალახების ენას? ...ხომ მასწავლი მერცხლებივით ფრენას? გაზაფხულო, მომეფერე შეშლილს, შეშლილს“... (აპრილის რაფსოდია) (9,68–69).

გაზაფხული, ძველი ქართულით ზაფხული, საღმრთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“, — მიმართავს დავით წინასწარმეტყველი ღმერთს (ფს. 64/65,12) (10,429).

„ბედნიერი გიჟები“ არიან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში („განყოფილება №6“) (7,87).

მდიდრები გიჟებს ჰგვანან, ნივთებით და ფულით გაგიჟებულები ბედნიერები არიან, სიგიჟით დაავადებული მდიდრებით იზომება ქალაქის ღირსება (ღამის ქალაქი) (6,81–82).

მავანთა გულში კი არა ძეხორციელი, არამედ „შეშლილი მორიელია“ დავანებული (გადაშლილია გუსტავ ფლობერი) (6,50–51).

სიგიჟეა უგონო თრობა, სიფხიზლის, სიბრძნის უარყოფა: „...მე ახლაც უგონოდ მთვრალი ვარ, თუ ატყობ, უარვყოფ სიფხიზლეს, სიბრძნესაც უარვყოფ“ (გიჟი ვარ ისეთი) (6,35).

„გიჟური ფიქრებით“ სიყვარულის ძიებაა ლექსში „სადა ხარ“ (6,22). პოზიტიური გაგების არის „შეშლილი ბრძენი“ ლექსში „მზეს ვეძებ ჩრდილში“ (6, 38).

დამოწმებანი

1. ჩეზარ ლომბოროზო, გენიალობა და შეშლილობა, რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1995
2. ვახტანგ ჯავახაძე, უცნობი, თბ. 1991
3. ალ. ალშვანგი, ბეთხოვენი, ა. გელოვანის თარგმანი, თბ. 1958
4. ზვიად გამსახურდია, დილემა კაცობრიობის წინაშე, თბ. 1995
5. ვალერიან გაფრინდაშვილი, ერთტომეული, თბ. 1990
6. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ. 2001
7. რობერტ მესხი, ნიჟარები, „უნივერსალი“, თბ. 2008
8. რობერტ მესხი, მზის რაფსოდია, თბ. 2013
9. რობერტ მესხი, მთვარე და ქუჩა, „უნივერსალი“, თბ. 2010
10. ბიბლია, თბ. 2013

მე ვარ ნაწილი, მე ვარ მთელი ამასთანავე

ყოვლისმომცველია რობერტ მესხის პოეტური სამყარო, მის ინტერესებში შემოდის წარმართული და წარღვნისდროინდელი, ანტიკური თუ ქრისტიანული, დასავლეთის თუ აღმოსავლეთის იმპერიები. პოეტის ლირიკის პერსონაჟები არიან ტუტანხამონი თუ ბიბლიური წინასწარმეტყველები, თანაბრად აინტერესებს ფილოსოფია და რელიგია, ისტორია და მითოლოგია. ჰეგელის ევროპროცენტიზმს უპირისპირებს აღმოსავლურ კულტურას, სპარსულ, ინდურ თუ ჩინურ პოეზიას და ფილოსოფიას. ბიბლიურ სიბრძნესთან წილნაყარი, იერემია წინასწარმეტყველივით გოდებს ჩვენი მრავალტანჯული, ტერიტორიებდაკარგული სამშობლოს გამო, გლოვობს ზღაპრულ დიოსკურიას, მტრის მავთულხლართებით შემოვლებულ ძირძველ სამაჩაბლოს, ცდილობს გადაიხედოს მომავალში და ეძიოს ნუგეში.

მთელი სამყარო ეტევა თავისი მრავალფეროვნებით „მზის რაფსოდიის“ ავტორის სულში, მთელ კაცობრიობას საკუთარი პერსონის ნა-

თესავად აღიქვამს და ცდილობს, იპოვოს ჩვენი მამულის, ჩვენი კულტურის ადგილი მსოფლიოს გეოპოლიტიკურ თუ კულტურულ რუკაზე.

„ადამიანი არის მცირე ქვეყნიერება“, — აცხადებდა დიდი ღვთისმეტყველი იოანე დამასკელი (1,362).

„სამშვინველი აზრის, შრომის წყალობით მთელ სამყაროს სწვდება“, — ირწმუნებოდა გრიგოლ ნოსელი.

„ადამიანი, როგორც მაკროკოსმიური არსება, მთელი დანარჩენი სამყაროს დამტევია საკუთარ სულში“, — ფიქრობდა რუდოლფ შტაინერი. (2,38).

„შუა საუკუნეებში ადამიანი განიხილებოდა, როგორც მიკროკოსმოსი, მინიატურული სამყარო“, — ხაზგასმით აცხადებდა რუდოლფ შტაინერი. (შუა საუკუნეების მისტერიათა ცენტრები. როზენკროიცერობა და თანამედროვე ხელდასხმის პრინციპი. ტანჯვის წარმოშობა. როგორ გავიგოთ ავადმყოფობა და სიკვდილი, მთარგმნელი ა. კვარაცხელია, ასოციაცია „კოგიტო“, თბ. 2014, გვ. 69).

„კაცი მთელი სამყაროს ნათესავია, მაგრამ არა სისხლით და ხორცით, არამედ სულით და ღმრთაებასთან თანაზიარობით“, — წერდა მარკუს ავრელიუსი და იმოწმებდა სენეკას: „ჩემი სამშობლო სამყაროა“ (3,22).

კიდევ უფრო აკონკრეტებს თავის მოსაზრებას „ფიქრების“ ავტორი: „მე ვარ ერთი ნაწილი მთელისა... მე ნათესაური კავშირი მაერთებს ჩემი ბუნების მოზიარე სხვა ნაწილებთან. თუ ეს მემახსოვრება, მაშინ როგორც ერთი ნაწილი, უდრტვინველად მივიღებ ყველაფერს, რასაც წილად მარგუნებს მთელი, ვინაიდან შეუძლებელია ნაწილს ვნებდეს ის, რაც მთელისთვის სასარგებლოა“ (3,286).

პოლ კლოდელი ირწმუნება: „მე ვარ საფრანგეთი“.

„ადამიანი არის მაკროკოსმოსის მიკროკოსმოსი. ჭეშმარიტი ეგოს სამყაროული ცნობიერება მილიონჯერ აღემატება პირადულ, ანუ მცდარი ეგოს თვითშეგნებას“, — ასე ფიქრობდა ელენე ბლავაცკაია (4,170).

უძველესი კოლხური კალენდრის მიხედვით, ადამიანი (ადამიანები) თავის თავს მიიჩნევს მზის ნაწილად, მთვარის ნაწილად, მიწის ნაწილად, ცის (ვარსკვლავების) ნაწილად, და ბოლოს, სულის ანუ ღმერთის (ღმერთების) ნაწილად (5,91).

აი, როგორ გამოიყურება კოლხური კალენდრის შემაჯამებელი დახასიათება, რას ამბობს ადამიანი უძველესი დროიდან.

ადამიანის ფორმულა — მე ვარ მზის ნაწილი, მე ვარ მთვარის ნაწილი, მე ვარ მიწის ნაწილი, მე ვარ ცის (კოსმოსის) ნაწილი, მე ვარ ჩემი მეორე ნახევრის (მეუღლის) ნაწილი, მე ვარ სულის, მეხსიერების (ღმერთის) ნაწილი (5,92).

ამას შეესაბამება ლაზურ-მეგრული ლექსი: „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და-ძმანია ჩემი“ (4,92-93).

„ეს ლექსი მსოფლიო ხალხური პოეზიის შედევრია“, - წერს ვ. ვახანია და მის მსგავსებას ნახულობს სოფოკლეს „ოიდიპოსთან“: „ჩემი დედა თვით განგებაა, მამა — დრო-ჟამი, ნათესავი — გუნდი ვარსკვლავთა “, რომელიც დაიწერა ძალზე მოგვიანებით (5,94).

„ძველი კოლხური ლექსის და კალენდრის შინაარსობრივ მსგავსებას ვპოულობთ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში“, სადაც თუთაშხა წარმოგვიდგება, როგორც მამა-მთვარე-ღმერთი“, ასკვნის ვ. ვახანია (კოლხურ-საქართველოს ეპოსი) (4,94).

გრიგოლ რობაქიძის აზრით, „ადამიანი მცირე კოსმოსია, ქართველთა მითიური წინაპარი კი ქართლოსი“ (მცველნი გრაალისა, გვ. 157).

მთელი სამყაროს შეცნობა-გათავისებაზე აკეთებს აქცენტს ვაჟა-ფშაველა: „...მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა, მთაში-მთა, ბარად-ბარია, ზღვა და ხმელეთი ერთიან, ცას ვარსკვლავების ჯარია, დილის მზე მანათობელი, ღამის გუშაგი მთვარია, მდიდართ სიმდიდრით ღიღინი, ბეჩავთ ქვითინი მწარია, ავდარი, ჟინჟღლი, ცის ქცევა, ცა, მოწმენდილი დარია; დილით გაფურჩქვნა ვარდისა, მთელი იმისი გვარია; ია, უღრანს ტყეს მოსული, თალხ-კაბა, ენა-მტკბარია, კლდის თავს გაშლილი პირიმზე — მთის სასა-ხელო ქალია; მარგალიტივით მდელოზედ ბრჭყვიალა დილის ცვარია. ზამთრის ზვავების ქუხილი, გაზაფხულს წვიმის ღვარია, იქ ჯოჯოხეთი, სამოთხის თუ დამიკეტეს კარია“ (სიმღერა) (6,28-29).

„მსოფლიო გლობუს საგულეში თამამად ვიტევ“, — ეხმიანება წინა-მორბედებს კოსმიური ორკესტრის დირიჟორი გალაკტიონ ტაბიძე.

„მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“, — გვამცნობს „სევდის ტრიუმ-ფატორი“ ტერენტი გრანელი.

„მე ვარ სამყარო“, - ირწმუნება ვაჟა ეგრისელი.

გრიგოლ რობაქიძე წერდა: „ადამიანი ნახევრად ნივთიერ სამყაროს ეკუთვნის, ნახევრად შემოქმედის თანაზიარია.

„მის ბუნებაში არის მზიურიც, მუხურიც, ქვაურიც, და, აი, რომელიმე სახსარში თავის ყოფისა, იგი ედრება მზეს, მუხას, ქვას“ (გრიგოლ რობაქიძის ხუთტომეული, ტ. IV, თბ. 2012, გვ. 84-89).

მწერლის აზრით, დედამიწა განიხილება როგორც „გეოლოგიური სინამდვილე და როგორც კოსმიური არსი“. მისთვის „მიწა ღრმა ძილში გამოასხივებს გამოუცნობ აურას“ (ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, თბ. 1996, გვ. 48).

მთელი სამყარო საკუთარ სულში უპოვია, პლანეტის მრავალფეროვნება სრულყოფილად გაუთავისებია რობერტ მესხს. პოეტი გვიმხელს: „ყველგან მინდა ვიყო ღმერთივით“ (ელექტროვერსია) (8,90).

მიწა და ცა თავისი მრავალსახეობით პოეტის არსებაშია დამკვიდრებული: „უნდა მაცალო, ნუ იქნები ასე სულწრაფი, შენ გინდა მიწა ზეწარივით გამომაცალო და ცის კიდეზე ჩამომკიდო წვიმის ბაწრებით. ო, როგორ ცდები, ისევე, როგორც ბევრჯერ შემცდარხარ. უკვე ჩემია ამ ქვიშების ყველა მარცვალი და მე ვარ მიწა, — ჩვენ ამაზე გვქონდა კამათი ძალიან ადრე, შენ კი ახლაც იმ ადამს მადრი. ო, როგორ ცდები“... (უნდა მაცალო) (7,24-25)

თვით ნიჭთა, სიბრძნის მომმადლებელი სულიწმინდა დამკვიდრებულა პოეტის სულში, რათა ძირფესვიანად შეიმეცნოს სიკეთე-ბოროტების არსი და თავისი მისია: „მე ვარ დალი, მე ვარ ალქაჯი, მთვარის ნამგალზე გადავკიდე შავი მერდინი, რომ უშფოთველად დავაძინო ღამის მედინა. მე ვარ ასპიტი, მე ვარ ჭრელი ქამელეონი და ზღვის ფსკერიდან ირეკლება სანტა-ლეონე, როგორც ნიშანი სულიწმინდის გამოცხადების“ (უნდა მაცალო) (7,24-25).

ლექსის ავტორი ირწმუნება: „მე ვარ კალმახი, მე ვარ ორბი, მე ვარ ირისი, მე საცხოვრებლად ავირჩიე ძველი თბილისი, რათა სიმღერა არასოდეს გადამავიწყდეს“.

ჭეშმარიტი პოეტი ყველგან უნდა იყოს, სიზმრის იდუმალებას უნდა ჩასწვდეს, ყველა ხმა, დუმილის ბგერებიც უნდა მოისმინოს, სულის თვალით უნდა იხილოს სხვათაგან უხილავი, ამიტომ ძნელია შემოქმედის მთავარი ძარღვის პოვნა-გათავისება: „როგორ მიპოვი?! მე ვარ ყველგან: ყველა

ფოთოლში, ყველა სიზმარში, ყველა ხმაში, ყველა დუმილში“ (უნდა მაცალო) (7,24-26).

ნაწილი თუ მთელი, ყოვლისმომცველი და ყველგანმყოფი, ღვთის ძის მოციქული, პეტრე, ასკეტი, მლოცველი, ნარცისი, ამიერი თუ არესია უსასრულო, უკიდეგანო სულში ჩასახლებული, ამიტომაც ურთულესია შემოქმედის საიდუმლოებებში წვდომა, მარადიული ჭეშმარიტების ენიგმებით, სიმბოლო-ალეგორიებით, გამოცანებით გაცხადებაა დიდი ხელოვნების უმთავრესი ნიშანი.

როგორც დედამიწის, ასევე პლანეტების, პოლუსების მომვლელია პოეტური სული: „გადავიარე ასი განედი, ავეცისმარე სამხრეთის ციალს, ვწვები პოლუსზე, ვერ ვგრძნობ პლანეტის ჟრჟოლას და ტრიალს“, — გვამცნობს რობერტ მესხი (Aurora Australis. ოთარ მიქაძეს) (7,150).

ასე ითავისებდა პოეტი მრავალფეროვანი სამყაროს ხილულ თუ უხილავ მოვლენებს.

დამოწმებანი

1. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2000
2. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასი, თბ. 1994
3. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ. 1972
4. ელენე ბლავაცკაია, მდუმარების ხმა, თარგმნა თ. თავაძემ, თბ. 2011
5. ვლადიმერ ვახანია, კოლხეთ—საქართველოს ეპოსი, ქრისტეს ბოლო სიტყვები, ლაზარეს აღდგენა, თბ. 2016
6. ვაჟა-ფშაველა 5 ტომად. ტ. 3, „პალიტრა L“, თბ. 2011
7. რობერტ მესხი, წაშლილი ბაიათი, თბ. 2004
8. რობერტ მესხი, მთვარე და ქუჩა, თბ, 2010

თავი II

ქრისტიანული სიმბოლიკა

„სულში მზით და ხელში სანთლებით“

ცნობილია, რომ უღმერთო, ურელიგიო კულტურა ფსევდოკულტურაა.

რობერტ მესხის პოეზია უზენაესის ძიებისა და პოვნის ოდისეაა.

ახალგაზრდა პოეტის შემოქმედება დასახლებულია ორთოდოქსი მორწმუნეებით, უფლის მაძიებლებით, მონანიე ცოდვილებით, ურწმუნო მორწმუნეებით, ათი მცნების დამრღვევთა ლეგიონებით, ნიცშეს ზეკაცებით ანუ ანტიქრისტეს ნაშიერებით, ქრისტეს გამცემთა და ჯვარცმაში მონაწილე იუდებით.

რწმენის ორგულს, სიწმინდისგან განძარცულს, ნუგეში გაეცლება, დემონი ევლინება, მაღალი იდეალებისგან განშორება კი სიკვდილის ტოლფასია და ისევ ღმერთი ეიმედება, მას შეჰღაღადებს: „ღმერთო ძლიერო, მირჩიე რამე, დღეს შეიძლება თავი მოვიკლა, დღეს გაზაფხულის უძილო ღამე ისევ სიკვდილის ლანდებს მომიტანს. ღმერთო ძლიერო, მირჩიე რამე, რადგან ცხონების სამაგიეროდ, რაც არა მწამდა, ვეღარ ვიწამე. ეკლესიაში ნაზი მლოცველი უფრო მხიბლავდა, ვიდრე ხატები, ვეღარ გაგანდე, ღმერთო ძლიერო, აღსარება და გულისნადები... ბავშვობა ჩემი ვერ შევინახე, ვეღარ ვაწამე ხორცი სულისთვის. ვერ გიერთგულე, რაღა დაგღალო (პონტოს ნაპირი — ძველი ნუგეში), ვერ გაგიცვალე, ღმერთო მაღალო, ეს საქართველო ცისფერ ღრუბლებში“.

მხოლოდ მიწიერი, პრაგმატული იდეალების მსახური ადამიანი დემონის კერძი ხდება, მისი სამკვიდრებელი ჯოჯოხეთი იქნება, უდაბნო და არა ზეცა: „და სამოთხეულ ბაღის კი არა, იქნებ გეენის არ ვიყო ღირსი, წუხელ დემონმა ჩამოიარა და უდაბნოდან წაიღო სფინქსი. ღმერთო ძლიერო, მირჩიე რამე, დღეს შეიძლება თავი მოვიკლა, დღეს გაზაფხულის უძილო ღამე ფერისცვალების ლანდებს მომიტანს“ (ღმერთო ძლიერო) (1, 42-43).

სულის სიკვდილის დასტურია განკითხვის შიშის უკუგდება: „შენთვის სულერთია, ღმერთი განგიკითხავს, ვინმე მოკვდავი თუ ღამის ალქაჯები“ (მოდის ქარაშოტი) (1, 46–47).

ღვთის შიშის დავიწყების შედეგია ტაძრისგან განრიდება: „... შენ ღვთის და სანთლების შიში გაქვს ნაკლები... მე მოვალ ტაძარში, შენ იქ არ იქნები, შენ აპრილს გაყვები“ (შიშინით იწვიან შანდალში სანთლები) (1, 72).

„...ნუ გაამაყდები, არამედ გეშინოდეს“, – აფრთხილებს წმინდა მამა რწმენისგან განშორებულთ (პავლე მოციქული, რომაელთა, 11, 20) (2, 346)

„გქონდეს რწმენა და კეთილი სინდისი, რომელიც უარყვეს ზოგიერ-თებმა და დაიმსხვრა მათი რწმენის ხომალდი“, – ასეთია სულიწმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქულის მოწოდება (I ტიმოთე, 2, 15) (2,449).

ღვთისგან გაუცხოებული ვაიადამიანის აღსარებაა შემდეგ სტრიქო-ნებში: „ხატს შენსას ვეღარ ვუსწორებ მზერას. ვგმობ ღმერთს და მიწის ხმაურით ვზომავ შენს ვარსკვლავამდე დარჩენილ მანძილს“ (1, 40).

ქრისტიანული ათი მცნების დარღვევის თემაზეა ლექსი „შინაპატიმრობა ანუ პესიმისტური პარადიგმა ათი მცნების თემაზე“: „არა მყავს ღმერთი, მყვანან მხოლოდ კერპნი მრავალნი და რადგან ღმერთი არასოდეს არა მყოლია, მას არც ამაოდ ვახსენებდი და არცა განზრახ... აღარ ვანსხვავებ მოკვდავის დღეს დღისაგან უფლის... და თუმცა დანა არავისთვის არ გამიყრია, კიდეც ვმრუშობ, მოპარვით ხომ რას არა ვიპარავ... ვეღარც ყბედობა მოვიშალე, რამდენსა ვყბედობ: ხან მეგობრებზე, ხანაც მტრებზე, ხანაც მოყვრებზე... და გულისთქმასაც ძალზე ხშირად ვეღარ ვიოკებ“ (შინაპატიმარი ანუ პესიმისტური პარადიგმა ათი მცნების თემაზე“ (11, 32—33).

დავიწყებულია წიგნთა წიგნის სიბრძნე: „კერპი არაფერია წუთისოფელში და არ არსებობს ღმერთი, გარდა ერთისა“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 8,4) (2, 367).

„ვეღარ ვიპოვე ვეღარც ცაზე, ვეღარც მიწაზე, ვეღარც ყინწვისის ანგელოზი, ვეღარც ალაჰი“, – ჩივის ღვთის გზას აცდენილი ადამიანი, რომელიც ცოცხლადვე გარდაცვლილა (გარდავიცვალე) (11, 58).

სიბრძნის უარმყოფელის ღმერთი ბახუსია: „... ეკლესიასტე... ტვინს გატკენს სოფია... მე ვარ ყვავილი, შეშლილი კაქტუსი, არც ზევსი, არც ჰერა,

არც ქრისტე, არც ტუზი, არ მინდა არც ერთი, ბახუსი, – ა, ღმერთი!“ (იქსები) (1, 39).

გალაკტიონი აცხადებდა: „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით და მაინც ღვინით ჰგონია მთვრალი“...

ყოფნა, ცხოვრება საღვთო სახელია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება (14, 6) (2, 211).

ცეცხლი უზენაესის მეტაფორაა: ქრისტე არის „ვითარცა ცეცხლი, უვნებლად განმანათლებელი“ (პეტრე იბერი) (3, 107).

„მზის რაფსოდიის“ პერსონაჟი ლოცულობს ცეცხლის სახეში მოაზრებულ ღმერთზე, „არ ჩაქრე, ცეცხლო! არ ჩაქრე, ცეცხლო!... დაანთეთ ცეცხლი! არ გამოგრჩეთ მოფრენა მერცხლის“ (თეთრი ხალათები. თებერვლიანებს) (5, 139–142)

„აფრის“ და „ხომალდის“ ძიებით გაწამებული სულია ლექსში „რისთვის მომანდე?“: „ფუჭი იმედი რისთვის მომანდე, ვერ იპოვიდი, იცოდი თუკი, ვეღარც აფრას და ვეღარც ხომალდებს“ (1, 60).

აფრა სულიწმინდის სიმბოლოა, ნავი, ხომალდი — ეკლესიის (შატბერდის კრებული) (4, 318).

ერთ ლექსში ღამით გაწამებული და მზის ლოდინით გასავათებული პოეტი ევედრება ღმერთს: „ღმერთო, ისე გამაწამა ღამემ და ლოდინმა ალიონის მზეთა, სასწაული მოახდინე რამე, ვიდრე სულში გაზაფხული წვეთავს“ (მოლოდინი. „მე ველი სასწაულს“, გალაკტიონი) (1, 57).

მზე უფლის მეტაფორაა: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 83, 12) (2, 614).

ლექსში „მარქვი, მეფეო“ მხილების მისია უკისრია პოეტს. ცრუ, ცილისმწამებელი, ურწმუნო მორწმუნე, ქრისტეს მწვალებელი მოვლენილა კვერთხით და ცოდვის მიმტევებლის მისიით: „...ვერ იპოვიდი ამდენ ცრუს და ცილისმწამებელს, უღვთოდ გათელილ მშვენებას და ჯვარცმულ სამართალს, ამდენ ურწმუნო მორწმუნეს და ქრისტეს მწვალებელს, კვერთხი და ცოდვის მიტევება ვისაც მიანდეს“ (1, 58–59).

გზასაცდენილები გრძნობენ თავიანთ შეცდომას, ლოცულობენ და ეძებენ მას, ვინც თავიანთი უგნურებით დაკარგეს: „სადა ხარ, ღმერთო?“ (შუაღამის ლოცვა), „ხომ შევასმენ ღმერთს?“ (სახლი) (5, 164–165).

უფალს მინდობილი ადამიანი გვეცნაურება ლექსში „მე შეიძლება გავუყვე ფეხით“: „უფალს მიანდე არყოფნა ჩემი — უფალს მიანდე. დამტოვებს ღმერთიც საშინელ ზავით“ (1, 63).

„ღმერთო... გული სანთელია შენთვის დაღვენთილი“, – ღაღადებს პერსონაჟი ლექსისა „მხოლოდ ფოტოებად ნუღარ დამიტოვებ“ (1, 67).

„მიენდე წვმიმას, წვიმის მზეს და „ავე მარიას“, აქ ყველაფერი წვიმის დარია. გულში წვიმს და გული მთვრალია“, – შეგვაგონებს ლექსი „მიენდე წვიმას“ (1, 68).

უფლის სახელია მზე, მზე სიმართლისა: „ამოგიბრწყინდებათ ღვთის მოშიშნო, მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე“ (მალაქია წინასწარმეტყველი, 3,20) (8, 307).

„აჰ, მე არ მინათებს მზე ყოვლისმომცველი“, – ჩივის პოეტი ლექსში „მზეა ჩემს გარშემო“ (6, 100).

წმინდა წერილის მიხედვით, ღმერთი სამყაროს ევლინება, როგორც მაცოცხლებელი წვიმა: „იგი ჩამოვა, როგორც წვიმა მოთიბულ მდელოზე, როგორც წვეთები, მიწას რომ რწყავენ“ (ფს. 71, 6) (2, 597).

ლექსში „ბაგები. ხიდი“ — წვიმის, ზეციური ნაკურთხი წყლის სახით ხდება ძე ღმერთის გამოცხადება: „... შვიდფერ თაღზე გაივლის ქრისტე და რბილი წვიმა ზეციური ნაკურთხი წყალი შეშრება შუბლზე“.

„ფერისცვალებაში“ საღვთო სახელია „მხსნელი წვიმა“ (5, 111).

მზისკენ, სიყვარულისკენ მომწოდებელი არიან ცის სულები — სერაფიმები: „გაისმა სერაფიმთა ხმები, წყვდიადში ჩაისახა მზე და სიყვარულს გამოესხა ფრთები, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“ (ეგრეცა ქვეყანასა ზედა) (1, 76).

„მზის სადიდებელს, სულერთია, ვერვინ მომასწრებს“, – წერს პოეტი (ორი საშემოდგომო) (5, 120–121).

„მოხეტიალე პოეტი“ „ცვარ-ნამს აგროვებს, ბეთლემის „ნათელს“ შეჰხარის (წუხელის ღია ფანჯრებიდან) (7, 53-54).

ცვარი, ნამი საღვთო სახელია: „ვიქნები ცვარი ისრაელისთვის, აყვავდება, როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს“ (წინასწარმეტყველი ოსია, 14,6) (8, 273).

მზესთან ერთად, სიყვარული საღმრთო სახელია: „ღმერთი სიყვარულია“ (იოანე, I, 4, 8) (2, 320).

ღმერთი არის „სულის შეყვარებული“ „საყვარელი“ (ქებათა ქება სოლომონისა, 1, 7) (8, 16).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთის სახელებია: „პირველი სიყვარული, უზეშთაესი სიყვარული, მარადჟამული ტრფიალის ცეცხლი, „სიყვარული“, რომელიც „აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს“ (9, 413).

პლატონი განასხვავებდა მიწიერ და ციურ ეროსს.

გოლგოთაზე ნაწამები, მაგრამ ცამდე ამაღლებული ქრისტეს მოვლინების სიხარულია რობერტ მესხის ლექსში „იქნებ დამღალოს“ (1, 77).

„ნოსტალგიურ ტრიოლეტში“ იხსენიება „მცირედმორწმუნე“ პეტრე, რომელმაც იესოს მსგავსად ვერ გაიარა ქარიან ზღვაში: „... კვლავ პეტრეს ვგავარ — სულსწრაფსა და მცირედმორწმუნეს თუნდაც — მაგრამ მსურს ვნახო, როგორ დადის შენს მკერდზე ქრისტე“.

პავლე მოციქული აცხადებს: „ჩვენი მამები ყველანი ღრუბელქვეშ იყვნენ და ყველამ გაიარა ზღვაში და ყველანი მოინათლნენ მოსეს მიერ ღრუბელსა და ზღვაში“ (I კორინთელთა, 10,12) (2, 378).

ბიბლიაში ზღვა ცოდვილი ცხოვრების სიმბოლოა: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57, 20) (8, 116).

„ზღვა, მწარეწყლიანი მარილისგან და მშფოთვარე ქარიშხალთაგან, სიმბოლოა ამა სოფლისა“ (ნეტარი ავგუსტინე, აღსარება) (10, 519).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ჩვეულებრივ ადამიანებს ეწოდებათ „ამ აზვავებულ ცოდვის ზღვაზე მოტივტივენი“ (9, 280).

ადამიანთა ცოდვათაგან აღელვებულ ზღვას ჰგავს ცხოვრება, ხოლო იოანეს სახარების ნეტარი ავგუსტინესეული განმარტებით, ამ „ზღვაზე გადასასვლელი გემია ძელი, იგივე ჯვარი, ჯვარცმა“ (აღსარება).

ზღვაზე სიარული, ზღვის გადალახვა მოახერხა ებრაელი ხალხის წინამძოლმა მოსემ, თავისი ხალხი გადაარჩინა ეგვიპტელთა მონობას, ხოლო იგივე ვერ მოახერხეს და ზღვაში დაიღუპნენ მათი მდევრები.

გალაკტიონი ამარცხებს ცოდვებს და, უზენაესისგან ხელდასხმულს, ხელეწიფება ზღვის გადალახვა, ცოდვებზე ამაღლება (გადავიარეთ მრისხანე ზღვები) ასევე, გენიოსი პოეტის არსებაში ხმაურობს ზღვა — გენია:

„ზღვა ახმაურდა, ეს ნიშნავს, რომ ახმაურდა გენია“ (რას ნიშნავს ზღვა ახმაურდა?).

ამასთან, უსაზღვრო თვალსაწიერის პოეტის სულში „ფიქრთა ოკეანე“ ბობოქრობს (გურიის მთები).

ცოდვილი, ბელზებელს მინდობილი, მაგრამ ბოლოს სინანულით შეპყ-რობილი ადამიანი აღიარებს თავის უმწეობას, მაღლდება იმის შეცნობამდე, რომ ღმერთი ყველაფერშია, რომ მთელ სამყაროს ატყვია მისი ყოვლის-მომცველი მზერა და მადლი: „შეგცოდე, ღმერთო, დაზაფრულმა სად არ გეძებე (ვის ბელზებელის იმედი აქვს, ვის — ცის, ვის — სხვისა), ვდგევარ მდუმარი, მომლოდინე შენი რისხვისა ო, მაცხოვარო, დავივიწყე, მე, ხამს რიდი ვით ამ გულისწყრომის და განდგომილმა მოვიმარჯვე მეხამრიდივით, რასაც სინანულს ეძახიან დღემდე ტაძარში... სად არ გეძებე, ამოვავლე სული ნაცარში, ზღვებიც დავსერე, მოვიარე ყველა ბილიკი და ბოლოს ჩემი უმწეობაც გავაქილიკე... მაგრამ ამ დილით გამახევეს ლურჯმა იებმა, მათი თალხიდან მიცქეროდნენ შენი თვალები“, — წერს რობერტ მესხი (შეგცოდე ღმერთო) (11, 47).

ია ღვთისმშობლის სახელად ფიგურირებს ვახტანგ VI პოეზიაში.

„... ჰოი, ღვთისმშობელო, ვიცი, სათნოებას არსად, არასოდეს შენ არ დაიშურებ... დარდს და მარტოობას, ალბათ, აპატიებ პოეტს არასმქონეს“, მიმართავს პოეტი უფლის დედას (წილი ნაყარია) (11, 36).

გონიერთა მზერა მაცხოვრისკენ არის მიპყრობილი (რიწა) (11, 29).

სრულყოფილების საწინდარი კეთილი მწყემსის მოძღვრების გათავი-სებაა და არა ბრბოს, ფარას გზაზე სიარული: „გადავცდი ყველა საზღვარს, ვიტყვი: დამზრალი სულით!... ღმერთო, ესა ვარ, რაც ვარ, ერთი? ჰო, — უფრო ნული... განა არ მესმის? მესმის (ნისლი ვიწროებს ფარავს) შენ ხარ კეთილი მწყემსი, — მე კი ჩამოვრჩი ფარას...“ (აღსარება) (7, 82).

ქრისტე არის „მწყემსი კეთილი“ (იოანე, 10, 11) (2, 201).

ეკლესიის მონატრებას ანელებს მამულის გადაგვარება, ეკლესიისგან თავისი ჭეშმარიტი დანიშნულების დავიწყება „...ჩემი საქართველო — აღარც საქართველო, ჩემი ეკლესია — აღარც ეკლესია“ (ძველი ტკივილები როგორ გავანელო) (1, 52).

ცოდვილ ხალხს ღმერთთან შუამავალი სჭირდება, მაგრამ ეკლესიას, მღვდელს გულთან არ მიაქვს მრევლის სატკივარი და მხოლოდ ყორნის

ჩხავილი ისმის სულიერი მამის მადლიანი სიტყვის ნაცვლად: „ეს ხალხი ცოდვის შენდობას ითხოვს, მღვდელს არ ადარდებს წუხილი მრევლის, მზეზე ყორანი ბებერ ძვლებს ითბობს, ჩხავის და ზამთრის სიცივეს წყევლის“ (უცხო ხარ ახლა).

მავანნი უფალს ევედრებიან შემწეობას და ლოცულობენ (ლოცვა) (1, 8), მაგრამ ყველას როდი შეუძლია ხატთან პირჯვის გადაწერა (ასე ხდება) (1, 14).

„ცათა მეუფის მოლოდინს ენაცვლება ნიღბიანი ეშმას მოვლინება „...ეშმამ პატივით მოიხურა ქრისტეს პერანგი“ (ისევ ფიქრები) (1, 11).

ღმერთია ნიჭის, სიბრძნის მომმადლებელი, შთაგონების მოვლინება ღმერთის გამოცხადების ტოლფასია: „აქ, მწვანე კონცხზე ველი იესოს, ან იქნებ თვითონ იესო მელის, ჩემი ცხოვრება არის პიესა მონ–პარნასელი შეშლილი ბრძენის“ (მზეს ვეძებ ჩრდილში) (1, 38).

მზის სახით მოაზრებულ ღმერთს აღევლინება ვედრება ლექსში „მზის რაფსოდია“ „...ნუ ჩაცხრები, მზეო, ნუ ჩაცხრები, მზეო, ჩვენში“ (5, 40–43).

მზე–ღმერთისადმი აღვლენილი ლოცვაა გადარჩენის საწინდარი: „მზე თანაფარდია შენი და შენი სახელია ღმერთი და შენთან საუბარს ჰქვია ლოცვა და ჩვენ შეიძლება გადავრჩეთ“ (ბალახები) (5, 12–13).

რწმენა, ღმერთი არის „გადარჩენის წინამძღვარი“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 3, 10) (2, 470).

საკრალურია „წმინდა მიწიდან გადმორგული ერთადერთი ზეთისხილი, ღირსშესანიშნაობა, რომელზედაც არასოდეს სხდებიან ჩიტები“ და აქვე, ქრისტეს მიერ მკვდრეთით აღმდგარი ლაზარე (ზეთისხილი) (5, 128–129).

ერთადერთი იმედი ღმერთია: „ახლა თუ ვინმე ფრთებს მაფარებს, მხოლოდ ღმერთია“ (სვირინგი) (7, 19).

„მზის რაფსოდიის“ პერსონაჟი ლოცულობს ცეცხლის სახეში მოაზრებულ ღმერთზე: „არ ჩაქრე ცეცხლო, არ ჩაქრე, ცეცხლო! დაანთეთ ცეცხლი! არ გამოგრჩეთ მოფრენა მერცხლის“ (თეთრი ხალათები) (5, 139).

პოეტის იდეალია არა შემწველი, არამედ „განმანათლებელი“ ცეცხლი: „იერუსალიმ! შენ ისევ შორს ხარ... ვით აღდგომის ცეცხლი, მინათებ ტაძარს და არ მწვავ“ (შენ ისევ შორის ხარ) (5, 97).

ლექსში „მისტერია“ ლამპიონზე მიბმული პალმა იესოს ესადაგება: „...ლამპიონზე მიბმული პალმა — იესოს ჰგავდა, დახრილი რტო და ლამპი–

ონის შარავანდედი... მინდოდა მეთქვა „ქრისტე აღდგა“ (მეყვავილისთვის) და ვერ გავბედე“ (5, 70).

მზის, პალმის, მთვარის ხელდასხმულია პოეტი, მათ ჩრდილში იფურ-ჩქნება მისი ლექსის შთაგონება: „და მზის ბორჯღალზე, სადაც მუზებს გული მივეცი, ოაზისები გამართავენ პალმის ფესტივალს, — შენ რომ ემდური, მე იმ მთვარის ჩრდილად ვიქეცი, შენ რომ დაკარგე, მე იმ ლექსის პალიმფსეს-ტი ვარ“ (სეთის თვალები გამეტებით მკლავენ, დროებით) (11, 66).

ქრისტეს ასოციაციას იწვევს ალვა: „...ერთი კვირაა, დაუსქელდათ ალვებს ჩრდილები, დგანან მთვარეში მოვერცხლილი კენწეროებით და ქრისტესავით მაღლდებიან ლაჟვარდებისკენ“ (ალვები) (7, 86).

ლექსში „ფიჭვი“ „მოხრილი ფიჭვი ჰგავს გოლგოთაზე აღმავალ ქრისტეს“ (5, 117).

ცნობილია, რომ სიცოცხლის ხის — ღმერთის სიმბოლოებია ალვა, პალმა, კვიპარისი (ზ. გამსახურდია), ლიბანის ნაძვი (ა. ბაქრაძე), ვაზი (ვ. ბარდაველიძე, რ. სირაძე, გ. მურღულია).

პოეტი არა მარტო ცაში, მიწაზეც დალანდავს ქრისტეს ყვავილის სახით: „ცის დაფიონზე, გაცრეცილი ლაჟვარდის გვერდით, როგორც ალმასი ცირკონებში, მოჩანს ვენერა. თბილია მინა, ალბათ მალე ამ ფერდობებზეც ყოჩივარდების დიადემას დაიდგამს ქრისტე“ (თბილია მიწა).

წმინდა წერილში ყვავილის სახეში მოიაზრება ქრისტე: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (ქებათა ქება სოლომონის, 2, 12) (12, 488).

ღვთისმშობელი წარმოისახება, როგორც დედა, უამრავი ჯვარცმულის დედა“, ხოლო გულში სამუდამო ადგილი აქვს მიკუთვნებული „ჯვარცმას ვაზისას“ (მოსქე) (5, 151).

უძველეს იადგარში მარიამს ეწოდება „ნათლის დედა“. ღვთისმშობელი იმდენად მახლობელია, როგორც დედა, დედის თვალები და ხმა: „გაჩორკნილი აკვანია მიწა, ჩაწექი შიგნით, შემოიკარი ქარები — არტახები და უსმინე ღმერთს, რომელსაც დედაშენის ხმა აქვს და დედაშენის თვალები და მღერის“ (მიწა) (5, 134-135).

ვაზი, ვენახი საღვთო სახელია: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახეა“ (იოანე, 15, 1) (2,213).

რობერტ მესხისთვის ორგანულია ბიბლიურ-ქრისტიანული სახეებით აზროვნება: „...მოჩანს ღამეში გზატკეცილი, როგორც ტყის გულში ჩაგდებული თეთრი მანდილი“ (პაციფისტური მისტერია) (5, 126).

გზა არის საღვთო სახელი: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება, სიცოცხლე“ (იოანე, 14,6).

დანტესთვის ღმერთი არის „ჭეშმარიტი გზა, წმინდა გზა, მართალი გზა, გზა უზეშთაესი“ (9, 212, 218, 376).

ლაო-ძის „დაო დე ძინში“ ღმერთის სახელია „დიდი გზა“ „მზიანი გზა“.

მანდილი, „საფარველი“ მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა, ჩვენი ზეციური დედა არის „სოფლისა საფარველი უვრცელესი“ (დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა, საპატრიარქოს უწყებანი, №12, 3-9 აპრილი, 2009 წ.).

პოეტი ქრისტეს ჯვარცმის გულგრილად მაყურებლებს ბრბოს უწოდებს (ჯვარი)(5, 97).

ლექსი „შენი სარკმელი“ (1, 53-54) ისევ და ისევ იუდას ბოროტებას, სიყვარულის გაწირვის თემას უბრუნდება და თითქოს თვალნათლივ ხედავს გოდების კედელთან მიყრდნობილ იერემია წინასწარმეტყველს: „მკვდარ ზღვაზე იდგა დანგრეული ბეთ-ჰა მიკდაში და იქვე დაფლა სიყვარული მოდგმამ იუდის, და ბეთ-ჰა მიკდაშს მიყრდნობია იერემია, თვითონ გოდება და გოდების ზარით შობილი., ბეთ-ჰა მიკდაში (ებრ. გოდების კედელი).

პოეტი მათეს სახარების ერთ ადგილს იმოწმებს: „ამისთვის იგავით ვეტყვ მათ, რამეთუ ხედვენ და არა ხედვენ, ესმით და არა ესმით, არც გულის ხმა-ყვიან“. ტექსტს მოსდევს შეკითხვა: „ვის გულისხმობდი, მაცხოვარო, პოეტებს და შეყვარებულებს?“ (7, 127).

შეკითხვის ქვეტექსტში იგულისხმება, რომ ჭეშმარიტების გაცნობიერებას სჭირდება გულის თვალი, მესამე თვალი, ნათელხილვის უნარი.

ლექსი „ილორი“ გვამცნობს, რომ რუსმა „რესტავრატორებმა“ ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ფასადიდან წარწერები წაშალეს, რაც დამპყრობლის ურწმუნოების, ჩვენი კულტურული ძეგლისადმი უპატივცემლობის დასტურია.

პოეტს არ ავიწყდება 1989 წლის ცხრა აპრილის მსხვერპლნი და აცხადებს, რომ „აქ ეკლესია უნდა აიგოს“ (მომიახლოვდა აპრილი გვიან) (1,55).

საყოველთაო მორწმუნეობის სურვილი ვლინდება ლექსში „ეკლესიები“: „ყველა ქართველი აირეკლოს სულში მზით და ხელში სანთლებით“.

პოეტს ისევ და ისევ თავს ახსენებს ჯვარცმის პრობლემა, რადგან „შემოქმედება თურმე ჯვარცმაა, თუკი ატარე ნამუსის ქუდად“ (შოთა ნიშნიანიძე).

რობერტ მესხი მიმართავს უფალს: „მონა გავხდები დაბინდული შენი ხატიდან ათინათებად ჩამოღვრილი მწვანე თვალების“ (მონა გავხდები) (1, 40).

წმინდა წერილი ქადაგებს „ცოდვისგან განთავისუფლებას და სიმართლის მონობას“ (პავლე მოციქული, რომაელთა, 7, 18) (2, 337).

„უფალში მოწოდებული მონა უფლის თავისუფალია. ასევე, მოწოდებით თავისუფალი ქრისტეს მონაა“ (I კორინთელთა, 7, 22) (2, 366).

ლექსში „ნადირობის სეზონისთვის“ არის ასათი სტრიქონები: „ერთ ლოყაზე რომ გაგარტყამენ, უნდა აცალო, ვიდრე მეორედ წამოსწევენ ხელს დასარტყმელად“ (5, 118–119).

ამ სტრიქონების მიღმა არის ქვეტექსტები, რადგან მრავალგზის ყოფილა ჩვენში ნადირობა სიკეთეზე, სიმართლეზე, რწმენაზე.

ირონია ვლინდება იმ „მონადირეებისადმი“, რომელნიც ზიზღს იმსახურებენ თავიანთი უსამართლო, ვერაგული ქმედებებით და ამქვეყნად თუ არა, მიღმურ სამყაროში უზენაესის წინაშე წარდგებიან, თავიანთი უკეთური საქმეებისამებრ განისჯებიან.

ბიბლიაში გარჩეულია ორგვარი სიბრძნე, „აგარის ნაშიერთა მიწიერი ცოდნა და ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული“ (ბარუქ წინასწარმეტყველი, 3, 31, 37).

სიბრძნე ღვთის საბოძვარია: „უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება“ (იგავნი სოლომონისა, 11, 13).

სიბრძნის შეძენა უმჯობესია ვერცხლის და ოქროს მოპოვებაზე, მაგრამ „მზაკვარ, ცოდვილ სულში ვერ დაივანებს სიბრძნე, ვერც შურიანი ეზიარება სიბრძნეს“ (სიბრძნე სოლომონისა, 1, 4, 6, 23).

„სიბრძნე ეწვევა უბიწო სულებს თაობიდან თაობაში და ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტველებად განამზადებს მათ“.

„რადგან ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს“.

„უკვდავებაა სიბრძნესთან წილნაყარობა“.

„რადგან ადამის ძეთა შორის თვით სრულქმნილიც კი არარად ითვლება, თუ შორსაა სიბრძნისგან“ (სიბრძნე სოლომონისა, თ. 7, 28, თ. 8, 8, თ. 9, 4, 6).

პოეტის მიზანია ზიარება მარადიულთან, საკრალურთან: „სიცოცხლის სვეტი გადიქცევა ოქროსფერ გამად. ჩემთან დარჩება რომელიღაც, ყველა რომ წავა, მწარედ იტირებს და მიწისთვის ვერ გამიმეტებს, მე ავიჭრები ზეცისაკენ და ღრუბლებს შევყრი, დაწვიმს... წვეთები იმღერებენ ნაღვლიან სოლოს, მერე ჩამოვალ შაოსანთან და ჩუმად ვეტყვი, რომ ჯვარს დავიწერ გაზაფხულზე, მაისის ბოლოს“ (გამოძახილი) (1, 9).

სიცოცხლის სვეტი საღვთო სახელია, გაზაფხული, ძველი ქართულით ზაფხული, ღმერთის სიმბოლოა: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 64, 12) (2, 588).

გაზაფხულზე ჯვრისწერა, საღვთო ქორწინებას, ინიციაციას განასახიერებს.

პავლე მოციქული განარჩევდა „წუთისოფლის სიბრძნეს და ღვთის სიბრძნეს“ (II კორინთელთა, 24).

ნიჭის, სიბრძნის მომნიჭებლად წმინდა მამა სულიწმინდას მიიჩნევდა: „სხვადასხვაგვარია ნიჭი, მაგრამ სული ერთია.

„თითოეულს ეძლევა სულის გამოვლინება სასიკეთოდ“.

„ვინაიდან ერთს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა, მეორეს — ცოდნის სიტყვა იმავე სულით“.

„ზოგს რწმენა — იმავე სულით და ზოგს — განკურნებათა ნიჭი იმავე სულით“.

„ზოგს სასწაულმოქმედება, ზოგს — წინასწარმეტყველება, ზოგს — სულების გარჩევა, ზოგს — სხვადასხვა ენები, ზოგს — ენების განმარტება.

„ხოლო ყოველივე ამას აკეთებს ერთი და იგივე სული, რომელიც თითოეულს საკუთრივ უნაწილებს, როგორც ნებავს“ (I კორინთელთა, 12, 4–11) (2,374).

წმინდა მამა მოგვიწოდებს: „ესწრაფეთ სიყვარულს და ეშურეთ სულიერ ნიჭებს, უფრო კი, რომ იწინასწარმეტყველოთ“ (I კორინთელთა, 13, 31) (2,375).

რობერტ მესხის შემოქმედების გაცნობა გვარწმუნებს, რომ პოეტს ზედმიწევნით აქვს გათავისებული ბიბლიის სიბრძნე.

ლექსში „ორომტრიალი“ (1,5) არის ასეთი ღრმაზროვანი სტრიქონები: „...ღრუბლებიდან დაეშვება ფრთანათელი ანგელოზი. მოვსვამ ღვინოს გრაალიდან და ლექსებად დავიღვრები“.

„ბარძიმი, გრაალი, თასი კოსმიური სიბრძნის, სულიწმინდის, ღვთისმშობლის სიმბოლოა“ (ზვიად გამსახურდია) (13, 38).

ესაია წინასწარმეტყველი ქადაგებს ქრისტეს მოვლინებას, რაც ნადიმის სახით წარმოუდგენია, რომელზეც ადამიანები ეზიარებიან „ძველ, დაწმენდილ ღვინოს“: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (ესაია, 25, 6) (8, 91).

ვაზი, ვენახი, ღვინო საღვთო სახელებია.

გალაკტიონი თვრებოდა „ყოფნით, ცეცხლით“, ანუ რწმენით, ეწაფებო– და „ცისფერ ღვინოს“: „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს, ღვინო ეძებდა სულ სხვას პირიქით“...

რობერტ მესხი წილნაყარია უზენაესთან, მარადიულ სიბრძნესთან, თვით სულიწმინდას მიუმადლებია მისთვის პოეტური ნიჭი, ცეცხლოვანი სიტყვა.

„მამა — (ჩვენი) — კეთილი მესაიდუმლეა“, — ნათქვამია „შუაღამის ლოცვაში“ (5, 152–153).

ღმერთის კანონიკური სახელია მამა, „მოწყალების მამა“ (პავლე მოციქულის II წერილი, კორინთელთა მიმართ, I, 3) (2, 384).

„ვიქნები თქვენთვის მამა, ... ამბობს უფალი ყოვლისმპყრობელი“ (პავლე მოციქული II კორინთელთა, 7, 14) (2, 392). ღმერთი არის „დიდების მამა“ (2, 17). „მამა ყოველთა“ (4, 6).

„ცათა მეუფემ ძველი დარდი აღარ მაკმარა, უსასრულობამ ჩემი მარტიც დაასამარა“, — ნათქვამია ლექსში „ისევ ფიქრები“ (1, 11).

„უსასრულობა“, „მეუფე“ საღვთო სახელებია.

ლექსში „ვტოვებ ქუთაისს“ ღვთის პარადიგმაა „არსთაგანმრიგე“.

„ჩამობნელდება უშორესი იმედის სხივი და უიღბლობა დამაღონებს კაცური კაცის“, — წუხს პოეტი (მკვდრებთან თამაში) (1, 17).

ქრისტე არის „იმედის ღმერთი, ნუგეშის ღმერთი, მშვიდობის ღმერთი“ (პავლე მოციქული, რომაელთა, 15, 5, 13, 33) (2, 352—353).

უფლის დედას მიმართავს პოეტი: „ბევრი სურვილი ამისრულე — ცაში ფრენასთან შენაფერი. შენ ხარ ვენახი მსხმოიარე, მე კი ჭიგო ვარ, გადრეკილი“ (ღვთისმშობლისადმი) (ჟ.„ათინათი“, №9, 2011, გვ. 25).

„მსხმოიარე ვენახის“ სახით მარიამ ღვთისმშობლის წარმოდგენა აგრძელებს ძველ ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულ ტრადიციას. პროფესორ ტიტე მოსიას „საღვთისმშობლო სახისმატყველებაში“ (გვ. 30, 40) მოტანილია მაგალითები, როცა ძე ღვთის დედას ეწოდება „ვენახი გონიერი“ (იოანე მინჩხის პოეზია), „სიწმინდის ვენახი“ (ნევმირებული ძლისპირნი).

ლექსში „ხუთი ათას მეერთე“ პოეტი სვამს კითხვას უფლის მისამართით: „შენ ის მითხარი — ხუთი პური რანაირად აკმარე ხუთი ათას უდღეურს და კიდევ მე — ხუთი ათას მეერთეს, ყველაზე უდღეურს მათ შორის და აღუვსებელს, ... უძირო ქვევრივით — და გპირდები, ვიპოვი ყველა ელემენტს, უკლებლივ ყველას, რაც ჩემი მოზელისას მიგაკლდა: ჰაერს, სინანულს, მარილს და ტყვიას“ (7, 98—99).

სახარებაში ქრისტემ ხუთი პურით ხუთი ათასი ადამიანი დააპურა და უთხრა: „ნუ ირჯებით ხრწნადი საზრდოსთვის, არამედ იმ საზრდოსთვის გაისარჯეთ, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლისთვის, რომელსაც კაცის ძე მოგცემთ თქვენ, რადგან მას დაასვა ბეჭედი მამა ღმერთმა“ (იოანე, 6, 27) (2, 190).

„ღვთის პური ისაა, რომელიც ზეციდან ჩამოდის და სიცოცხლეს აძლევს წუთისოფელს“.

„... მე ვარ პური სიცოცხლისა, ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება და ჩემს მორწმუნეს არასდროს მოსწყურდება (იოანე, 33, 34) (2, 190).

„... ეს არის პური, ჩამომავალი ზეციდან, რათა კაცმა შეჭამოს იგი და არ მოკვდეს“.

„მე ცოცხალი პური ვარ, ზეციდან ჩამოსული. ვინც ამ პურს შეჭამს, საუკუნოდ იცოცხლებს“ (იოანე, 6, 50, 51) (2, 191).

„... თქვენ წუთისოფლისანი ხართ, მე კი წუთისოფლისა არა ვარ“ (იოანე, 8, 23) (2, 196).

ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი უნდა ეზიაროს ქრისტეს სულის პურს და წყალს, მის უზენაეს მცნებებს, რათა არ დაკარგოს სწორი ორიენტაცია.

პოეტის წარმატების საფუძველია ქრისტეს „პურის“ და „წყლის“ მეშვეობით „დანაყრება“, როგორც უდიადესი მიზნის შემეცნების, სულის თვალის ახელის, წარმავლის და მარადიულის, სიკეთის და ბოროტების გარჩევის საწინდარი...

რობერტ მესხის პოეზიაში ღმერთის სახე–სიმბოლოებია: ალიონის მზე, წვიმის მზე, მზე ყოვლისმომცველი, უფალი, კეთილი მწყემსი, მხსნელი წვიმა, სიყვარული, ცვარი, ნამი, ცეცხლი, აღდგომის ცეცხლი, გაზაფხული, პალმა, ალვა, ფიჭვი, ვაზი, ყოჩივარდა, ზეთისხილი, გზატკეცილი, სიცოცხ–ლის სვეტი, პური, ღვინო, ცათა მეუფე, მამა, არსთაგანმრიგე, იმედი, კრავი.

მარიამ ღვთისმშობელი მოაზრებულია მანდილის, დედის, იის, ყოვ–ლადწმინდის, ღრუბლის, მსხმოიარე ვენახის სახეებში.

სულიწმინდაზე მიმანიშნებელია გრაალი, აფრა.

დამოწმებანი

1. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ., 2001
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
3. პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი), „შრომები“, თბ., 1961
4. შატბერდის კრებული, თბ., 1979
5. რობერტ მესხი, მზის რაფსოდია, თბ., 2013
6. რობერტ მესხი, ნიჟარები, „უნივერსალი“, თბ., 2008
7. რობერტ მესხი, მთვარე და ქუჩა, „უნივერსალი“, 2010
8. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990
9. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ., 2012
10. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, თბ., 1985
11. რობერტ მესხი, წაშლილი ბაიათი, თბ., 2004
12. ბიბლია, თბ., 2013
13. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1991
14. რობერტ მესხი, Narcosis, თბ., 2020

ნიცშეს რემინისცენცია

მთელი მსოფლიო შეძრა ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრამ“, ღმერთის სიკვდილის, ზეკაცის ძიების იდეას არავინ დაუტოვებია გულგრილი, რადგან ეს ნიშნავდა ქრისტიანული ათი მცნების, სიკეთის, სათნოების, ბოროტისათვის სიკეთის მიგებაზე უარის თქმას.

ქართულ ლიტერატურაში ნიცშეს ამ იდეას იცნობდნენ და თავისებურად ეხმიანებოდნენ კონსტანტინე გამსახურდია („დიონისოს ღიმილი“, მისტერია „გარსი მარადი“), გრიგოლ რობაქიძე („ჩაკლული სული“), გალაკტიონ ტაბიძე („მას გახელილი დარჩა თვალები“), ტერენტი გრანელი, ნიკო სამადაშვილი.

ქართულ მწერლობაში უპირველესად იზიდავდათ ნიცშესეული დიონისურის და აპოლონურის ძიება მხატვრულ სიტყვაში.

ქართველ შემოქმედთა ასეთი გატაცება არ ნიშნავდა გულგრილობას ქრისტიანობისადმი.

ნიცშესეული ღმერთის სიკვდილის იდეას გამოხატულება უპოვია რობერტ მესხის პოეზიაშიც.

ლექსს „ქრისტე და მარიამი“ ეპიგრაფად უძღვის ნიცშეს ფრაზა — „ღმერთი მოკვდა“. მასში საუბარია ქრისტეზე გამიჯნურებულ მარიამ მაგდალინელზე: „მაგდალინელი ტუჩებს უფლის უჩუმრად ეტრფის, მაგრამ ხვაშიადს შავი გულის ვერავის ეტყვის. ამ დროს უფალი ვედრებისთვის მოუხმობს ყველას და მარიამის ვნებებისთვის არავის სცხელა“.

გოლგოთაზე ქრისტეს სიკვდილი რაღაც ახლის მოლოდინს აჩენს, მაგრამ სახეზეა ღმერთის სიკვდილი: „სულ მალე ქრისტე გოლგოთაზე იპოვის სიკვდილს და ტირის, ტირის მარიამი, სიყვარულს ტირის. სამყარო ელის რაღაც მაღალს, ტალღებს ვერთვები... კაცობრიობაც ელის, მაგრამ მოკვდნენ ღმერთები“ (1, 26).

გალაკტიონის „მას გახელილი დარჩა თვალები“ ეხმაურება ნიცშესეული ღმერთის სიკვდილის იდეას და, საუბრობს რა მზის მიცვალებაზე ანუ ქრისტეს გარდაცვალებაზე, კაცობრიობის უბედურებად მიიჩნევს ამის დაშვებას და კი არ ეთანხმება, ეკამათება გერმანელ წინამორბედს.

პოეტის აზრით, ღმერთის მიცვალების (უარყოფის) თანამდევია უამინდობა, მგლოვიარება, წარმავლობა, ცერერას (მოსავლიანობის ღმერთის)

ტირილი, სულის სიკვდილი, მაგრამ ღმერთი კვდება „გახელილი თვალებით“. თვალი კი უფლის სახელია. ღმერთი მარადიულია, მოკვდავია ურწმუნოთა სული, რითაც ცხოვრება მიზანს კარგავს და ყოველგვარი უზნეობის, ბოროტების სავანე ხდება სამყარო (2, 105).

კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“ რომანის პერსონაჟი გამუდმებით წმინდა გიორგისკენ იხრება, ხოლო ასიზის გზაზე ქრისტეს ჯვარცმას ამსხვრევს. ამ ქმედებას პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად. ფაქტიურად, მწერალი ილაშქრებს 1801 წელს ქართველი ერის არჩევანის წინააღმდეგ. ქრისტიანობის სახელით მიაკუთვნა ერმა უპირატესობა ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს, რომელმაც პირობა დაარღვია, დამოუკიდებლობა წაართვა საქართველოს, ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია დაუკარგა, ხოლო 1921 წლის 25 თებერვალს სოციალიზმის სახელით აქცია რუსეთის იმპერიამ ჩვენი ქვეყანა თავის კოლონიად, უარი ეთქვა ჩვენს მრავალსაუკუნოვან რწმენას და თავს მოგვახვია ათეიზმი.

ტერენტი გრანელი ნიცშეს მამად მოიხსენებდა, ალბათ, იმ აზრით, რომ გერმანელი მწერლის მიერ ღმერთის უარყოფა პოეტს კიდევ უფრო განაწყობდა ქრისტიანობის ერთგულებისკენ. ხომ ცნობილია, რომ „მემენტო მორის“ ავტორი თავგამოდებული მორწმუნე იყო, ქრისტესა და მარიამის თაყვანისმცემელი.

ძალზე ფართო თვალსაწიერის პოეტი იყო ნიკო სამადაშვილი, მან მთელი ციკლი შექმნა ბუდაზე, ბუდიზმზე, მაგრამ ქრისტე არასოდეს გადაუფასებია, „მწყემსი კეთილის“ მარადიულობაში ეჭვი არასოდეს შეუტანია, პირიქით, ძე ღმერთს კაცობრიობის „მარადიულ მეხრედ“ აღიარებდა. „ფერისცვალების“ ავტორმა მაინც არ აუარა გვერდი ნიცშეს ქადაგებას ღმერთის სიკვდილზე, მაგრამ, ამავე დროს, ხაზგასმით აღნიშნა ამის მიზეზი, აქცენტი გააკეთა რა გერმანელი მოაზროვნის სიგიჟეზე. სწორედ ღვთის მოძულეობით ახსნა მისი ტრაგედია, ხოლო ცხოვრების აღსასრული გაიაზრა, როგორც ღვთის სასჯელი ამ მკრეხელობაზე: „...ქუჩებში მარტო და გაცრეცილი, გზებგადამცდარი ნიცშე ბღაოდა“ (3, 61).

ამ პრობლემის ყველაზე მართებულ ახსნას ვიპოვით ანთროპოსოფიის ფუძემდებელ რუდოლფ შტაინერთან. ნიცშეს დამ სთხოვა შტაინერს, ენახულებინა მისი ძმა ნაუმბურგში, სადაც ნიცშე იწვა კომატოზურ მდგომარეობაში, ცნობამიხდილი და უძრავი. შტაინერისთვის ბევრი რამ

იყო საგულისხმო და მნიშვნელოვანი ამ სავალალო სურათში. ამაში იგი ხედავდა ფინალურ აქტს ე. წ. „ზეკაცის ტრაგედიისას“ (4, 161). შტაინერი ჭვრეტდა ნიცშეს სულიერ აგებულებას (4, 253).

„სიკეთისა და ბოროტების მიღმას“ ავტორი ბუნებით ინტუიტივისტი იყო, მაგრამ ინდივიდუალისტური ამპარტავნებით შეპყრობილი ცდილობდა სულიერსა და ფიზიკურ სამყაროებს შორის კავშირის გაწყვეტას, ღვთაებრიობის ამოძირკვას ადამიანური ცნობიერებიდან. ნაცვლად იმისა, რომ მის მიერ პოეტურ პლანში დანახული „ზეკაცი“ თავის ჭეშმარიტ საუფლოში, სპირიტუალურ სამყაროში მოეთავსებინა, იგი შეეცადა „ზეკაცის“ ძალის დამკვიდრებას მატერიალურ სფეროში, რომელიც მის თვალში ერთადერთ რეალობას წარმოადგენდა. ამან გამოიწვია იდეების ქაოსი ამ ბრწყინვალე ინტელექტში და გააფთრებული ბრძოლა, რომელიც საბოლოოდ გონების დასუსტებით დასრულდა (4, 16).

შტაინერმა ჯეროვანი პატივი მიაგო ნიცშეს გენიას, მის ახალ იდეებს, მაგრამ ეს მსხვერპლი ამპარტავნებისა, ნეგაციით საკუთარი თავის დამღუპველი, მისთვის წარმოადგენდა ძალოვანი ინტელექტის ნანგრევის ტრაგიკულ სურათს..., რომელიც გააფთრებულის ძალით ირღვევს თავის თავს სპირიტუალური ცოდნისგან განდგომის შედეგად (11, 16).

ნიცშეს დის თხოვნის მიუხედავად, შტაინერი განერიდა მისი შრომების რედაქტირებას და კომენტირებას.

ნიცშე საინტერესო ეპიზოდი იყო მხოლოდ და მხოლოდ ეზოტერული მოაზროვნის ცხოვრებაში მისი საბრძოლო ასპარეზის დასაწყისის ჟამს.

შტაინერის მისია იყო „მეცნიერებისა და რელიგიის შერიგება, ღმერთთან დაბრუნება“.

შტაინერმა განჭვრიტა ნიცშეს სული, რომელიც იყო „თანამედროვეობის მგზნებარე სულის კრიტიკოსი, მაგრამ სულის სამყარო მატერიალურის მიღმა მისთვის სიცრუედ იქცა.

„გოეთემ მიაკვლია სულს ბუნებისეულ სივრცეში, ნიცშემ დაჰკარგა სულის მითი ბუნებისეულ სივრცეში“ (4, 255).

შტაინერმა განჭვრიტა ნიცშეს სამშვინველი, სული (4, 261). მან დაწერა წიგნი „ნიცშე, თავისი დროის წინააღმდეგ მებრძოლი“ (4, 248).

რობერტ მესხი ორთოდოქსი ქრისტიანია და, ბუნებრივია, არ ეთანხმება ნიცშეს ათეისტურ იდეას, უბრალოდ აფიქსირებს ფაქტს და მთელი მისი პოეზია ათეისტებთან პოლემიკაა.

დამოწმებანი

1. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ., 2001
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „მერანი“, თბ., 1982
3. ნიკო სამადაშვილი, წუთისოფლიდან უკვდავებამდე, „ნაკადული“, თბ., 1989
4. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასი, „პითაგორა“, თბ., 1994

თავი III

ფილოსოფიური ლირიკა

საწუთრო და ოსტატის გენია

ცხოვრების, შემოქმედების, ადამიანის არსებობის უპირველესი პრობ-ლემა იყო და იქნება სოფლის და ზესთასოფლის, წარმავლის და მარადიუ-ლის, ხორცის და სულის, სიბრძნესა და უაზრობას შორის სწორი არჩევანის გაკეთება, წარსულისა და აწმყოს ღირებული აზრების გათავისება და მომავლის უცდომელი განჭვრეტა, რასაც ტიტანური ძალისხმევა სჭირდება.

წმინდა წერილში გამუდმებით წუხილია მიწიერი ცხოვრების ამაოებაზე: „ყველაფერი მიწისგანაა და ყველაფერი მიწად მიიქცევა“ (ეკლესიასტე, 3, 20) (1, 483).

„ამაოება ამაოთა, ... ყოველივე ამაოა“ (ეკლესიასტე, (2, 8) 1, 487).

გამუდმებით ამაოებაზე აკეთებდა აქცენტს მეფე, რომელსაც არაფერი აკლდა, მაგრამ მიწიერი, ფიზიკური სურვილების ასრულება ბედნიერების წყაროდ არ მიაჩნდა.

მორწმუნე მეფე, ამავე დროს, ღვთისგან განდგომილთა დღემოკლე-ობაზე აკეთებდა აქცენტს: „არ მიეგებათ მადლი ბოროტეულთ და ლანდივით დღემოკლე იქნება ყველა, ვისაც ღვთისა არ ეშინია“ (ეკლესიასტე, 8, 13) (1, 485).

მაგრამ, მიწიერი უკეთურობებით გულგასენილს, ღმერთის სამართ-ლიანი განაჩენი ეიმედებოდა: „ყველა საქმეს სამსჯავროზე მიიტანს ღმერ-თი, ყოველივე დაფარულს, კეთილს თუ ბოროტს“ (ეკლესიასტე, 12, 14) (1, 487).

ბიბლიაში ბედნიერებად მიჩნეულია არა ოქრო-ვერცხლი, სიმდიდრე, არამედ სიბრძნე, რომელიც მხოლოდ მორწმუნეთ მიემადლებათ: „უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება“ (იგავნი სოლომონისა 2, 6) (1, 463).

„ბედნიერია ის კაცი, ვინც ჰპოვა სიბრძნე და ვინც გონიერება შეიძინა.

რადგან მისი შეძენა სჯობს ვერცხლის შეძენას და მისი მოსავალი ხალას ოქროს.

მარგალიტებზე უფრო ძვირფასია და შენგან სანატრელი არაფერი შეედრება მას“ (იგავნი სოლომონისა, 3, 13, 14, 15) (1, 434).

ყოველი ხორციელი საბოლოოდ მიწას უბრუნდება, ცოდვილები წაწყმდებიან, მხოლოდ სახელია მარადიული: „ყოველი, რაც მიწისგანაა, მიწადვე მიიქცევა, ასევე ურჯულონიც — შეჩვენებიდან წაწყმედისკენ“.

იზრუნე სახელზე, რადგან იგი უფრო დიდხანს იქნება შენთან, ვიდრე ათასი საგანძური“.

„კარგი ცხოვრების დღეები დათვლილია, კარგი სახელი კი საუკუნოდ რჩება“ (სიბრძნე ზირაქისა, 21, 10, 12, 13) (1, 527).

პავლე მოციქული შეგვაგონებს: „თუ ხორციელად ცხოვრობთ, სიკვდილი არ აგცდებათ, ხოლო თუ სულით აკვდინებთ ხორციელ საქმეებს, იცოცხლებთ“ (რომაელთა, 8, 10) (2, 340).

„ხილული დროებითია, ხოლო უხილავი — საუკუნო“.

„ღვთის გულისათვის დანაღვლიანება წარმოშობს სინანულს სახსნელად და არ გახდება სანანებელი, ხოლო წუთისოფლის ნაღველი სიკვდილს წარმოშობს“ (II კორინთელთა, 7, 10) (2, 393).

მიუღებელია „ფუჭი ამპარტავნობა ხორციელი გონებით“.

წმინდა მამა ერთმანეთს უპირისპირებს ქვეყნიერების, „წუთისოფლის მთავართა წარმავალ სიბრძნეს“ და „ღვთის სიბრძნეს, საიდუმლოებაში დაფარულს“, მერე კი ასკვნის: „ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე“ (I კორინთელთა, 2, 6, 7, 8) (2, 368–360).

ანალოგიური მოსაზრება ვითარდება აღმოსავლურ სამყაროში.

„ვინც წარმავალში წარუვალს ხედავს, ჭეშმარიტად ხედავს“ (ბჰაგავატ გიტა, 90) (3, 90).

„ნივთთაგან აღძრული დაუდგრომელია და წარმავალი. მოიქცევა და კვლავ განქარდება. მამაცურად გადაიტანე ჟამიერი...“

„სიბრძნეში ჰპოვე ნავთსაყუდარი. მონაგარისთვის გულაღძრული შესაწყალია“ (ბჰაგავად გიტა) (3, 22).

ვედური სიბრძნე შეგვაგონებს: „რადგან ადამიანის სიცოცხლე მატერი-ის და სულის ნაერთია, მთელი ვედური შემეცნების მიზანი გახლავთ სულის განთავისუფლება მატერიის სიბილწისგან“ (შრიმად ბჰაგავატამი) (4, 86).

განსხვავებულია „მედინი და წარუდინებელი“. „მედინი ყოველთა არსთა გულშია დავანებული, წარუდინებელი — მწვერვალზე დადგინებულთა გულში“ (შრიმად ბჰაგავატამი) (4, 97).

„უფლის ერთგულები თავისუფლად ხდებიან განჯაჭვულნი მიწიერი განცხრომისგან და ეს განჯაჭვულობაა სრულყოფილი ცოდნის შეძენა“ (იქვე, გვ. 436).

რაბინდრანათ თაგორი ეევდრება მეუფეს: „წაიღე ჩემი წარმავალი ამაოება“...

„გულს მომისართე მწუხარება დღითა და ღამით... არა მონაგარი“. „მე არ მივყვები წუთისოფლის დღეთა დინებას და არ ვიძირები არსებობის დიდ მდინარეში“.

წუთისოფლისადმი ნეგატიური დამოკიდებულებაა სპარსულ კლასიკურ პოეზიაში: „ყველაფერი, რაც გავსინჯე წუთისოფლის სუფრაზე, ან მთლად უმარილო იყო, ან მთლად მარილიანი“, — აცხადებდა ხაკანი შირვანელი.

ჯალალ ედ დინ რუმი წერდა: „მე არ ვეკუთვნი წარმავალთა, სული ვარ ოდეს, ჩემი სული ხომ მარადიულ სულის ფერია... ღმერთთან იგრძენი, თუნდაც წამით, არსება შენი, სხვა ყველაფერი ქვეყანაზე მოგონილია“ (6, 13).

ინდური სიბრძნე განასხვავებს გრძნობების დაკმაყოფილების ცივილიზაციას და სულის ცივილიზაციას.

„ბჰაგავად-გიტა“ გონების ცივილიზაციის შესახებ გვაწვდის ცნობებს, „შრიმად ბჰაგავატამი“ კი ადამიანთა უმაღლესი ცივილიზაციაა, რომელიც საკუთრივ სულის საკითხებს ეხება. როგორც კი ადამიანი სულის ცივილიზაციის დონეს მიაღწევს, იგი ღირსი გახდება გადაინაცვლოს ღმერთის სამეფოში“, გვასწავლის ინდური სიბრძნე (შრიმად ბჰაგავატამი) (4, 105, 333).

წუთისოფლის და მარადისობის გადასახედიდან ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება ახალგაზრდა პოეტის რობერტ მესხის პოეზია. მისი ლექსების დიდ ნაწილში მიწიერი ცხოვრების უაზრობით ნაკარნახევი წუხილი ამოიკითხება.

ერთ ლექსში ცხოვრება აღიქმება, როგორც გაცის და გაიმის მსხვრევადი კერპები, მუხთალი დრო ყველას დაუხუჭავს თვალებს და არარა დარჩება არარაისგან: „...დრო დაიმსხვრევა, როგორც გაცი, როგორც გაიმი

და არ დარჩება არაფრისგან არარაიმე, დრო ჩემს თვალებსაც გააგორებს, როგორც კამათელს“ (შავ ციფერბლატში მომწყვდეული შავი ისრები“) (7, 46).

„კერპი არაფერია წუთისოფელში და არ არსებობს ღმერთი, გარდა ერთისა“, აცხადებს პავლე მოციქული (I კორინთელთა, 8, 4) (2, 367).

პოეტის თვალთახედვით, ცხოვრება ნისლსა და ქაოსს ჰგავს, ახლოსაა „არყოფნის წამი“: „ოცნება ცისფერი ოდებით ნისლსა და ქაოსში წამიტანს და ისევ შენ დაგელოდები მწუხარე არყოფნის წამიდან“ (ზენა ქარს რომ ვთხოვო, ზენა ქარს) (7, 10–11).

„... წარიტაცა, ჟამმა წარიტაცა ყველაფრი“ (8, 89–90).

„ცხოვრება გაფრენილი ალბატროსია“ (მანძილს იმოკლებს მონატრე-ბა) (7, 16), „...დრო–ჟამი ...მუხანათია“ (მინდა ქუთაისი მოგაგონო) (8, 76).

„... მზე შემოდგომის ყოველივე ცოცხალს მოცელავს“ (ოძელა) (9, 115), სიკვდილის აჩრდილებია ირგვლივ და გაუჩინარებულია იმედი...

არარაობა, წარმავლობაა სახეზე, ძნელია „არყოფნის ნისლიდან“ გამოსვლა, „თვალახვეულ სიბნელეში“ სასწაულის მოლოდინსაც აზრი ეკარგება: „ვინ დაეწევა წამს არყოფნის ნისლში გადასულს, ანდა საერთოდ თუ ღირს დევნად არარაობა? ან რა სასწაულს ელის დღემდე ჩემი თაობა, — თვალახვეული სიბნელეში ხელის ცეცებით?“ — კითხულობს პოეტი.

„ამაოებათა ამაოების“ განცდას ასაზრდოებს „დედა ზღაპარი, მამა — ნატვრა და ასე წვეთი წვეთზე“ (წყალს მოუყევი) (10, 9–10).

საწუთროს ამაოების აღიარებაა ლექსი „უსასრულობაა შენამდე“ „...წუთი რაღა არის (ვითვლი წუთებს), როდესაც სიცოცხლეც საწუთროა“ (8, 85).

„ცხოვრება ხანმოკლე.. მირაჟია“ (მირაჟი) (10, 76).

მაგრამ არსებობს „მარადიული წუთიც“, როცა წუთში ხდება უცვალებელი სიბრძნის, ჭეშმარიტების მოხელთება: „... მარადიული წუთის ფაფარაშლილი სევდა“ (შენი ორმოცდახუთი) (8, 24–25).

გალაკტიონთან გვხვდება „ასწლად წამიერი, წუთის გასაუკუნება, ოქროსფერი წუთი“.

რობერტ მესხის „ღამის ქალაქის“ პერსონაჟები არიან მათხოვარი, მეძავი, მდიდარი, პოეტი კი ლოდინით არის შეპყრობილი, ღვთაებრივი სიტყვის ლოდინით... (8, 81–82).

ხანმოკლე ცხოვრების აბსურდულობაზე ფიქრისას შემთხვევით როდია გოეთეს ფაუსტის მოვლინება, რომელმაც გვიან, მაგრამ მაინც იპოვა ცხოვრების მიზანი: „აბსურდი, აბსურდი, როგორი აბსურდი ყოფილა სიცოცხლე, რა უცებ გათავდა... გოეთეს ფაუსტი: — რას ეძებ, რას უცდი ამ უცხო ვარსკვლავთან?“ (რას ეძებ, რას ელი) (8, 24).

არც „პატარა ქალაქის“ ჩვენებაა შემთხვევითი... არც „გრძნობების ზღვაურის“ და „ღვთიური არაკის“, რადგან გრძნობებს, ხილვებს, არაკს, ზღაპარს, სიზმარ–გამონაგონს ეფუძნება შემოქმედება: „ლამაზი აპრილი ლანდივით ჩაივლის, იქნება ჩვენება პატარა ქალაქის, ზღვაურის — გრძნობების ღვთიური არაკის“ (აპრილი უშენოდ) (8, 25).

წუთისოფლის არარაობით შეძრწუნებულ პოეტს მაინც არ ავიწყდება ღმერთი, რაც შემთხვევითი როდია, რადგან პოეზიას წარმავლობის საცნაურყოფით მარადისობისკენ აქვს გეზი აღებული: „ამ ღამის სიზმარს წყალს გავატან, წუთისოფლისას შენ გიამბობ, მაღალო ღმერთო — არაა გრძელი“ (წუთისოფლის მინიმა) (10, 158).

ინდური სიბრძნე მოგვიწოდებს: „მამაცურად გადაიტანე ჟამიერი“ (ბჰაგავად გიტა) (3, 22).

უღმერთო ტრამალებია ირგვლივ, ღრუბლიანია ცა, მაგრამ პოეტი არ ნებდება, ებრძვის წარმავალს: „განვედ ჟამიერო, ტრამალები ისეც უღმერთობით დაოსილან, ზეცას გამოკვრია ფრთამალივით ღრუბლის ნაცრისფერი სამოსელი“ (განვედ, ჟამიერო) (7, 6).

„ლაბირინთიდან“, „ბერმუდის სამკუთხედიდან“ გამოსვლის საშუალებად ისახება ნაფიქრალის განსხეულება სისხლის ფასად: „ლაბირინთია ტვინი და ნაფიქრალიც ტვინში უგზო–უკვლოდ დაწანწალებს. წარსული, აწმყო და მომავალი — ბერმუდის სამკუთხედი, რომელშიც ტრიალებს ყველა: ვინც იყო, ან არის, ან იქნება. ეს ლაბირინთია, — აქ უნდა დაიწრიტო ფიქრის და სისხლისგან“ (ლაბირინთი) (8, 56).

ლექსი „ილუზიაა — მოვა აპრილი“ გამოთხოვებაა უამინდობასთან, „შეშლილი ბეთხოვენის“ სიმფონია ხმიანობს სულში და მოაქვს მრავლისმთქმელი შთაგონება: „...ამჟამად მხოლოდ შენზე მინდობილს დამიკრავს ქარი შეშლილ ბეთხოვენს, გამოვეთხოვე უამინდობას, დამღლელ ლოდინსაც გამოვეთხოვე“ (9, 65).

სიკვდილი მიწიერთა გარდუვალი ხვედრია, იდეალი — მიზეზის და მიზნის ძიება, სიცოცხლის არსის გაცნობიერება: „...ჩვენ — შეშლილებმა — ერთ გულისთქმას ამოვაყოლეთ ამ არენაზე (პირობითად), სადაც დარჩენა სიკვდილია უთუოდ, მაგრამ ათმაგად დიდი სიკვდილია წასვლა, თან ისე, ვერ მიხვდე მოსვლის, ანდა წასვლის მიზანს და მიზეზს“, — ასკვნის პოეტი (თეთრი ხალათები, თებერვლიანებს) (10, 139–142).

„გონება უნდა მიაპყრო წარუვალს... თავის დროზე წარუვალი მიემადლება ყველას, ვინც მოთმინებით მოელის და მუშაობს... წარმავლობა გადაიქცევა მისთვის მარადიულის ნაწილად. მარადისობა ხდება მისთვის მახლობელი ისე, როგორც უწინ მისთვის მახლობელი იყო წარმავლობა“, წერს შტაინერი (11, 165).

„მშვინვიერი სამყარო და სულეთი ისეთივე რეალურია, როგორც გრძნობადი სამყარო, თანაც რეალურის უფრო მაღალი გაგებით“ (11, 133).

ანთროპოსოფიის ფუძემდებელი საუბრობს „წარმავალიდან მარადიულის აგებაზე“: „ყოფიერების აზრი არ არის წარმავალში, არ არის კერძოში, ერთეულში. იგი უყურებს ამ წარმავალს, როგორც სიმბოლოს, როგორც ანარეკლს მარადიული ჰარმონიული ერთიანობის“ (11, 117).

„წმინდა სულეთში ყველა მიწიერი ბორკილისგან განთავისუფლებაა“ (11, 121).

„წარმავალიდან მარადიული ღაღადებს“ (რუდოლფ შტაინერი, ქრისტიანობა, როგორც მისტიკური ფაქტი და უძველესი მისტერიები).

აღმოსავლური სიბრძნეც „მატერიალური ცხოვრების ბორკილებისგან განთავისუფლებაზე“, მარადიულის მსახურებაზე აკეთებს აქცენტს (შრიმად ბჰაგავატამი).

რობერტ მესხის შემოქმედებაში ამაოების განცდას აქარწყლებს პოეზია, ოსტატის გენია, რომელმაც მიაგნო ცხოვრების ჭეშმარიტ აზრს და წარმავლობა უკან მოიტოვა: „ლექსები გეტყვიან იმასაც, ლექსები პლანეტა მარსიდან, რომ მხოლოდ ოსტატის გენია დარჩება ყველაფრის არსიდან“, (ლექსები გეტყვიან ყველაფერს) (8, 19–20).

პოეტს ეიმედება წარმავლობაზე აღმატებული უსასრულობა, როგორც ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედს: „სადმე წამიღებს უაზრო ქარი, ქარი გამაცნობს უხილავ სულებს, უსასრულობა და ნიაღვარი არ მომიმდურებს“ (სადმე წამიღებს უაზრო ქარი) (8, 37).

პოეტს მიმართავს პოეტი: „სული უკვდავებას ერთვის“ (ეკა მაღედანს. პოეტს) (8, 48-49).

„ვინც არყოფნას უჭვრეტს, სრულქმნილია... ვინც წარუვალში გარდაიცვალა, მარადიულია“, შეგვაგონებს ინდური სიბრძნე (ლაო-ძი, დაო დე ძინი) (12, 201, 78).

მხოლოდ მარადიულთან ზიარებაა უკვდავების საწინდარი.

დამოწმებანი

1. ბიბლია, თბ., 2013
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
3. ბჰაგავად გიტა, თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო თამაზ ჩხენკელმა, „განათლება“, თბ., 1983
4. შრიმად ბჰაგავატამი, სიმღერა მეორე, მისი ღვთაებრივი მოწყალება ა. ჩ. ბჰაკტივედანტა სვამი პრაბჰუპადა, კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების დამაარსებელი აჩარია, თბ., 1992
5. რაბინდრანატ თაგორი, ინდური ლოტოსი, ლიტერატურის მატიანე, თბ., 2006
6. გაზ. სხვა დრო, №3 (8), 15 ივლისი, 2020
7. რობერტ მესხი, წაშლილი ბაიათი, თბ., 2003
8. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ., 2001
9. რობერტ მესხი, მთვარე და ქუჩა, „უნივერსალი“, თბ., 2010
10. რობერტ მესხი, მზის რაფსოდია, თბ., 2013
11. რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია, თარგმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ 1970 წ. რედაქტირებულია 1995 წ.
12. ლაო ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმონაკის, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1983

სადაც ჰადესს მისტერია ერთვის

ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი, სიცოცხლესთან ერთად, სიკვდილის საიდუმლოების გაცნობიერებას ცდილობს.

ყოველი ცოცხალი არსება მოკვდავია, ცხოვრება საწუთროა, „სიკვდილი ყანასავით იმკის სიცოცხლეს“ და ამის შეცნობა ყოველ ადამიანს ასევდიანებს.

სიკვდილის შიში, არყოფნის მოლოდინი ყოველი ადამიანის წილხვედრია, ველური იქნება, თუ განვითარების უმაღლეს საფეხურზე მყოფი.

წმინდა წერილი განარჩევს სულისა და ხორცის თვისება–განსხვავებულობას და ყოველგვარი უკეთურება ხორცთან არის დაკავშირებული: „ხორცის საქმეები აშკარაა: ეს არის სიძვა, უწმინდურება და თავაშვებულობა, კერპთმსახურება, მისნობა, მტრობა, ჩხუბი, შური, რისხვა, შუღლი, უთანხმოებანი, მწვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღრობა და სხვა. ამის ჩამდენნი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ.

„ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე, თავშეკავება — ამათ წინააღმდეგ არ არის რჯული“ (პავლე მოციქული, გალატელთა, 5, 19–23) (1, 411).

იოგები, ბუდისტები, დასავლური თუ აღმოსავლური ფილოსოფიის წარმომადგენლები არა სიმდიდრეს, არამედ რწმენას, ზნეობას, სიკეთეს ანიჭებენ უპირატესობას.

რადგან ადამიანის სიცოცხლე მატერიისა და სულის ნაერთია, „მთელი ვედური შემეცნების მიზანი გახლავთ სულის განთავისუფლება მატერიის სიბილწისგან (2, 26).

„მატერიალურ სამყაროს სიკვდილის სამყარო ჰქვია“.

„მატერიალური სამყარო სიზმარს ჰგავს და მისი არსება ჩვენი მიჯაჭვულობითაა გამოწვეული“ (2, 26–27).

„საჭიროა „გრძნობებისა და ჭკუის მართვა“.

„ცოდნა საკუთარი „მეს“ შესახებ საკრალური ცოდნაა“.

„შემდეგ ნაბიჯს წარმოადგენს ღვთის შემეცნება, მას ეწოდება კიდევ უფრო საკრალური ცოდნა“.

„მთავარია მისტიკური ძალების სრულყოფა“ (2, 191).

ლაო-ძის „დაო დე ძინის მიხედვით, „უკვდავია სული უწმინდესი“ (3, 180, 16).

„დაოს მფლობელი მრავალჟამიერია, გვამი იხრწნება, სული უკვდავია“ (3, 188, 40).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ გარდაცვლილები ღვთაებრივ სამსჯავროზე წარდგებიან, განიკითხებიან და ცოდვილები ჯოჯოხეთში, ხოლო წმინდა სულის ადამიანები სამოთხეში ხვდებიან.

მიხეილ ზოშჩენკო მოგვიწოდებს: „უნდა ვწეროთ სიკვდილზე, უნდა ვიფიქროთ მასზე, არანაკლებ იმისა, ადამიანები სიყვარულზე რომ ფიქრობენ“ (4, 213).

სიკვდილზე ფიქრი აძრწუნებდათ მოპასანს, ჩეხოვს, მიშელ მონტენს, ფრენსის ბეკონს, უოტ უიტმენს, შარლ ბოდლერს, ნიცშეს, გალაკტიონს, ტერენტი გრანელს, ნიკო სამადაშვილს, ვაჟა-ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ანა კალანდაძეს, ვაჟა ეგრისელს.

კონსტანტინე გამსახურდია სიკვდილს „ჩვენი ცხოვრების იდუმალ ეტრატზე აღბეჭდილ მეშვიდე ბეჭედს, ჩვენი სულის უკანასკნელ წრთობას, უკანასკნელ ომს, მოუცილებელ მეაბჯრეს“ უწოდებდა და „მაღალ გრძნობის სახელით“ სიცოცხლეშივე სიკვდილთან შეხვედრაზე საუბრობდა.

ტერენტი გრანელმა მოიახლოვა და გაიშინაურა სიკვდილი, იწამა სულის მარადისობა და „მესამე გზას“ მიაპყრო მზერა. პოეტს სამშობლოდ ესახებოდა „ლაჟვარდები ცისფერი“, ირწმუნებოდა, რომ „სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“.

ეგვიპტელებს ჩვევად ჰქონიათ დღესასწაულის დროს, საუცხოო სა-ჭმელ-სასმელთან ერთად, დარბაზში შემოეტანათ თავის ქალა შეძახილით: „მემენტო მორი!“ — გახსოვდეთ სიკვდილი“.

ტერენტი გრანელმა ამ სიტყვებით გააფრთხილა 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე ექვსი ათასი პატრიოტი ქართველის დამხვრეტი მტარვალნი.

მიხეილ ზოშჩენკოს მოწიწებას აღუძრავდა ბაირონის სტრიქონები: „განჭვრიტე ყველა სიხარული ნეტარ თასებით, ყოფნის ნადიმზე რომ შეგისვამს — ნუთუ გეყოფა? ვინც გინდა იყავ, დამერწმუნე, ერთიც არსებობს: ყველაზე დიდი სიხარული — არარსებობა“ (4, 214-215).

სოფოკლეს ღვთის წყალობად მიაჩნდა „არგაჩენა ამ ქვეყანაზე“, მაგრამ ვინც მზის ნათელს დაინახავდა, „არარსებობის და არყოფნის მშობლიურ ჭერქვეშ“ დაბრუნებას ურჩევდა.

მერაბ კოსტავა სიკვდილზე ფიქრებს „სიბრძნის დედას“ უწოდებდა (შიმშილობა) (5, 133).

ეგვიპტურ და ტიბეტურ მკვდართა წიგნებს გარდაცვალების სახელმძღვანელო ეწოდებოდათ, ადამიანები ამქვეყნადვე ემზადებოდნენ სიკვდილთან შესახვედრად.

სულის სამსჯავროზე წარდგომის გარდუვალობას ამტკიცებს იუდაიზმი, ბუდიზმი, ზოროასტიზმი, მუსულმანური, ქრისტიანული თეოლოგია.

ეგვიპტეში მიცვალებულთა მეუფე იყო ოზირისი, სამსჯავროზე სიმართლისა და წესრიგის ქალღმერთი მაატი წონიდა მიცვალებულის გულს, რომელსაც ფრინველის გული არ უნდა გადაეწონა. ცოდვილს დემონი შთანთქავდა, უცოდველი კი ანუბისს — ძაღლისთავა ღვთაებას გადაჰყავდა სამოთხეში — იალუს მინდვრებზე.

მიცვალებულს სამსჯავროზე უნდა წარმოეთქვა ორმოცდაერთი ცოდვის უარყოფის ტექსტი, ხოლო დასკვნა უნდა ყოფილიყო: „მე სუფთა ვარ, მე სუფთა ვარ“ (6, 13).

ტიბეტური მიცვალებულთა წიგნის მტკიცებით, სიკვდილი არის ცნობიერების გადასვლა უფრო მაღალ საფეხურზე. შიშის დასაძლევად საჭიროა სიკვდილისთვის მზადება. ღვთაებრივ სასამართლოზე მიცვალებულთა მოსამართლე დხარმა-რადჟა აფასებდა განსასჯელი მიცვალებულის საქმეებს კარმის სარკის საშუალებით.

ძველ ინდოეთში (ძვ. წ. II და ა. წ. II ს.) სიკვდილის ღმერთს ეწოდებოდა „იამა“.

მანუს კანონებში ყურადღება მახვილდება სულის სხეულთან გაყრაზე, მის ხელახალ დაბადებაზე, გარდასხეულებაზე, უმაღლეს ადამიანზე, მაღალ და მდაბალ სულებზე, კარმისგან განთავისუფლებაზე.

ამერიკაში მიცვალებულთა წიგნს ეწოდება „გარდაცვალების მეცნიერება“ ანუ „გარდაცვალების ხელოვნება“.

ამერიკელი ე. გოულდი ხალხს ასწავლიდა „შეგნებული სიკვდილის მეცნიერებას“, ანუ „„გარდაცვალების ხელოვნებას“.

დოქტორ უორდენის პროგრამას ეწოდებოდა „სიკვდილის პირადი გაცნობიერება“, რაც მომაკვდავებს თავიანთი ცხოვრების მოდელის შეცვლაში შველოდა, ისინი ახლებურად იცნობიერებდნენ სიკვდილის, ავადმყოფობის, ჯანმრთელობის საკითხებს.

მინი სიკვდილის გადატანა ადამიანს ეხმარებოდა, რათა გაეკონტროლებინა თავისი უკანასკნელი წასვლა ამ ქვეყნიდან.

გოულდის პრინციპი იყო: „სიცოცხლე არის ილუზია“.

სიკვდილზე ფიქრი აღვიძებდა შემოქმედებით ძალებს, იწვევდა სულიერ განახლებას, შთააგონებდა ამქვეყნიური არსებობის წამიერებას და ტრანსცენდენტური სამყაროს მშვენიერებას, ააქტიურებდა ადამიანის დაფარულ სულიერ პოტენციალს.

სიკვდილის გამოცდის ჩაბარება ემსახურებოდა სულიერ განახლებას, ადამიანის დაბრუნებას უზენაესის სახლში (7).

„ბჰაგავად გიტას“ მიხედვით, „ყოფიერების რა მდგომარეობაც ახსოვს ცოცხალ არსებას სხეულის დატოვებისას, იმავე მდგომარეობას მიაღწევს (8).

სულიერი სხეულის მიმღები სულიერ პლანეტაზე მკვიდრდება.

იოგების ფილოსოფიის მიხედვით, სამყარო დაყოფილია დაბალ, მაღალ და შუა პლანეტარულ სისტემებად. დედამიწა შუა პლანეტარული სისტემის შემადგენლობაშია. სიკვდილი ყველგან არსებობს, გარდა სულიერი პლანეტისა.

„მიიქცეს მტვერი მიწად, როგორც იყო და სული დაუბრუნდეს ღმერთს, რომელმაც ის შთაბერა“ გვამცნობს ეკლესიასტე (127) (9, 14).

ქრისტე შეგვაგონებს: „ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვლა კი არ ძალუძთ“ (მათე, 10, 28).

„ხრწნადი უხრწნელობით, მოკვდავი უკვდავებით უნდა შეიმოსოს“ ირწმუნება პავლე მოციქული (I კორინთელთა, 15, 53).

„აჰა, გეტყვით თქვენ საიდუმლოს: ყველანი როდი მოკვდებით, მაგრამ ყველანი შეიცვლებით“, აცხადებს პავლე მოციქული (I კორინთელთა, 15, 51) .

ანალოგიურია ფილოსოფიის დანიშნულებაც. „ფილოსოფია, პლატონისეული სიტყვებით რომ ვთქვათ, სიკვდილისათვის მზადებაა, ე. ი. მას ევალება, იმდენად სრულყოს სული, რომ იგი სამუდამოდ დარჩეს

იდეათა სამყაროში და გადაურჩეს მოკვდავთა ნაკლულ ქვეყანაში კიდევ ერთხელ დაბრუნებას“ (10, 100).

ახალგაზრდა პოეტი რობერტ მესხი არათუ ნაზიარებია სიკვდილის ფილოსოფიას, იგი „ყველაფრის მიღმა, მიუვალ მხარეს“ ხედავს (ვიყავით ორნი) (11, 16).

ამ საკითხში პოეტის კუმირები არიან „მემენტო მორის“ ავტორი, დიდი გალაკტიონი, რომლებიც სულის უკვდავების რწმენას განუმტკიცებენ: „მახსენდება ბავშვობის საყვარელი რვეული და გრანელისეული „mori“ გადარეული... მენატრება ალერსი ჩუმი არდაბრუნების. ვეწაფები ნიკოტინს და ჩამესმის ხმაური დიდი გალაკტიონის... მე კარები ჩავკეტე, გადავჭერი გულის გზაც, ყველაფერი ამტკიცებს უკვდავებას სულისას... ქუჩა–ქუჩა დავდივარ, როგორც გაორებული“ (ფერადი ელეგია) (11, 7–8).

ბედისწერის რჩეული „ღრუბლებს მიღმა“ გადაფრენას ესწრაფვის, სიკვდილის დამარცხების რწმენით (იმ ვარსკვლავზე ქორწილია უსათუოდ) (11, 5).

„ყველაფერი როდი კვდება, რაც კვდება და ხუჭავს თვალებს“, დარწმუნებულია პოეტი (ასეც ხდება) (11, 14).

მას სიკვდილი ესახება, როგორც ლურჯი ცისკენ გადაფრენა, სამუდამო გაფრენა (ფოტოგრაფი) (12, 117—119).

ასევე დამაფიქრებელია პოეტის გამოხმაურება გოდერძი ჩოხელის კითხვაზე: რა არის სიცოცხლე?

პასუხი ასეთია: „სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის სევდა.

სიკვდილი? „სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა“ (სიკვდილთან ღრეობა).

ამ მოსაზრებას გამოხატულება უპოვია რობერტ მესხის ლექსში: „... დავრჩი წვიმების ამარა, თითქოს ჰაერი არ მყოფნის, ჯერ ყოფნის სევდა რა არის, მერე კი სევდა არყოფნის“ (ჩოხში. გოდერძის) (16, 33).

გოდერძი ჩოხელი სიკვდილს არ უშინდებოდა, რადგან „სიკვდილის იქით კიდევ უფრო დიდი სიცოცხლე“ ეგულებოდა.

მოთხრობაში „სამანს იქით დასახლებულნი“ საფიხვნოში მჯდარი თემის კაცნი უცდომელი საწყაოთი ზომავენ ადამიანის ქმედებებს, მსჯავრიც გამოაქვთ და ცოდვილებს სამანს იქით ასახლებენ.

არ არსებობს ადამიანი, სიკვდილზე ფიქრი რომ არ ანაღვლიანებდეს და ეს ტკივილი მრავალგზის გამოიკვეთება რობერტ მესხის პოეზიაში.

ტერენტი გრანელისთვის მიწა იყო სამარე, გალია, ტალახი, ნიკო სამადაშვილისთვის ქვიშა, ტალახი, საფლავი.

„მზის რაფსოდიის“ ავტორს დედამიწა ესახება, როგორც „საფლავის ქვაზე შემოდგმული თიხის ფიალა, წვიმით სავსე“ (წვიმის პარადიგმა) (13, 149).

პოეტი „სარკეში“ ხედავდა სიკვდილს (ამულეტი დედას) (13, 34).

მშობლიურ აფხაზეთში „მკვდრის მზე“ უნათებდა (გყოლოდი, ზღვა) (13, 31).

პოეტის ბედი იყო „კოცონთან ახლოს, ხიდთან ახლოს, სიკვდილთან ახლოს“ დგომა (პოეტები) (13, 77).

აფხაზეთის ტრაგედიის მოწმეს, „ძღვნად“ ესახებოდა სიკვდილი (არაქნე) (13, 103). ტკივილს გამაყუჩებლად ეიმედებოდა „დიდი, მძიმე ლოდი“ (ნესტი. მისტერია) (13, 112).

„მესამე თვალით“ მომადლებულს „სიკვდილი ადამიანზე დაგეშილ ქოფაკად“ წარმოუდგებოდა (ნადირობის სეზონისთვის) (13, 118–119).

სიკვდილით ფიზიკური სხეულის დატოვება კი არა, ცხოვრებაში მოსვლის მიზნისა და მიზეზის შეცნობაა მთავარი: „... ათმაგად დიდი სიკვდილია წასვლა, თან ისე, ვერ მიხვდე მოსვლის ანდა წასვლის მიზანს და მიზეზს“ (თეთრი ხალათები. თებერვლიანებს) (13, 139–142).

პოეტის სიზმარ–ხილვებში ჩნდება საჰარა, მამონის მსხვერპლი იუდა, ესმის ფარაონ ტუტანხამონის ხარხარი, ევლინება მიცვალებულთა მსაჯული ოზირისი: „გველის თვალებით მიმზერს საჰარა, მიმზერს იუდა — მსხვერპლი მამონის და სიზმრებიდან მესხმის ხარხარი ტუტანხამონის. ...ო, მზე აჩუქებს თებეს როს ირისს, როს წყალდიდობა იხსნის ნილოსელთ, თუკი წავაწყდი ცაზე ოსირისს, შენზე ვილოცებ“ (გველის თვალებით მიმზერს საჰარა) (11, 85).

პოეტს სჯეროდა სიტყვის, წყევლის ძალის და შემთხვევითი როდია, რომ მის ლექსში ჩნდება ფარაონ ტუტანხამონის სახელი. ცნობილია ფარაონ ტუტანხამონის სამარის კარზე გაკეთებული წარწერა: „ვინც ფარაონს ძილს დაუფრთხობს, მოკვდება“, რაც მრავალგზის ახდა.

პოეტის მიერ მოსმენილი ტუტანხამონის ხარხარი ირონიულია და გამაფრთხილებელი. ლექსში არც მიცვალებულთა მსაჯულის ოზირისის ხსენებაა შემთხვევითი.

ბევრჯერ დგას პოეტი „არყოფნის ზღვართან“ მაგრამ უფალი ეიმედება: „უფალს მიანდე არყოფნა ჩემი, უფალს მიანდე“ (მე შეიძლება გავუყვე ფეხით) (11, 63).

ისევ და ისევ აფიქრებს არყოფნის წამი, არარაობა: „ვინ დაეწევა წამს, არყოფნის ნისლში გარდასულს, ანდა, საერთოდ თუ ღირს დევნად არარაობა“ (აქ სიმშვიდეა) (11, 70).

ერთგან ამბობს: „... არა თუ გულმა, ძახილი იცის საფლავის ლოდმაც“ (ძახილი) (11, 83).

პოეტს სჯერა სულის უკვდავება: „ყველაფერი ამტკიცებს უკვდავებას სულისას“ (ფერადი ელეგია) (11, 7).

ლექსში „ქვესკნელსავით ცარიელი თვალით“ ჰადესის მისტერია შეცნობილი აქვს, მკვდრეთით მობრუნებულიც უნახავს: „სადაც ჰადესს მისტერია ერთვის, შევხვედრივარ მობრუნებულს მკვდრეთით, მწადდა ჩემთვის და ჩემივე „მესთვის“ ცხელი ტყვიით გამეხვრიტა მკერდი“ (ქვესკნელსავით ცარიელი თვალით) (11, 6).

„ადამიანს სულიერ სამყაროშიც გააჩნია ცნობიერება. მიღმურ სავანეში მხოლოდ ცნობიერებას ცვლაა“, ირწმუნება რუდოლფ შტაინერი (14, 121).

ანალოგიურ მოსაზრებას ვხვდებით გოეთესთან: „მე ეჭვი არ მეპარება არსებობის გაგრძელებაში. ყოველი ენტელექია ზიარებულია მარადისობას. ეჭვი არ მეპარება, ჩვენ განვაგრძობთ არსებობას, მაგრამ ყველანი ერთნაირად უკვდავნი არ ვართ“ (15, 64).

ბიბლიაში მეფე ბალთაზარმა ნადიმის დროს იხილა კედლიდან გამოსული ხელი, რომელმაც კედელზე სამი საბედისწერო სიტყვის წარწერით ამცნო მისი და მისი სამეფოს აღსასრული (წინასწარმეტყველება დანიელისა, 5, 1–30) (9, 252–253).

არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლებელია რადიოკონტაქტი მკვდრებთან, აჩრდილების ფოტოგრაფირება, გარდაცვლილთა ხმების ჩაწერა, ხდება მიცვალებულთა გამოცხადება ცოცხალთა გაფრთხილების მიზნით, ხმის გაგონება, სუნთქის შეგრძნება (ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ).

ბიბლიაში მეფე საულმა მესულთანე ქალს სთხოვა სამოელის გამოხმობა მიღმური სამყაროდან. სამუელმა იწინასწარმეტყველა საულის და მისი ოჯახის ტრაგედია, რაც ახდა კიდეც.

პლუტარქეს პარალელურ ბიოგრაფიებში მოთხრობილია ბრუტუსისა–თვის იულიუს კეისრის გამოცხადების შესახებ.

დანტე სიზმარში მოევლინა შვილს, რათა „ღვთაებრივი კომედიის“ XIII თავის ადგილსამყოფელი მიენიშნებინა.

„ღვთაებრივ კომედიაში“ გვხვდება წარსულის, მომავლის ლანდები, მისტიური აჩრდილები.

გოეთეს მოსაზრებით, „სულთა სამეუფო არ არის კარდახშული“.

ვასილ ბარნოვის მოთხრობაში „აჩრდილი სიკვდილისა“ ადამიანის ფიზიკური სიკვდილის შემდეგ სული აგრძელებს არსებობას და ეცხადება ახლობლებს.

ვაჟა–ფშაველას მუდმივი კომუნიკაცია აქვს ღირსეულ წინაპრებთან.

გოეთესავით, ვაჟასაც სწამდა ქვეყნის რჩეულთა უკვდავება.

ნათელმხილველები თავიანთ ასტრალურ სხეულს გზავნიან, სადაც სურთ და მოგზაურობენ მთელ პლანეტაზე.

მისტიკოსების მიხედვით, ეფირული ორეული, ელექტრული სული აგრძელებს არსებობას კლინიკური სიკვდილის შემდეგ.

გალაკტიონს სჯეროდა, რომ „სული ცოცხლობს, როს სხეული სამარეში სდუმს“. პოეტს მუდმივი „კომუნიკაცია“ ჰქონდა წინაპრებთან, ნუგეში და თანაგრძნობა მათთან ეგულებოდა (ნუ დაღონდები).

პოეტების მეფეს ეცხადებოდა რუსთაველი, აკაკი, გოეთე, ედგარ პო, ნოვალისი...

ტერენტი გრანელი შეჩვეული იყო სიკვდილს, ხედავდა ლანდებს, სულს, ბედის მწვერვალს, სიკვდილის შემდეგ მოსახდენ მოვლენებს, გრძნობდა „შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლობელ კავშირს“.

ამ ასპექტით ძალზე საყურადღებოა ნიკო სამადაშვილის პოეზია.

რობერტ მესხის მიხედვით, მიწაა, ქვიშაა სიცოცხლე, სიკვდილი დაგეშილია ლეშზე, რკინის კბილებით ტკვირავს, ყოველივე ცოცხალს მოცელავს, ტყეში დანთებულ კოცონს ჰგავს, რომელიც ჩაქრობით მთავრდება (მინა, ეთიოპიელი ბიჭის მონოლოგი, ცირა ძაძუას ხსოვნას, ოძელა).

პოეტს ესმის „ზამთრის სიმფონია სამგლოვიარო“ (თოვლის კაცი) (16, 114) „სიკვდილი — ჯადოსნური წამოსასხამია“ (ალმასის სონეტი) (16, 107).

მიუხედავად სიცოცხლის სწრაფწარმავლობით გამოწვეული გულის-ტკივილისა, ხორციელი სიკვდილის გარდუვალობისა, იმედია სულის უკვდავება: „ყველაფერი როდი კვდება, რაც კვდება და ხუჭავს თვალებს“ (ასეც ხდება) (11, 14).

პოეტი ცდილობს მოკვდავთათვის მიუწვდომელი „სხვა სამყაროს“ საიდუმლოების შემეცნებას.

სიკვდილის შემდეგ ზეცაში ხედავს თავის ადგილს რობერტ მესხი: „სიცოცხლის სვეტი გადიქცევა ოქროსფერ გამად. ჩემთან დარჩება რო-მელიღაც, ყველა რომ წავა, მწარედ იტირებს და მიწისთვის ვერ გამიმეტებს, მე ავიჭრები ზეცისაკენ და ღრუბლებს შევყრი... მერე ჩამოვალ შაოსანთან და ჩუმად ვეტყვი, რომ ჯვარს დავიწერ გაზაფხულზე, მაისის ბოლოს. ჩემთან დარჩება რომელიღაც, ყველა რომ წავა“ (გამოძახილი) (11, 9).

გაზაფხული (ძველი ქართულით ზაფხული) საღვთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 65, უ412) (1, 588).

გაზაფხულზე ქორწინება ნიშნავს ნეტარებას მიღმურ სამყაროში.

უღმერთო, უსხივო, უიმედო ქვეყანაში (სხივი, იმედი საღვთო სახე-ლებია), სადაც კაცური კაცები იგნორირებული არიან, „ცოცხლებთან დავას“ „მისტერიულ მკვდრებთან“ კომუნიკაციას ამჯობინებს პოეტი (აპრილი უშენოდ) (11, 25).

„ძახილის“ ავტორს ესმის არა მხოლოდ გულის, „საფლავის ლოდის“ ძახილიც (11, 83).

მშობლიურ ქალაქში მოკლულთა აჩრდილებს ხედავს, მათი ჩურჩული ესმის: „ვხედავ: ჩემს ქალაქში მოკლულთა აჩრდილები დადიან, ერთმანეთს ეჩურჩულებიან და აყვავებულ მიმოზებს აფრთხობენ. მოკლულთა აჩრდი-ლებს ვერ ხედავენ მიმოზები, ჩემსავით არიან, — უკვირთ“ (აჩრდილები) (16, 49).

ბედისწერის რჩეული „ღრუბლებს მიღმა“, სიკვდილისგან შორს, ზეცაში ხედავს თავის თავს: „...ღრუბლებს მიღმა გადაფრენა... უხილავი ბედისწერა დამტრიალებს, მე გავხდები ჰაერივით გამჭვირვალე და სიკვდილთან არასოდეს ვიმეგობრებ“ (იმ ვარსკვლავზე ქორწილია უსათუოდ) (11, 5).

გრაალთან (სულიწმინდასთან, სიბრძნესთან) წილნაყარი ცაზე მკვიდრდება (ორომტრიალი) (11, 5).

ჰადესი, მისტერია, მკვდრეთით მობრუნებულთან შეხვედრაა ლექსში „ქვესკნელსავით ცარიელი თვალით“ (11, 6).

სიკვდილი „გამოცდილი გლადიატორია“ (2000 წ. 18 დეკემბერი) (11,98).

„... სიცოცხლე მცირე ნოველა და გარდუვალი სიკვდილის აცრაა“, ნათქვამია ლექსში „ძილში მოდიან ორქიდეები“ (11, 100).

მაღალი იდეების მსახურის, სიტყვის ოსტატის „სული უკვდავებას ერთვის“ (ეკა მაღედანს — პოეტს) (11, 48–49).

„კაცის სისხლზე დაგეშილი ნაგაზია სიკვდილი“ (ეპიტაფია, ჩემი) (13, 125), „ქოფაკივით კაცის სისხლზე დაგეშილი“ (ნადირობის სეზონისთვის) (13, 118—119), გვიბეჯითებს პოეტი.

„...ცხოვრება გაფრენილი ალბატროსია“ (მანძილს იმოკლებს) (17, 16).

ფიზიკური სიკვდილი გარდუვალია, მაგრამ იმედია სულის უკვდავება, წმინდა სულს ხელეწიფება სიკვდილისგან გაქცევა: „დრო ამ თვალებსაც გააგორებს, როგორც კამათელს და ვიდრე მოვა, გავექცევი მასაც აწმყოდან მარსზე, მთვარეზე, ურანოსზე, ან სადმე სხვაგან, რომ არ დამცინოს, მარიონეტი ყოფილხარო ძველი სკივრიდან. დრო დაიმსხვრევა, როგორც გაცი, როგორც გაიმი და არ დარჩება არაფრისგან არარაიმე. დრო ჩემს თვალებსაც გააგორებს, როგორც კამათელს“ (შავ ციფერბლატში მომწყვ–დეული შავი ისრები) (17, 46).

„აღუვსებელი საწყაულის“ საფლავი ათ–თხუთმეტ წუთში ივსება მიწით, მერე კი „კაჭკაჭი კენკავს ბელტებიდან გამომძვრალ ჭიებს“ (მინიმა) (13, 136).

სიკვდილის წინასწარი წარმოდგენაა ლექსში „გარდავიცვალე“: „ახლა სიკვდილი ნაცრისფერი სერპანტინია. დგას სარკოფაგი, გამოჭრილი მთვარის ყალიბზე, გადამაფარე ჭრილობაზე, როგორც სატინა, სველი მიმოზა — ჩემი სულის აპოკალიფსი“ (მიმოზა) (17, 61).

„...კატები გრძნობენ სიკვდილსაც და მიწის რყევასაც, პირველს უფრორე, ასეა, ალბათ, ცხრა სიცოცხლე როცა გექნება, ცხრა სამსალას როცა გამოცლი, სულ ფეხებზე რომ დაეცემი“ ნათქვამია ლექსში „ბელლა“ (20, 42–43).

ბუნება, ხე სიკვდილის კი არა, სიცოცხლის ძალებს ასხივებს: „...ხემ მომაბრუნა, რა დროს სიკვდილზე ფიქრიაო? — (ან რა იცოდა?!) ყოველთვის მე ნუ მაბრალებო თვალის სიწითლეს. ხემ მომაბრუნა — ვითომ შენ იდგე ქუჩაში და ხელებს მიწვდიდე“ (ხემ მომაბრუნა) (20, 77).

სიკვდილზე ფიქრი უპატრონოდ გარდაცვლილი გენიალური ფიროს-მანის უკანასკნელ დღეებს მოაზმანებს: „...ო, იმ წლებიდან გაიხსენე, აბა, რა დარჩა? — კვეთა განივი. და ალბათ, მალე მეც მოვკვდები სადმე სარდაფში ფიროსმანივით“ (უშენობა) (16, 12).

„სიცოცხლე მცირე ნოველა და გარდუვალი სიკვდილის აცრაა“ (ძილში მოდიან ორქიდეები) (11, 100).

ლექსში „ჩემი თითების ანაბეჭდში ფიქრი დაცურავს“ გამოვლენილია რწმენა, რომ ჯოჯოხეთური ცხოვრება სულის უკვდავებით დასრულდება: „ჩემი სიკვდილი ჯოჯოხეთის ფსკერზე აღსრულდა, ჩემი სიცოცხლე უკვდავებით გამოიჟღინთა“ (11, 9).

„კოცონთან ახლოს, ხიდთან ახლოს, სიკვდილთან ახლოს დგანან ყოველთვის პოეტები“ (პოეტები) (13, 77).

„მესამე თვალით“ მომადლებულები ცდილობენ დაუსხლტნენ სიკვ-დილს, არა ფიზიკურს, არამედ სულიერ სიკვდილს (ნადირობის სეზონის-თვის) (13, 118—119).

პოეტი, ტერენტი გრანელივით, წინასწარ წარმოიდგენს ხილული სამყაროდან თავის გასვლას: „როდესაც ჩემიც დადგება ჯერი, როდესაც ჩემიც ჩამოკრავს ზარი, ღელვა იქნება ნარინჯისფერი, ნარინჯისფერი და ცოცხალ-მკვდარი. ღელვა ასეთი უჩუმრად მოდის (ორდუს ბაღები, ცისფერი მოცვი), მე უკვე არ ვარ, მე უკვე მოვკვდი, შენ გაგატანე სულიც და ხორციც“ (როდესაც ჩემიც დადგება ჯერი) (11, 26).

სიცოცხლის სწრაფწარმავლობის, არსებობის აბსურდულობის აზრს აქარწყლებს უკანასკნელ წუთებში გოეთეს ფაუსტის მოვლინება:

„...რას ეძებ, რას ელი, ეგ შენი ნაღველი გულს გამოგიბურღავს, სულს გაგიტიალებს. დრო გავა და მიწის ათიოდ მტკაველი მოგირჩენს იარებს. აბსურდი, აბსურდი, როგორ აბსურდი ყოფილა სიცოცხლე, რა უცებ გათავდა... გოეთეს ფაუსტი — ვის ეძებ, რას უცდი ამ უცხო ვარსკვლავთან?“ (რას ეძებ, რას ელი) (11, 27).

„ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“ წერდა ვაჟა-ფშაველა.

ახალგაზრდა პოეტს შეგნებული აქვს სიკვდილ-სიცოცხლის მონაცვ-ლეობა, სიკვდილი სამუდამო გაქრობა კი არა, მარადიული დაბრუნებაა გენიის, რათა იესოსავით მარადიული არსებობა დაიმკვიდროს ცაში: „სად მიგაქვს, სად მიგაქვს სინათლის მიჯნები, დაბრუნდი, სიკვდილის ტანგოში ვიჭრები. სიკვდილის ტანგოში სიცოცხლე ქანაობს, სიცოცხლე — სიკვდილს ჩინური მარაო და კვდება სიცოცხლე იესოს თვალებით, უმწეო გენიის შეშლილი თვალებით“ (რა უცებ წახვედი) (11, 29).

პოეტი ნაზიარებია ჰადესის მისტერიას, მკვდრეთით მობრუნებულებიც უნახავს, სულით მობრუნებულები... „სადაც ჰადესს მისტერია ერთვის, შევხვედრივარ მობრუნებულს მკვდრეთით“... (ქვესკნელსავით ცარიელი თვალით) (11, 6).

პოეტმა არაერთ ლექსში გაამახვილა ყურადღება წარწერიან, უწარწერო და მდიდრულ საფლავებზე. თამარის საფლავის ლეგენდაც შემოიტანა თვალსაწიერში (ჩემი ბრალია) (13, 90), არც რუსთაველის და ფიროსმანის უსაფლავობა დავიწყებია და ბოლოს ერთადერთი უცდომელი დასკვნა გამოიტანა, რომ მთავარი ის კი არაა, რამდენს იცოცხლებს, ან როგორ მდიდრულ საფლავს და მარმარილოს ძეგლებს აუგებენ ადამიანს, არამედ ის, რა სულიერ საგანძურს დაუტოვებს ერს, კაცობრიობას, რა ზნეობრივი მრწამსით იცხოვრებს წუთისოფელში, რა სულიერი საგანძურით ეზიარება მარადიულობას.

მაქსიმალისტი ადამიანები მიწაზე ვერასოდეს პოულობენ იდეალს და ამიტომ სინანულის გარეშე ტოვებენ ხორციელ გარსს, მხოლოდ მარადიული სამყარო ეიმედებათ. „...გარდავიცვალე... მომიახლოვდი, მომეფერე კუბოს ფიცარზე, ვეღარ ვიპოვე ვეღარც ცაზე, ვეღარც მიწაზე, ვეღარც ყინწვისის ანგელოზი, ვეღარც ალლაჰი. მომესალბუნე, მომიტანე მწვანე ბალახი, ცოტა სიმწვანე გაურიე ზამთრის აურას, რათა შევიგრძნო გაზაფხულის მოახლოე-ბა, ...რათა გავფანტო მარტოობის აურზაური“ (გარდავიცვალე) (17, 58).

სიცოცხლეშივე გარდაცვლილებს, ადამიანური საზრისის დამკარგავთ ნიცშესავით განიკითხავს პოეტი, მათ „მოსიარულე გვამებს“ უწოდებს და თვითმკვლელობას ურჩევს: „...მოსიარულე გვამები... მოიძიე მტერი,

საკუთარი თავი, ერთადერთი თითი — საჩვენებელი — ჩახმახს გამოჰკარი ცისკენ“ (თორმეტივე საათის მიმართულებით) (16, 35–36).

ნიკო სამადაშვილივით, ტერენტი გრანელივით ამქვეყნიურობას მიწად და ქვიშად აღიქვამს: „არავინ იცის, როდის გამოგეცლება მიწა, — ქვიშაა იგი, თითებშუა ჩამოშლილი ქვიშა და ბრუნავს“ (მიწა) (13, 134).

გაუსაძლისი ტკივილის დასაყუჩებელი წამალი საფლავის დიდი ლოდია: „... რა აყუჩებს ტკივილს? უფრო დიდი ლოდი, უფრო მძიმე ლოდი“ (ნესტი. მისტერია) (13, 112).

მოკვდავთა დიდი ნაწილი ბოროტ ძალებთან არის შეფიცული და დემონიც ადამიანთა სულებზე ნადირობს (დემონი) (11, 29).

ბრმადშობილები, მასის, ბრბოს წარმომადგენლები ვერც არსებობის არსს აცნობიერებენ და ვერც მიღმურ სამყაროში მოსალოდნელ მოვლენებს: „...შენთვის სულერთია, ღმერთი განგიკითხავს, ვინმე მოკვდავი თუ ღამის ალქაჯები“ (მიდის ქარაშოტი) (11, 46).

„კაცის სისხლზე დაგეშილი ნაგაზია სიკვდილი“ (ეპიტაფია ჩემი) (13, 125).

„სულ შია სიკვდილს — ერთი ფასი აქვს მისთვის ფერებს — ყვითელს, წითელს, თეთრსაც და შავსაც, — ლეში — ლეშია“... მაგრამ ნუგეში ის არის, რომ სიკვდილს ამარცხებს მზე — ღმერთი, ადამიანის სულში დავანებული არსთაგანმრიგე: „... სიკვდილს სულ შია, მზე კი — სულშია“ (ეთიოპიელი ბიჭის მონოლოგი) (13, 145).

პოეტს ხელეწიფება უცქიროს „ყველაფრის მიღმა, მიუვალ მხარეს“ (ვიყავით ორნი) (11, 16).

ვაჟა-ფშაველას სწამდა სიკეთის, სამშობლოს მსახური ადამიანის სულის უკვდავება: „მრწამს, მარად მიწამებია მუდმივ სიცოცხლე სულისა, კარგისა, ქვეყნის მოყვარის, ქვეყნის ბედისგან წყლულისა... კარგს გულს არა ჰკლავს ბუნება, თან დააქვს ძველის ძველადა“ (სიმღეარა) (18, 246).

აღმოსავლური სიბრძნე შეგვაგონებს: „...ვინც არყოფნას უჭვრეტს, სრულქმნილია... ვინც წარუვალში გარდაიცვალა, მარადიულია“ (ლაო ძი, დაო დე ძინი) (3, მ201, 78).

„ჭეშმარიტად მხოლოდ ის ეზიარა მარადიულს — ვინც გაიბუნება სიწმინდე და უბრალოება. ვინც შეიზღუდა სურვილები და დაიცხრო ვნება.

ვინცა უარყო ცრუსიბრძნობა და ცრუმეტყველება“ (ლაო ძი, დაო დე ძინი) (3, 90, 46).

„...ვინც ყოვლისმხილველია, ვინც მძლეთამძლეა, ვინც გასხივოსნებულია: უკვდავია და მრავალჟამიერი. ოდენ გვამი იხრწნება მისი. ამას ჰქვია ზიარება მარადიულთან“ (დაო დე ძინი) (3, 214, 12).

შტაინერი აცხადებდა: „მშვინვიერი სამყარო და სულეთი ისეთივე რეალურია, როგორც გრძნობადი სამყარო. თანაც რეალურის უფრო მაღალი გაგებით“ (თეოსოფია) (19, 135).

აღიარებს რა სიკვდილის გარდუვალობას, რობერტ მესხს ეიმედება სულის უკვდავება.

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. შრიმად ბჰაგავატამი, სიმღერა მეორე, მისი ღვთაებრივი მოწყალება ა. ჩ. ბჰაკტივედანტა სვამი ჰრაბჰუპადა, კოსმიური გამოვლინება, თბ., 1992
3. ლაო ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და კომენტარები ლერი ალიმინაკის, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1983
4. მიხეილ ზოშჩენკო, მზის ამოსვლის წინ. გონებისათვის. თარგმნა ეთერ თვარაძემ, „განათლება“, თბ., 1986
5. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ., 1991
6. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ., 1990
7. ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1990
8. ბჰაგავად გიტა, თარგმანი თამაზ ჩხენკელის, თბ., 1983
9. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990
10. უილიამ გათრი, პლატონი, ბერძენი ფილოსოფოსები, თბ., 1983
11. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ., 2001
12. რობერტ მესხი, მთვარე და ქუჩა, „უნივერსალი“, თბ., 2010
13. რობერტ მესხი, მზის რაფსოდია, თბ., 2013
14. რუდოლფ შტაინერი, ქრისტე გოლგოთას მისტერიის დროს და ქრისტე XX საუკუნეში, თბ., 1994

15. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, თარგმანი აკაკი გელოვანის, ბათუმი, 1988
16. რობერტ მესხი, ნიჟარები, „უნივერსალი“, თბ., 2008
17. რობერტ მესხი, წაშლილი ბაიათი, თბ., 2004
18. ვაჟა-ფშაველა, ხუთტომეული, ტ. 2, „პალიტრა L“, თბ., 2011
19. რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია, თარმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ, 1970 წ. რედაქტირებულია 1995 წელს.
20. რობერტ მესხი, Narcosis, თბ., 2020

ბედი წააგავს სისხლიან კორიდას

ბედისწერა მარადიული, მაგრამ ბოლომდე ამოუცნობი პრობლემა იყო მუდამ.

მარტო გენიები, შემოქმედნი, ფილოსოფოსები ცდილობდნენ ბედისწერის სფინქსის შეცნობას.

მარკუს ავრელიუსი მოგვიწოდებს: „გახსოვდეს ყოვლადი არსი, რომლის ესოდენ უმნიშვნელო ნაწილი ხარ შენ, მარადისობა, რომლისგანაც მხოლოდ ერთი წამი გხვდა წილად, მოკლე და სწრაფწარმავალი წამი, ბედისწერა, რომელშიც შენც წილი გიძევს, მაგრამ რაოდენ უბადრუკი წილი“ (მარკუს ავრელიუსი) (1, 140).

„ბედისწერა, ეს უმაღლესი მიზეზი, ყველა ცალკეულ მიზეზთა ერთობ-ლიობისგან ითხზვის“ (1, 130).

რუდოლფ შტაინერი საუბრობს „ბედისწერის სფინქსზე“ (2, 13).

ანთროპოსოფიის ფუძემდებელი სვამს კითხვას: „როგორ იქმნება ზოგადად ჩვენი ბედისწერა?“ (3, 65).

„კარმის კანონი პასუხს იძლევა დიად ცხოვრებისეულ კითხვაზე: ზოგადად, როგორ ყალიბდება ჩვენი ბედისწერა?

„ბუნებაში ბატონობს დიადი მიზეზობრივი კანონი და ეს კანონი გადადის სულიერ სამყაროში. ეს არის სწორედ კარმის კანონი (3, 60).

„წარსულის განცდები იქცევა მომავლის ბედისწერად... რასაც მე დღეს განვიცდი, ამას თავისი მიზეზი წინა ცხოვრებაში აქვს და რასაც დღეს ვაკეთებ, ის ქმნის ჩემს ბედისწერას შემდეგი ცხოვრებისთვის: მიზეზი წინა

ცხოვრებაშია. ადამიანმა თავისი ბედისწერა წინა ცხოვრებაში მოამზადა“ (3, 61).

„...თუ ჩემი ბედისწერა თავად დამიმსახურებია, მაშინ უნდა გამამხნევოს იმან, რომ ჩემი ბედისწერის გამოსწორება თავად შემიძლია“ (3, 61).

„...არსებობს რაღაც სახის ანგარიშის წიგნი, გასავლისა და შემოსავლის გათვალისწინებით... როცა დავიანგარიშებ და ბალანსს გავაკეთებ, შედეგი იქნება ჩემი ბედისწერა. ყოველი ახალი წამოწყება ცვლის ბალანსს და ყოველი ახალი ქმედება ცვლის ბედისწერას. არაფერი უშლის ხელს ადამიანს, ახალი ფაქტი შეიტანოს სიცოცხლის წიგნში“ (3, 62).

„კარმის კანონი ნების თავისუფლებას არ ზღუდავს. ქრისტიანული ეზოთერიკა იცნობს კარმის კანონს“ (3, 65).

ფიზიკურ ცხოვრებაში ადამიანის ბედისწერას უკავშირდება გარეგნული ბედისწერა შემდგომ ცხოვრებაში. გარეგანი ბედისწერა არის ის გარემო და პირობა, რომელშიც ვიბადებით. ცუდი საქმეების ჩამდენი ცუდ საქმეებს იმზადებს და პირიქით“ (3, 65).

„გარეგნულ ბედისწერას განაპირობებენ წინა ცხოვრებაში გაკეთებული საქმეები (3, 66).

„ცხოვრებაში ბევრი კეთილი საქმეების ჩამდენი შემდეგში კეთილი საქმეების კეთებისთვის მიდრეკილი დაიბადება“ (3, 67).

„...ვისაც მრავალი ინკარნაცია გაუვლია, მათ მრავალი ფურცელი მიამატეს სიცოცხლის წიგნს, ისინი მაღალგანვითარებულნი არიან (იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან) (3, 38).

„თვით ადამიანის მიერ მომზადებული ბედისწერის ღვთაებრივი აღსრულება, — აი, სამყაროული სამართლიანობის ჭეშმარიტი ხატი“ (4, 137).

შტაინერის მიხედვით, „ყოველი საქციელისთვის მოგვეგება გარკვეული კომპენსაცია. კარმის მეუფეა ქრისტე“ (3, 78).

საჭიროა წარსული ინკარნაციის ხსოვნა, სპირიტუალური ჭეშმარიტების შემეცნება (5, 24).

„ცხოვრებას ქმნის არა მარტო წარსულის წინასწარგანსაზღვრულობა, არამედ ახალი წამოწყებები, რომლებსაც მომავალში ჯერ კიდევ მოუწევთ ბედისწერის აგება (5, 31).

ასე გაგებულ ბედისწერას აღმოსავლურ სიტყვა „კარმას“ უწოდებენ (5, 31).

„მშვინვიერი ცხოვრება არის ბედის შედეგი, რომელიც თავად შექმნა ადამიანის სულმა. სხეული ექვემდებარება მემკვიდრეობითობის კანონს. სამშვინველი ექვემდებარება თავის მიერ შექმნილ ბედისწერას. ამ ბედისწერას ჩვენ ვუწოდებთ ძველებურ სახელს — კარმას“ (5, 75).

სული წარუვალია, დაბადება და სიკვდილი — ფიზიკური სამყაროს კანონებით ბატონობენ სხეულებრივობაზე; მშვინვიერი ცხოვრება კი, რომელსაც განაპირობებს ბედი, არის შუამდგომელი ამ ორს შორის მიწიერი ცხოვრების მანძილზე (6, 74).

„ბედი შედგება ორი ფაქტორისგან, რომლებიც ადამიანის ცხოვრებაში მთლიანად შეეზრდებიან ერთმანეთს. ერთი გამომდინარეობს სამშვინველის შიგნიდან გარეთ მიმართული მისწრაფებიდან, მეორე მიუდგება ადამიანს გარესამყაროდან“ (რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა) (2, 180).

აკაკი წერეთელი მრავალგზის ეხებოდა როგორც სამშობლოს, ისე პოეტის ბედს და, სიტუაციის შესაბამისად, ხან ემადლიერებოდა განგებას, ხან საყვედურობდა.

„პოეტების ბედის ვარსკვლავს ქვეყნად ვერრა შეედრება: მათს სიკეთედღეგრძელობას სუყველა ღმერთს ევედრება“, — წერს პოეტი ლექსში „სცენიდან ნათქვამი“. ბედნიერებაა ერის გულისთქმის გაგება, რაც უმრავლებს მეგობრებს, რომლებიც ამხნევებენ, ცოცხალს ტაშით, მკვდარს — გვირგვინით ასაჩუქრებენ (8, 91).

მაგრამ განწყობილების, სიტუაციის მიხედვით, სხვაგვარია ბედიც: „ვის შერჩენია ერთი დრო? სოფელი ცვალებადია: „დღეს რომ ტახტსა სდგამს ოქროსას ბედი, ხვალ მახე — ბადეა“...

ლექსში „საქართველოს დღევანდელი სახე“ ქვეყნის უკეთესი ბედის იმედი ვლინდება: „...მომავალი სიხარულიც ნეტარება და ბედია“... (8, 149–157).

„ავადმყოფ მგოსანში“ ბედის ყვედრებაა: „ბედო შავპირო, უპირო, ამრევო გზა და კვალისა! სულს ნუ ამომხდი, მაცალე დახამხამება თვალისა!“... (8, 21).

აკაკი წერდა: „ერთხელ მეც ვიყავ ბედნიერ და თავს ვაჭერდი ზეცასა! ცას ქუდად აღარ ვაგდებდი, ქალამნად დედამიწასა“ (ცვალებადი) (8, 292–293).

ლექსში „ტასო მაჩაბლისას (წარწერა წიგნზე)“ პოეტს ენუგეშება ტან-ჯვა-ვაებით მოპოვებული უკვდავება: „მთელი ჩემი სიცოცხლე ტანჯვაა და ვაება, ამირანის ჯაჭვებით დაბმული უკვდავება“.

ბედისგან მომდინარე წამების მიუხედავად, სატანჯველის გაძლებაა უკვდავების საწინდარი: „ბედმა დამწვა, დამდაგა; გადამასხა მდუღარე! მაგრამ გაუძლებ ტანჯვას, თუ შენ მისხივცისკარე“ (8, 165).

ბედისწერის წყევლაა ლექსში „უკუღმართო ბედისწერავ“: „ეჰ, წყეულო ბედისწერავ! რა სიბერეს გადამკიდე?! ია-ვარდის მთესველ-მკრეფი ახლა უნდა ეკალს ვმკიდე?“ (8, 97).

საქართველოს ბედისწერის გადამწყვეტად მიიჩნევა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ლექსში „ილიას მოკვლის გამო“: „ნუ მიწამლავთ მოხუც გრძნობას და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა!... ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა საქართველოს ბედისწერა?“ (8, 201).

ლექსში „გამოსალმება“ პოეტის უბედობად მიიჩნევა პოეტობა, რადგან მტრებსაც და მოყვრებსაც გაუწირავთ: „ჩემო ჩანგო, ობოლ-მწირო, ჩემის უბედობის ძირო, მტრებისაგან ქვებ-ნასროლო, მოყვრებისგან განაწირო!“ (9, 98).

აკაკი წერეთლის მთავარი სატკივარი მამულია და პოეტს სჯერა, „რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა მომავალი ბედისწერა“ (ავადმყოფი) (9, 164).

ვაჟას საფიქრალი იყო „ქართველთა ბედისწერანი“ (ანდერძი) (10, 64).

სხვაგან ჩივის: „უბედო ბედმა გამრიყა, მიმაკრა ლოდსა კლდისასა; დავლიე წუთისოფელი, მივემგზავრები ცისასა, ვერცარა თავსა ვუშველე, ვერც გაჭირვებას ძმისასა“ (დამუნჯებულსა ენითა. სიმღერა) (10, 120–121).

ლექსში „ალბომი“ წერს: „საგანი ნაღვლის: ქართველი დედა, იმასთან ერთად ივერის ბედი, დღეს უპატრონო... მას უნდა შველა...“ (10, 145).

პოეტი წუხს, რომ არაკაცებს ჩაუგდიათ ხელში „მართვა ქართველთა ბედისა“ (11, 181–183).

„ბედ-იღბლის ვერაგობაზეა“ ჩივილი ლექსში „კახეთს“ (10, 191–194).

„კალამი გოლგოთური ჯვარია, რომელსაც ხელით ვატარებ“, აცხადებდა მიხეილ ჯავახიშვილი და ამ გამორჩეულ სიტყვის ოსტატს მართლაც არ აცდა ჯვარცმა.

გოლგოთად აღიქვამდა ცხოვრებას დიდი ნოველისტი შიო არაგვისპირელი.

თავის მძიმე ბედისწერას ირჩევს რობერტ მესხი და ნათლად აცნობიერებს, რომ გოლგოთისკენ უწერია სვლა, მაგრამ სიკვდილი არყოფნის გზად როდი ესახება: „გზა გოლგოთას ხვეულია, ყრუ-მუნჯია ბედისწერა, ყველას როდის შეუძლია ხატთან პირჯვრის გადაწერა... ყველაფერი როდი კვდება, რაც კვდება და ხუჭავს თვალებს“ (ასეც ხდება) (11, 14).

პოეტი შეიგრძნობს „უხილავი ბედისწერის“ ხელს და სიკვდილის შიშსაც დაძლევს: „უხილავი ბედისწერა დამტრიალებს, მე გავხდები ჰაერივით გამჭვირვალე და სიკვდილთან არასოდეს ვიმეგობრებ“ (იმ ვარსკვლავზე ქორწილია უსათუოდ) (11, 5).

„ღრუბლებს მიღმა გადაფრენა“, ფრენის უნარი დაჰბედებია პოეტის ქმედით სულს და ამაღლების, შემოქმედებით გადიადების პერსპექტივასაც ხედავს: „... გავცდები ხიდსაც, ვერესაც, ბედსაც“ (ირმის ნახტომი) (12, 114—115).

ამიერიდან ბედისწერის ძალით, მთვარე — პოეზიის ღმერთი და ქარი, — შთაგონების ქარი ხდება მისი მეგზური: „... მთვარე... ბედისწერასავით დამდევს ყველგან, სადაც ქარია“ (ჰორიზონტი) (12, 128–129).

პოეტის სული ჭვრეტს „ყველაფრის მიღმა, მიუვალ მხარეს“ (ვიყავით ორნი) (11, 16).

აღშფოთების საგანია თვისტომთა მიერ თვისტომის ძიძგნა სვავებივით, ძვლების მსხვრევა კამათლების გამოსათლელად და ვითომ იღბლის შექმნა, ხორცის აღზევება, რომელსაც სული ვეღარ მართავს და ამის შემხედვარე წმინდან დედოფალს ეკითხება პოეტი: „... რატომ ძიძგნიან თვისტომნი თვისტომთ, გაუმაძღარი სვავებივით, ერთმანეთს რად ანაწევრებენ? ნუთუ იმიტომ, რომ კამათლები გამოთალონ მათი ძვლებისგან და მყისვე იღბალს გაუგორონ საეგებიოდ? — გკითხავ და მარქვი, დედოფალო, როგორც წმინდანს, გკითხავ და მარქვი: როდესაც სული გაღმაა და ხორცი გამოღმა, ხორცი კიდევ როგორღა დადის, რა ძალა ზიდავს?“ (რომელი მედიუმი მე ვარ, დედოფალო) (14, 84–85).

როგორც შემოქმედთა და, საერთოდ, ადამიანთა უმეტესობასთან, რობერტ მესხის პოეზიაში ხშირად ბედის შეუცნობლობაზეა საუბარი, ან საყვედური აღევლინება ბედს, რადგან აფხაზეთელმა, მშობლიური მიწა—წყლიდან გამოდევნილმა, სიყმაწვილეშივე დაკარგა საყვარელი ადგილების მოქალაქის სტატუსი, დაკარგა ოჯახის წევრები, მეგობრები, ახლობლები, თანამოქალაქეები, ამიტომ უბედობაზე ჩივილი ძალზე ხშირად გაპირობებულია ამ ტრაგედიით.

„მე ვარ, სამშობლო ვინც მტერსა თუ მოყვარეს მისცა — ძალით და ნებით. ზღვაური განა ზღვაურია? — სულთათანაა, ირონიაა ბედის, აბა, რა დოზანაა? ჩასვლის სანაცვლოდ შენს ქალაქს რომ გაიზიარებ!!!“ წერს პოეტი (მინაწერი „აფსნიპრესის“ ფოტოზე (13, 16).

აუხსნელ ბედისწერად ისახება „საკრალურის“, სიყვარულის აკრძალვა ამ ქალაქში: „... სად არის, რაც ჩუმი და საკრალურია? რომ ამ ქალაქში (ალბათ, ესეც ბედისწერაა), თვით სიყვარულიც, სიყვარულიც აკრძალულია“ (დუმხარ ჯიუტად) (12, 57).

სამოთხიდან გამოქცეულისთვის ყველგან უდაბნოა, ასპიტის მზერა რომ ასდევნებია, საშინელი ბედისწერაა ტაძრის ნანგრევის, მავთულხლართების ხილვა, რაც ჯვარცმის ტოლფასია: „... შენ? შენ უდაბნოს ქვიშას შეჭამ, ასპიტის მზერას, მზეში გაძრულს, და როგორც რამე ბედისწერა — ნანგრევი ტაძრის შეგხვდება რკინის მავთულხლართთან და, ამის გარდა, ღმერთი ხარ ვითომ — ჩამოივლიან, რომ საკუთარ ჯვარცმას დაგასწრონ“ (ის და შენ) (14, 28).

და პოეტი ასკვნის: „... ყველაზე ბრმა ბედისწერაა მაინც და ყველაზე თავისუფალი ქარი“ (JESUIS) (15, 38–40).

„ყველა შარაგზა დანაღმულია და ბედისწერა — კოჭი ლოტოსი, შენი მეგზური ან ავსულია, ან უწყლოობით მკვდარი ლოტოსი“, ჩივის პოეტი (როცა მოგხვია ხელი განგებამ) (11, 99).

ბედისწერის შეუცნობლობაზეა საუბარი ლექსში „ასე ხდება“: „ყველა ვერ ფლობს ღვთიურ უნარს წუხილის და აღელვების, გზა გოლგოთას ხვეულია, ყრუ–მუნჯია ბედისწერა, ყველას როდი შეუძლია ხატთან პირჯვრის გადაწერა... ყველაფერი როდი კვდება, რაც კვდება და ხუჭავს თვალებს“ (11, 14).

მთელი ცხოვრება, გამომდინარე ზემოთქმულიდან, „უიღბლო კამათელს“ დამსგავსებია (სიყვარულსაც სცოდნია ზოგჯერ განმეორება) (11, 12).

საყვედური აღევლინება ბედს: „ბედო, ზღვაში მყოფი კაცის წყურვილივით, აღარც დამახრჩვე და აღარც დამარწყულე“ (ძველი ტკივილები როგორ გავანელო) (11, 52).

ბედზე საუბარი ისევ ზღვას ამოატივტივებს ცნობიერებაში: „... ქუჩა გამიტაცებს ძველი სურვილივით, ფოთლებს შერჩენილი ცვარი დამასხურე, ბედო, ზღვაში მყოფი კაცის წყურვილივით, აღარც დამახრჩვე და აღარც დამარწყულე“ (ძველი ტკივილები როგორ გავანელო) (11, 52).

წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრებას ბედი „სისხლიანი კორიდასთვის“ დაუმსგავსებია: „... თქვი, რომ ეს შენა ხარ, არ ველი ზმანებებს, ... რომ ბედი წააგავს სისხლიან კორიდას“... (თქვი, რომ ეს შენა ხარ) (15, 51).

ბუნებრივია, საყვედური აღევლინება „ბრმა ბედისწერას“, ღმერთის გმობით, სიკვდილის ხილვებით ივსება სული: „ხატს შენსას ვეღარ ვუსწორებ მზერას, ვეღარ ვიოკებ სისხლიან ვენებს, სადმე წამიღებს ყრუ ბედისწერა, ჩამდებს კუბოში და გამასვენებს. თუ შენი წილი სიცოცხლით ვბორგავ, წაიღე, უკან გიბრუნებ ამ წილს. ვგმობ ღმერთს და მიწის ხმაურით ვზომავ შენს ვარსკვლავამდე დარჩენილ მანძილს“ (ხატს შენსას ვეღარ ვუსწორებ მზერას) (11, 40).

სიზმარშიც კი სიკვდილის მომტანი განგება ევლინება: „...და დაგესიზმრა თეთრი ლაგუნა და აგედევნა ტკბილი ჰანგები, როცა სიკვდილმა მოგიკაკუნა, როცა მოგხვია ხელი განგებამ“ (11, 99).

უდაბნოდ რომ აღიქვამს ცხოვრებას, სამოთხიდან გამოდევნილს ეგვიპტის უდაბნოდ მქცეველი ბედი აგონდება ქარის გვირგვინით, „სისინა გველების ყელსაბამით“, პელოპონესი, კილიკია, კრეტა და როდოსი (ნილოსის ლოტოსი) (12, 112).

ანგარებით წინასწარმეტყველის ნიღაბმორგებულ ბოშას „ბედ-იღბლის გამყიდველს“ უწოდებს (სიზმრის ქირომანტია) (12, 104-105).

რაკი გაიცნობიერა არსებობის საიდუმლო, „მზის სადიდებლის“ აღვლენა დაისახა მიზნად: „შენი ნებაა მოსვლა, წასვლა, ყოფნა, არყოფნა, რადგან თავისით არ მოწყდება ამ თავს თმის ღერიც. მზის სადიდებელს, სულერთია, ვერვინ დამასწრებს“ (ორი საშემოდგომო) (13, 120-121).

„და უშენობით კვდება ჩემი მოთეთრო ბედი, მარადიული წუთის ფაფარაშლილი სევდა, ჩუმი ალერსი მწუხრის, საით წაიღე, დედა“, შესჩიოდა პოეტი დედის სულს (შენი ორმოცდახუთი) (11, 24–25).

მისი წუხილის მიზეზია „უიღბლობა კაცური კაცის“ (12, 17).

პოეტის მიზანია ბედს იქით, მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრის იქით გაღწევაა (ირმის ნახტომი) (12, 114).

დამოწმებანი

1. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, თარგმნა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., 1983
2. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასი, „პითაგორა“, თბ., 1994
3. რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან, მთარგმნელები: ლ. ბაბლუანი, ა. კვარაცხელია, ასოციაცია „კოგიტო“, თბ., 2014
4. ოტო ფრენკლ ლუნდბორგი, რა არის ანთროპოსოფია, „არილი“, თბ., 1995
5. რუდოლფ შტაინერი, რწმენა, სიყვარული, იმედი; თარგმნა ნუნუ კერესელიძემ, თბ., 2002
6. რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია, თარმგნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ, 1970 წ., რედაქტირებულია, 1995 წ.
7. აკაკი წერეთელი ხუთ ტომად, ტ. 2, თბ., 2012
8. აკაკი წერეთელი ხუთ ტომად. ტ. 3, თბ., 2012
9. აკაკი წერეთელი ხუთ ტომად. ტ. 1, თბ., 2012
10. ვაჟა–ფშაველა ხუთ ტომად, ტ. 3, თბ., 2011
11. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ., 2001
12. რობერტ მესხი, მთვარე და ქუჩა, „უნივერსალი“, თბ., 2010
13. რობერტ მესხი, მზის რაფსოდია, თბ., 2013
14. რობერტ მესხი, NARCOSIS, თბ., 2020
15. რობერტ მესხი, წაშლილი ბაიათი, თბ., 2003

ბედნიერი ვარ! ახლა მივხვდი, რა არის ღმერთი

ბედნიერების განსხვავებული კრიტერიუმები აქვთ ფილოსოფოსებს, რწმენის მსახურებს, რელიგიურ ადამიანებს, მწერლობის, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს.

ეს პრობლემა ყველა დროში აქტუალური იყო და იქნება მუდამჟამს.

„რა არის ბედნიერება? კითხვას სვამს მარკუს ავრელიუსი და პასუხობს: „... შეიცან შენი წილხვდომილი, შეიცან სოფლისაც...“

„შეიმკე სული უბრალოებით, უბიწოებით. გიყვარდეს კაცთა მოდგმა, მისდიე ღმერთს“ (1, 177).

„ყოველი კაცი მისი მისწრაფების საგნის ფასით განიზომება“ (1, 169).

სხვისი უბედურების გულთან მიმტანი, განსაცდელში ჩავარდნილთა შემწე ადამიანები უმაღლეს ბედნიერებას ეწევიან სამარადჟამოდ: „ვინც გაცოდვილდა მთელი ქვეყნის ცოდვით: გაწინამძღვრდა ცისქვეშეთში. ვინც დაიტანჯა მთელი ქვეყნის ტანჯვით, გამეუფდა ცისქვეშეთში“ (2, 232, 189).

„ვყავ რაიმე სასარგებლო თანამოძმისთვის? მევე მოვიგე. ნურასოდეს დაივიწყებ ამ ჭეშმარიტებას და ნუ დაიღლები მისი სამსახურით“, გვმოძღვრავს მარკუს ავრელიუსი (1, 257).

სიკეთის მსახურება, მოყვრის, ადამიანის, სამშობლოსთვის თავდადებაა მთავარი კრიტერიუმი ქართულ კლასიკურ მწერლობაში.

„ყველასათვის კარგი მსურს, ბოროტების მტერი ვარ, არ გავივლებ გულში შურს და მით ბედნიერი ვარ“, აცხადებდა აკაკი წერეთელი ლექსში „უდარდო კაცი“ (3, 49–50).

ქართული პოეზიის უგვირგვინო მეფე ოცნებობდა „სამშობლოს ბედნიერებაზე“, „შორი გაზაფხულის სიმღერაზე“ (ნატვრა) (3, 154–155).

„შვება და ბედნიერება, მხნეობა, უშიშარი სული, მოყვასთა სიყვარული, სხვათა ცოდვის შენდობის უნარი, შრომა, ზრუნვა მოყვრისთვის“ უანდერძა აკაკი წერეთელმა შვილს (ანდერძი ჩემს შვილს) (4, 266).

ვაჟა-ფშაველას „ქებათა ქებაში“ ნათქვამია: „...სიყმილი მკლავდა ძმათა რგებისა, ეს იყო ჩემთვის ბედნიერება, ეს იყო ჩემთვის ყოფნა შვებისა“ (5, 43–45).

ლექსში „წვეთი და ლოდი“ ამ პრობლემის პასუხი ასეთია: „აზრი სწორი და შრომა მედგარი, ბედნიერების მოსაპოვებლად ერთი სახსარი მხოლოდ ეგ არის“ (5, 244–246).

პოეტის ცხოვრების არსი სხვისი ბედნიერებისთვის ტანჯვაა: „ბედნიერი მაშინ ვარ, როცა ვიტანჯვი სხვისთვისა“ (არავისთვის არ გემდურით. სიმღერა) (5, 215–217).

ვაჟა–ფშაველას „ჩემი ვედრება“ შემოქმედებითი მოუსვენრობის, პოზიტიური აზრის მსახურების, უანგარო სიკეთის, მაღალი იდეალების ერთგულების აპოლოგიაა: „ ... გონებას ფიქრი ტანჯავდეს, გულის ცეცხლი წვავდეს ძლიერი, მშიოდ–მწყუროდეს კეთილი, ვერ გავძღე, მოვკვდე მშიერი. ნუ დამასვენებ ნურასდროს, მამყოფე შეძრწუნებული, მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული“ (5, 316–317).

გოეთეს ბედნიერებად ესახებოდა არსებობის საიდუმლოების შეცნობა, დემონზე გამარჯვება, ღმერთის გამოცხადება, ჭეშმარიტების მსახურება.

ფრიდრიხ ნიცშეს ბედნიერება იყო „შემეცნების მაღალ ანძაზე ჯდომა“ (6, 149).

გალაკტიონი აღმოსავლურ სიბრძნეს ეხმაურებოდა, როცა აცხადებდა: „სავსე ვარ რაღაც იდუმალ გრძნებით, გამოუთქმელი მიტაცებს შვება, რა არის იგი — ბედნიერებით გამოწვეული უბედურება, თუ უბედობა სიმწარე-ვნებით?“ (შემოდგომის დღე) (7, 22);

ანა კალანდაძეს არ ხიბლავდა „მიწიური ბედნიერება“. მისი მიზანი იყო „სოფლის საცდურზე“ ამაღლება. პოეტი ღმერთის გამოცხადებას მიიჩნევდა ბედნიერებად (შენს სიამაყეს მივესალმები) (8, 117).

„ლექსის მეუფე“ ნიკო სამადაშვილი არ ეძებდა სიმდიდრეს, წარმავალ მიწიერთა პრაგმატულ ინტერესებს, ის თავის უპოვარ, მაგრამ პოეტური შედევრებით სავსე ცხოვრებას ამჯობინებდა. მისთვის ბედნიერება იყო წმინდა მორალით ცხოვრება, რწმენა, „ლექსის ბაჯაღლო“.

ადამიანი სხეულებრივიც არის და სულიერიც. იმის მიხედვით, რომელი საწყისი ჭარბობს და სულიერების რა საუნჯე არის მიწიერ ქმნილებათა შორის უპირველესი, ღმერთის სახედ და ხატად შექმნილ ადამიანში, განსხვავებულია სულიერ-ზნეობრივი თვალსაწიერი.

სხვადასხვაგვარი ინტერესები აქვთ ბრბოს, მასის წარმომადგენლებს, ინტელიგენციას, თუმცა ინტელიგენციაც მრავალსახოვანია და მათ შორისაც

მრავლად არიან პრაგმატული მიზნების იდეალად დამსახავნი, ცრუნი, ორპირნი, გამყიდველნი თუ მხეცის ინსტინქტებით შეპყრობილნი.

სიკეთით, სულიერებით, ერის ინტერესების მსახურებით, სხვათა ბედ-ნიერებაზე ზრუნვით მხოლოდ მორწმუნენი, ბიბლიური წინასწარმეტველები, ღვთისმეტყველები, შემოქმედებითი, მორწმუნე ინტელიგენციის წარმომად-გენლები გამოირჩევიან.

როცა ამ პრობლემას უღრმავდება, „ჟამიერთან“ მებრძოლი რობერტ მესხი წინამორბედი ბრძენი ფილოსოფოსებივით, პოეტებს, ერთი მხრივ, უბედურ ადამიანებად მიიჩნევს იმ გაგებით, რომ მხატვრული სიტყვის, საერთოდ, ხელოვნების მსახურება ჯვარცმის ტოლფასია, წამებაა, მხოლოდ გულის სისხლის საფასურით მიიწვდომება წარმავლობის დამარცხება, მარადიულთან ზიარება, რაც ამავე დროს, ბედნიერებაა ჭეშმარიტი ოსტატისთვის, ამიტომაც წარმოუდგენიათ ამ ტანჯულ შემოქმედთ ეს ჯვარცმა ბედნიერებად, რასაც პოეტი ტერენტი გრანელის მაგალითზე ათვალსაჩინოებს. სიტყვები „ანთებულ მეტეორებად“ ესახება, სიზმრები გამონაგონის სიმბოლოდ, ქარი — ტიტანურ ძალად, სიბრძნის მოხელთებად: „ჩამიცვივდება ანთებული მეტეორები ერთი სიზმრიდან მეორეში, მერე იქითაც... ყველა პოეტი ერთნაირად უბედურია ამ ცისქვეშეთში და ერთნაირად ბედნიერი, როგორც გრანელი — ქარის თეთრი წამოსასხამით, როგორც ჰაფეზი — დამსხვრეული იადონებით“ (ჩამიცვივდება ანთებული მეტეორები) (9, 55).

სულმა მთა, ხევი, ზღვა, მზე, ცა უნდა აამღეროს, ჩვეულებრივთათვის დაწესებულ ზღვარს უნდა გადასცდეს, ბედს იქით უნდა გააღწიოს, რასაც შეშლილობას, სიგიჟეს უწოდებენ ხელოვნების ფსიქოლოგიაში (დადებითი გაგებით და არა კლინიკური შეშლილობის აზრით) და რასაც მოაქვს ჭეშმარიტების მოხელთების სიხარული, ამიტომ ხდება ამ ორი ცნების ასოცირება: „...მოდი, ნუ დამტოვებ გაზაფხულზე ასე ბედნიერს და გადარეულს“ (მოდი) (10. 51).

ლექსია პოეტის ბედნიერების წყარო, ხოლო ნიჭი ზეცის, ღმერთის, სულიწმინდის მადლია, ლექსს მსხვერპლი სჭირდება, წარმავალი ღირებუ-ლებისგან განრიდება, ყოველივე მიწიერის მსხვერპლად მიტანა, რაც, დიდი ძალისხმევის გამოჩენით, წარმატების საწინდარია და მკითხველის გულის პოვნა ყოველგვარ მიწიერ ბედნიერებაზე უფრო დიდი სიხარულია: „ლექსი

გვიპოვის სადმე ორივეს, ლექსი ზეციურ ალით მიფერფლებს, ლექსი მაჩუქებს მე ყოველივეს და ყოველივეს ლექსი იმსხვერპლებს“ (ლექსი გვიპოვის) (10, 32).

ბედნიერების ილუზიას ამაოდ იქმნიან გიჟები, მდიდრები.

პოეტი „სოველ თაბახზე... აგროვებს ლალს და საფირონს“ (დღეს შემისრულდა) (10, 84).

ჭეშმარიტი შემოქმედისათვის მხატვრული შედევრებია მსოფლიოს ოქროზე ძვირფასი: „არ მინდა ოქროს პოვნა, რაც მსოფლიოში არი, ჟღერს სამშობლოის ხსოვნად ძვირფასი ოქროს ქნარი“, — აცხადებდა პოეზიის „მილიარდერი“, პოეტური შედევრების დიდოსტატი გალაკტიონი.

რობერტ მესხისთვის უპირველესია სულის მარჩენალი, სულის საზრდო ლექსი და მუსიკა: „ვინ გამათასმინა ლექსი და მუსიკა, სული რომ არჩინა?“ (პარნასი) (10, 87).

პოეტისთვის ბედნიერებაა ბუნების წიაღში ყოფნა, ბუნებრიობა, კოსმიური რიტმის, ბუნების მუსიკის მოსმენა: „...უვერტიურა, გომბეშოების მოძახილი შებინდებისას, თეთრი ყანების უეცარი აშრიალება, ცხენის ფრუტუნი... ბედნიერი ვარ, თვით ბუნება მიკრავს კლასიკას“ (სოფელში) (11, 28).

პოეტის სურვილია ირმის ნახტომს გასდიოს ცაზე, გასცდეს ხიდს, ვერეს, ბედს, გააღწიოს კოსმოსში და განიცადოს „ჩაკრულოს“ მოსმენის ბედნიერება (ირმის ნახტომი) (11, 114—115).

ბედნიერებაა სიყვარული, რომელიც ადამიანს ღმერთამდე ამაღლებს: „მიყვარხარ, გესმის? ბედნიერი ვარ! ახლა მივხვდი, რა არის ღმერთი“! ან რა არის თავისუფლება“ (11, 40).

ბედნიერებაა მშვიდობა, უშფოთველი ბავშვობა, სულიერი სიწმინდე (რ და ლ) (11, 52).

ბედნიერებაა ერის სულიერ საგანძურთან ზიარება, ბედნიერებაა რუსთაველზე სეირნობა (მთვრალი პოეტი) (11, 110), ბუნების განცდა, სამყაროს ყველა სულიერზე ზრუნვა (ჩემს აივანზე) (12, 76).

დამოწმებანი

1. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, ლათინურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., 1972
2. ლაო ძი, ლაო დე ძინი, თარგმანი, წინასიტვაობა და კომენტარები ლერი ალიმონაკის, თბ., 1983
3. აკაკი წერეთელი ხუთ ტომად, ტ. 1, პოეზია, „პალიტრა L“, თბ., 2012
4. აკაკი წერეთელი ხუთ ტომად, ტ. 2, პოეზია, „პალიტრა L“, თბ., 2012
5. ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, ტ. 3, „პალიტრა L“, თბ., 2011
6. ფრიდრიხ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თარგმანი ერეკლე ტატიშვილის, თბ., 1993
7. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1977
8. ანა კალანდაძე, ლექსები, თბ., 1987
9. რობერტ მესხი, წაშლილი ბაიათი, თბ., 2003
10. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ., 2001
11. რობერტ მესხი, მთვარე და ქუჩა, „უნივერსალი“, თბ., 2008
12. რობერტ მესხი, მზის რაფსოდია, საუნჯე, 2013

თავი IV.

სახისმეტყველების საკითხები

ბიბლიური პარადიგმები

ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვა უმეტესად ენიგმურია, სიმბოლურ–მეტაფორული, იგავური.

ძველი და ახალი აღთქმა სავსეა იგავებით, ალეგორიებით, რომლებიც გადატანით, დაფარულ აზრს, ანდაზას, ზნეობრივ–დამრიგებლურ დასკვნას შეიცავს.

„ყურს მოვუგდებ იგავს, ქნარზე ამოვხსნი ჩემს გამოცანას“, — აცხადებდა დავით წინასწარმეტყველი (ფს. 48,5) (1,572).

რობერტ მესხის პოეზიაში მრავლად გვხვდება სიმბოლურ–მეტაფორული, ენიგმური სახეები.

პოეტი ზედმიწევნით კარგად იცნობს წმინდა წერილს, მითებს, ლეგენდებს, ქართულ თუ უცხოურ კლასიკურ მწერლობას, როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ფილოსოფიას, რაც საშუალებას აძლევს, თავისი სათქმელი ნისლით, ბურუსით შებუროს და მკითხველს ამოცნობის სიხარული არგუნოს. მისი შემოქმედება სავსეა ბიბლიურ წინასწარმეტყველთა, აპოკალიფსური პარადიგმებით.

პოეტი აქცენტირებას ახდენს სოციალურ, ეროვნულ სატკივრებზე, პოლიტიკურ პროცესებზე, იკვლევს მოვლენების მიზეზ–შედეგებს, რათა სწორი ორიენტირები დაუსახოს საზოგადოებას.

აფხაზეთელს, საუკუნის ტრაგედიების მხილველს, ხელეწიფება საბედისწერო პროცესების შეფასება ობიექტური თვალთახედვით. პოეტი ხან პირდაპირ, ხან სიმბოლურ–ალეგორიულ ჭრილში წარმოაჩენს მოვლენებს, ხშირად მიმართავს ბიბლიურ, აპოკალიფსურ სახეებს, რომელთაგან უპირველესი ადგილი უკავია გველის, გველგესლას, გველეშაპის, ქვეწარმავლის, ტრიტონის, ხვლიკის, დინოზავრის, მგლის, ავაზას სახეებს.

სამოთხის პირველი ადამიანების — ევას და ადამის მაცდუნებელი გველის სახე ჯერ კიდევ წმინდა წერილის დასაწყისში გვხვდება. ქვეწარმავალმა უკვდავ ადამიანებს უბიძგა სამოთხის ცნობადის ხის აკრძალული

ნაყოფის მიღებისკენ და მთლიანად შეცვალა მათი ცნობიერება, რაც უზენაესის ყოვლისმხილველ თვალს არ გამოეპარა, ამიტომაც სამოთხიდან განდევნა და მოკვდავად აქცია ურჩი ადამიანები.

რობერტ მესხი ძალზე ხშირად მიმართავს გველის სახეს და მის ვარიაციებს განსაკუთრებით მაშინ, როცა აფხაზეთის ტრაგედიის მიზეზებს წარმოაჩენს.

ლექსში „რიწა“ აფხაზეთის სამოთხეს გველი (მტერი) შემოხვევია და იობივით დატანჯულ პერსონაჟს ლექსისა მხოლოდ მაცხოვრის იმედი აქვს.

კვანძის ჩახლართვის ოსტატებმა „მარჯნის ტროპიკს“ გველი შემოუსიეს და იობისებური ტანჯვისა და მოთმინებისთვის გაწირეს ძირძველი ქართველობა: „ღანძილისფრად შეიღება რიწა და არ ვიცი, რა თილისმა მიცავს. ჩაიხლართა უხილავი კვანძი, ვინ გაზომავს შენს ტალღამდე მანძილს?“

ამ უბედურების მთავარი რეჟისორი გველია, რომელმაც შხამი და გესლი დათესა მშვიდობიანად მცხოვრებ ეროვნებებს შორის: „მოეხვია მარჯნის ტროპიკს გველი და იობის მოთმინებით ველი ამდაგვარი მოთმინების საზღვარს, გადმომხედე, მაცხოვარო, აქ ვარ“ (2, 29).

ლექსს პოლიტიკური ქვეტექსტიც აქვს, რადგან აფხაზეთის დაკარგვა გარეშე, ბოროტ ძალებთან შეკრული ვერაგი შინაურის ხელშეწყობით მოხდა.

ეროვნული უბედურებით გაწამებულ პოეტს მუდმივად ჩაესმის „ასპიტთა ხროვის სისინი“ (კვლავ შემოდგომის ფოთლებად მაცლის) (5, 74).

შემთხვევითი არ არის მაცდური გველის მუდმივი მოლანდება, რომელმაც მთლიანად შეცვალა სამოთხის მკვიდრთა ცხოვრება, რადგან საუკუნის ბოროტების წინააღმდეგ შემტევი ძალა იყო საჭირო: „რა იოლია, ყველაფერი გველს დააბრალო, გველს და ვაშლის ხეს, როცა უბრალო სიზმარიც კი ვერ ამიხსნია“ (მსგეფსი) (6,113).

საშინელი ღალატის მომსწრეს, ღიმილიც კი გველის, მახრჩობელას, გესლიანი კობრას ხსოვნას უტოვებს: „...ხმიადში საწამლავი... ღიმილი ჰგავდა გველს, მახრჩობელას, ან კობრას, გესლიანს“ (შუაღამის ლოცვა) (4,152).

დავით წინასწარმეტყველი სიცრუის მსახურ მოსამართლეთა, ბოროტეულთა მისამართით აცხადებდა: „მათი შხამი მსგავსია გველის შხამისა, ყრუ ასპიტისა, ყურს რომ დაიჩულავს“ (ფს. 57,5) (1,581).

„ასპიტთა ხროვა“ არ შორდება პოეტის მოგონებას: „...როგორც ბიბლიურ ჟამთა მირაჟი, ასპიტთა ხროვა მიხმობს სისინით“ (კვლავ შემოდგომის ფოთლებად მაცლის) (5, 74).

გზა და ქვაფენილიც კი ასპიტს დამგვანებია: „და გზა იყო ჩხრიალა ასპიტის მსგავსი და ქვაფენილი — აჯაგრული ხორკლი“ (რენე) (8,7).

„შენ გაგბაწრავენ ჭრელი გველები“, — ჩივის პოეტი (მარტოობა) (6,90–91).

სუბტროპიკული სამოთხიდან გამოდევნილი ადამიანი მუდმივად უდაბნოს არსებად გრძნობს თავს: „...ყბედობს ორაკული: უდაბნოს ნიღაბი ეგვიპტის ბედია, ახლა იქ ქარიღა დაიდგამს გვირგვინს და შეიბამს სისინა გველების ყელსაბამს“ (ნილოსის ლოტოსი) (6,112).

„ოქროს ნაპირსაც“ „გორგონების გესლი“ წამლავს, არც იმ ტალღების „ძველი მოტივი“ ისმის, უცნობი ბილიკებია წინ: „ო, იმ ტალღების რა ხანია შეწყდა მოტივი, ოქროს ნაპირი გორგონების გესლმა გამურა და სიჭაბუკე— ქარვისფერი სიასამური უცნობ ბილიკებს გაედევნა ქარაშოტივით“ (ფერადი სონეტი ფიქრის) (2,60).

„შემჭამა, დამღეჭა ნაბუქოდონოსორმა, ბაბილონის მეფემ, ცარიელ ჭურჭლად მაქცია, გადამყლაპა გველეშაპივით“, ჩიოდა იერემია წინასწარმეტყველი (51,34) (6,177).

ეგვიპტის მეფე, ფარაონი მოიხსენება, როგორც „დიდი გველეშაპი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 29,35) (7,221).

აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის რეჟისორად რობერტ მესხი „შავ ვეშაპს“ მოიაზრებს: „...ხან გემებს ყლაპავ, ხან დედოზარს ლურჯი მონასტრის, ჩემი ქალაქი, ჩემი ერთი ციცქნა დონაქსი, რომ მიუგდე ტალღის ეშაფოტს, დამიბრუნე, შავო ვეშაპო“ (შენი ბრალია) (8,4).

„უძილობის სეზონის“ ლირიკული პერსონაჟი ამხელს, რომ მისი საცხოვრისი „ვეშაპის ზურგია“: „...შენ რომ დასახლდი, ის კუნძული სინამდვილეში ცისფერი ვეშაპის ზურგია“ (6,22).

„გარეული მხეცები, გველები ნართაულად გამოხატავენ სულიერ მდგომარეობას“, განმარტავს ნეტარი ავგუსტინე (აღსარება) (9,294).

„წმინდა ეპისკოპოსი ეგნატე გვირჩევს: „...რწმენის მახვილით მოჰკვეთე თავი ამ გველებს, როგორც კი თავისი ხვრელიდან გამოსრიალდებიან“ (10,263).

ოქროს საწმისზე არგონავტების თქმულებაში საწმისს გველეშაპი დარაჯობს. საწმისი სულიერი განძია, ეს კი ნიშნავს, რომ ეს სიბრძნე ქვენა ძალების ხელშია (11,176).

მზისკენ, ცისკენ აფრენის სურვილი ილუზია აღმოჩნდა, ცაში „ქერცლიანები“ დამკვიდრებულან, ხოლო ღირსეულთათვის ქვეწარმავალივით მიწაზე ღოღვა მიუსჯიათ: „მზისკენ აფრენას ვფიქრობდი და ახლა რას ვხედავ?! — ცა გაუვსიათ ქერცლიანებს, მე კი დავღოღავ, როგორც უცხო ქვეწარმავალი“ (CLASS REPTILIA) (4,146–147).

რობერტ მესხი უდაბნოდან გამოქცეულს ჰგავს, „ქვეწარმავლის სიბეცე“ აწამებს, მისი სულის იარა კი ზღვის ზვირთებს უკავშირდება: „ნარეკლით სავსე უდაბნოდან გამოვიქეცი, მზეს გავერიდე მწვანე ხვლიკივით, სად დამეკარგე? ქვეწარმავლის მტანჯავს სიბეცე — შენს ლანდს მივკივი“.

მტანჯველია წარსულის „ნაქორალი ქარების“, ძველი იარის— სიყვარულის და ზღვის ზვირთების მოგონება: „ო, წარსულიდან ნაქორალი ქრიან ქარები, წლები მკორტნიან კდემით, კირთებით... რად მომაგონდით, როგორც ძველი ნაიარევი, შენ და ზვირთები?“ (შენ და ზვირთები) (2,17).

ხსოვნაში დასადგურებულა ყარაყუმის უდაბნო, ქვიშა, სიცხე და „რუხი გველგესლა“: „ყარაყუმისკენ მიცურავენ ბედუინები, მზის დიადემით მორკალული ცახცახებს ქვიშა. მახრჩობს ცხელება... რუხი გველგესლა სვირინგივით აზის ბარხანას, შენ სად ხარ ახლა? ქარავანი, აქლემის სევდა... უდაბნოს ხვატი, ხორშაკი ქვიშას მიხვეტავს (იზმორება უდაბნოს ხვატი), — შენ სად ხარ ახლა, ზღვაო, ჰე, ზღვაო“ (უდაბნოში) (2,30–31).

ასე გამუდმებით აედევნება პოეტის ხილვას მშობლიური ზღვა, საკუთარი სულის სახლი.

არა სირბილი, არა ფრენა და ცაში ამაღლება, არამედ „რეპტილიებივით ღოღვა“ გამხდარა სულ სხვა ხვედრისთვის გამზადებულთა ხვედრი (ფრთოსნები) (6, 69–70).

ზოგჯერ შურისძიების გრძნობა ივანებს სულში მზისკენ მიმსწრაფი ქვეწარმავლის ბოროტების გამო, რომელმაც ცხოვრება უდაბნოდ უქცია: „...უდაბნოა ირგვლივ, ქვიშების ბინადარი გველი. გაუჭეჭყე თავი, რას

გაიგებს გველი — ტანცივი, რას იდარდებს გველი?! მისრიალებს მზისკენ! მზე არ დაანებო, მირსა“, ასეთი პოლიტიკური ქვეტექსტის მატარებელია ლექსი „მირსა“ (4,27–28).

მაგრამ შურისძიების გრძნობას ისევ გარდაცვლილი ბოროტების შებრალება ენაცვლება: „გუშინ გულყვითელა მცურავი დავკრძალე და ვგლოვობ“ (მონაჟამა) (4, 150–151).

სისხლის წყურვილს მაინც ვერ იცხრობენ დაუნდობელი არსებები და ჭლექივით ევლინებიან უდანაშაულოთ: „გამოვიზამთრე, როგორც იქნა, არდაღამებით და გრძნობებს, ჩემი სისხლის წვეთებს, ხვრეპენ გველები, მაგრამ წამებით, წამწამებით, წამის წამებით ეს ჭლექიანი წელიწადიც წავა ხველებით“ (რაცა ხარ, ის ხარ) (2,36).

ისევ უდაბნო, გველი, ქრისტეს ოცდაათ ვერცხლად გამყიდველი იუდა ეცხადება პოეტს და სიზმარში ტუტანხამონის ხარხარი ჩაესმის: „გველის თვალებით მიმზერს საჰარა, მიმზერს იუდა — მსხვერპლი მამონის და სიზმრებიდან მესმის ხარხარი ტუტანხამონის“ (გველის თვალებით მიმზერს საჰარა) (5, 85).

გველის, მაცდურის ჩაგონებით გაუხდება კოლხეთის მეფის აიეტის ასული მედეა უცხო იაზონს მოკავშირედ ოქროს საწმისის მოტაცებაში და უბედურებას მოუტანს როგორც ქვეყანას, ისე საკუთარ თავს“ (გველის ელადა) (5,71).

„ზოლიანი ასპიტებია“ გესლიანი ადამიანის სულის მახასიათებელი ლექსში „დაცული ტერიტორიები“ (3,67).

ზოგჯერ ასპიტივით იდევნება კეთილიც: „ხედავ, მდევნიან როგორც ასპიტს, როგორც შაჰმერანს“ (შაჰმერანი) (3,98).

„...როგორც ბიბლიურ ჟამთა მირაჟი, ასპიტთა ხროვა მიხმობს სისინით“, ჩივის პოეტი (კვლავ შემოდგომის ფოთლებად მაცლის ქარი ნაფიქრალს) (5,74).

„ზოლიანი ასპიტების“ ჩასაფრებაა, ლექსში „დაცული ტერიტორიები“ (3,67).

არც ქამელეონის ღალატია დავიწყებული: „შენც ხომ წარსულში მიმა–ტოვე, დიდი ხნის წინათ ჩამოთლილი რუდიმენტივით, აქა ხარ ახლა, მაგრამ იქ ხარ იმავდროულად, — მარცხენა მხარზე ამომწვარი ჭრელი ფარვანა... ქამელეონი“ (ქამელეონი) (6,68).

ასპიტი, ქამელეონი ვერაგი, დაუნდობელი ადამიანის სულის მახასიათებელა ლექსში „უნდა მაცალო“ (2, 24–26).

„ასპიტის კვერცხებს ჩეკავენ და ობობას აბლაბუდას ქსოვენ“, ნათქვამია ესაიას წინასწარმეტყველებაში უკეთურებზე (59,5) (7,117).

ზოგჯერ „ლიტონი სიტყვა“ „ჭრელი ტრიტონია“, დინოზავრივით შემზარავი (თ(ე)ბ(ე)) (2,56–57).

არც სისხლისმსმელი ვამპირის ქმედებაა დავიწყებული: „...დამზრალი მიწა დაემგვანა მომაკვდავ ვამპირს და ტერფზე ხარბად ამილოკა სისხლის წვეთები“ (შენი სარკმელი) (5,53).

სევდა ასოცირებულია შავ, სისხლით გაუმაძღარ ტარანტულთან: „ტარანტულივით შავი, ტარანტულივით ცივი, შემომეხვია სევდა, ვით მარგალიტის მძივი“ (ტარანტულივით შავი) (2,23).

მტაცებელი შავი ავაზაა ადამიანის თანამდევი ცხადსა თუ სიზმარში, რაც სიცოცხლეს ამოკლებს: „სიზმარში ნახე შავი ავაზა, თუ ცხადი იყო — გინდა იცოდე, ბორგავ, თითქოსდა ბოლო ნაფაზთან ტოვებ სიცოცხლეს“... (ცეკვა ღამესთან) (5,90–91).

აფთრები, მტაცებლები ნადირობენ პატიოსნებაზე, სიკეთეზე: „...როცა სანადიროდ გამოვლენ აფთრები, უგონოდ დავთვრები“ (გიჟი ვარ ისეთი) (5,35).

ბოროტეულნი „დაგეშილნი ძაღლებივით“ დაეძებენ სიკეთის მსახურთ (ილუზია) (3,26).

მავანნი ყორანივით, მგლებივით დახარბებულან გემრიელ ლუკმას, მეფისტოფელები დაფნის გვირგვინს: „...მზეზე ყორანი ბებერ ძვლებს ითბობს, ჩხავის და ზამთრის სიცივეს წყევლის. დაფნის გვირგვინი მეფისტოფელებს... გემრიელ ლუკმას ელიან მგლები, ძმას და სიმართლეს — სხვათა შვილები“ (უცხო ხარ ახლა) (5,92).

არავის ესმის განწირული ადამიანის მგლისებრი ყმუილი (მარტოობა) (6,29).

„მოჩვენებითი მეგობრობა დამალულ მახვილს ჰგავს. არა არის რა მგლურ მეგობრობაზე უფრო ბილწი... სათნოს, მართალსა და კეთილმოსურნე კაცს თვალებით იცნობ“, წერს მარკუს ავრელიუსი (12,263).

„მიქცევის“ პერსონაჟი „მგელდაცემული ბატკანივით“ განწირულია: „...მიქცევასავით ვარ დღეს და სავსემთვარეობას ველოდები. რა მომიტანა ღამისთევამ? მგელდაცემული ბატკანივით მითრთის სხეული“ (4,39).

მგლები იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც ქრისტე — კრავი გასცეს და გაწირეს: „...შენა ხარ კრავი, შეწირული, ჩვენა ვარ მგლები, — გვშია თუ არა, გვირჩევნია კრავები ვხოცოთ“ (ზიარება პირველი) (8-67).

„იქ, სადაც მგლები დადიან ლაღად, სულ ერთიანად გაწყდება ცხვარი“, ამბობდა საადი შირაზელი და ასეთ რჩევას იძლეოდა: „... უნდა ყოველდღე ერთი მაინც მოიკლას მგელი, რომ მის ღრიალზე დანარჩენი შეძვრეს ბუნაგში“ (13,10).

პოეტი იმედოვნებს, რომ საყდარში მაინც იქნება უკეთურთაგან დაცული: „ძლივს მივაგენი კელაპტარს, ბურუსში ხელის ცეცებით, — იმედს ვიტოვებ, მგელ-აფთარს აქაც არ შევეფეთები“ (მირქმა) (8,71).

მშიერ მგლებთან არიან ასოცირებული ის ვაიადამიანები, რომლებიც სტომაქის ამოყორვისთვის, დროსტარებისთვის ცხოვრობენ: „ეს გადაბმული დროსტარება არ დამთავრდება, ნადიმი ერქვას, გინდ ღრეობა, — ყბა ყბას დასცილდეს, არაფერი მოაკლდეს სტომაქს“ (გულისამრევი სიტყვა „ვძღები“) ...მავანს ჰგონია, ეს გადაბმული დროსტარება არ დამთავრდება, დიონისოს და სხვა ტირანებს, რომლებმაც გლახაკ-მშიერთათვის ფუთა გამოკრეს ძვლებით სავსე და მახვილის ქვეშ დასვეს დამოკლე... გარეთ ვარდის და დენთის სუნი ერთად ტრიალებს, ვიდრე ქეიფი დასრულდება და დროსტარება, ვიდრე ერთმანეთს ვძიძგნით, როგორც მშიერი მგლები“ (ეს გადაბმული დროსტარება) (8,45).

ასევე, დაგმობილია ანგარებით შეპყრობილი, სალაფავს დადარაჯებული ძაღლის სახეში მოაზრებული ვაიადამიანი: „...გულის მიღმაც შეიძლება იყოს მორყეული ბოგირი, სადაც მშიერი ძაღლი სალაფავს ელის და სცივა“ (ქარის მეტამორფოზა. სეხნიას) (6,72-73).

ვეფხვი და ლამა ნუკრთან არის დაპირისპირებული ლექსში „მუზის პასეანსი“ (6,45).

პოეტი გულისტკივილით კითხულობდა: „...რატომ ძიძგნიან თვისტომნი თვისტომთ გაუმაძღარი სვავებივით, ერთმანეთს რად ანაწევრებენ? ნუთუ იმიტომ, რომ კამათლები გამოთალონ მათი ძვლებისგან და მყისვე იღბალს

გაუგორონ საეგებიოდ?“ (რომელი მედიუმი მე ვარ, დედოფალო?!) (8,84–85).

წმინდა იოანე ოქროპირი უღირს კაცს ლეშის მჭამელ მგელს ადარებს: „უღირსებო კაცი ლეშის მჭამელ მგელს ჰგავს“ (17,98).

საუბრობს რა „პატივმოყვარეობის საშიშ კუნძულზე მცხოვრებ ურჩხულებზე“, წმინდა მამა–იოანე ოქროპირს ასეთ ურჩხულებად მიაჩნია „მრისხანება, სასოწარკვეთა, შური, მტრობა, ცილისწამება, სიცრუე, თვალთმაქცობა, მზაკვრობა, სიხარული მტერთა გაჭირვების გამო, მწუხარება მათ კეთილდღეობაზე, თავის ქება, თვალთმაქცური ალერსი, უგულებელყოფა გაჭირვებულთა, მსახურება მდიდრებისა, გაუბედაობა, სიმკაცრე უბრალო ხალხის მიმართ, ძლიერთა წინაშე უსიტყვობა“...(10,160–161).

რობერტ მესხი გაბედულად ამხელს ადამიანის სახით მოვლენილ ნადირ–ქვეწარმავლებს და მსახურებს არა წარმავალ, არამედ მარადიულ იდეალებს.

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. რობერტ მესხი, წაშლილი ბაიათი, თბ. 2004
3. რობერტ მესხი, ნიჟარები, „უნივერსალი“, თბ. 2008
4. რობერტ მესხი, მზის რაფსოდია,თბ. 2013
5. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ. 2001
6. რობერტ მესხი მთვარე და ქუჩა, „უნივერსალი“, თბ. 2010
7. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
8. რობერტ მესხი, NARCOSIS, თბ. 2020
9. ნეტარი ავგუსტინე, აღსარება, ლათინურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1995
10. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, 1992
11. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ. 1991
12. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, ლათინურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1972
13. გაზ. „სხვა დრო“, 2020, 3(8), 15 ნოემბერი, გვ. 10

დაგაქვს სურვილი — ზღვის ქაფივით დაუდეგარი

ზღვა უპირველესი სახეა ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში, მითოლოგიაში. ზღვის თემით ინტერესდებოდნენ ანტიკურ ეპოქაში, დასავლურ თუ აღმოსავლურ ლიტერატურასა და ფილოსოფიაში და მას გაიაზრებდნენ ფილოსოფიურ, ესთეტიკურ, ფსიქოლოგიურ, პოლიტიკურ ჭრილში.

„ჩემი სული ოკეანეა, მასში ყველაფერი მოჯადოებულია“, წერდა ალ. ბლოკი.

ზღვებზე ხდება მოქმედება შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“. ზღვაში გადაკარგა ნესტანი მამიდამ.

გალაკტიონი აცხადებდა: „ჩემში ზღვა ახმაურდა“ და მერე თვითონვე განმარტავდა ამ ფრაზის ჩანაფიქრს: „ზღვა ახმაურდა, ეს ნიშნავს, რომ ახმაურდა გენია“ (რას ნიშნავს ზღვა ახმაურდა).

ამავე დროს, პოეტი ყურადღებას ამახვილებდა „ფიქრთა ოკეანეზე“: „მსურს, რომ დაფნით გადავხლართო მძიმე ფიქრთა ოკეანე“ (გურიის მთები).

მერაბ კოსტავა ადამიანის სულს ოკეანეს ადარებდა.

ბიბლიაში ზღვა ბოროტეულთა თავშესაფარია: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57,20), (1,98).

„ზღვა აღდგა ბაბილონზე“, ნათქვამია წმინდა წერილში და ამით მინიშნებულია ცოდვების გამო ბაბილონის დასჯაზე.

ქრისტე თავისუფლად დადიოდა ქარიან ზღვაში, მცირედმორწმუნე პეტრე კი იძირებოდა.

ებრაელი ხალხის წინამძღოლმა მოსემ, რომელსაც ეგვიპტელთა მონობიდან გამოჰყავდა საკუთარი ხალხი, ღვთის შთაგონებით კვერთხი დაჰკრა ზღვას, ზღვის წყალი კედლებად აღიმართა და თავისუფლების მაძიებელმა ხალხმა მშვიდობიანად გააღწია ნაპირზე, ხოლო მათი მდევარი უსამართლო ადამიანები ღმერთმა ზღვაში დაახრჩო.

მხოლოდ წმინდა სულის ადამიანს ხელეწიფება ცოდვებზე ამაღლება, როგორც გალაკტიონს, რომელიც აცხადებს: „გადავიარეთ მრისხანე ზღვები“.

რობერტ მესხის პოეზიის უპირველესი პრობლემაა ზღვა. ხან ფიზიკური, რეალური ზღვაა მის შემოქმედებაში, ხან მრავალმნიშვნელოვანი ქვეტექსტების შემცველი, პოეტური ფანტაზიის, გამონაგონის, ფიქრის ამოუწურაობის სიმბოლო: „...თურმე დასრულდა ყველა გზა და ყველა ზღაპარი, ზღვა რომ ჰყვებოდა, შენ კი გეგონა, შემოდგომა და არც ზამთარი არ დადგებოდა... ზღვა კი ჩემია,... ვინ გაუგო ზღვას და ნაპირებს, ანდა დინებებს?“ (გიორგობისთვე ჩაგესახლა სულში სენივით) (2,94).

პოეტის ფიქრების მდევარი „ზღვაურია“: „კანდელაბრები ჩაქრება. შევალ ღამის წყვდიადში ჩახსნილი მკერდით და ზღვაურს, ჩემი ფიქრების მდევარს, გავყვები გვერდით“ (კანდელაბრები ჩაქრება) (3,14). „ზღვაურია“ პოეტის გრძნობებში, ზღვის „ღვთიური არაკია“ სულში (აპრილი უშენოდ) (2,25).

გული ზღვასავით უსასრულო გრძნობის და სურვილების საწყაოა: „...და გული ქარვისფერ ზღვად უნდა დავწურო, რომ ვეღარ დავწურო მაშინაც“ (პარნასი) (2,87).

რეალობა არასახარბიელოა, მაგრამ ნუგეშია ზღვასავით დაუდეგარი სურვილები: „დაგაქვს სხეული, დამსხვრეული ნავი მეთევზის, აღარც საჭეა, აღარც აფრები... წყევლის მინდორზე თეზევსივით დაიზაფრები. ვინ იცის, იქნებ შენი შვება სწორედ ეგ არი, დაგაქვს სურვილი — ზღვის ქაფივით დაუდეგარი“ (3,64).

ზღვასავით იდუმალია მისი სამყარო: „იდუმალებას მე ზღვიდან ვიღებ და ზღვაში ვძირავ“ (როცა ცას ვხედავ)(2,11).

პოეტი, რომელსაც ყველგან უნდა იყოს ღმერთივით, არც ოკეანეს ეპუება: „ოთხივე მხარეს გაგექეცი ერთ დღეს და მივხვდი, სუყველგან შენ ხარ, დასავლით — მწუხრი, სამხრეთით — ქვიშა, ჩრდილოეთით — ზეცის ციალი...“

არც წყალდიდობა აშინებს, ოღონდ ოკეანეს (ფიქრთა ოკეანეს) ეზიაროს: „მე ისევ ხმელი ფოთოლივით ვთრთი და ვწრიალებ, წამიღე, ქარო, ღრუბლებისკენ წამიღე, ქარო, ანდა რბილობი გამაცალე ფსევდოთევზივით, წყალდიდობისას რიო-გრანდეს ჩავყვები თავქვე, — ოკეანისკენ“ (წყალდიდობისას) (5, 110).

რობერტ მესხის, როგორც აფხაზეთელი პოეტის შემოქმედებაში უფრო მეტად რეალური ზღვა გვხვდება, დაკარგული მშობლიური აფხაზეთის,

დაუვიწყარი ზღვის ტკივილი, ამიტომ ქმნის ამ მხარის განუმეორებელ მხატვრულ სახეებს: „... ჩემთვის სამშობლო სიზმარია თეთრი გემების, ზღვა კი მაჯებზე გადამტყდარი საფირონია“ (ალბათ, ასეა) (5,108).

„ჩემი ტკივილი დაკარგული ზღვების ძოწია“, წერს პოეტი ლექსში „ნოსტალგიური სადაფის სონეტი“(4,108).

უპირველესი საფიცარია სამშობლო: მდინარე, მთა, ტაძრები, ცა, ზღვა (ჩემო ენგურო და ...) (2,77).

ღამის ზღაპრად ქცეული აფხაზეთის სატკივარია ლექსში „ჩემი აფხაზეთი“: „ქვაში ჩაწნული და სხივებჩანაკვეთი, ვენახს შეხედავ და ჩემი აფხაზეთი... მზე და ათინათი წყლიდან ანასხლეტი, ზღვისკენ გაუტევ და: — ჩემი აფხაზეთი... უფლის ბიჭები და ჯვარცმის ლაზარეთი, სანთელს დაანთებ და: — ჩემი აფხაზეთი... აღარც ცხადია და აღარც ათასერთი, ღამის ზღაპარია ჩემი აფხაზეთი!“ (2, 78).

ზღვისპირეთი განა მხოლოდ ტერიტორიაა, სალოცავია, შეუძლებელია შეელიო მასზე ფიქრს და მონატრებას: „...ზღვასთან დამრჩენია სალოცავი, ზღვასთან ნიჟარებიც დათვლილია, აწი მონატრებაც ადვილია, — ადვილია“... (უსასრულობაა, შენამდე და) (2,85).

მშობლიური ნაპირების, ზღვის გაუნელებელი ნოსტალგიაა სულის თანამდევი: „გავცქერი შორეთს, საღამოა, ზღვაში ნავია, ნაპირზე შენ ხარ და მუსლიმთა სალოცავია... მე სხვა ნაპირის ნოსტალგია დამეჩემება“ (გავცქერი შორეთს) (2,93).

უკვე სიზმარშია „უბელო ტალღები“, „და ახლა მივცურავ სხვა ოკეანეში“, წერს პოეტი (თქვი, რომ ეს შენა ხარ) (3,51).

ცხოვრებამ „უცნობი ბილიკები“ არგუნა, „ოქროს ნაპირი“ გორგონების გესლით მოიშხამა, არც იმ ტალღების მოტივი ჩაესმის: „ო, იმ ტალღების რა ხანია შეწყდა მოტივი, ოქროს ნაპირი გორგონების გესლმა გამურა და სიჭაბუკე — ქარვისფერი სიასამური უცნობ ბილიკებს გაედევნა ქარაშოტივით“ (ფერადი სონეტი ფიქრიას) (3,60).

უკვე აღარ იგრძნობა შავი ზღვის ტალღის მაჯისცემა (ვიყავით ორნი) (3,16).

მშობლიური, საყვარელი ზღვის გახსენება მკვდარი ზღვის ხილვას გადაეფსკვნება, იუდას, წმინდა მიწას, და, სხვა ნაპირზე მოარულს, წვიმა „ვერშეშრობილ“ ცრემლებად ეღვრება: „...ოდენ ზღვა იყო სიყვარული,

მზისფერ ვნებებად სულში ჩაღვრილი და სხივებში გამოკვართული... მკვდარ ზღვაზე იდგა დანგრეული ბეთ–ჰა მიკდაში და იქვე დაფლა სიყვარული მოდგმამ იუდის, მივუყვები ნაპირს, ქვიშიანს, ნაპირი იგი უფრო მზარავს, უფრო მაღონებს... წვიმა ცრემლია, ეს ნაპირიც შენი ცრემლია, ისე ძვირფასი, რომ აქამდე ვერშეშრობილი“ (შენი სარკმელი) (353–54).

„...უკვე აფხაზეთიც შორი არი — დიოსკურიაც და მაგნოლიაც“, იდეალის სიშორეზე წუხს პოეტი (შენგან მაგნოლია შორით არი) (2,89–90).

ზღვა სამუდამოდ ჩარჩენილა ხსოვნაში: „...ნოემბერია, ზღვაში შესვლა მაინც გავრისკე, აფრას მივყვები, ის კი ილტვის ცივი ქარისკენ“ (ლურჯი სოსავლე) (5,18).

ზღვასთან თავისი სათხოვარი აქვს პოეტს: „დილაობით ზღვასთან მივალ და ჩურჩულით შევთხოვ, ისე დაცხრეს და დაწყნარდეს, როგორც მე ვწყნარდები ლოცვისას“ (თხოვნა) (5,23).

„მიტოვებული ქალაქის მწუხრი“, „ჯადოსნური ზღაპრის“ გახსენება, დამსხვრეული ხომალდი და სევდის ოკეანე, შაოსანი დედები და ღრუბ–ლიანი სულია აქცენტირებული ლექსში „ნოსტალგიური“: „...როდის გა–მოვიქეცით ჯადოსნური ზღაპრიდან მე — დაღლილი მეთევზე, შენ — მწუხარე ქალთევზა?!... რანაირად შევცურეთ სევდის ოკეანეში, დამსხვრეული ხომალდით, მოშვებული მკლავებით?... მომტირიან ღრუბლები — შაოსანი დედები მე — ისედაც შაოსანს და ისედაც ღრუბლიანს“ (ნოსტალგიური) (...5,26–27).

„უძღები შვილივით“ ზღვაში დაბრუნებულ პერსონაჟს ზღვაც ქვრივივით ძაძით დახვდა, ტყვიისფერი ტკივილით, ლოდებით: „ქანცმილეული დავბრუნდი, ზღვაო, როგორც მიჯნური დაღლილი დევნით. გამოვექეცი სიზმრიდან ქაოსს და ცხადში ვევნე, გზადაბნეული უძღები შვილი, იქნება, ღირსიც არ ვიყო სალმის... ვით მიწის ქვრივი, კარგა ხანია დადიხარ ძაძით და ვერ იცილებ ტყვიისფერ ტკივილს, ლოდად რომ გაწევს“ (დაბრუნება ზღვასთან) (3,28).

ლექსში „რიწა“ ბოროტეულთა, გველის ნაშიერთა კვანძებია გახსნილი და იობის მოთმინებას საზღვარი არ უჩანს, მხოლოდ მაცხოვრის იმედია მაცოცხლებელი: „ღანძილისფრად შეიღება რიწა და არ ვიცი, რა თილისმა მიცავს. ჩაიხლართა უხილავი კვანძი, ვინ გაზომავს შენს ტალღამდე მანძილს? მოეხვია მარჯნის ტროპიკს გველი და იობის მოთმინებით ველი

ამდაგვარი მოთმინების საზღვარს, გადმომხედე, მაცხოვარო, აქ ვარ“ (3,29).

უდაბნოს ხვატში, ბედუინების ქარავანთან, აქლემთა სევდასთან უფრო მძაფრდება ზღვის მონატრება: „...შენ სად ხარ ახლა, ზღვაო, ჰე, ზღვაო“... (უდაბნოში) (3,30–31).

საჰარის ქვეწარმავლებიანი უდაბნო იჭრება ხილვებში.

„...ისე მიყვარდი ზღვაო, ისე — ვერ ვიფიქრებდი, თუკი ოდესმე შენს თავს ვინმე დამაყვედრიდა“, შეჰღაღადებს საფიცარ ზღვას პოეტი (კუთხის ოთახი) (6,7).

დედასავით ძვირფასი ცხუმი „სიზმარია, ანდა სახე ძველი ლექსიდან“ (ასე მოსვლა მე ვინ მასწავლა) (6,15).

პოეტი ასე მიმართავს მშობლიურ ადგილებს „... დაგიშვია წვიმების ფარდა, მახვედრებ მკვდრის მზეს... რომ გაგიჩნდი, გყოლოდი, ზღვაო, — რად გამაშვილე?!“ (გყოლოდი, ზღვაო) (6,31).

ხსოვნას არ შორდება ომის სურათები, „სადაც წყალმცენარეთა სუნში აღრეული გახრწნილი დელფინების სუნი იდგა და თვალდათხრილი ქალები ავტომატის ტყვიებს ეძებდნენ ფერდში, მუხლებში, თირკმელში, გულში“ (ნიჟარები. ფიქრიას) (4,116–120).

წვიმა, ზღვა, აკვარიუმი, შადრევანი, ცრემლის წვეთი ფობიად ქცეულა: „წვიმის ფარდების მეშინია (ძველი სახეა, პოეტური...), რაღაც „ფობია“ მჭირს: ზღვაზე ვერ ვბანაობ, აკვარიუმთან ვერ მივდივარ, შადრევნებს ვუფრთხი... ეგ არაფერი — სველ თვალებში ვეღარ გიცქერი — მგონი გავცოფდი“ (ფობია) (4,59).

ომის უბედურებას სამუდამოდ დაუბუდებია სულში: „ხანდახან ხდება,— სულის ნაწიბურებს ვისწორებ, ტყვიის კვამლს ვისრუტავ და ვხრჩოლავ. ვხედავ: ჩემს ქალაქში მოკლულთა აჩრდილები დადიან, ერთმანეთს ეჩურჩულებიან და აყვავებულ მიმოზებს აფრთხობენ... ოქროსფერ მტვერს აცემინებენ მშიშარა მიმოზები, მდუმარე ზვირთსაქცევებს შესცქერიან და უკვირთ, ქუჩები რომ ცარიელია, ყავის სუნი რომ არ დგას, ზღვამ რომ თავისთავში დაიხია“...(აჩრდილები) (4,49).

ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ ზღვის უკანდახევა ქვეყნის მომავალი უბედურების მაცნედ აღიქმება.

ასეა რობერტ მესხის ლექსშიც: „ზღვაში ჩამახრჩვეს და ვერაფრით გამოვირიყე“, ჩივის პოეტი (7,32).

თოლია, პალმა, ზღვა არ შორდება ხსოვნას: „ეჰ, მერამდენედ ჩურჩულებენ უკვე ჩემი და შენი ჩრდილები თოლიაზე, ზღვაზე, პალმაზე... უნათებთ მთვარე — მოპარული ერთ დროს ალმასი ბაგრატოვანთა მოოჭვილი დიადემიდან“ (ჯადოსნური წამოსასხამი) (4,107).

პოეტის სულის მიგნებული დახასიათებაა სტრიქონები: „შენი — არა, პალმის ნეკნი ვარ, ზღვის ქაფი ვარ, დაუდეგარი!“ (7,61).

ბრწყინვალე ხედვითი სახეა: „ზღვა ცით ჩამოყრილ მარგალიტებს ყელში იყრიდა“(თოვლი).

დამოწმებანი

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, 1990
2. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ. 2001
3. რობერტ მესხი, წაშლილი ბაიათი, 2003
4. რობერტ მესხი, ნიჟარები, „უნივერსალი“, 2008
5. რობერტ მესხი, მთვარე და ქუჩა, „უნივერსალი“, თბ. 2010
6. რობერტ მესხი, მზის რაფსოდია, თბ. 2013
7. რობერტ მესხი, NARCOSIS, თბ. 2020

ცის პოლიფონია

შემოქმედნი, პოეტები, შთაგონებას ყოველთვის ცას უკავშირებენ, რადგან ნიჭის მომმადლებელია სამების მესამე წევრი სულიწმინდა, რომელიც ხელოვანს ცამდე აიტაცებს, რათა ზეციდან მოახილვინოს მიწა და პირიქით, მიწიდან აზიაროს ცის იდუმალებას.

ცისადმი ინტერესს ავლენდა ბიბლია, ბერძნული, ეგვიპტური, შუმერული, ინდური, ჩინური მითოლოგია, ანტიკური ეპოქის მოაზროვნეები, ქართული კლასიკური პოეზია.

ბიბლიის მიხედვით, ღმერთის მიერ შექმნილი ცა და დედამიწა არ არის მარადი ბუნების. ძველი აღთქმის ესქატოლოგიური შეხედულების მიხედ–ვით, არსებულ სოფელს აღსასრული მოელის, რის შემდეგაც უნდა იყოს „ცა ახალი და ქვეყანა ახალი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 65,17) (1,122).

ხილული ცა და მნათობები ღმერთის მიერ არის შექმნილი და ის ძველი აღთქმის პირველსავე სტრიქონებში გვხვდება, ხოლო ღმერთების ცას „ცანი ცათანი“ ეწოდება.

„ცანი ცათანი“ არის არამატერიალური, უხილავი, მეტაფიზიკური, ტრანსცენდენტური, რომელიც გაიგივებულია ღვთაებრივთან.

„ჩვეულერივ, არაფილოსოფიურ სიტყვათხმარებაში „ცა“, „ზეცა“ ღვთაებრივის, არამატერიალურის სინონიმიცაა. ასეა ხშირად ბიბლიაშიც: „უფალო, ღმერთო ცათაო“ (წიგნი ნემიასი, 1,15) (2,55).

მიწა და ცა შექმნილია, „ცანი ცათანი“ კი, რომელიც თავდაპირველად შეიქმნა ღმერთის მიერ, სულიერ სამყაროს წარმოადგენს, ის არის ჩვენი ხილული ზეცის მაღლად. „ცანი ცათანი“ გონიერი ზეცაა, სადაც გონებას ყველაფრის ერთბაშად შეცნობა ეძლევა და არა ნაწილობრივ, არამედ მთელი თავისი სისრულით, გამოცხადებით“ (ნეტარი ავგუსტინე) (3,382,383,384,386,388).

რობერტ მესხი, როგორც ჭეშმარიტი პოეტი, მიწასთან ერთად, ცის ბინადარია, მისთვის ორგანულია ჭვრეტა როგორც ხილულ, ისე ჩვეულებრივთათვის მიუწვდომელ ცათა ცაში, საიდანაც ეძლევა შთაგონება.

„ბავშვობიდან ზეცის ყურებას“ შეჩვეულია მისი თვალი (ტყეში) (4,44).

ზეცას უკავშირდება მისი „საოცარი სიზმრები“: „გავყურებ ზეცას, თითქოს ვხედავ სიზმარს საოცარს, მე — ჩემს თავში და ამ ქალაქში გამოკეტილი“ (მტვრით და ნისლებით) (4, 67).

ზეცაში აღწევს მისი სული გასხივოსნებას: „ნუ მომწყვეტ ზეცას, ნურასოდეს ნუ მომწყვეტ ზეცას, თორემ ნოემბრის ფოთოლივით გაგიხუნდები“ (ნუ მომწყვეტ ზეცას) (4,21).

„პითაგორელნი გვირჩევდნენ, დილაადრიან ზეცად აღგვემართა თვალნი“, წერს მარკუს ავრელიუსი (5, 271).

„...მივეახლეთ ზეცის სფეროს, ზესთა ზენარულს“, წერდა ზეცაში სულით მოარული დანტე.

„ზეცა ყველა რჩეულის მამულია“, აცხადებდა განმანთლებელი ტიხონი.

„თუ განწმენდილი ხარ ვნებათაგან, შენშია ცა“, წერდა ეფრემ ასური (3, 177).

„...სულ მცირე მანძილია ოცნებიდან ცარგვალამდე“ (ორომტრიალი) (6,5), აცხადებს რობერტ მესხი და „მეშვიდე ცაზე ან იმის იქითაც“ ხელეწიფება გაღწევა (იყო ვერსალი) (6,54).

ცა, სიზმარი, ზღვაა პოეტის სულის საცხოვრისი: „სიზმარია ჩემი ცხოვრება — ცა და ზვირთები“ (ნუ მოხვალ ახლოს) (7,49).

ელვით ცის განათება შთაგონების მოვლენების მომასწავებელია: „ელვა ანათებს კაბადონს ზეცის და ახლა, ალბათ, მოვგავარ შეშლილს არარსებული საგიჟეთიდან“ (6,10).

ზეციური ალია ლექსში: „ლექსი ზეციურ ალით მიფერფლებს“ (ლექსი გვიპოვის) (6,32).

ზეციდან ესმის განუმეორებელი „პოლიფონია“ (თქვი, რომ ეს შენა ხარ) (7,51).

პოეტისათვის „სულ მცირე მანძილია ოცნებიდან ცარგვალამდე“ (ორომტრიალი) (6,5).

პოეზია ცაში ამაღლებაა, რათა დაგვალულ სულს წვიმის მაცოცხლებელი მელოდიით ეწამლოს: „მე ავიჭრები ზეცისაკენ და ღრუბლებს შევყრი, დაწვიმს, წვეთები იმღერებენ ნაღვლიან სოლოს“ (გამოძახილი) (6,9).

ციდან იესოს მოლოდინია ლექსში „ჩემი თითების ანაბეჭდში ფიქრი დაცურავს“ (6,9).

ზეცაა პოეტის საფიცარი (ვინძლო დავუბრუნდე ტალღებს) (7,9).

ლექსი ცა, სანთელი და დედაა (ლექსო — დედაო) (7,44).

ტყე „ძუძუმტეა“, ცა, ღრუბელი — მარადიული საცხოვრისი (თხოვნა ტყისადმი) (8,31).

რეალობიდან ირეალურში გადაშვებაა პოეტის იმედი, ნატვრა–სიზმარი — შთაგონება (ირეალურში) (9,85).

ცასთან მიახლებაა სვეტიცხოველი: „სვეტიცხოველი ცას სწვდება და ცაა შიგნიდან“ (კვაზარები) (9,56).

პოეტი ნაზიარებია ცის — „ცათა ცის“ იდუმალებას, ბეთლემის ნათელს — უზენაესს: „...სხვაგვარი ცის კარია, ღმერთო, ამჯერად, მაცადაში ვარ და ბეთლემით მოდის ნათელი“ (გადმოვიარე ნაგატეა და იდუმეა) (9,55–56).

რობერტ მესხი იცნობს როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ სიბრძნეს და სამყაროში ქრისტეს პარალელურად, ინდოეთის ერთ-ერთ მთავარ ღვთაებას — შივას ჭვრეტს ცაში.

ცაზე ელანდება ვედები, ინდური ლიტერატურის უძველესი ძეგლები, საღმრთო წიგნები, მე-6 საუკუნეზე ადრე (ძვ. წელთაღრიცხვით) შექმნილი: „ინდივით შავია მელანი, სამყარო შივაა, ცა — ვედა"... (ინდური პასაჟი) (7,13).

„ავეცისმარე სამხრეთის ციალს" (Aurora Australis), ასეთი ნეოლოგიზმით გამოხატავს სამხრეთის ცასთან სიახლოვეს.

„ზეციდან მოდის მხსნელი წვიმა უფლის სისხლივით": „უცებ ღრუბლები მოიბურა დედაბუნებამ და მხსნელი წვიმა წასკდა ზეცას შენი სისხლივით" (ფერისცვალება) (10,110).

„ვდგავარ ცადაწვდილი მკლავით ღამეში", წერს ცის ბინადარი პოეტი („სოხუმი) (9, 124).

ცის რჩეული პოეტი ივედრება: „ნუ მომწყვეტ ზეცას, ნურასოდეს ნუ მომწყვეტ ზეცას, თორემ ნოემბრის ფოთოლივით გაგიხუნდები" (ნუ მომწყვეტ ზეცას" (9,21).

ცის საუფლოსთან გაშინაურებული პოეტისთვის უფრო მშობლიურია არა მიწა, არამედ ცა: „როცა ცას ვხედავ, ასე მგონია, რომ სტუმარი ვარ დედამიწაზე".

სულის ფრთაა ცამდე აღწევის საწინდარი: „...ცამდე აწვდილი ფრთები მასხია, მაგრამ ვერაფრით დაგენახვები" (ამ სოფლის მიღმა) (8,101).

ცისკენ ლტოლვა მიწის უგულებელყოფას როდი ნიშნავს: „ცისკენ ვილტვი და მაინც მიწას ვებღაუჭები" (მთვარის სიზმარი. ქარვის სონეტი) (8, 109).

ცასთან კომუნიკაციის, ცასთან — ღმერთთან კავშირის გარეშე ცხოვრება ჭაობს, უდაბნოს დაემგვანებოდა, აქ არსებობა აზრს დაკარგავდა, ამიტომ უსინჯავს პოეტი მიწას „პულსს და მაჯას", ამიტომ ჩამოაქვს მიწაზე ცის იმპულსები. „სადა აქვს მიწას პულსი და მაჯა?! სადა აქვს ზეცას კარი და ზღურბლი?!" (დაბრუნდი ვითომ) (9, 81).

ამიტომ დასცდება საყვედური მიწას მოწყვეტილთან: „...ნუთუ ზეცა ხარ და მიწისთვის არა გცალია" (ვინ ხარ) (6,96).

გალაკტიონისთვის მთავარი იყო „ცის და მიწის შეზავება“ (შეხვედრა), ამასთან, „ბროლის ლაჟვარდი“ ეხსნებოდა და შუქის სახით ხედავდა თავის სულს ცაზე (დრო).

ტერენტი გრანელი აცხადებდა:„...ჩემი ნაზი სამშობლო — ლაჟვარდები ცისფერი“, თუმცა, საბოლოოდ, არც მიწას უგულებელყოფდა: „ზეცა მწყურია და მიწა მშია“.

რობერტ მესხის პოეზიაში ზოგჯერ ბინდით იფარება ცა: „...ცა შებოჭა ღამემ ბინდებით“ (მარტოობა) (9,90–91).

ხან თოვლით ივსება ცა და მეფისტოფელი ზეობს: „უაზრო ღელვა, უაზრო თქეში, ამოუცნობი ღამის ეშხი, ჩემი სოფელი. გამოფიტული კითხვების გროვა. გახევებული ზეცის თოვა. მეფისტოფელი“ (ჩემო სანთელო) (6,38).

ზოგჯერ „უსმენარია ცა“, „უმადურია დრო“ და „ტარანტულივით შავი სევდა“ ენაცვლება იმედებს (ტარანტულივით შავი) (7,23).

ზოგს ბელზებელი ეიმედება, ზოგს ცა: „ვის ბელზებელის იმედი აქვს, ვის — ცის, ვის — სხვისა“ (შეგცოდე, ღმერთო) (7,47).

„როდის ჩაგვიქრეს თავდახრილი ლამპიონები, როდის დაადეს ყადაღა ზეცას?!“ — კითხულობს პოეტი (სხვა ყველაფერი) (9,13).

სამშობლოსგან გაუცხოებული, ვეღარ შეიგრძნობს მშობლიურ ზეცას: „...თითქოს უცხო ვარ სამშობლოში და უცხოეთის ზეცა მხურავს და ქარი მხუთავს შარახვეტია“ (გაზაფხულის ბუნიობა. ზურმუხტის სონეტი) (8,112).

„ცათა მეუფე“ დარდს უმზადებს, უსასრულობა მის იმედებს ასამარებს (ისევ ფიქრები) (6,11).

ლექსში „ნუკრი“ „ცივია ზეცა... მთვარე სამსალით სავსე სანია“ (9,65).

ცის გამოყენებით შექმნილი პეიზაჟია ლექსში „ეჭვი“: „...ისწორებს ზეცა ღრუბლის წინდას, ქუსლთან მოკერილს“ (9,68).

სხვაგან „ცა ქარვაა, მიწა — ონიქსია“ (ალვები ჰგვანან თოფლის სანთლებს) (10,108).

ლექსში „განვედ ჟამიერო“ „ზეცას გამოჰკვრია ფრთამალივით ღრუბლის ნაცრისფერი სამოსელი“ (7,6).

აფხაზეთელი პოეტი თავის თავს „ზეცით ლტოლვილს, მიწით ლტოლვილს“ უწოდებს (ასე მოსვლა მე ვინ მასწავლა?)(10,15).

პოეტის საცხოვრისი ცას მოსხლეტილ და თვალდათხრილ კართაგენს ჰგავს: „ამაოდ ეძებ შენს საცხოვრისს, იგი ცას მოსხლტა, დღეს იგი მხოლოდ კართაგენია თვალებდათხრილი“ (ორი ნაფაზი) (10,7).

მარკუს ავრელიუსი წერს: „შენ რომ უეცრად აჭრილიყავ ცაში და იქიდან მოგეხილა მიწიერი არსებობის მთელი ამაოება,... მხოლოდ ზიზღი აღგეძვროდა მის მიმართ, თუ, ამავე დროს, თვალს მოავლებდი შენს გარშემო განფენილ უსაზღვრო სივრცეს, ჰაერისა და ეთერის მკვიდრთა საუფლოს“ (ფიქრები) (5, 284).

იოგები მიიჩნევენ, რომ ტრანსცენდენტურ პლანეტაზე მგზავრობისთვის, სულიერი ზეცის მისაღწევად საჭიროა სულიერი სხეული.

დანტეს მიხედვით, „მისტიური ჭეშმარიტების“ შეცნობის გზა არის „ცათა საუფლოს“ ხილვა.

ცაში მაღლდება, ცაში აღწევს გადიადებას იტალიელი გენიოსის სული: „...სული ჩემი ცაში გადიდებული, აღტყინდა უცებ, გადალახა სამანნი თვისი“ (11,392).

წმინდა მამებს სჯერათ ადამიანის ცადამაღლების უნარის: „მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივ საჭურველთაგან ნაკლულოვანია, გონების აღმატებულობით ადამიანს თვით ზეცამდე ამაღლება შეუძლია“, ირწმუნებოდა ნეტარი ავგუსტინე (3, 264).

რობერტ მესხი, როგორც ჭეშმარიტი პოეტი, მიწიდან მოიხილავს ზეცას და ცის მაღალი გადასახედიდან აფასებს მიწას.

„მხურვალედ ვითხოვოთ ზეციური სიმაღლეები და მიველტვოდეთ სილაჟვარდეს“, მოგვიწოდებდა წმ. გრიგოლ პალამა (12, 388).

„შორეული ცის სილაჟვარდე“ იზიდავდა გალაკტიონს.

„ლაჟვარდისფერია“ რობერტ მესხის ხილვები, ტყე, მდელო (ლოცვა) (10,32).

„თვალს ვერ ვუსწორებ ჯადოსნურ კოსმოსს, ლექივით მამღვრევს“, წერს პოეტი (კანონების რა გამეგება) (13,81).

ყველგან ცას ხედავს და აფრენაც ხელეწიფება (წყალმარჩხობისას) (13,102–104).

ცის გამოყენებით შექმნილი ნეოლოგიზმია „მოცალურჯდება“: „ხანისად მოცალურჯდება ეს გული, წარღვნად ქცეული“ (ხანისად მოცალურჯდება) (7, 39).

„ავეცისმარე სამხრეთის ციალს“, წერს ლექსში „Aurora Australis“ (7,50).

დამოწმებანი

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, 1990
2. რევაზ თვარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ., 1985
3. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1985
4. რობერტ მესხი, მთვარე და ქუჩა, „უნივერსალი“, თბ., 2010
5. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ., 1972
6. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ., 2001
7. რობერტ მესხი, წაშლილი ბაიათი, თბ., 2004
8. რობერტ მესხი, ნიჟარები, „უნივერსალი“, თბ., 2008
9. რობერტ მესხი, მთვარე და ქუჩა, „უნივერსალი“, თბ., 2010
10. რობერტ მესხი, მზის რაფსოდია, თბ., 2013
11. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ., 1912
12. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, III, თბ., 1992
13. რობერტ მესხი, Narcosis, თბ., 2020

ქარი ხომ პოეტის გიდია

რობერტ მესხის პოეზია წარმავლობის, მიწიერის დამარცხებისა და მარადიულობისკენ დაუდგრომელი სწრაფვის მაგალითია. მარადისობისკენ მიმყვანი კი მხოლოდ წმინდა, ამაღლებული სული და ზეცით მომადლებული ნიჭია.

ნიჭი კი სულიწმინდის მადლია (პავლე მოციქული, 1 კორინთელთა მიმართ, 12,7,8,9,10).

„ნიჭი არის საღმრთო სულისა მადლი“ (2,104).

სულიწმინდის მოვლინებას ღვთისმეტყველებაში „საღმრთო მობერვა“, „საღმრთო ნიავი“ ეწოდება.

ამ ტერმინებს პირველად მიაქცია ყურადღება ზვიად გამსახურდიამ ქართულ მწერლობაში მესიანისტური იდეის გამომხატველი ნაწარმოებების

— „თამარიანის“ და „ვეფხისტყაოსნის“ შედარებითი ანალიზის დროს. (3,293).

„მობერვის“ ცნებით დაინტერესდა აკაკი გაწერელია ჩახრუხაძის „თამარიანთან“ დაკავშირებით (4,116).

„ორფიკულ არგონავტიკაში“ უფალს „მომბერავი“ ეწოდება, ხოლო „მობერვა“ შთაგონების აზრით გვხვდება შუა საუკუნეების ქართულ საგალობლებში (5,39).

გრიგოლ ნოსელის მიხედვით, „საღმრთო სულითაა“ განპირობებული „ღვთიური მობერვა, ზეშთაგონება“. გაიგივებულია „სული–მობერვა, შთაგონება“ (წმინდა გრიგოლ ნოსელი, „პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და ლექსიკონები დაურთო ედიშერ ჭელიძემ (6,363).

ნეტარი ავგუსტინე ევედრებოდა უზენაესს, მოთმინებით ელოდა საღვთო ქარის მოვლინებას და ასეთ წუთებში სიხარულს ვერ ფარავდა : „აი, როგორც იქნა, შევისუნთქე მონაბერი შენმიერი ქარისა“ (აღსარება) (7,278).

დავით წინასწარმეტყველი ამ საღვთო ქარის დაფარულ აზრს უსმენდა: „ღმერთო, მესმა შენი დაფარული შინა ნიავქარისათა“ (ფს. 218,8).

ღვთიური სულის მოფენაზე ლოცულობდა დავით გურამიშვილი: „აწ მომფინე სულია, მამით გამოსულია“.

სულიწმინდის მიერ საღვთო ნიავის მობერვაზე საუბრობს ჰიმნოგრაფი ბასილი (გალობანი ეფრემი მთაწმინდელისადმი) (8,508).

ვაჟა–ფშაველას „ქებათა ქებაში“ სულიწმინდა ნიავის სახით ფიგურირებს: „ნიავიც მიდუდუნებდა ველებზე სულიწმინდადა, იგივე იყო უცვლელად, რაც ათასი წლის წინათა“.

ასეა „ბუნების მგოსნებშიც“.

„სვავში“ ციური ნიავია სულიწმინდის სიმბოლო: „შენ ციურო ნიავო, მიეშველე მზეს, ერთად შეზავდით და თესეთ მადლი ქვეყანაზე“.

სულიწმინდის მოფენაზეა საუბარი ვაჟას მოთხრობაში „ფშაველი და მისი წუთისოფელი“.

სულიწმინდა იგულისმება აკაკი წერეთლის „სულიკოში“ პერსონიფიცირებულ მახარობელ ნიავში.

შთაგონების მოვლინებას გვაუწყებს გალაკტიონის „მარადიული ნიავთა წუთი, მზერადიადი სიონი, მზიური ღამის ქარი, ქარის დაბერვა და ოცნების აჩანჩქარება, ზღაპრებზე მოსაუბრე სიო, ზღვის ნიავქარის ჩურჩული, ნიავი, ფიქრთა ათასი ნავით, ფიქრების ლურჯი ნიავქარი, იდუმალი ნიავი, უჩინარი ქარი, ფერადი ქარები, ისე ერთი შეხება ნიავის".

ანალოგიური შინაარსისაა ტერენტი გრანელის „სიჩუმის ქარი, იდუმალ მხარეების გრიგალი, უხილავი ქარი, შორეული ქარი, განახლების ქარიშხალი, იდუმალი ქარი, სულში ამღერებული ქარები, გამარჯვების გრიგალი"...

„მე ვარ ქარების გამომძახებელი, ქარების გამომწვევი, ქარების შემლოცველი, ქარების მომტაცებელი, ქარების მომთვინიერებელი, ქართან ჯვარნაწერი... დამბერე ქარო, ამახმიანე სივრცეებში... ამაღელვე, როგორც ზღვა" , წერს ვახტანგ ხარჩილავა ლექსში „ქარი" (9).

მრავალმნიშვნელოვნებაა რობერტ მესხის პოეზიის მთავარი მახასიათებელი.

ერთ-ერთი გაგება ქარისა სწორედ შთაგონების მომნიჭებელი სულიწმინდის მოვლინებას უკავშირდება.

ლექსი „ქარს მოვებარე" სწორედ მუზის, როგორც ქარის სტუმრობაზე მიანიშნებს: „ქარს მივებარე — მოწყვეტილი ალვის ფოთოლი, ხიდის მოაჯირს მოვენარცხე, მღვრიე ვერეში ამოვავლე ხელისგულები" (10,10).

გრიგალიც გულის საკანში მომწყვდეული ფიქრების გამოვლენას ემსახურება: „...ვიდრე გრიგალი მოილევს უმალ გულის საკანში მომწყვდეულ ფიქრებს" (სიზმარი) (11,28).

შთაგონების ქარს ღრუბლებისკენ, ფიქრთა ოკეანისკენ წაყვანას ევედრება: „წამიღე ქარო, ღრუბლებისკენ წამიღე ქარო, ანდა რბილობი გამაცალე, ფსევდო-თევზივით, წყალდიდობისკენ რიო-გრანდეს ჩავყვები თავქვე — ოკეანისკენ" (წყალდიდობისას) (10,110).

„ქარები— ბრემენელი მუსიკოსებია" ლექსში „მიმოზა"... „მტვრიან ტრამალზე მიმოზებით შევიმოსები, შენი ტკივილი ღრუბლებისკენ აღარ გამიშვებს, მხოლოდ ქარები — ბრემენელი მუსიკოსები — აგიკლავიშე" (13,61).

პოეტის ბედისწერაა მთვარე და ქარი: „...მთვარე ბედისწერასავით დამდევს ყველგან, სადაც ქარია" (ჰორიზონტი) (10,128-129).

ჩასაფრებულ ოპონონეტს გულისხმობს ქარის და თოვლის სახეებით გატაცებული პოეტი ერთგან: „ქარი და თოვლი... აქაც უჩვენოდ უმღერიათ, უქართოვლოდო“ (წუხელის ღია ფანჯრებიდან) (13, 53–54).

ზღურბლის გადამლახავია ზღვის სიღრმე, ქარის ძალა: „...ზღვა,... ქარი,... ზღურბლი“ (სამჯერ) (11,133–134).

სულის გააქტიურების სტიმულია ქარი: „...დამიკრავს ქარი შეშლილ ბეთჰოვენს, გამოვეთხოვე უამინდობას, დამღლელ ლოდინასაც გამოვე–თხოვე“...(ილუზიაა — მოვა აპრილი) (10,65).

„ლექსის მისტრალებია“ რითმის პოვნის იმპულსი ლექსში „ფინჯან ჩაიში გახსნილი სული“ (12,48).

„შეემსხვრა მისტრალებს შენი ხმა“, ნათქვამია ლექსში „ენიგმა“ (12,54).

ზღვა, ქარი და პოეტის სულის ქარებით დამფრთხალი მთვარეა ლექსში: „ქარია სულში“. „ზღვის დინებებს ახელებს მთვარე, ქარებს მიდენის... თუმცა ხანდახან მასაც აფრთხობს, შენს სულში როა ქარი, იმდენი“ (ქარია სულში) (10,58).

ნიავქარის ხელდასხმულია პოეტი, რწმენით, იესოს მოლოდინით სავსე: „...ფაფარაშლილმა ნიავქარმა შემახო ხელი და სიჭაბუკემ ჩამოწვიმა სულში მალულად, მე გარინდული ბომონივით იესოს ველი, მოლოდინი კი უფალივით ცაში ასულა“ (უფალივით ცაში ასულა) (11,9).

„ძლიერი ქარია, ზარატუსტრა, ყველა დაბლობთან“.

„მომავლით იძვრიან ქარნი იდუმალი შრიალით და მახვილ ყურთ აღწევს კეთილი უწყება“.

„ქარიშხლით, რომლის სახელი სულია, დავბერე შენ აღელვებულ ზღვას, განვაბნიე ყოველი ღრუბელი შენ ზედა, დავახრჩვე თვით მახრჩობელა, რომელსაც ცოდვა ეწოდების“, ათქმევინებს ფრიდრიხ ნიცშე ზარატუსტრას (14,63,77,169).

„ეს მე ვარ, ქარი“, აცხადებდა გალაკტიონი. მისთვის პოეტი იყო „გრიგალი, შერყევა“.

„...მე ვარ ბორიო – ოთხკედელ და იმედმისჯილი“, ნათქვამია რობერტ მესხის ლექსში „ბორიო“ (12,96).

პოეტის სულში დავანებულია ალვები, ტაძარი, ცა, მიწა, თვით კი „ქარსაცავია“ „შემოდგომის ქარის“ ..“ალვები ჰგვანან თაფლის სანთლებს.

ტაძარი შორს ჩანს, მზისფერ სამოსში. წამოუბერავს... ფოთოლს, როგორც ფრთოსანს, წამოშლის... დამაქვს ეს ტილო წარსულიდან. ცა — ქარვად, ქვემოთ — მიწა ონიქსად, მე ქარსაცავად, შენ კი ქარად შემოდგომისა“ (ალვები ჰგვანან თაფლის სანთლებს) (13, 108).

„მოდის ქარაშოტი, როგორც მთვარეული, შენთვის გარდასული ქარიც წამალია“, ნათქვამია ლექსში „მოდის ქარაშოტი“ (12,46).

თვითონ პოეტია ქართან წილნაყარი, ცელქი სიოსავით დაუდეგარი: „...ქარის ნაჭერი მაჯებივით გადავიკეცე, ქარის დაჭერას იფიქრებდა ვინმე ან კი ვით... მე დავიბადე, როგორც ცელქი სიოს თარეში, რათა ყინვების დადგომამდე წამოგეწიო“ (თოთო ბავშვივით ავიტაცე თეთრი გვირილა) (12,52).

ზენა გრიგალია პოეტის სულის აყვავების სტიმული: „მე მხოლოდ ერთხელ გავიფოთლე, ისიც გრიგალში“ (ვიდრე)(10,76).

შტაინერი აცხადებს: „ნიავის სახით – სევდა, ქარიშხლის სახით ვნებების აფეთქება გამოიხატება. გრიგალი, ელვა, ქუხილი ამ სულიერ ჭექა-ქუხილებში გამოხატული ვნებებია მიწაზე, რომელიმე ომსა ან ბრძოლაში“ (თეოსოფია) (15,109).

„ზღვაურია“ პოეტის ფიქრების მდევარი (კანდელაბრები ჩაქრება) (12,14).

„უცნობი ბილიკების“ გამკვალავია ქარაშოტი: „...და სიჭაბუკე-ქარვისფერი სიასამური უცნობ ბილიკებს გაედევნა ქარაშოტივით“ (ფერადი სონეტი) (12,60).

პოეტი ბედნიერება-უბედურებაზე რომ ამახვილებს ყურადღებას, ტერენტი გრანელი ევლინება „ქარის თეთრი წამოსასხამით“, როგორც ჰაფეზი — დამსხვრეული იადონებით“ (12,55).

ხან ქარით შემოსილია პოეტი, ხან- მიმოზებით, ტრამალებზე ქარის ხმები რომ სიტყვის მუსიკად აქციოს: „...მტვრიან ტრამალზე მიმოზებით შევიმოსები, შენი ტკივილი ღრუბლებისკენ აღარ გამიშვებს, მხოლოდ ქარები — ბრემენელი მუსიკოსები აგიკლავიშე“ (მიმოზა) (12,61).

„ზენა ქარი“ პოეტის გიდად არის მოაზრებული ლექსში „ბესლეთი“. „ზენა ქარს რომ ვთხოვო, ზენა ქარს (ქარი ხომ პოეტის გიდია) წამიღოს იქ, სადაც შენა ხარ, იქ, სადაც ბესლეთის ხიდია“ (12,10).

„...სიზმრის და ქარის დევნა რაღა დროსია, შენი ცხოვრება გაფრენილი ალბატროსია“, ჩაესმის პოეტს უსულგულო ოპონენტის ხმა (მანძილს იმოკლებს) (12,16).

წარსულის „ნაქორალი ქარებია“ მტანჯველი ლექსში „შენ და ზვირთები“ (12,17).

„ქარის არტახებია“ ლექსში „მიწა“ (13,134-135).

„ქარის სიგიჟეა“ ლექსში „ტრიოლეტი“ (13,91).

„ქარი არქაული და ნამარტალია“ ლექსში „შენ“ (10,82).

„შეშლილი ქარია“ ლექსში „ებრაულ მოტივზე“ (10,60).

ქარი „გაფითრებულია“: „უსმენდა ქარი დამტვრეული ტალღების ტლაშუნს და ფითრდებოდა“ (ჯერ ამ სურნელით გამაბრუე) (10,64).

„ქარი თვითმკვლელია“ (10,66).

„წარსულსაც ქარის არტერია გადავუჭერი“, ნათქვამია „თიხის ჭურჭელში“ (10,67).

„შლეგი ქარებია“ სულში (ძილში მოდიან ორქიდეები) (11,100).

„ქარის დევნა, ქარის ცდა, ქარის ქოშინია“ ლექსში „ლექსო, დედაო“ (12,44).

„ნაქორალი ქარებია“ ლექსში „შენ და ზვირთები“: „ო, წარსულიდან ნაქორალი ქრიან ქარები, მკორტნიან წლები, კდემით, კირთებით, რად მომაგონდით, როგორც ძველი ნაიარევი, შენ და ზვირთები?!“ (12,17).

„ქროდა ქარცივი“, წუხილია ლექსში „ტრიოლები“ (13,128).

„მხოლოდ ქარები — ბრემენელი მუსიკოსები აგიკლავიშე“ ნათქვამია ლექსში „მიმოზა“ (12,61).

„ქარი მისტრალი“ ისევ ტრუბადურებს ბაძავს, ის მთვარეულია“ (ქალი და ქარი) (16,93).

„ქარი ალალავს ღრუბლის ნახირს მეშვიდე ცამდე“ (გნახე, მადლობა უფალს) (18,51).

უსასრულობა, აზრის ნიაღვარი უკავშირდება ქარის მოვლინებას: „სადმე წამიღებს უაზრო ქარი, ქარი გამაცნობს უხილავ სულებს, უსასრულობა და ნიაღვარი არ მომიმდურებს“ (სადმე წამიღებს უაზრო ქარი) (11,37).

ზოგჯერ ქარია ბოროტი ძალის სიმბოლო, ცრემლის მომგვრელი, სიკვდილის მომტანი: „...კვლავ შემოდგომის ფოთლებად მაცლის ქარი

ნაფიქრალს, სიკვდილს მაძალებს“ (კვლავ შემოდგომის ფოთლებად მაცლის) (11,74).

ქარის დაურვება და ავანსცენაზე დამკვიდრებაა ლექსში „როცა მოგხვია ხელი განგებამ“: „...მერე გახედნე ქარი თავხედი, რომ ოცნებობდა მარტო ფრენაზე, თუმცა წვალებით, მაინც ახვედი ლურჯი ტალღების ავანსცენაზე“ (12,99).

„ჟონგლიორი ქარებია“ ლექსში „ყვითელი ფოთოლი: „... თხელ თითებს მოსწყდა ლექსი — მინიმა და დაეწია ლიხის ქედთან ჟონგლიორ ქარებს“ (ყვითელი თოვლი) (10,53).

ქარი შფოთვის, სიყვარულის ძალის მახასიათებელია ლექსში „ქალი და ქარი“: „...ქალიც მოვიდა და ქარიც აღარ მორჩა“ (16,93).

სამშობლოსგან გაუცხოებული პოეტი თითქოს „შარახვეტია“ ქარის სამიზნეა: „თითქოს უცხო ვარ სამშობლოში და უცხოეთის ზეცა მხურავს და ქარი მხუთავს შარახვეტია“ (გაზაფხულის ბუნიობა. ზურმუხტის სონეტი) (16,112).

პოეტის თანამდევია„გაავებული გრიგალი“ და დემონი ლექსში „ვიღაც პოეტი“: „ვიღაც პოეტი შენდობას ითხოვს, ვიღაც პოეტი ავსებს ფიალებს... და გაავებულ გრიგალში მისდევს ფოთლებს, ყვავილებს, სითბოს, სიყვარულს, მაგრამ დემონი საოცრად მაღლობს, სწვდება სიჩუმე ზეცის მინარეთს, ვიღაც პოეტი რაღაცას ნაღვლობს, ვიღაც პოეტი აქრობს სიგარეტს“ (12,13).

ბოროტი ძალა — ქარია ფოთლების დამაობლებელი, სიყვარულის სიმწ–რის მომტანი: „რა გამოვიდა? ქარმა დატოვა მხოლოდ ფოთლები შემკრ–თალ ობლებად, მერე ტკივილებს გადაათოვა ეს სიყვარულიც სიმწრის ოფლებად“ (რა გამოვიდა?) (11,30).

ქარი „წვიმის წაწალია“ ლექსში „პერანგი“ (13,63).

„...უფალო,... მზე ქარმა გამტაცა“, ჩივის პოეტი ლექსი „ჩემი მისტერია“ (13,88).

„ნაქარალია“ პერსონაჟი ლექსისა“ „შენი რძისფერი ფეხსაცმელი“ (13,54).

„ზღაპრიდან მოვარდნილი ქარების ალები“ და სამრეკლოს ზარები მიანიშნებს შემოქმედების თავისებურებაზე ლექსში „შენ იქნებ გგონია“:

„იქნება იანვარს სიზმრადაც არ ეყოს ალები ზღაპრიდან მოვარდნილ ქარების“ (შენ იქნებ გგონია) (11,41).

ტრუბადურების მიმბაძველი „მთვრალი ქარია“ ლექსში „ქალი და ქარი“ (16,93).

„ერთ დროს დავდევდი ქარებს, ახლა კი ქარი დამდევს“, — ამბობს პოეტი (თხოვნა ტყისადმი) (16,31).

ერთგან „ქარი სტილისტია“: „საიდან გაჩნდი ამ სიზმარში ტაძრის პირისპირ? სველი თმის სურნელს თუ გამოჰყვა ქარი — სტილისტი“ (18,29).

პოეტი ებრძოდა „ნაქორალ ქარებს“ (შენ და ზვირთები) (12,17).

მარტის გრიგალს შეჭიდებულია პერსონაჟი ლექსისა „შემთხვევით“: „...ვცდილობ, უცაბედად არ დავიმსხვრე, ანდა შემთხვევით არ მომწყვიტოს მარტის გრიგალმა“ (10,74).

რუდოლფ შტაინერი აცხადებს, რომ მიზნად ჰქონდა „საკუთარი შეხედულებების გადარჩენა შინაგანი გრიგალებისგან“ (17,353).

„დედაჩემს ყველა ბეჭედი ჩრდილოეთის ქარმა წააძრო“, ამბობს პოეტის ლექსში „ჩემი პროფილი“ (13,19).

მიხეილ ჯავახიშვილი „ჩრდილოეთის სუსხზე“ ამახვილებდა ყურადღებას „ჯაყოს ხიზნებში“:

„ჩრდილოეთიდან მოვა უბედურება“, გვაფრთხილებდა წმინდა წერილი.

ბუნებრივია, ჩრდილოეთში ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი იგულისხმება.

„ქარის არტახებია“ ლექსში „მიწა“ (13,134–135).

„მხოლოდ ქარები — ბრემენელი მუსიკოსები აგიკლავიშე“, ნათქვამია ლექსში „მიმოზა“ (12,61).

„მარეკი ქარია“ ლექსში „იაგუნდებად გეღვრებიან სისხლის წვეთები“ (12,62).

ხალხური ფრაზა ახლებურად მოიაზრება ლექსში „ქარის ისევ ქარმა წახვეტა“ (13,62).

ქარის საშუალებით საინტერესო პეიზაჟია შექმნილი: „ხეობა ყვითელ სამოსელს იძრობს ქარის ხელებით“ (სხალთასთან მთები აკმევენ ნისლებს“) (13,95).

თვითმკვლელობისკენ მომწოდებელი ქარია ერთგან: „...მოულოდნელად მოსწყდა ქარაფს ქარი — თვითმკვლელი... ხომ არ სჯობია, მეც გადავცდე ხიდის რიკულებს? — მოკლეც იქნება, სწრაფიცა და რომანტიკულიც“ (ქარი თვითმკვლელი) (10,66).

ტერენტი გრანელი „ქარის თეთრი წამოსასხამით“ ევლინება პოეტს (ჩამიცვივდება ანთებული მეტეორები)(12,55).

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. ეფემ მცირეს იამბიკოები, თბ. 1983
3. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, თბ. 1984
4. ჟურნალი „ცისკარი“, №8, 1970
5. ორფიკული საგალობლები, პროკლე დიადოხოსის საგალობლები, ლ. კვირიკაშვილის თარგმანი და კომენტარები, თბ. 1989
6. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1989
7. ნეტარი ავგუსტინე, აღსარება, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
8. ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ. 1961
9. გაზ. „სხვა დრო“ №3 (8), 15 ივლისი, 2020
10. რობერტ მესხი, მთვარე და ქუჩა, „უნივერსალი“, თბ. 2008
11. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ. 2001
12. რობერტ მესხი, წაშლილი ბაიათი, თბ. 2004
13. რობერტ მესხი, მზის რაფსოდია, თბ. 2013
14. ფრიდრიხ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თარგმანი გერმანულიდან ერეკლე ტატიშვილისა, თბ. 1993
15. რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია, თარგმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ, 1970წ. რედაქტირებულია 1995წ.
16. რობერტ მესხი, ნიჟარები, „უნივერსალი“ თბ. 2010
17. რუდოლფ შტაინერი, შუა საუკუნეების მისტერიათა ცენტრები, თბ. 2014
18. რობერტ მესხი, NARCOSIS, თბ. 2020

ეშმას საუკუნე

რობერტ მესხი ეთაყვანება სამყაროს, ადამიანის, კეთილის და ბოროტის შემქმნელ ღმერთს, პოეტი მართლმადიდებლობის, ქრისტიანობის აპოლოგეტია, სულის თვალით ჭვრეტს უზენაეს ნათელს, ანგელოზებს, სერაფიმებს, ამასთან, მის შემოქმედებაში თავისებურ გამოხატულებას პოულობს ეშმას, ავსულის, დემონის, მეფისტოფელის, ბელზებელის სახეებთან დაპირისპირება.

ასეთი პარადიგმებით სავსეა ბიბლია, ღვთისმეტყველება, მითოლოგია, მხატვრული ლიტერატურა.

დაბადების წიგნში ეშმაკი, მაცდური გველის სახით ცხადდება პირველი ადამიანების — ადამის და ევას წინაშე, ევას აქეზებს ცნობადი ხის ნაყოფის მისაღებად, რასაც ეზიარება ადამიც და ისინი განიდევნებიან სამოთხიდან, კარგავენ უკვდავებას (დაბადება, 3,1,24) (1, 8-9).

სახარებაში იესოს ცდის ეშმაკი, მაგრამ ვერ გადაიბირებს ღვთის ძეს, რომელიც შესძახებს მაცდურს: „განვედ, სატანავ, ვინაიდან დაწერილია: „უფალს, შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე“ (მათე, 4,1-17)(2,5-6).

ქრისტემ განკურნა ორი ეშმაკისეული (მათე, 9,28-34) (2,16).

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში დიდ, წითელ გველეშაპს—ეშმაკს, სატანას მიქაელი და მისი ანგელოზები ებრძვიან ცაში (იოანეს გამოცხადება, 12,9)(2,503).

მიწაზე გადმოგდებულ გველეშაპს თაყვანს სცემენ ღვთის მგმობელები — ზღვიდან ამომავალი მხეცი და მიწის მხეცი.

თეოლოგები ჯერ კიდევ II საუკუნიდან ეძებდნენ ბიბლიური ანტიქრისტეს ისტორიულ პროტოტიპს, ასახელებდნენ ნერონს, დიოკლეტიანეს, ნაპოლეონს, პატრიარქ ნიკონს, მერე ამ შიფრის გახსნა სცადეს ლენინის და სტალინის მისამართით (ვახტანგ გოგუაძე, ორი მხეცი) (3,249).

იოანე მოციქულის გამოცხადებაში ზეცის ანგელოზმა შეიპყრო გველეშაპი, იგივე ეშმაკი და სატანა, შებორკა ათასი წლით, ჩაკეტა უფსკრულში და დაადო ბეჭედი (20, 1,2,3) (2,516).

ათასი წლის შემდეგ გათავისუფლება სატანა ხალხთა საცდუნებლად, მაგრამ მხეცთან და ცრუწინასწარმეტყველებთან ერთად ჩავარდება

ცეცხლისა და გოგირდის ტბაში, დაიტანჯება უკუნითი უკუნისამდე (იოანეს გამოცხადება, 20,7-10) (2,51).

ბიბლიაში მაგიაში გაწაფული ბალაამი ამ დემონთა ზემოქმედების ქვეშ იყო, მაგრამ „საღვთო მობერვამ,... საღვთო ძალამ“ ჩამოაცილა გრძნეულებას და „საღვთო განზრახვის ქადაგად“ იქცა (წმ. გრიგოლ ნოსელი)(4,118).

ღვთისმეტყველები ორ გზაზე, ორ მეგზურზე გვესაუბრებიან — ბოროტ დემონსა და კეთილ ანგელოზზე (წმ. ბასილ დიდი) (5,52).

„ფსალმუნი“ თავშესაფარია დემონთაგან და ანგელოზთა მოხმობაა შემწეობისთვის“ (წმ. ბასილ დიდი) (5,45).

სიკვდილის მზაკვრობას მხოლოდ ღვთის რწმენით აღჭურვილი შეებრძოლება: „შეიმოსეთ ღვთის სრული საჭურველი, რათა შესძლოთ წინ აღუდგეთ ეშმაკის მზაკვრობას“, გვირჩევს წმინდა მამა (პავლე მოციქული, ეფესელთა 63,11)(2,421).

ახალ აღთქმაში დაგმობილია მიწიური, მშვინვიერი, ეშმაკეული სიბრძნე, წუთისოფლის მაცდური სიბრძნე, რომელსაც უპირისპირდება „მაღლიდან გარდმომავალი... მშვიდობიანი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო სიბრძნე“ (იაკობ მოციქული, 4,15,17)(2,298).

ანტიკურ ეპოქაში ცოდნას მიაწერდნენ არა წარმავალ პიროვნებას, არამედ მასში მყოფ მარადიულ დემონს (6, 48).

დიდი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი წერდა: „მას, ვინც ყველაფერი შეიცნო, დემონურს ვუწოდებთ“ (ნადიმი) (7,52).

პითაგორელებისთვის შემოქმედება მარადიულთან ურთიერთობას ნიშნავდა (რუდოლფ შტაინერი, შუა საუკუნეების მისტერიათა ცენტრები, მთარგმნელი ა. კვარაცხელია, თბ. 2014, გვ. 117).

„უმაღლესი სიბრძნის მიერ მონიშნული გზიდან გადახვევა მოხდა ლუციფერის მიერ, ლუციფერული არსებები კაცობრიობის დაუფლებას ცდილობენ.

„სატანის ან არიმანის (როგორც მას ძველი სპარსელები უწოდებენ) წინამძღოლობით განუდგნენ ღვთაებრივ მართლწესრიგს. არიმანულ არსებებს ადამიანისკენ გზა ლუციფერულმა არსებებმა გაუკაფეს.

„შედეგად ადამიანებთან სიკვდილი მოვიდა და მასთან ერთად სიკვდილის შიში.

„არიმანის მიზანია ადამიანი მატერიალურ სამყაროს მიაჯაჭვოს და არ გააკაროს სულიერებას.

„მისტერიების მოწაფეებს თანდათან განწმენდნენ ლუციფერის და არიმანის გავლენისგან“ (8,36).

„ორგვარი არსი ჰგიეს ამ სოფლად: ღვთიური და ეშმაკური“ (ბჰაგავად გიტა) (გვ. 100).

სატანა — „მშვენიერი ეშმაკი“ აღმატებული ნიჭის სინონიმი იყო ბოდლერისთვის, რომელსაც ცოდვის გზით ცოდნისკენ მიჰყავდა ადამიანი, ამიტომაც საუბრობდა მასთან წილნაყარობაზე და ხოტბას აღუვლენდა „ბოროტების ყვავილების“ წინასიტყვაობაში (ეპიგრაფი მსჯავრდებული წიგნისთვის) (9, 245).

გოეთე გენიალობასთან აიგივებდა შეშლილის ცნებას და „შეშლილ დემონს“ უწოდებდა ბეთხოვენს, რომელსაც „გენია უნათებს და უსხივოსნებს გზას“ (10,102).

დემონური შემოქმედებითი ნიჭით ხელდასხმულად მიიჩნევდა გოეთე მოცარტს, შექსპირს, ბაირონს, მუსიკოსებიდან პაგანინს. დემონურ ძალას ხედავდა ნაპოლეონის, ჰერცოგის, ფრიდრიხ დიდის, პეტრე დიდის არსებაში (11,221).

„ფაუსტის“ ავტორი განასხვავებდა მეფისტოფელს და დემონურს: „მეფისტოფელი მეტისმეტად უარყოფითი სახეა, დემონური კი გამოვლინდება მხოლოდ დადებითი, პოზიტიური მოქმედებით“ (11,220).

გოეთე მაღალ პოეზიას აღიქვამდა, როგორც დემონურს, შეუცნობელს, „განსჯის, გონების, საზრისის მიღმა მდგომს და მომაჯადოებელს, ამავე დროს“ (11,221).

გრიგოლ რობაქიძე დემონურს იყენებდა პოეზიის, იდეის, პოლიტიკოსთა, წინასწარმეტყველთა, სარდლების, ძალაუფლების მპყრობელთა მახასიათებლად, როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ჭრილში. მწერლის აზრით, „დემონურ თრობას განიცდიან პოეტები, წინასწარმეტყველები, სარდლები, ტომის ბელადები“.

„ჩაკლული სულის“ ავტორი რევოლუციის, ბოლშევიზმის იდეოლოგებში ლუციფერულს, არიმანულს ანუ უარყოფით ენერგიას ხედავდა.

მწერლის აზრით, ლენინში „ცეცხლოვან — ლუციფერული“ გამოვლინდა, სტალინში — „ცივ–არიმანული“ (დემონი და მითოსი) (12,73).

„ბოლშევიკი... მიწის კოლექტივიზაციაში თავის დემონურ ყოვლის–შემძლეობას ზეიმობს“, წერდა გრიგოლ რობაქიძე (12,81).

სტალინისა და ტროცკის დაპირისპირებას აღიქვამდა, როგორც ორი დემონის, ორი ბოროტი ენერგიის დაპირისპირებას (12, 93).

კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავდა, რომ ინგლისში ბაირონს დემონად აღიქვამდნენ.

ლერმონტოვი თავის თავს „ბოროტების რჩეულად“ თვლიდა.

გალაკტიონი გოეთეს სატანასთან აიგივებდა დადებით ჭრილში (მაგიდა ალემბიკებით) (13,9). პოეტების მეფე დემონური, გენიალური ნიჭის გამოვლინებად აცხადებდა „ფაუსტის“ ავტორს.

ამასთან დემონს, სატანას, ბელზებელს, მეფისტოფელს, ლუციფერს ბოროტი ძალის სიმბოლოდაც მოიაზრებდა.

„გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზია“, წერდა ტერენტი გრანელი.

რობერტ მესხის შემოქმედებაში გვხვდება მეფისტოფელის, ეშმას, ავსულის, დემონის, ბელზებელის სახეები სხვადასხვაგვარ ჭრილში.

შთაგონების პროცესში პოეტს ყოვლისშემძლეობის განცდა ეუფლება და ნიშნისმოგებით მიმართავს ეშმას: „ქარო, ნუ ანჯღრევ კარებს, მუზის მოფრენას ველი... ახლა ჩემს თავში თავად ეშმა მოიტეხს კისერს. მუზა ფეხს ქოშში უყრის, მიჰყვება მთვარის ბილიკს. მთვარე — ბაცი და მქისე მოჰგავს შარშანდელ სიზმარს“ (მუზის პასეანსი)(14,45).

ღვთიური და დემონური ერთდროულად მოიხილება შემოქმედის სულში: „ო, არის თქვენში, რაღაც ღვთიური, რაღაც ღვთიური დემონთან ერთად“ (Aurora Austalis. ოთარ მიქაძეს) (15,50).

სიყვარულიც დემონური ძალაა: „... ვნებების ძველებურ ქროლვას თავდავიწყების დემონიც ახლავს“ (ის სიყვარული ხელახლა მოდის) (16,20).

ცხოვრება დემონთან არის ასოცირებული ლექსში „რა გამოვიდა“: „ცხოვრებამ ძველი ჩაიცვა ჯვალო და დემონივით ჩამოგვირბინა“ (რა გამოვიდა) (16,30).

„გაავებულ გრიგალთან“ მებრძოლ, სითბოს და სიყვარულის გადასარ-ჩენად შემართულ პოეტს დემონური ძალა უპირისპირდება: „...ვიღაც პოეტი ფიალებს ავსებს და გაავებულ გრიგალში მისდევს ფოთლებს, ყვავილებს, სითბოს, სიყვარულს... მაგრამ დემონი საოცრად მაღლობს, სწვდება სიჩუმე ზეცის მინარეთს, ვიღაც პოეტი რაღაცას ნაღვლობს, ვიღაც პოეტი აქრობს სიგარეტს“ (ვიღაც პოეტი) (16,13).

ლექსში „ტყვიებმა დასერეს“ „...ანგელოზებმა წაიღეს ვალები, დემონი მოფრინდა“ (16,15).

„მოკვდავთა დევნით დაშვრა დემონი“ (დემონი) (16,29).

ეშმას ადამიანის სულის გატიალების მისია უკისრია: „...ეშმამ ააქნა სულს ზედაპირი, ტკივილი მარგო“ (დამეკარგები) (16,27).

ერთ ლექსში ეშმაკთან ბრძოლით დაუძლურებული ადამიანი მზადაა თვითონ მიართვას ტვინი ავსულს, რომელიც მუდმივად სულზე, გონებაზე, ტვინზე ნადირობს: „მჭირდება დანა, ბასრი დანა, რომ დავაბჯინო თავის ქალას, კენჩხის კბილანებს, მერე ლანგარზე დავალაგო ტვინის ნაჭრები და სადედოფლო ტორტის დარად მივართვა ეშმაკს, იქნებ დაწყნარდეს. მერე ამოვძვრე აქოთებულ, დამშრალ მძორიდან და გამოვიქცე და გამოვიქცე იქ, სადაც შენ ხარ“ (16,96-97).

სიზმარშიც შაითანი არ ასვენებს: „...სიზმარი ვნახე — გალოკილი სვეტი მარილის ბარხანებს შორის... (არასოდეს სძინავს შაითანს“) (აეროპორტი) (17,23).

ცხადში თუ სიზმარში ავაზას სახით მოვლენილი მტრები არ აძლევენ მოსვენებას და სიკვდილის მიჯნასთან მიჰყავთ: „სიზმარში ნახე შავი ავაზა, თუ ცხადი იყო, გინდა იცოდე, ბორგავ, თითქოსდა ბოლო ნაფაზთან ტოვებ სიცოცხლეს“ (ცეკვა ღმერთთან) (16-90-91).

მაცდური, ანგარებიანი, მამონას მონა ბოროტი სული ქრისტეს ნიღბითაც ცხადდება და შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება: „ცათა მეუფემ ძველი დარდი აღარ მაკმარა, უსასრულობამ ჩემი მარტიც დაასამარა. ღამემ სიჩუმით გადაბურა სახე ვერაგი, ეშმამ პატივით მოიხურა ქრისტეს პერანგი... და მთვარემ, როგორც თეთრმა ვერცხლმა შემომანათა“ (ისევ ფიქრები) (16,11).

დიოსკურიის „ოქროს ნაპირთან“ გორგონები, გველებიანი ურჩხულები ვლინდებიან „შავი ვეშაპის“ ბოროტი მისიის შემსრულებლად: „ო, ამ

ტალღების რა ხანია შეწყდა მოტივი, ოქროს ნაპირი გორგონების გესლმა გამურა და სიჭაბუკე — ქარვისფერი სიასამური უცნობ ბილიკებს გაედევნა ქარაშოტივით“ (ფერადი სონეტი, ფიქრიას) (15,60).

ლექსში „მილედი — ცისფერი ბოკალი“ ბოროტების ერთგულ დემონს მოუხმობს პოეტი სინათლის ჩასაქრობად: „... თუ გინდა დიდებას ემონო, გეყოს, რაც გიხმე და გინატრე, სადა ხარ, ერთგულო დემონო, დემონო, ჩამიქრე სინათლე“ (16,33).

გაყიდული სულის დემონის უპირველესი მიზანია მოკვდავთა დევნა: „მოკვდავთა დევნით დაშვრა დემონი, ისე მოეშვა, ისე გათავდა, რომ ყველა საქმე გადადო განზე, უხმოდ შეექცა გუშინდელ ხმიადს, მერე ჩათვლიმა იმავე სკამზე, მაგრამ თვალები დატოვა ღიად. თავისას ისევ არ ენდო მსახურს, თუმცა არც იყო მსახური სახლში, ეგ კიდევ რაა, ადრე გაყიდულ სულსაც არ ენდო, საკუთარ აჩრდილს“(დემონი) (16,29).

წმინდანებისგან განრიდება, „უაზრო ღელვა, უაზრო თქეში“, „გამოფიტული კითხვების გროვა, გახევებული ზეცის თოვა“ მეფისტოფელის მოვლინებით სრულდება („ჩემო სანთელო ღვთისა და ეშმის) (16,38).

გალაკტიონმა შემთხვევით როდი მონათლა თავისი თანამედროვე ათეისტური ეპოქა ცალთვალა მეფისტოფელის სახელით: „მან დაიბრმავა ეს თვალი განგებ და ამნაირად გახდა ცბიერი, მეორე თვალში არის განგება, მეტი სიმკაცრე და სიძლიერე. უმარულიან დენათა შორის, მწარე დაცინვით მათი მგმობელი, იგი ტრიალებს, ვით თვალი ქორის, ეს საუკუნე მეფისტოფელი“ (ბრმა ცალი თვალით).

ბელზებელის მოიმედის მხლებაა რობერტ მესხის ლექსში „შეგცოდე, ღმერთო“, „...ვის ბელზებელის იმედი აქვს, ვის — ცის, ვის — სხვისა“ (15,47).

ღმერთისგან გაუცხოებული ადამიანი სიცოცხლის სტიმულს, მიზანს კარგავს, სულის სიკვდილის პირისპირ მყოფი ისევ ღმერთს შეჰღაღადებს განსაცდელისგან ხსნისთვის: „...და სამოთხეულ ბაღის კი არა, იქნებ გეენის არ ვიყო ღირსი, წუხელ დემონმა ჩამოიარა და უდაბნოდან წაიღო სფინქსი. ღმერთო ძლიერო, მირჩიე რამე, დღეს შეიძლება თავი მოვიკლა, დღეს გაზაფხულის უძილო ღამე ფერისცვალების ლანდებს მომიტანს“ (ღმერთო, ძლიერო) (16,42–43).

ლექსში — „მიდის ქარაშოტი“ — პოეტი ჩივის: „...როგორც ამირანი, მოუცილებიხარ ეშმას საუკუნეს“ (16,46).

აპრილში ეშმაკი ზეობს (მომიხლავდა აპრილი გვიან) (16,55).

სახეზეა ადამიანების „გაალქაჯება“ (ოცნების ხიდი) (16,32). მარტო-სულთან ბელზებელი სტუმრობს (შენგან მაგნოლია შორი არი) (16,89).

ეშმაკს უდგას ტახტი „ტაბაკონას“ (ახლა აბაშას გადარევენ, ალბათ, წვიმები) (16,91), „მეგზური ავსულია“ (როცა მოგხვია ხელი განგებამ) (16,99).

მიზანი კი დემონის დაოკებაა: „...წვიმა გაუსინჯავს გემოს, ფოთოლს, შემოდგომით აცრილს, მაინც დავიოკებ დემონს, ვიდრე ბოლო ჭიქას დავცლი“ (ეკა მაღედანს. პოეტს). (16,48-49).

აღზევებულა ყორანი, მგელი, მეფისტოფელი, ცოდვის მორევში ჩაფლულან ადამიანები, მაგრამ მშველელი არ ჩანს, თვით მღვდელსაც დავიწყებია თავისი მისია, მხოლოდ სულის გამყინავი სიცივეა ირგვლივ, ზამთარი და ყორნის ჩხავილი: „მზეზე ყორანი ბებერ ძვლებს ითბობს, ჩხავის და ზამთრის სიცივეს წყევლის... და ფოთოლცვენის მწუხარე დროა (დაფნის გვირგვინი მეფისტოფელებს)... აქ ჰელესპონტის ახალი ტროა ამაოდ ელის თავის ტროელებს (მეფისტოფელებს გვირგვინი დაფნის) გემრიელ ლუკმას ელიან მგლები... ძმას და სიმართლეს — სხვათა შვილები... სიმართლე უფრო წააგავს არაკს. ეს ხალხი ცოდვის შენდობას ითხოვს, მღვდელს არ ადარდებს წუხილი მრევლის, მზეზე ყორანი ბებერ ძვლებს ითბობს, ჩხავის და ზამთრის სიცივეს წყევლის“ (უცხო ხარ ახლა) (16,92-93).

ეშმასთან და მამონასთან წილნაყარ პოეტის თანამემამულეებს ეროვ-ნული განძის გატანა გადაუწყვეტიათ აშშ-ში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს პოეტის საქვეყნო გულისტკივილს: „ო, საქართველოვ, ცოდვილი ვარ მე შენ წინაშე, რამეთუ ეშმას და მამონას უფრო ვმონებდი, მიწავ ქართულო, ყოფილიყო ის შენს წიაღში, თუ ამ საგანძურს ჩემზე უკეთ უპატრონებდი“ (ჯვარი ეწეროს) (16, 68-69).

არც წარსულში უფრთხილდებოდნენ ეროვნულ განძს, საკმარისია ოქროს კვირბების გახსენება, რაც ეშმაკთან წილნაყართა, ანგარებიან, ეროვნულ გრძნობას მოკლებულ ვაიქართველთა მარადიული დანაშაულია:

„...ქარის მოტანილს კვლავაც ქარი გაანიავებს... განძი ხომ ადრეც გაიტანეს ოქროს კვირბებად“... (ჯვარი ეწეროს) (16, 68–69).

დამოწმებანი

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ., 1990
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
3. ვახტანგ გოგუაძე, ორი მხეცი. სტალინი და საშინელი სამსჯავრო, თბ., 2006
4. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი II, თბ. 1991
5. წმინდა ბასილ დიდი, თხზულებანი, თბ., 2002
6. რუდოლფ შტაინერი, ქრისტიანობა, როგორც მისტერიული აქტი და უძველესი მისტერიები, თარგმნა მიხეილ ნიშნიანიძემ, „პითაგორა“, თბ., 1994
7. პლატონი, ნადიმი, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ. 1964
8. ოტო ფრენკლ ლუნდბორგი, რა არის ანთროპოსოფია, „არილი“, 1995
9. შარლ ბოდლერი, „ბოროტების ყვავილები“, თარგმანი დავით აკრიანის, თბ., 1992
10. ალ. ალშვანგი, ბეთხოვენი, თარგმანი აკაკი გელოვანის, თბ., 1958
11. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, თარგმანი აკაკი გელოვანის, ბათუმი, 1988
12. გრიგოლ რობაქიძე, დემონი და მითოსი, თარგმანი მანანა კვატაიასი, თბ., 2012
13. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977
14. რობერტ მესხი, მთვარე და ქუჩა, „უნივერსალი“ თბ., 2010
15. რობერტ მესხი, წაშლილი ბაიათი, თბ., 2004
16. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ., 2001
17. რობერტ მესხი NARCOSIS, თბ., 2020

თავი V.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალები

არგონავტების მითი

რობერტ მესხი აფხაზეთელია. მან საკუთარ თავზე გამოსცადა მოყვრის ნიღბით მოვლენილი ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ვერაგობა, მეზობლის, რომელიც გამოირჩა „შავი ვეშაპის“, „ცისფერი ვეშაპის“, გორგონას კომპლექსებით და ადგილობრივ „გველგესლასთან“ შეკრულმა „ძალით და ნებით“ აგვართვა ძირძველი ქართული მიწები — სამაჩაბლო და აფხაზეთი.

პოეტის ჭრილობა არ ხორცდება, „სულ სისხლი დასდის“, ის თავის ნამდვილ სახელებს არქმევს მტერ–მოყვრებს, მიზეზთა მიზეზს ეძებს, ცდილობს ეროვნული ეთნოსის, მისი ფსიქოლოგიის თავისებურება გააცნობიეროს და სამშობლოს უბედურების სათავე მოიძიოს. ერის მარადიულობის, უკვდავების პრობლემა შემოქმედის უპირველესი საფიქრალია და მშობელი ხალხის სულსა და ქმედებებში მთავარი იმპულსის ძიებას პოეტი არგონავტების მსოფლიოში ცნობილი მითიდან იწყებს.

რობერტ მესხის ამ ციკლში უწინარეს ადგილზე გამოიკვეთება უცხოსთან მიმართების პრობლემა, რომელიც ყოველთვის აქტუალური იყო მსოფლიოს ისტორიაში, ბიბლიაში, მითოლოგიაში, ლიტერატურაში.

ლექსში „გველის ელადა“ ხაზგასმით არის გაცხადებული უცხოსთან მიმართებაში ძლევამოსილი კოლხეთის მეფის — აიეტის ასულის — მედეას მიერ დაშვებული საბედისწერო შეცდომა, რაც ვერაგი ძალის მოკავშირეობით ეროვნული განძის — საკრალური სიბრძნის შემცველი ოქროს ვერძის დაკარგვაში გამოიხატა. ლექსი მედეას გაფრთხილებით იწყება: „„გველის გესლია პონტო, მედეა, ანუ შეხვალ ზღვაში... „არგო“ ლილისფერ ტალღებს მიაპობს, სავსე მთვარეა, ცურვა ვაშინერს, ნუღარ ენდობი, კოლხო, იაზონს — უცხოს ნაშიერს“.

საკუთარი მიწის, სამშობლოს ღალატი უპატიებელია, სინანულითაც ვერ გამოისყიდება ეს დანაშაული, აიეტის სამეფოს დაცემას რომ გამოიწვევს: „შუა პონტოში, როცა წარსული ღამე მოიტანს თავის კირთებას, თვით

სინანულიც, მეფის ასულო, გვიან იქნება. ეს მიწა შენი მოიმედეა და ამგვარ ღალატს არ გაპატიებს, აღარ შეხვიდე ზღვაში, მედეა, ჰკითხე აიეტს“ (1,71).

იაზონის მეთაურობით არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის და აიეტის გრძნეული ასულის — მედეას დახმარებით ცხვრის ტყავის გატაცების მითი საყოველთაოდ ცნობილია. ამ თემას მიეძღვნა ოთარ ჭილაძის გახმაურებული რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, რომელშიც მედეას დახმარებით ცხვრის ტყავის უცხოელისთვის მიკუთვნება ამ უძლიერესი ქვეყნის სულიერ, ზნეობრივ, მატერიალურ დაცემას იწვევს.

ცხვრის ტყავი, ვერძი სიმბოლოა სულიერი, მისტერიალური სიბრძნის.

ზვიად გამსახურდიას აზრით, ბერძენ იაზონს ამ ეპიზოდში თან ახლავს თეზეოსი და ჰერაკლე (2, 205).

„ჰერაკლე არის წინასახე ქრისტესი. მის მიერ კვერთხით კლდიდან წყლის აღმოცენება ითვლება ქრისტიანობის წინასახედ. არგონავტების ლაშქრობა არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა და შემთხვევითი არ არის, რომ ოქროს საწმისს სულიერ მეცნიერებაში ეწოდება კლასიკური გრაალი. ოქროს საწმისი კლასიკურ პერიოდში, ანტიკურ პერიოდში არის იგივე, რაც შუა საუკუნეებში გრაალი და ფილოსოფიური ქვა. ფილოსოფიური ქვის ძიება არის არა მარტო ფიზიკური ოქროს ძიება, არამედ სულიერი ინიციაციის ძიება, ღვთის ძიება, ხოლო ოქროს საწმისი ... იყო კოლხეთში. თავდაპირველად ოქროს ვერძი საბერძნეთიდან არის წასული კოლხეთში, მაგრამ ეს იმ პერიოდის საბერძნეთია, როდესაც იქ ყვავის პელაზგური კულტურა, კერძოდ, პელაზგური არგოსის კულტურა“ (2,201).

„შემთხვევითი არ არის, რომ ხომალდსაც „არგო“ ჰქვია. „არგო“ თავისი ძირით კოლხეთიდან მომდინარეობს — არგო, არგვეთი, ეგრისი, „გრ“ — ფუძე, ესეც კოლხეთია. ლაშქრობა კოლხეთში სიმბოლურად არის ლაშქრობა სულიერი სიბრძნის, მისტერიალური სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელიც იმჟამად შენახული იყო კოლხეთში“(2,202).

ზვიად გამსახურდია იმოწმებს გერმანე კონსტანტინეპოლელი პატ-რიარქის ძეგლს — „სასწაულნი მთავარანგელოზთაგანი“, რომელშიც აღწე-რილია არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში. მათ მფარველობს და გამარ-ჯვებას უწინასწარმეტყველებს მიქაელ მთავარანგელოზი. ასეთი კავშირები

არსებობს წარმართულ და ქრისტიანულ ინიციაციას შორის, ასკვნის ზვიად გამსახურდია (საქართველოს სულიერი მისია)(2,203).

საქართველოს გამორჩეულობის დასტურად მიიჩნევდა გრიგოლ რობაქიძე ოქროს ვერძის ამბავს და მედეას ლეგენდას, კოლხეთში არგონავტების შემოსვლას: „საუკუნიდან საუკუნეში მეორდება „ოქროს ვერძის“ ამბავი და მედეას ლეგენდა და არგონავტები ჯერ კიდევ არ სცხრებიან“, წერდა გრიგოლ რობაქიძე „საქართველოს ხერხემალში“ (3,16).

გრიგოლ რობაქიძე დასავლურ–აღმოსავლური შემეცნების სიდიადეს ხედავდა კავკასიის ბუნების, ძველი კოლხეთის, პრომეთეს და მედეას, შუმერების სულის, მსოფლიოს გულისცემის გათავისებაში (გრიგოლ რობაქიძე და მითის აღორძინება (4,388).

რობერტ მესხის ლექსში მედეა უპირველესი მნიშვნელობის ეროვნული განძის სხვისთვის მიმცემია, პატიებას კი არა, სიკვდილს იმსახურებს, რადგან თავისუფლება ქვეყნის სასიკეთოდ კი არა, მისი სულიერი განძის გაძარცვისთვის გამოიყენა, ის პონტოში ჩაძირვას, ზევსის ხელდასხმული სამართლიანობის ღმერთის, ცოდვა–მადლის ამწონი თემიდას წინაშე წარდგომის ღირსია: „ვინ თქვა, რომ მეფის ასულობა შეღავათია, უპირობოდ ათავისუფლებს?... თავისუფლება დასჯადია და სულერთია, ვის წინაშე წარდგები, ცოდვილს ყველა... გაგიმეტებს პონტოს ფსკერისთვის, შენსავ სამსალას შეგასმევენ. ბერძნებზე ბევრად მეტი ღმერთი ჰყავთ აიაში, ისიც იციან, ხილაბანდით თვალახვეული თემიდა როგორ ანაწილებს ზევსის სამართალს, ან სასწორი რამდენს იპარავს, როცა ორ სინზე თანაბარი ლეში აგდია“ (ნეტა შენ რამდენს მოგისჯიდნენ) (5,78).

ისევ და ისევ გამაფრთხილებელი ინტონაციებია რობერტ მესხის სხვა ლექსშიც, დამღუპველად არის მიჩნეული მედეას სიზმარი, ოცნება, გრიგალში მოყოლილი ფრთებდალეწილი ხომალდივით მიუსაფარი, სამშობლო არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიცვალოს სიყვარულზე, ისიც უცხოს სიყვარულზე, ხორციელი სიყვარული წარმავალია, სამშობლო კი მარადიული: „ხელისგულებით მოჩრდილული ამომავალი მზის ფერია შენი სიზმარი, მედეა, და გრიგალში მოყოლილი აფრებდალეწილი ხომალდივით მიუსაფარი. სულ მალე ცივი ოფლივით შეგაშრება ტანზე სიყვარული და ორივე თვალი ზეთისხილის ნაყოფივით გაგიგორდება ფეხებთან“.

უცხოსთვის აყოლა, საკუთარი განძის უცხოზე გაცემა წაქცევის, დაღუპვის ტოლფასია, წაქცეულს ხელის შემშველებელიც არ ეყოლება, ხორციელი გრძნობები კი არა, გულის თვალი უნდა იყოს ადამიანის წინამძღვარი: „არ დაეცე!...ვინ აგაყენებს წაქცეულს, მეფის ასულო? გულის თვალი ხომ გაქვს? — დაიკავე ჩირაღდანივით და ატარე“.

მაგრამ ცდუნებას აყოლილი მედეას ხელშეწყობით, ოქროს ვერძი წაგვრილია.

უკან დარჩენილია სამშობლო, შვილებიც გაუცხოვდებიან სამშობლოს-გან, წინაპრებისგან: „წინ ელადაა, უკან შენი სამშობლოა — ცხვრისტყავ-წაგვრილი. იქ შვილებია, აქ — მამაშენი“.

სინამდვილეში ბედნიერება, სიყვარული კი არა, პანდორას ყუთია, ყოველგვარი უბედურების წყაროა ვერძი, იაზონის შეთავაზებული სიყვარული, რაც ვერ გაიგო მედეამ და გასცა ქვეყნის სიმდიდრე: „ამოქოლე პანდორას ყუთი, მედეა, და ჩაძირე „არგო“, ხომ იცი, რომელი გზით მოდის ხელმრუდი იაზონი. უბრძანე ქარებს, დაუმსხვრიონ ნიჩბები მსტოვრებს, უბრძანე ნისლებს, ჩამობურონ თვალსაწიერი“.

მაგრამ შენდობას, პატიებას კი არა, მდინარეში გადაგდებას, სიცოცხ-ლის ხელყოფას იმსახურებს მედეა და, საერთოდ, ყველა ადამიანი, ვის-თვისაც უპირველესი იდეალი სამშობლო არ არის: „რად გინდა ძეგლი, ან ფაიფურზე მიხატული პორტრეტი თუნდაც, ან პოეტთა ბრტყელსიტყვაობა?! ცოცხალი რომ იყო, მედეა, წყალდიდობისას გაგატანდნენ მყვირალა ფაზისს, ანდა კუნძულზე დაგტოვებდნენ — შორს პარნასიდან, რომ პელო-პონესს არ შემორჩეს შენი აჩრდილი“.

კოლხი მედეას სახელი მედიცინასაც უკავშირდება და პოეტი მიმართავს მას: „მეც ავად ვარ, — მიწამლე კოლხო!“ (მედეა) (8,94-95).

ერის ფსიქოლოგიის ზედმიწევნითი ცოდნით, მოვლენათა მიზეზ-შედე-გობრივი კავშირის უცდომელი გააზრებით არის გაშუქებული შერჩეული პრობლემა და როცა არჩევანი ხდება პირადულსა და მარადიულ ფენომენს — სამშობლოს შორის, სამშობლო კი არ უნდა გაიწიროს წარმავალი სიყვა-რულისთვის, არამედ ყოველივე პირადული — სიცოცხლე, სიყვარული უნდა მიეძღვნას მამულს, რომელიც, როგორც აკაკი წერეთელთან, ღმერთივით ერთადერთი, განუმეორებელი და შეუცვლელია.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ჯოჯოხეთში ხვდება კოლხეთიდან ოქროს საწმისის მომტაცებელი და მედეას მაცდუნებელი იაზონი („ღვთაებრივი კომედია“, „პალიტრა“, თბ., 2012, 85–86).

უკვე კანონად ქცეულა ჩვენს ტრანზიტულ ქვეყანაში ოქროს, საგანძურის გატანა, უცხოეთში გაზიდვა: „ამ ქვეყნის წიაღში დღემდე ეძებენ ოქროს, რომელიც უცხოელებმა შორეულ კუნძულებზე გაზიდეს და მეფეს, რომლის სახეც მხოლოდ ფერგასულ ფრესკებს შემორჩა ფართე და მეტყველი თვალებით. ეს ქვეყანა ტრანზიტულია დღეს“ (ძირითადი კანონი) (8, 135–136).

ლექსში მრავალგზის ხდება აქცენტირება „უცხოზე“, რაც შემთხვევითი როდია, რადგან ჩვენს სამშობლოს, ედემის მსგავს მამულს, მუდმივად თავს ესხმოდნენ, ძალით, ნებით ან ცბიერებით, დიპლომატიით ისაკუთრებდნენ და ინაწილებდნენ გადამთიელნი, ადრეც და მერეც, მეოცე–ოცდამეერთე საუკუნეშიც, რაც ბიბლიური სიბრძნის რემინისცენციას იწვევს, თვით პოეტს კი იერემიასებურ გოდებას ამოათქმევინებს ბიბლიური წინასწარმეტყველისა, რომელიც წუხდა „რჩეული ვენახის“ — მშობლიური ერის გადაგვარებაზე: „მე დაგრგე რჩეულ ვენახად, ჭეშმარიტ თესლად დაგთესე, როგორ გადაჯიშდი და უცხო ვაზად როგორ შემეცვალე?“ (იერემია წინასწარმეტყველი, 2,20) (7,126).

ზეციური ვაზი, ვენახი ხომ ქრისტეს სიმბოლოა, მევენახე — მამაღმერთია სახარების მიხედვით: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახეა“ (იოანე, 15,1) (7,213).

მიწის ვაზი კი ებრაელი ხალხია: „ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას სახლია, მისი სანატრელი ნერგი“.

„მე, უფალი, მცველი ვარ მისი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 5,7,27,2) (877,92).

უფალი წინასწარმეტყველის პირით ამხელს საკუთარის დამვიწყებელ და უცხოურის მოთაყვანე ხალხს: „დავიწყებული გყავს შენი ხსნის ღმერთი და კლდე შენი სიმტკიცისა, გაგიშენებია ნეტარების ბაღები და უცხო ვაზები ჩაგიყრია“ (ესაია წინასწარმეტყველი, 17,10) (8,86).

ღმერთის ბრძანებით, ისჯება გადაგვარებული ვენახი — ებრაელი ხალხი: „დაუარეთ მის ვაზებს და გაანადგურეთ, მაგრამ საბოლოოდ არ

მოსპოთ, ტოტები შეაჭერით, რადგან უფლის არ არიან ისინი“ (იერემია, 9,10) (7,129).

იერემია წინასწარმეტყველი ჰგოდებდა: „ჩვენი სამკვიდრო უცხომ დაიმკვიდრა, ჩვენი სახლები — გადამთიელმა.

„ჩვენსავ წყალს ვერცხლის ფასად ვსვამთ, შეშას ვყიდულობთ.

„მონები ხელმწიფობენ ჩვენზე“ (იერემია, 4,2,7,8) (7,184).

წმინდა წერილში ასევე იქცევს ყურადღებას ებრაელი ხალხის უძლეველი გოლიათის — სამსონის დაქორწინება უცხო, ფილისტიმელ დალილაზე, რომელიც მტრის ჯაშუში გამოდგა, თავისიანებს ამცნო სამსონის ძლიერების საიდუმლო და მუხანათურად გაწირა შეუდარებელი გმირი, თუმცა მისი აღსასრულიც რაინდული იყო.

ამაზე გვახსენდება ჩვენი თანამემამულის, ნიჭიერი პოეტის — რობერტ მესხის სულისშემძვრელი სტრიქონები: „ის, რაც წლების წინ გავასხვისე, ევკალიპტები, დღეს ფოთოლ-ფოთოლ უნდა ვიყიდო: ამ ხმელ ფოთლებს ჯიბით ვატარებ“ (ევკალიპტები) (5, 11).

ასეთივეა უმძიმესი ტკივილის მაუწყებელი „საკრალური ლექსი“: გაუცხოება ჰაერის გაიშვიათებასავითაა, თანდათან გახრჩობს და ბოლოს მოგგუდავს კიდეც“ (მესიჯიდან): „უბრალოდ ხორხთან... რკინის მარწუხს რომ წაგიჭერენ და ვერ ამოთქვამ, იმგვარად მადგას ორი სიტყვა: „ჩემი ქალაქი“... (5,13).

და ისევ წმინდა წერილი: „დარდი გაუმრავლდეთ, ვინც უცხო კერპებისკენ ისწრაფვის“ (ფს. 15-16,4)(7,534).

ქართველ ბაგრატიონთა შორეული წინამორბედი გულწრფელად ევედრება უფალს: „უფალო, მიხსენი და გადამარჩინე მრავალ წყალთაგან, უცხო ტომთა ხელიდან, რომელთა ბაგენი ტყუილს ლაპარაკობენ და რომელთა მარჯვენა სიცრუის მარჯვენაა“ (ფს. 144,7,678).

ამ ჭრილში შეიძლება განვიხილოთ რობერტ მესხის სხვა ლექსებიც, რომლებშიც ეროვნული საგანძურის სათუთად შენახვა-გაფრთხილებაა ჭეშმარიტ მამულიშვილთა უპირველესი მოვალეობა და არა მისი გასხვი-სება-დაგირავება.

ლექსში „ჯვარი ეწეროს“ მხილებული არიან ჩვენი ფასდაუდებელი, წარსულის სიდიადეზე მღაღადებელი ექსპონატების — თამარის ჯვრის, ხატების, ოქროს ბარძიმის, ძვირფასი ხელნაწერების დამგირავებელნი თუ

დოლარებზე გამყიდველნი: „მავანი დუმს და მავანს სულაც ფეხზე ჰკიდია თამარის ჯვარიც, ხატიცა და ოქროს ბარძიმიც. აგირავებენ, ჰყიდიან თუ აღარ ჰყიდიან, მე შენ გეტყვი და შეშფოთდება, თავს გრძნობს ვაცივით“.

ლექსის მიხედვით და რეალურადაც, ბევრი ქართველი უსამართლობის მსხვერპლია, ხატები დოლარებში იცვლება, სინდისი დავიწყებულია და საფლავებში შფოთავენ სამშობლოს გულშემატკივარი მამა–პაპანი: „...როგორ შევხედო, რა ჩავძახო პაპის საძვალეს, ის, რომ ლათინი ლამისაა მეფედ დამიჯდეს და რომ ხატები დოლარებში ისე გავცვალე, აღარც სინდისმა შემაწუხა, (აბა სინდისი...) ცნება ასეთი ლექსიკონში, იქნებ, ეწეროს“... (1, 68–69).

დაუვიწყარია უცხოელთა მიერ ოქროს კვირბების გატანა, მსგავსი დანაშაულებრივი ქმედება ისევ გრძელდება: „ჯვარი ეწეროს ხელნაწერებს, მრგლოვანს და ნუსხურს (განძი ადრეც ხომ გაიტანეს ოქროს კვირბებად), საოცარია, გვიტოვებენ მარტოდენ ასლებს, იმის, რაც ჩვენი აღარ არის, ან არ იქნება“.

ასეთი ქმედება ეშმას და მამონას მონობის შედეგია და უპატიებელი შეცდომა კი არა, გამოუსწორებელი დანაშაულია: „ო, საქართველოვ, ცოდვილი ვარ მე შენ წინაშე, რამეთუ ეშმას და მამონას უფრო ვმონებდი, მიწავ ქართულო, ყოფილიყო ის შენს წიაღში, თუ ამ საგანძურს ჩემზე უკეთ უპატრონებდი“ (1, 68–69).

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ემიგრანტებად, შავ მუშებად წასულ თანამემამულეთა გადინებას ემატება იქვე დაოჯახებული ჩვენი ნათესავების, მეგობრების, ოჯახის წევრების გაუცხოება სამშობლოსგან, იქ დაბადებული შვილების გადაგვარება, რომელთაც სულიც შეცვლილი ექნებათ და გენიც, ესეც ხომ ომია, ჩვენი დამარცხების მომასწავებელი, რაც პოეტის, ყველა ნამდვილი ქართველის მოუნელებელი საწუხარია: „...ეს სულ სხვა ომია — შლის, პირისაგან მიწისა, პირისაგან მიწისა, პირისაგან მიწისა“ (სხვა ომი) (5,112).

დამოწმებანი

1. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ., 2003
2. ზვიად გამსახურდია, წერილები, ესსეები, „ჯვარი ვაზისა“, თბ., 1991

3. შერისხულნი, 15 ტომად, ტ. II, თბ., 1994
4. გრიგოლ რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, თბ., 1996
5. რობერტ მესხი, NARCOSIS, თბ., 2020
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
7. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, 1990
8. რობერტ მესხი, მზის რაფსოდია, თბ., 2013

სახელოვან წინაპართა სახეები. დავით აღმაშენებლის შარავანდედი

„ჩემი სამშობლო ტაძარია და შესაწირი ბატკანივით გარშემო ვუვლი“, წერს რობერტ მესხი (1,71) და მართლაც, გამუდმებით მის ტაძრებს, წარსულს, აწმყოს უტრიალებს, ამასთან ცდილობს მომავალშიც გადაიხედოს, რათა სანუგეშო სხივი დალანდოს.

პოეტს დავით აღმაშენებლის საქართველოს ძლევამოსილება და სიდიადე დაუსახავს იდეალად და, როგორც ჭეშმარიტი ქართველი, ამ სიმაღლიდან განჭვრეტს თავისი თანამედროვეობის სახელმწიფოს, მაგრამ სანუგეშოს ვერაფერს პოულობს და დიდ მამულიშვილთა გოდებას მიერთვის პოეტის გულწრფელი სატკივარი.

დავით მეფეზე ფიქრი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოქცეულ სახელმწიფოს აცოცხლებს ცნობიერებაში.

1073 წლის 26 იანვარს დაბადებული დავითი ტახტზე ავიდა 16 წლის ასაკში, 1089 წელს, მამამისის გიორგი მეორის სიცოცხლეში.

მამაცი, მორწმუნე, ნათელი გონებითა და დიდი განსწავლულობით, გმირული სულისკვეთებით გამორჩეული, წინდახედული მეფე სარგებლობ–და იმით, რომ მისი მეფობის პირველ ნახევარში ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყების დროს, თურქ–სელჩუკთა და სარკინოზთა მთელი ყურადღება გადატანილი იყო ევროპელ მოლაშქრე ფეოდალებთან და რაინდებთან ომზე.

მთავარი იყო დაშლილ–დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანება. 1101 წელს მეფემ აიღო ზედაზნის ციხე, 1104 წელს დაამარცხა კახთა მეფე აღსართანი და სამუდამოდ შემოიერთა კახეთ–ჰერეთი.

1107 წ. დავით მეფემ ერწუხის ომში სასტიკად დაამარცხა თურქ–სელჩუკები.

1110 წ. ქართველებმა აიღეს სამშვილდე, 1112 წ. თრიალეთში გაანადგურა თურქთა და სარკინოზთა ჯარი. შემოიერთა განზე გამდგარი თრიალეთის საერისთავო.

1115 წ. თურქებს წაართვა რუსთავი, 1117 წ. ციხე–ქალაქი გიში, 1118 წელს ქართველთა ჯარმა აიღო ლორეს დიდი და ძლიერი ციხესიმაგრე.

1119 წ. თურქ–სელჩუკები განდევნა სომხეთიდან, 1120 წ. გაილაშქრა შირვანში და აიღო ქალაქები: ყაბალა, განძა, ბარდავი და კასპიის ზღვის სანაპირომდე გავიდა. მუსრი გაავლო თურქებს და სარკინოზებს შირვანის, რანის, შაქის (ახლანდელი აზერბაიჯანის) მიწა–წყალზე.

თურქეთის სულთანმა ამის პასუხად დიდძალი ანტიქართული სამხედრო კოალიცია შექმნა, ნახევარ მილიონზე მეტ მაჰმადიანთა კოალიციის მხედარმთავრად დანიშნა ძლიერი სარდალი — ილღაზი. მტრის აურაცხელ ლაშქარს დავით აღმაშენებელი 60 ათასიანი მხედრით შეებრძოლა დიდ–გორის ველზე. აქ გამოჩნდა ქართველი მეფის დიდი მხედართმთავრული ნიჭი და უთანასწორო ომში ბრწყინვალე გამარჯვება იქნა მოპოვებული 1121 წელს, რომელსაც „ძლევაი საკვირველი“ ეწოდა და დავით მეფის სახელი ლეგენდების შარავანდედით შეიმოსა.

1122 წელს დავითმა გაანთავისუფლა ხუთასწლოვან მაჰმადიანურ ტყვეობაში მყოფი, დიდი ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებული თბილისი, სადაც ქუთაისიდან სამეფო ტახტი გადმოიტანა.

1123 წელს დავითმა გაანთავისუფლა სომხეთის დედაქალაქი ანისი. ამაზე ცნობილია მურმან ლებანიძის შემდეგი სტრიქონები: „ათას ხუთასი ქართველი კვდება არა თავისთვის, არამედ სხვისთვის“.

ასევე, ცნობილია დავით მეფის ადრინდელი წარმატებული ლაშქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში, ქალაქების — შაბურანის და დარუბანდის აღება.

დავით აღმაშენებელს ჰყავდა 90 000–მდე მუდმივი ჯარი, რეფორმირე–ბული და კარგად გაწვრთნილ–შეიარაღებული.

მეფემ 1122 წელს ჩაატარა რუის — ურბნისის საეკლესიო კრება, საქართველოს ეკლესია გაწმინდა მწვალებელთაგან, კრებაზე შეიქმნა უბრწყინვალესი საღვთისმეტყველო კანონიკური ძეგლი — რუის–ურბნისის

ძეგლისწერა, რომელიც ორთოდოქსული ქრისტიანული სარწმუნოების მთელ ფილოსოფიას წარმოადგენს.

დავითის მეფობის დრო გამოირჩა ეროვნული თეოლოგიური სკოლის აღორძინებით. დააარსა ქრისტიანული აზროვნებისა და სარწმუნოების კულტურის დიდი კერები — გელათისა და იყალთოს აკადემიები.

დავით აღმაშენებლით დაიწყო ოქროს ხანა საქართველოს ისტორიაში.

დავითი არასოდეს დამტკბარა მეფური ცხოვრებით, მან ყოველივე პირადული სამშობლოს შესწირა, პირადად მონაწილეობდა ციხეების, მონასტრების აშენებასა და შეკეთებაში, ხალხმა ლეგენდა შექმნა იმაზე, როგორ ეზიდებოდა ძლევამოსილი მეფე გელათში უზარმაზარ ლოდებს, როგორ ჩამოიტანა დარუბანდიდან უზარმაზარი რკინის კარი.

ომის შუალედებშიც ეწაფებოდა ქართულ-უცხოურ, რელიგიურ თუ ფილოსოფიურ ლიტერატურას, ბრძოლის დროსაც ჯორებით და აქლემებით მიჰქონდათ მისთვის წიგნები და ერთხელაც, შესვენებისას, კარავში კითხვით გართულ მეფეს თავს დაესხა მტრის რაზმი და მარტოდმარტომ მოიგერია მომხდურნი.

არა მარტო საბრძოლო ხელოვნებით იყო ცნობილი, არაბულ ალქიმიასა და მედიცინაში განსწავლულს, ქვეწარმავლის შხამით მოწამლულთა განკურნებაც შეეძლო, ეშმაკებს ერკინებოდა და ამარცხებდა წმინდა გიორგის მიწიერი ინკარნაცია.

მთელი სულიერი და ფიზიკური ენერგია მამულის განთავისუფლებას, მის კულტურულ აღორძინებას შეალია, 1125 წელს გარდაიცვალა 52 წლის ასაკში.

იდეალურმა მეფემ თავისი ორიგინალური ქმნილება „გალობანი სინა-ნულისანი“ დაგვიტოვა, რომლის ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალები ვერავის დატოვებს გულგრილს.

მისი ანდერძიც საოცარი იყო: დაესაფლავებინათ გელათის შესას-ვლელში, რათა იქ შემსვლელ ყოველ ქართველს მის საქმეებზე, მის ღვაწლ-ზე ეფიქრა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეალებზე ყოფილიყო ორიენტირებული.

ამ თემაზე აღსანიშნავია ანა კალანდაძის ლექსი „ფეხი დამადგით“ (1, 114).

დავით აღმაშენებელს ტეტრალოგია უძღვნა მსოფლიოში ცნობილმა კლასიკოსმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

დავით აღმაშენებელი ევროპაში მოიაზრებოდა, როგორც გრაალის მცველი რაინდი.

გრაალის მიმდინარეობას ქართველურ, კაბადოკიურ ეთნოსს უკავ-შირებს ზვიად გამსახურდია... კაბადოკიური, იგივე ქართველური, პროტო-იბერიული ეთნოსი, არის ძირითადი შემქმნელი გრაალის მიმდინარეობისა. ტიტურელი, ცნობილი პირველი მფლობელი გრაალისა, იყო კაბადოკიელი, ე.ი. ქართველური წარმოშობისა. გრაალის მისია ეს არის სულიწმინდის მისია. გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამსჭვალული ადამიანი (2,38).

მერაბ კოსტავა იზიარებს რუდოლფ შტაინერის მოსაზრებას, რომ წმინდა გრაალის ბარძიმი, რომელსაც გრაალის ძმობის რაინდები ინახავ-დნენ მონსალვატის მთაზე, დასავლეთიდან გადატანილ იქნა აღმოსავ-ლეთში, მეფე-მღვდელმთავარ იოანესთან, ეს პიროვნება კი დავით აღ-მაშენებელი იყო.

არსებობს ცნობა მეფე დავითისა და იოანე ხუცესის იდენტურობის შესახებ.

სწორედ გრაალის ბარძიმის გადაცემისას უნდა მიენიჭებინათ დავითისათვის მეფე-მღვდელმთავრის მაღალი სახელი იოანესთან ერთად და მისი ხელდასხმის საიდუმლო რიტუალს, ქართველებთან ერთად, შესაძლოა, ტაძრელი რაინდებიც ესწრებოდნენ.

გელათის ფრესკული მხატვრობის ძირითად მოტივს სწორედ გრაალის ბარძიმი წარმოადგენს.

დავით აღმაშენებელი, დასავლეთში იოანე ხუცესად მიჩნეული, თვით იყო გრაალის რაინდი, ღვთისგან ხელდასხმული მეფე.

გრაალში მოცემულია საკაცობრიო სიყვარულის იდეალი (3,51).

მერაბ კოსტავა საუბრობს დავით აღმაშენებლის სპირიტუალურ უნარზე, საკრალურ ნათელხილვაზე, რაც საშუალებას აძლევდა განეჭვრიტა თი-თოეული ეკლესიის მსახურისა თუ ფეოდალის ზნეობრივი დონე, განზრახ-ვანი. ამის შიშით ვერავინ ბედავდა ღალატს, ან სხვა რამე ბოროტი განზ-რახვის ფიქრადაც გავლებას“ (ფიქრები საქართველოს მისიაზე) (3,45).

გრიგოლ რობაქიძე პარალელს ავლებს მარკუს ავრელიუსსა და დავით აღმაშენებელს შორის: „ევროპაში თავი მოსწონთ მარკ ავრელით, რომელიც ომშიც „ჭვრეტდა სამყაროს“. ჩვენში დავით აღმაშენებელი „სამოციქულოს“ კითხულობდა. გეკითხებით: „რით ჩამოუვარდება დავით აღმაშენებელი მარკ ავრელის?“ (საქართველოს ხერხემალი) (4,16).

რობერტ მესხი ამ რენესანსის წინამორბედი ეპოქის გადასახედიდან განსჯის ჩვენი მტერმორეული სამშობლოს ტრაგედიას და შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ტროასთან დამარცხებული კართაგენის და ღვთის განგებით იავარქმნილი ბაბილონის ასოციაცია უჩნდება, რის გამოც იერემია წინასწარმეტყველის გოდებას ეხმიანება ბედისგან იავარქმნილი სამშობლოს გამო ამოთქმული წუხილი.

დავით აღმაშენებელია პოეტისთვის მეფობის იდეალი და მას შეჰღაღადებს: „ჰოი, მეფეო, ოდნავ მაინც თუ ჰგავს სამეფოს შენსას, ქართველნი საქართველოს რასაც ვეძახით, თუმცაღა ტაძარს კი ვუშენებთ წმინდა სამებას და მსხმოიარობს აქამომდე ჩვენი ვენახიც“.

ტერიტორიებდაკარგული ქვეყნის გაუნელებელი წუხილია შემდეგ სტრიქონებში: „დავკარგეთ, მეფევ, სამაჩაბლო, ტაო–კლარჯეთი, დავკარგეთ ლორე, ჰერეთი და დიოსკურია“.

მშობლიური ენის ორგზის შემრყვნელი, მტრის და მოყვრის გარჩევის უნარდაკარგული ერი შენდობის ღირსიც არ არის: „გავრყვენით ენა, კირი–ლიცა ძალით გვასწავლეს, ახლა აკვნიდან გვასწავლიან ანბანს ლათინთა... როცა გარჩევაც დაგვავიწყდა მტრისა და მოყვრის და საგინებლად ჩვენივ დედა გადავაქციეთ, ან რა იმედი უნდა გვქონდეს, მეფევ, შენდობის, ვიცი, შენდობა არ მოუდის ამგვარ საქციელს“.

პოეტს წარღვნის დასაწყისად მიაჩნია ის, რომ ერს არ აქვს მტერთან დამოკიდებულების სწორი კრიტერიუმი. ირგვლივ უცხოა გაბატონებული, მისი სამწყსო სავსეა სულიერი საჭურისებით, ფლიდი, შურიანი არაკაცებით: „ჰოი, მეფეო, ნუთუ წარღვნა უკვე მოვიდა, დღეს საქართველო უცხოთათვის საამურია... მარქვი, მეფეო, შენს სამწყსოში თუ იპოვიდი ამდენ საჭურისს, ამდენ ფლიდს და ამდენ შურიანს“.

მომრავლებულან ორპირნი, ზურგში დანის ჩამცემნი, მონები, რომელთა ასპარეზი „მაშრიყით მაღრიბამდე“ არ ილევა.

ურიცხვ ცრუთა, ცილისმწამებელთა, სიმართლის და მშვენების გამთელავთა, ურწმუნო მორწმუნეთა და ქრისტეს მწავლებელთა მხილველი პოეტი არც ერში ჩანერგილ უკეთურთ ივიწყებს და არც კვერთხის მპყრობელ სხვათა განმკითხველ, მაგრამ თვითონ მიუტევებელი ცოდვის მორევში ჩაფლულთ: „...ვერ იპოვიდი ამდენ ცრუს და ცილისმწამებელს, უღვთოდ გათელილ მშვენებას და ჯვარცმულ სიმართლეს, ამდენ ურწმუნო მორწმუნეს და ქრისტეს მწვალებელს, კვერთხი და ცოდვის მიტევება ვისაც მიანდეს“.

მიწაც, ცაც, წმინდა ადგილებიც მოუწამლავთ ეშმაკებთან შეფიცულებს და როცა გამარჯვების ზენიტზე მიღწეული დიდი დავითის ეპოქის შედარება ხდება მეფისტოფელის საუკუნესთან, შეუძლებელია ნუგეშის მოძიება, მხოლოდ სიკვდილის მოლოდინით იმსჭვალება სული: „ჟამია განყრის, ლამისაა გული გამეპოს, ვეღარ ვისუნთქო შენი ცით და შენი გელათით, მარქვი, მეფეო, ოდნავ მაინც თუ ჰგავს სამეფოს შენსას, ქართველნი საქართველოს რასაც ვეძახით“ (მარქვი, მეფეო) (5,58–59).

დამოწმებანი

1. ანა კალანდაძე, ლექსები, „მერანი“, თბ., 1982
2. რობერტ მესხი, მზის რაფსოდია, თბ., 2013
3.
4. გრიგოლ რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, თბ., 1996
5. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ., 2001

თამარ მეფის საფიცარი სახელი

რობერტ მესხის ფიქრი თამარ მეფის სახეს, მის ეპოქასაც გადასწვდება, ქართული რენესანსის ეპოქას, რუსთაველის ნიჭის ზეობის ხანას, რუსთა–ველისა, რომელიც მთელი საუკუნით წინ უსწრებს დანტეს, იტალიის რენესანსს. შალვა ნუცუბიძე მეცნიერულად ასაბუთებდა ფსევდო დიონისე არეოპაგელისა და ქართველი პეტრე იბერის იგივეობას, დასავლური რენე–სანსის საფუძვლად მიიჩნევდა არეოპაგიტიკას და საუბრობდა რუსთველის

რენესანსზე, რომელიც იყო დასავლურ-აღმოსავლური აზროვნების უმაღ-ლესი სინთეზი, ამასთან წინმსწრები ევროპული, იტალიური, დანტეს რენე-სანსისა (შალვა ნუცუბიძე, შოთა რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი, 1947 წ. აღმოსავლური რენესანსი და ევროპოცენტრიზმის პრობლემა, 1941წ.).

ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა გრიგოლ რობაქიძემ ქართულ რენესანსზე 1913 წ. გაზ. „საქართველოში".

ამ მოსაზრებას უცხოელებიც (ჰონიგმანი, ლოსევი) იზიარებენ, მაგრამ თავიანთი ხელოვნების უპირატესობის არგუმენტად იყენებენ მთელი რიგი ქვეყნები.

რობერტ მესხი კულტურული და პოლიტიკური აღმავლობის გადასა-ხედიდან ზომავს თანამედროვე სინამდვილეს.

გრიგოლ რობაქიძე წერდა: „...დიდი თამარი სათუთი ნერვია საქართველოს სულის... თამარის სახელი ჰიეროგლიფია ნამდვილი, — ხოლო არა ქვაზე აკვეთილი, არამედ სულის ნერვით ახაზული, ჰიეროგლიფი — ნერვი, რომლის სათუთი ცახცახი აცოცხლებს გარდასულს ჟამთა და განცდათა. ქართველი მისი სახელით ეზიარების საქართველოს სხეულს მის ისტორიულს დენაში. დიდი თამარი სათუთი ნერვია, საქართველოს სულის თეთრგულა ლოტოსი, აი, ვინ არის თამარი... მრავალი ქართველისთვის... მხოლოდ თამარია ერთადერთი ნავთსაყუდელი. ქართველის გული თამარის სიყვარულით ფართქალებს... თამარის საფლავი დღემდე არავინ იცის. იგი ყველას ეკუთვნის და არავის: — მისი საფლავი ქართველის გულია — ხოლო ქართვლის გრძნობაში ეს საფლავი კი არ არის, არამედ ლამაზი საყვავილე, სურა, საცა ყვავილობს უჭკნობი ყვავილი — დიდი თამარი"...(თამარი) (4,241-250).

თამარ მეფე ქართველთა საფიცარი სახელია გიორგი ლეონიძის პოეზიაში.

გრიგოლ რობაქიძე განარჩევდა „მესიანიზმს და „მისიანიზმს" და დარწმუნებული იყო ჩვენი ერის დიდ მისიაში, ეთაყვანებოდა ქართულ ენაში დაუნჯებულ შესაქმისეულ სიბრძნეს.

რობერტ მესხი წმინდანად აღიარებული დიდი თამარის უკანასკნელი განსასვენებლის შესახებ არსებულ მითს ეხება და ერთმანეთს რომ ადარებს გარდასულ ოქროს ხანას და ჩვენს ტერიტორიულად დამცრობილ

საქართველოს, გულისტკივილს ვერ ფარავს და ამის მიზეზად ობიექტურად მოიაზრებს თავის თანამედროვეობას.

ლექსი იმ მითით იწყება, რომლის მიხედვითაც, შვიდი კუბო იქნა გამოტანილი, მაგრამ კუბოც და წარსულიც სიბნელით არის მოცული: „გამოიტანეს შვიდი კუბო, ძლიერ ბეჭებზე გაიდეს ყრმათა (აღრეულია ერთმანეთში რამდენი მითი, ვით კუბოში, წარსულშიც ბნელა!..)

მეფის სურვილი ყოფილა გელათში დაკრძალვა, ჯვაროსნების ომის დროს ლაშა-გიორგი იერუსალიმის გზას გასდგომია დედის ნეშტით: „გიბრ-ძანებია, დამკრძალეთო გელათს და როცა ცხელ უდაბნოში ჯვაროსნები ებრძოდნენ ფაშას, იერუსალიმს შენი ნეშტი მიჰქონდა ლაშას... გზად გაუხ-ვია კვიპროსისკენ, რატომ ან რისთვის, ვინ იცის, მეფევ?... მიწის ტორტმანმა დაანგრია თურმე ღალია...“

და მთავარი, სატკივრით სავსე პოეტის სათქმელი, რომელშიც ლაკონურად არის აქცენტირებული ჩვენი უბედურების მიზეზი: „შენი სამეფო ორი ადლი დამირჩა თუკი, — ჩემი ბრალია!...“ (ჩემი ბრალია!...)(1,90).

დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის საქმეები და სახელები არასოდეს დაკარგავს აქტუალურობას, ასევე, მათი სამუდამო განსასვენებლის შესახებ არსებული ვერსიები და მითები.

ამ პრობლემას ეხება რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ჯაბა სამუ-შია, რომელიც კატეგორიულად უარყოფს მოსაზრებას, რომ შესაძლებელია საქართველოს ისტორიულ მხარეში, ჰერეთში ბედუკუღმართობის გამო აზერბაიჯანის საზღვრებში მოქცეულ ამ ტერიტორიაზე იყოს თამარ მეფის საფლავი. მეცნიერი ეყრდნობა თამარის თანამედროვეთა, მისი პირველი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ანონიმი ავტორის და ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ მეფე თამარისა“ წყაროს, რომ თამარ მეფე დაკრძალულია გელათში. ამ ცნობის სანდოობას განამტკიცებს ის, რომ ორივე ეს ქართველი თამარის თანამედროვენი იყვნენ. თამარის საფლავად გელათს მოიხსენიებს ლაშა-გიორგის მემატიანეც, რომელმაც თავისი თხზულება 1222 წლიდან 1226 წლამდე დაწერა. აზრთა სხვადა-სხვაობაა თამარ მეფის გარდაცვალების თარიღზე, სახელდება 1207, 1210 და 1213 წლები, რომელთაგან ჯაბა სამუშია უფრო მისაღებად მიიჩნევს 1210 წელს.

მეცნიერის აზრით, თამარის დაკრძალვის ცერემონიალისა და საფლავის ადგილის მითოლოგია იწყება შუა საუკუნეებიდან, კერძოდ, 1510 წელს თურქებმა გელათის მონასტერი ააოხრეს. დავით აღმაშენებლის მიერ მონასტრის დაარსებიდან ანუ 1106 წლიდან მონასტერს არავინ შეხებია, მაგრამ თურქებმა განძის ხელში ჩაგდების მიზნით ეს მოახერხეს. იმის შიშით, რომ ამ მეფეებთან არაერთხელ დამარცხებულ თურქებს მათი საფლავები არ წაებილწათ, ქართველმა ბერებმა მათი ნეშტები განძთან ერთად გადამალეს, რის გამოც ეს საფლავები ცარიელია.

1920 წელს ექვთიმე თაყაიშვილი გელათში გათხრებს აწარმოებდა, მაგრამ დავითის საფლავს ის არ შეხებია, ხოლო თამარ მეფის საფლავი გათხარა, მონასტრის სამხრეთ მინაშენში, ეკვდერში, მაგრამ იქ იმერეთის მეფის ალექსანდრეს მეუღლისა და მისი შვილის საფლავები აღმოჩნდა. ალექსანდრე მეფემ გელათის ხატი გაქურდა და მერე თვალები დაევსო. ის წერს, რომ მან ცარიელი საფლავი პოვა გელათში და თავისი მეუღლე და შვილი იქ დაასაფლავა. ვის უმალავდა ქართველი ხალხი თამარის საფლავს? ლეგენდის მიხედვით, უზარმაზარი დარბაზიდან ცხრა ოქროს კუბო გამოიტანეს, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით წაიღეს და მერე მესაფლავეებმა თავი მოიკლეს, რათა დიდი მეფის ძვალთშესალაგი უცნობი დარჩენილიყო ოსმალთა ხონთქრის შაჰ-აბასისა და შაჰ-თამაზისთვის. ესენი თამარის თანამედროვენი არ იყვნენ, მათ საუკუნეები აშორებდათ ქართველი მეფისგან.

მეცნიერი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ თამარის საფლავი არა ჰერეთში, მინდორზე, არამედ გელათის საკურთხეველშია, ამას ითვალის-წინებდა ქართული მართლმადიდებლური ტრადიცია. ასურელი მამები, რომლებიც მე-6 საუკუნეში ჩამოვიდნენ საქართველოში, დაკრძალული არიან საკურთხეველში. საკურთხეველი არის საკმაოდ დიდი სივრცე, რომელიც შედგება სადიაკვნოს, სამკვეთლოს, ამბიონისა და ტრაპეზის ქვისგან. აი, ამ სივრცეშია მოსაძებნი წმინდა თამარის საფლავი"... (ჯაბა სამუშია, არის თუ არა ჰერეთში თამარის საფლავი? (გაზ. „ასავალ-დასავალი, 2021წ. 22-28 მარტი, №13 (1373).

რობერტ მესხის გაუნელებელი ტკივილია „სიზმრებში ჩარჩენილი ტაო" (რეისი... თბილისი) (740).

დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის შემდეგ მრავალი ძნელბედობის გადამტანი სამშობლოს უკუსვლის ტკივილია ლექსში „ძველი ტკივილები როგორ გავანელო“: „ძველი ტკივილები როგორ გავანელო, სიტყვა უპოვართა ღრუბლებს შელესია, ჩემი საქართველო — აღარც საქართველო, ჩემი ეკლესია — აღარც ეკლესია“.

პოეტი ჩივის. „...ჩემი სიყვარული — აღარც სიყვარული, ჩემი იმედები — აღარც იმედები...ჩემი სახლი აღარც სახლია და ქუჩა გამიტაცებს ისევ უსაშველო“.

და ისევ გრძელდება ბედის საყვედური: „...ბედო, ზღვაში მყოფი კაცის წყურვილივით, აღარც დამახრჩვე და აღარც დამარწყულე... ღმერთო... შენ კი მოფარფატე ჭრელი ფარვანისებრ აღარც მოხვედი და აღარც მიმატოვე. ძველი ტკივილები როგორ გავანელო, სიტყვა უპოვართა ღრუბლებს შელესია ჩემი საქართველო — აღარც საქართველო, ჩემი ეკლესია — აღარც ეკლესია“ (5, 52).

„სიტყვა უპოვართა“ შემთხვევით არ არის აქცენტირებული, რაც წმინდა წერილს გაგვახსენებს: „ვთქვი: „სიბრძნე ძალაზე უპირატესია, მაგრამ უპოვარის სიბრძნეს აბუჩად იგდებენ და მის სიტყვებს ყურს არავინ უგდებს.

„ბრძენთა სიტყვები, წყნარად ნათქვამი, უმჯობესია, ვიდრე სულელთა მთავრის ყვირილი“ (ეკლესისტე, 9,16,17)(8,486).

ერეკლე მეფის აჩრდილის მოვლინებაა ლექსში „ახსოვს ქვაფენილს“: „...ახსოვს სასახლეს აბჯრიანი ჯარის — იცოცხლოს, მეფე ერეკლემ იცოცხლოსო, მრავალჟამიერ!“ (ახსოვს ქვაფენილს)(9, 108).

ეროვნული უბედურების, დაკარგული ტერიტორიების ტკივილია ლექსში „ალბათ ასეა“: ... (სარფი, გონიო...), — ჩემთვის სამშობლო სიზმარია თეთრი გემების, ზღვა კი მაჯებზე გადამტყდარი საფირონია“ (9,108).

„სპარსული ექოც“ ორმაგ სატკივარზეა, აქ დარჩენილი სამშობლოს გულშემატკივრებზე და ერის ძნელბედობით „იქ“ დამკვიდრებულ ჩვენიანებზე: „თქვი, რომელია უფრო რთული, ალავერდი — ხან, — იქ როცა გტკივა საქართველო, თუ აქ, სპარსეთში? (თანაბრად ნამავს წინანდლის და შირაზის ვარდებს ცრემლი და ცვარი...) უფრო რთულია ოცდაცამეტთაღიან ხიდზე გადაატარო შეჰირი და ნამგალა მთვარე“ (1,102).

ფერეიდნელი ქართველისთვის სიზმრებშიც მამულის ხატებაა: „ბებია მყავდა, იტყოდა ყე: — შუახნის მერე ანქ ერთნაირ სიზმრებს ვხედავთო, —

ხან ვაზის რიგებს ჩაუვლიდა თვალდანამული... ცისარტყელას ქვეშ გავძვერი და სწორედ ასეთი, ლამაზ სიზმრებში არეკლილი დამხვდა მამული“ (ფერეიდნელის ნაამბობი) (1,123).

ლექსი „ტობავარჩხილი“ სამეგრელოს ტბასთან მარილიანი წყლის მონატრებით მიგვანიშნებს დაკარგულ აფხაზეთზე: „სამეგრელოში ერთი ტბაა. იტყვის მნახველი: მთვარის ყალიბში ჩაუსხამთო გამდნარი ვერცხლი“.

ამ ორიგინალურ ხილვას მოსდევს ქვეტექსტებით სავსე ფრაზა, რომელსაც ტკივილიანი სათქმელი აემგზავრება: „როგორ მგავხარ, ტობავარჩხილო, ერთი სხვაობით, შენს წყალში მთები ირეკლება, ჩემში პირიქით, — წყალი, ოღონდ მარილიანი“... (1,103).

და ისევ დარდი, ისევ ტკივილი დაკარგულზე, დაუბრუნებელზე, სულის თვალების ახელის, სიმართლის გაცნობიერების იმპულსად: „ჰო, ოშკი ისე აზიზია, მეათეში რომ ჩაისუნთქა, ოცდამეერთეს მოატანა სუნთქვაშეკრულმა — ცა თავზე არ ჩამომექცესო...“

ეს მინიშნება კი, ტოლერანტული ერის შვილის მრავლისმთქმელი მინიშნებაა სხვათა ტერიტორიებზე დადარაჯებულთა მისამართით: „შენ რა გადარდებს, აზიზიე? — აქ მეჩეთი, იქ კი მედრესე, ბერძნული ტროა, გადამწვარი ანატოლია“.

და საყვედური, ტაქტიანი გამხელა ჩვენი უბედურების შემოქმედზე: „ჩემი ქართლი მჭადის ტოლია და მჭადზე — ჯვარი! შეირგო იქნებ, ტაოსკარი — ართვინი, სპერი... გახსოვდეს ესეც — შენთან რომ მოლა კივის, ჩემთან ზარები მღერის“ (სუნთქვა ტაოდან) (1, 71-72).

დამოწმებანი

6. რობერტ მესხი, მზის რაფსოდია, თბ. 2013
7. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, წერილები, ესსეები, თბ. 1991
8. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991
9. შერისხულნი 15 ტომად, ტ. 2,თბ. 1994
10. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ. 2001
11. გაზ. „ასავალ-დასავალი, 2021 წლის 22-28 მარტი, №13 (1373)
12. რობერტ მესხი, ნიჟარები, „უნივერსალი“, თბ. 2008

13. ბიბლია, თბ. 2013
14. რობერტ მესხი, მთვარე და ქუჩა, „უნივერსალი“, თბ. 2010

მოეხვია მარჯნის ტროპიკს გველი

რობერტ მესხი, როგორც აფხაზეთელი, თვითმხილველია გაუგონარი, საუკუნეებში დაუვიწყარი ტრაგედიის, რაც აფხაზეთში, ძირძველ ქართულ მიწაზე მოხდა. პოეტი სხვისგან განაგონ, მხოლოდ ცალი თვალით ხილულ სინამდვილეს კი არ აფიქსირებს, არამედ საკუთარ თავზე გადატანილ ტრაგედიებს აანალიზებს, მოვლენის მიზეზთა მიზეზს, შედეგებს იკვლევს, მთავრ დამნაშავეს ეძებს, პოულობს და ობიექტურად განსჯის, თავის სახელს არქმევს იმ ეროვნული, სამუდამოდ მოუშუშებელი უბედურების რეჟისორს. სწორედ სათავიდან იწყებს იმ უბედურების ათვლას, ღია ჭრილობის ჩვენებას, რომელიც, არავინ იცის, განიკურნება თუ არა ოდესმე.

ამ პრობლემას სიმბოლურ-მეტაფორულ ჭრილში გაიაზრებს ლექსი „შენი ბრალია“: „...ხან გემებს ყლაპავ, ხან დედოზარს ლურჯი მონასტრის. ჩემი ქალაქი, ჩემი ერთი ციცქნა დონაქსი, რომ მოუგდე ტალღის ეშაფოტს, დამიბრუნე, შავო ვეშაპო!“ (1,4).

„უძილობის სეზონში“ ისევ მტაცებელი „ცისფერი ვეშაპია“, ღვთისმშობლის წილხვედრი ჩვენი სამშობლოს სამოთხისდარ ადგილებზე ჩასაფრებული: „შენ რომ დასახლდი, ის კუნძული სინამდვილეში ცისფერი ვეშაპის ზურგია“ (5,22).

ლექსი ქვეტექსტებით გვამცნობს მთავარ სათქმელს. გემი, ხომალდი ხან რწმენის, ხან ჩვენი ზეციური დედის სიმბოლოა, „ლურჯი მონასტრის“ დედოზარის გაქრობა ქრისტიანობის უმთავრესი პოსტულატების უარყოფისა და სატანისეული გზით სიარულის მაცნეა, რამაც ეშაფოტზე აიყვანა ჩვენი ძირძველი ერი „შავი ვეშაპის“ — ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის და „მეგობრის“ ვერაგობით.

ლექსი „რიწაც“ „უხილავი კვანძის“, წითლად შეღებილი ეროვნული შემოგარენის უკან „გველს“ ხედავს, იობივით ტანჯულს, მაშველი არავინ ეგულება მიწაზე და მაცხოვარს ევედრება ხსნას: „ღანძილისფრად შეიღება რიწა და არ ვიცი, რა თილისმა მიცავს. ჩაიხლართა უხილავი კვანძი, ვინ

გაზომავს შენს ტალღამდე მანძილს? მოეხვია მარჯნის ტროპიკს გველი და იობის მოთმინებით ველი ამდაგვარი მოთმინების საზღვარს, გადმომხედე, მაცხოვარო, აქ ვარ...“ (3,29).

ასპიტები ილანდება ჯვარზე გაკრული ქართველის გზაზეც : „და გზა იყო ჩხრიალა ასპიტის მსგავსი და ქვაფენილი — აჯაგრული ხორკლი“ (რენე) (1,7).

„ოქროს ნაპირის“ მოგონებაც „გორგონების გესლით“ არის მოწამ–ლული: „ო, იმ ტალღების რა ხანია შეწყდა მოტივი, ოქროს ნაპირი გორგონების გესლმა გამურა და სიჭაბუკე — ქარვისფერი სიასამური უცნობ ბილიკებს გაედევნა ქარაშოტივით“ (ფერადი სონეტი ფიქრიას) (3,60).

ჯვარცმის ტოლფასი ტრაგედია გადახდა აფხაზეთს, საქართველოს, მას წაერთვა წარსული, აწმყო, სისხლის მდინარე დიოდა ირგვლივ: „...შენს წყალს და მიწას წააწერეს — „გაყიდულია!“ წარსულს და აწმყოს წააწერეს – „გაყიდულია!“ ცა — შენი წილი — დახლებს შორის ჩამოატარეს. რაღაცნაირი შიში გიპყრობს, რაღაცნაირი... ჯვარზე გაკრულს მოჰგავს ქალაქი, გულზე დასდის სისხლის მდინარე...“

და პოეტს აგონდება ბიბლიური აბრაამი, იერუსალიმი — მაცხოვრის სახლი, პეტრეს სახლი, ჩრდილოეთის ქალაქი მოსხთა და რომისაგან დაქცეული კართაგენის რემინისცენცია ჩნდება: „...დაიმახსოვრე: ჰალებ — მოხუცი აბრაამის თავშესაფარი, იერუსალიმი — პეტრეს სახლი, სახლი მაცხოვრის, ამაოდ ეძებ შენს საცხოვრისს, იგი ცას მოსხლტდა, დღეს კი მხოლოდ კართაგენია — თვალებდათხრილი...“ (ორი ნაფაზი) (4,7–8).

ბრაკონიერებად მოიხსენებიან ის ჩასაფრებული, ზნეობის ყოველგვარ ზღვარს გადაცდენილი თანამოქალაქეები და მათ ზურგს უკან ერთად მდგომი ვაიმეზობლები, რომლებმაც უკადრებელი იკადრეს ჩვენს მიწაზე დასანარცხებლად: „...ჩასაფრებულმა ბრაკონიერებმა პირველივე აფრენისას ზღართანით დაგვანარცხეს მიწას და რეპტილიებივით ღოღვას მიგვაჩვიეს“ (ფრთოსნები) (5,69–70).

აფხაზეთს ტრაგედიაზე ძალიან ბევრია დაწერილი, მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეულია რობერტ მესხის პოეზია. შემზარავი ომის მიზეზ–შედეგს რომ უღრმავდება, მოყვასის სახით მოსული, მტრის ვერაგულ ზრახვებზე მიუთითებს და გარეშე ძალებთან შეკრულ მოღალატე შინაუ–

რებზეც მიგვანიშნებს: „...მე ვარ, სამშობლო ვინც მტერსა თუ მოყვარეს მისცა — ძალით და ნებით“ (მინაწერი „აფსნიპრესის“ ფოტოზე) (4,16).

ომის მიზეზი ჰუმანურობა არ არის და არც ზნეობას ეფუძნება, მაგრამ მოკლული შვილის თვალების გადაყლაპვა დედის მიერ, მტრის უბოროტესი, მხეცური ინსტინქტების ხელწერაა: „...მე ვიცნობ დედებს შვილის თვალებ-გადანაყლაპებს, უშავესი ყორნის სამოსით, რომელთაც მარტის ყვავილები ყელში ამოსდით, ფურცლები რომ ექცათ ხატებად, მძიმე ჯაჭვებით რეკენ და რეკენ მათ კისრებზე დედოზარები და სასულედან ერთ სიტყვა — ომი მოუჩანთ“ (კოვზი) (1,18).

ლექსში „ჩემი პროფილი“ „ჩრდილოეთის ქარი“ შემთხვევით არ ფიგურირებს, როგორც ბეჭდის ქურდი: „აგერ დედაჩემს, მაგალითად, ყველა ბეჭედი ჩრდილოეთის ქარმა წააძრო... მერე სახლებმა დარაბები გამოიხურეს და შუა ზღვაში გადაყარეს გასაღებები“ (4,19).

მოყვრის ნიღბით მოსულ მტერს ადგილობრივებმა მისცეს სამშობლო „ძალით და ნებითაც“: „...მე ვარ, სამშობლო ვინც მტერსა თუ მოყვარეს მისცა — ძალით და ნებით“ (მინაწერი „აფსნიპრესის“ ფოტოზე) (4,16).

ისმება მთავარი კითხვა და პასუხიც გაეცემა „— ვისია მიწა? — უფლისაა! — ვისია მიწა? — უფლისაა! — ვისია მიწა? — უფლისაა! როგორ არ უნდა მიმეხედა?! — იდგა ბავშვი და მიწას ჭამდა...“ (უკან, ცირა ყურაშვილს) (4,20-21).

საფიცარი დიოსკურიის სიყვარული საკმარისი არ აღმოჩნდა დანდობისათვის, მგლოვიარედ აქციეს ქართველი და ქართლის დედა, ჯვარს აცვეს აფხაზეთი, ეს ტრაგედია შეეხო რობერტ მესხის ოჯახს, ძმას: „...ჩემი ძმა მოკლეს ოთხმოცდათორმეტის ოქტომბერში, მოკლეს გაგრასთან. მისი ქვეყანა — აფხაზეთი — გამოხრულ ხეზე ჩამოკიდეს ვაზის ლერწებით. დიოსკურების იფიცებდა მზეს და იმიტომ!... გლოვობს ქართველი და ქართლის დედა“ (ძმა) (4,11).

ლექსში „ამ სურნელით გაგაბრუებ“ დედის უბედურებაში მთელი ქართველობის ტრაგედია იკითხება: „დედა თევზებმა გაასვენეს, დელ-ფინებმა იტირეს მოთქმით, ფარავდა კუბოს მედუზების თეთრი სუდარა“.

უსაშველობა, უნუგეშობა, სიკვდილის აჩრდილი გვზარავს შემდეგ სტრიქონებშიც: „არ არსებობს გაღმა ნაპირი, არც შენი მიწა... არის მხოლოდ გაჩერებები, სადაც ჩრდილები დგანან სველი სუმბულებივით და

ირწევიან... ჩემი სამშობლო, გამობმული ყვითელ ავტობუსს, ჩამოდის ძეგლთან გაძარცული ქალბატონივით... გამოუგზავნეთ მოსასხამი, ემიგრანტებო, გამოუგზავნეთ მერის საყურე!“

...ზღვის მიქცევა, ბესლეთის ჩატეხილი ხიდი, ხერხემალგატეხილი პერსონაჟი იმზირება სხვა ლექსშიც: „...ზღვას რომ გავყურებ, მიქცევაა, მიქცევაა დიდი ხანია! დიოსკურიას გალოკილი მოუჩანს შუბლი, მეც — წელში მოხრილს — ხერხემალივით გადამიტყდა ბესლეთის ხიდი... ყველაზე დიდი — ავკრიბო ძვლები უახლოეს გაჩერებამდე“ (Pas!) (4, 8–9).

და სიკვდილი, სასაფლაო მიიჩნევა ხსნად.. „დამასაფლავეთ ნიჟარების სასაფლაოზე, სადაც პალმების დაღვრემილი ხეივანია“ (დაგვიანებული. მარგალიტის სონეტი) (2,111).

ზღაპარივით დაუჯერებელი ტრაგედიების, სისხლიანი უღელტეხილის შემყურე კომაში ვარდება და ეკლესიასტეს „ამაოებათა ამაოება“ უბნელებს გონებას.

„წყალს მოუყევი სისხლიანი უღელტეხილი და ვერტმფრენები, როგორც მწვანე კუტკალიები, დაღლილი ფრთებით... და ყველა ხიდი, მიზანსცენა გასვლა–გამოსვლა, „ტრაგი“ და „კომი“ ერთდროულად, ან იქნება „კომა“...

ხსოვნა ხალხურ სტრიქონებსაც ამოატივტივებს: „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანთ“: „წყალს მოუყევი, „ამაოება ამაოებათა“, დედა — ზღაპარი, მამა — ნატვრა და ასე — წვეთი, წვეთი წვეთზე“... ქვა–გახვრეტილი, მზის ხმაური, ნიჟარის სუნთქვა... „წყალნი წავლენ და წამოვლენ“... „წყალნი წავლენ და წამოვლენ“ (წყალს მოუყევი) (4,9–10).

და პოეტს აწამებს „ფობია“ — წყლის, ზღვის, შადრევნის.

უმიზნოდ, უშედეგოდ დაღვრილი სისხლი და დიოსკურიის სიშორე აფორიაქებს სულს: „ჩემს ჭრილობას სულ სისხლი დასდის... არც დედდება, აღარც წყალდება, — შიშველ ტალღებად ეხეთქება ხსოვნის ჯებირებს... მაინც მწყურია... რა შორსაა დიოსკურია და მეც რა შორს ვარ!“

სადაც არ უნდა იყოს, პოეტს არ ტოვებს მშობლიური აფხაზეთის ადგილების მოგონება: „ვნახე კუნძული ვანკუვერი — ორაგულები, სიზიფესავით რომ ადიან წყალვარდნილებზე და იქვე შავი ბარიბალი, ანუ სიკვდილი. ვნახე კუნძული ვანკუვერი და მომაგონდა მერხეული, ჩემი კოდორი, სათავისკენ გაბმული ჯაჭვი...“ (ვანკუვერი) (1,9).

ფიქრი გამუდმებით დასტრიალებს თავს დიოსკურიას, რომელიც პოეტისთვის იყო მაცოცხლებელი წყარო: „ფიქრით გადავწვდი სანაპიროს დიოსკურების, თუ ვცდილობ, ნამი მაცოცხლებელ წყაროდ ვაქციო?“ (ფიქრით გადავწვდი) (1,11).

ომის შედეგია მკვდარი ქალაქი, გახრწნილი დელფინები, თვალდა-თხრილი ადამიანები,... დევნილთა კუბოებზე დასაყრელი მიწის ცხვირსა-ხოცებით ჩამოტანის რიტუალი: „მკვდარი ქალაქი... მესმოდა ზამთრის სიმფონია სამგლოვიარო. ნანგრევები, გახრწნილი დელფინები, თვალდა-თხრილი ადამიანები, სარეველები, ვაგზალზე, გაგრიდან, გუდაუთიდან, სოხუმიდან, გულრიფშიდან, ოჩამჩირიდან, ტყვარჩელიდან, გალიდან — აი, ის, ცხვირსახოცებით რომ ჩამოაქვთ დევნილთა კუბოებზე დასაყრელად“ (ნიჟარები) (2,116-120).

ერთადერთი ნუგეში მშობლიური ადგილებიდან გაძევებულთათვის ნაყიდ მიწაში მოსვენებაა, თანაც ენგურს გაღმიდან გადმოტანილი სამი პეშვი მიწის დაყრა: „მოკვდა და მთელი დანაზოგი მიწაში მისცა. ეკლესიასთან იქ, სადაც საძმო საფლავია... ალალი იყოს სამი პეშვი ენგურს გაღმიდან, ვიღაცა რომ გულზე აყრიდა... ასეთია მიწის თვისება — ზოგჯერ უფასო ფასიანში აიგლისება“ (მიწა) (1,15).

„მიწით ლტოლვილთა, ზეცით ლტოლვილთა“ სახლები სინდისის ქენჯნის გარეშე დაუტაცნიათ მოძალადეებს: „...ახლა იმ სახლში, მარცხენა კედელი რომ რუსულმა გრადმა მოუნგრია, სხვები ცხოვრობენ“.

საყოველთაო ტრაგედიას პირადულიც მიმატებია: „შემოდგომაზე, როცა ჩემი ქალაქი დანაღმულ გზაჯვარედინს დაემსგავსა, ვიგრძენი, როგორ გამიშვა ხელი დედამ და დაფეთებულ თოლიებს შეერია. მას შემდეგ ვდგავარ ცადაწვდილი მკლავით ღამეში“ (სოხუმი).

ბნელა სულში, შავ ღამეზე შავია მიცვალებულთა ჭირისუფლების მანდილი: „გამტკნარებული სახეები უსხედან სუფრას, აშრიალებენ შავ ღამეზე უშავეს თავშლებს“ (დაკრძალვის ღამეს).

რასაც უსამართლოდ გვედავებოდა დიდი იმპერია და მისი მარიონეტი აფსუა, ღამის ზღაპრად ქცეულა: „აღარც ცხადია და აღარც ათასერთი, ღამის ზღაპარია ჩემი აფხაზეთი“ (ჩემი აფხაზეთი) (6,78).

ამ შემზარავი ბოროტების შედეგია კატაფალკების, კუბოების, თვალდათხრილი ჭირისუფლების მომრავლება, გაუჩინარებული,

მიუგნებელი მიცვალებულების სევდა: „ხომ შეიძლება მკვდარს ეძებდე... და თაიგული — მუქი ლენტი წითელ ვარდებზე — ხელში ჩაგაჭკნეს“ (საით? რომელ სასაფლაოზე?...).

ამასობაში უხმაურო კატაფალკები გაივსო კაკლის კუბოებით, ბზის კუბოებით... ქუჩები, როგორც თვალდათხრილი ჭირისუფლები, ჩემი მკვდრები აღარ არიან. არ მაქვს უფლება — ჩემი მკვდრები აღარ არიან — არც ყვავილით, არც უყვავილოდ!... და პურსაც ვერ ვჭამ, თუ ღვინოში აღარ ჩავალბე! ჩემი მკვდრები აღარ არიან, და უცნაურ წასვლას მაგონებს ესეც... არ შერჩა ქალაქს პულსი, თუ სიკვდილი კლინიკურია, არც სუნთქვა ისმის“ (რეკვიემი) (4,17).

უსამართლო ომში, არატოლფარდი ძალების დაპირისპირებაში დამარ-ცხებულებს ერთადერთი მიზანი შერჩათ, მიცვალებული ოჯახის წევრების, ახლობლების, მეზობლების მოძიება და დამარხვა, მაგრამ რამდენი ადამია-ნი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ცხედრებიც ვერ მოიძიეს. „...დავხიკოთ ახლა ჩვენი მკვდრები... მშობლები... და-ძმები, შვილები, მეზობლები... უკვე არ ექნებათ ხორცის სუნი კუბოებს, მიწის სუნი ექნებათ მხოლოდ... მოვკრიბოთ აწი ჩვენი გადარჩენილი მიცვალებულები,... —ცოცხლებიც, ცოცხალ-მკვდრებიც, დროა „შეკრებად ქვათა“... (მატარებლები) (4,23-25).

განცდილ, გაუსაძლის ტკივილზე გვაუწყებს ლექსი „ჭერი ჭერს არ ჰგავს“: „ხის ერთ ჩარჩოში ორი დიდი ტკივილი ჩავსვი — ბებო“. სოხუმი (1,16).

პოეტის ხსოვნას არ სცილდება საშინელი სურათები: „...ქალაქი რომ დაცხრილეს მიჯრით... დაცალეს ყველა ავტომატები და ვერტმფრენებმა (კუტკალიებმა) სულ ფაცა-ფუცით აიტაცეს ცაში სირცხვილი. (როდის იყო ცა წითლდებოდა?! — მხოლოდ მწუხრი, მზე რომ ხტებოდა „ბრეხალოვკის“ ზვირთსაჭრელიდან). მერე მე მხრებით, სუსტი მხრებით ჩამოვიტანე წარსული — ფრჩხილით ამოყრილი ფოტოალბომი, აწმყო — შენს თვალებს შერჩენილი მცირე იმედი... ხიდთან მივედი, დედი, ჩაშლილ ხიდთან მივედი. დღემდე აქ ვდგავარ!“

მთელი თაობის, უდანაშაულო თაობის სატკივარია ლექსში „ტვირთი“.

„ხან შენი ქვისკენ დავიხარე, ხან ნოსტალგიამ მომიღრიცა ზღვისკენ კისერი. ორივე მძიმე იყო, დედი, წარსულიც, აწმყოც... იმდენად მძიმე, რომელი რომელ მხარზე მედო, ვერ გავიხსენე“... (4, 22-23).

„სადღაც დავტოვე, ჩემი სოფელი, დედის საფლავი და ეკლესია“, ჩივის პოეტი, რომელსაც ისღა დარჩენია, დედის სახელი უკვდავყოს და იები მიიტანოს მის სამუდამო განსასვენებელთან.

ამ უსამართლო ომის შედეგები კიდევ უფრო შემაძრწუნებელია. ჩრდილოეთის ვეშაპმა და მისმა დამქაშმა აფსუებმა გამოდევნეს მშობლიური ადგილებიდან ძირძველი მოსახლეობა და ჯვარცმულის როლის შემსრულებლებმა დაისაკუთრეს ზღაპრული მხარე: „ისედაც ვიცი, — ვანგას ნიჭი რა საჭიროა? ის თავის მლაშე, რძისფერ ქალაქს დაუბრუნდება, ძვლებით მოკირწყლულ ვიწრო ქუჩებს ორივე ფილტვით შუქურასთან — ვითომ ღმერთია, ჩამოივლიან და უცრემლოდ გარდამოხსნიან“.

მართლაც ჯვარცმულთ, ძირძველ მოსახლეთ ბედის დაცინვით უდაბნოს ქვიშისთვის, ასპიტის გესლისთვის გაიმეტებენ, მავთულხლართებს გაუბამენ და არავინ იქნება მშველელი, არც „სხვა მარიამი“.

„...შენ? შენ უდაბნოს ქვიშას შეჭამ, ასპიტის მზერას, მზეში გაძრულს და როგორც რამე ბედისწერა — ნანგრევი ტაძრის, შეგხვდება რკინის მავთულხლართთან და, ამის გარდა, ღმერთი ხარ ვითომ — ჩამოივლიან, რომ საკუთარ ჯვარცმას დაგასწრონ და ... სად იქნება მარიამი — სხვა მარიამი? — ქალებმა — კაცებს რახანია ცაში გაასწრეს!“ (ის და შენ) (1,28).

ასეთი არსებობა გადარჩენა როდია, ზღვაში ჩამხრჩვალს ჰგავს ლექსის ლირიკული გმირი, რომელსაც ნაპირის ხილვა არ ეღირსა: „...ზღვაში ჩამახრჩვეს და ვერაფრით გამოვირიყე“ (Narcosis) (1, 32–33).

ამიერიდან „ოქროს ნაპირთან გაწყვეტილი მერიდიანია“ ფიქრის, წამების წყარო.

შემზარავი, უსამართლო სინამდვილის სურათია ლექსში „გამოგვასახლეს“ (4,29–30).

და „ცოცხალ—მკვდარი“ აფხაზეთელი ქართველი მიმართავს უკვე დაკარგულ სამოთხეს: „...დაგიშვია წვიმების ფარდა, მახვედრებ მკვდრის მზეს. ჯერ გიმზერ, გიმზერ... საღამომდე არ ვიღებ ბილეთს!.. რომ გაგიჩნდი, გყოლოდი, ზღვაო, — რად გამაშვილე?! (გყოლოდი, ზღვაო!..) (4,31).

„...ღვინო, რომელიც ვარ შევსვით, და ტალღები, რომლებიც უჩვენოდ ააგორა აღმავალმა მთვარემ. შენ ხომ მთვრალი ხარ? ღამღამობით დაბორიალობ და საკუთარ ქალაქს დაეძებ და მაინც სად არის შენი ქალაქი? რომელ ყურეს შეაფარა თავი?.. მე ვიყავი ფიფქია, რომელიც ივნისში

უცნაურმა ხილმა მოწამლა და ზღაპრული პრინცის მოლოდინში მგლოვიარე ჯუჯებმა დაკრძალეს“ ასეთი გაუნელებელი სატკივარია ლექსში „ივნისის ზღაპარი“ (1,105–106).

უსამართლოდ დაჩაგრული, გამეტებული ადამიანი, ბუნებრივია, „სევდის ოკეანეშია“ ჩარჩენილი, ტანჯავს ძალით დატოვებული, მშობლიური ადგილების ნოსტალგია: „...წევს ზურმუხტის ნაპირი მოქნეული შოლტივით, როდის გამოვიქეცით ჯადოსნური ზღაპრიდან, მე დაღლილი მეთევზე, შენ — მწუხარე ქალთევზა?! (ცხუმი — მოგონებების მოცახცახე მანეჟი...) ერთმანეთის სიზმრებში ჩიტებივით გავებით, რანაირად შევცურეთ სევდის ოკეანეში, დამსხვრეული ხომალდით, მოშვებული მკლავებით? რანაირად გადავრჩით, ანდა როგორ შევხვდებით? ირგვლივ რიბირაბოა, ეს კი ჩემი შუბლია... მომტირიან ღრუბლები — შაოსანი დედები მე — ისედაც შაოსანს და ისედაც ღრუბლიანს“ (ნოსტალგიური) (5,26).

ოცდაათი ათასი უდანაშაულო ქართველი შეეწირა მესამე ძალის მიერ ინსპირირებულ ომს, სამასი ათასი დევნილად იქცა: „აღარც ფრთები გვაქვს, არც საბუდარი, არც არაფერი“ (მე და შენ რა ვქნათ?) (5,14), ასე გაიზიარა პოეტმა აფხაზეთიდან გამოდევნილი ქართველობის ბედი.

„ჩემს ჭრილობას სულ სისხლი დასდის... არც დედდება, არც წყალდება, შიშველ ტალღებად ეხეთქება ხსოვნის ჯებირებს... მაინც მწყურია... რა შორსაა დიოსკურია და... მეც რა შორს ვარ!“ — ასეთი განუკურნებელი ჭრილობისთვის გაიწირა ქართველობა.

„აეროპორტი, საიდუმლო ბაზა ბაგრამის, და „ცინკის“ კუბო და კუბოზე ცივი ლილია. აჰა, ალაფიც ამ ომიდან — ცხრაჯერ ცხრა გრამი, დანარჩენი — მიწის წილია. სიზმარი ვნახე — გალოკილი სვეტი მარილის ბარხანებს შორის... (არასოდეს სძინავს შაითანს!)“, ნათქვამია ლექსში „აეროპორტი“, რომელშიც კუბო, მიწაა გამზადებული უდანაშაულო ხალხისთვის.

ცარიელ ქუჩებში მოკლულთა აჩრდილები ილანდებიან, ზღვასაც კი დაუხევია... (აჩრდილები).

უკვე ამაოა ცის გახსნის მოლოდინი, არ ხდება სასწაული, გაუჩინარებულია დიოსკურია, ბესლეთი, თამარის ხიდი (ბესლეთი) (3,10).

სიზმრის სამყაროს კუთვნილება გამხდარა ზღვა, გემები: „ჩემთვის სამშობლო სიზმარია თეთრი გემების, ზღვა კი მაჯებზე გადამტყდარი საფირონია“ (ალბათ, ასეა) (5,108).

ისევ და ისევ პირადულის მაგალითზე საზოგადო სატკივარს უღრმავდება პოეტი მიგნებული სახეებით: „...უბრალოდ, ხორხთან... რკინის მარწუხს რომ წაგიჭერენ და ვერ ამოთქვამ, იმგვარად მადგას ორი სიტყვა — „ჩემი ქალაქი“ — და ვიცი, როცა ცას ავხედავ უკანასკნელად, იტყვიან, ბოლო მოუღოო უკმარისობამ. ქალაქის? — არა! მას სხვა გრაფის გასწვრივ ჩაწერენ“. „გაუცხოება ჰაერის გაიშვიათებასავითაა, თანდათან გახრჩობს და ბოლოს მოგგუდავს კიდეც...“ (მესიჯიდან) (საკრალური ლექსი) (1,13).

საკუთარ სამშობლოში გაუცხოება გამხდარა პოეტის ხვედრი: „თითქოს უცხო ვარ სამშობლოში და უცხოეთის ზეცა მხურავს და ქარი მხუთავს შარახვეტია“ (გაზაფხულის ბუნიობა. ზურმუხტის სონეტი) (2,112).

ძველ და ახალ განსაცდელთა შემყურე პოეტი გოდებს: „ძველი ტკივილები როგორ გავანელო, სიტყვა უპოვართა ღრუბლებს შელესია, ჩემი საქართველო — აღარც საქართველო, ჩემი ეკლესია — აღარც ეკლესია“.

და ბედსაც საყვედური აღევლინება: „„ბედო, ზღვაში მყოფი კაცის წყურვილივით აღარც დამახრჩვე და აღარც დამარწყულე“ (ძველი ტკივილები როგორ გავანელო) (6,52).

არსებითი დეტალებით მთელზე მინიშნება მრავალგზის გვხვდება რობერტ მესხის პოეზიაში. ასეთია მრავალი ქვეტექსტის შემცველი ლექსი „ევკალიპტები“: „ის, რაც წლების წინ გავასხვისე, ევკალიპტები, დღეს ფოთოლ—ფოთოლ უნდა ვიყიდო... ამ ხმელ ფოთლებს ჯიბით ვატარებ“ (1,11).

კანონიერად არჩეული პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას განდევნამ, აფხაზეთის ომმა მრავალ საბედისწერო პრობლემას დაუდო სათავე, ეს იყო პატრიოტ ქართველთა ემიგრაცია, ქართველი ქალების მიერ არჩევანის გაკეთება უცხოელებზე: „...ეს სულ სხვა ომია, — შლის პირისაგან მიწისა, პირისაგან მიწისა“, ნათქვამია ლექსში „სხვა ომი“, რომელშიც უბედურებად მიიჩნევა ქართველი ასულების უცხოელებზე დაქორწინება და სამშობლოს დატოვება (1,112–113).

ხსნის გზას ეძებს პოეტი, მაგრამ ძნელია, უძნელესი უკუღმართად დატრიალებული ბედის წაღმა შემობრუნება.

უიმედობის გაქარწყლებას რწმენით ცდილობს და მხოლოდ ღმერთი ეიმედება: „ახლა თუ ვინმე ფრთებს მაფარებს, მხოლოდ ღმერთია“.

აფხაზეთის სატკივარს რომ ვერ იშორებს, პოეტს მრავალგზის უჩნდება რომაელებისგან დანგრეული კართაგენის ასოციაცია: „...წამო, წავიდეთო კართაგენში, მართლა დავიჯერე, მონეტები ზღვისკენ ვისროლე და გადავეშვი ცისფერ ლაგუნაში... ჩვენი კართაგენი როგორია, ანდა საითაა, რომელ მხარეს?“ — ნათქვამია ლექსში „თავი დაანებე ბეგონიას. ვირტუალური ლექსი მატარებლიდან“ (5,92-93).

დანგრეული აფხაზეთის მხილველი, იავარქმნილი კართაგენის მოქალაქედ, უდაბნოში მოხეტიალედ წარმოიდგენს თავს: „...გეტყვი, რომ არ არსებობს კართაგენი, იგი რომაელებმა დაანგრიეს, რათა კიდევ დიდხანს, დიდხანს გვეხეტიალა დასიცხულ ქვიშებზე...“ (5,128-129).

პოეტის სათქმელს ამხელს და მის ფიქრებს შეესატყვისება ცოდვილი ბაბილონის დამსახურებული სასჯელი: „...როცა ღრუბელთა მრისხანებამ სრულად აღგავა ჩემთა ცოდვათა ბაბილონი — ოქროს გოდლები, მე დავიბადე, ვით უდაბნოს ლურჯი აგავა, როგორც სიზმარი გაყვითლებულ ჭადრის ფოთლების“ (თითო ბავშვივით ავიტაცე თეთრი გვირილა) (3,52).

ბიბლიაში აღწერილია ბაბილონისა და სხვა წარმართთა და ეთნოსთა განადგურება. ბაბილონი იქ სიმბოლურ-კრებითი სახეა ყველა იმპერიისა.

შოთა ნიშნიანიძე წერდა: „ღმერთო, დაიფარე გოდოლი ბაბილონის, ვულკანზე შემდგარი საქართველო“.

გრიგოლ რობაქიძეს ხიბლავდა სიტყვა ქართული, მაგრამ ესმოდა სპარსული ბაიათი, ხმა ყარაჩოღელის...

ტკივილს გვრიდა „რჩეული რასის დომხალი“.

თბილისის შემყურეს ბიბლიური ბაბილონი ახსენდებოდა: „ტფილისი იგიც ხომ ბაბილონია, ათასი ხალხი, ათასი თემი. ათასი მოდგმა. არევა, მრუშობა, განცხრომა“ (გველის პერანგი)(8,216,217,240).

ძლევამოსილი ასურეთის შთამომავალთა, ქურთისტანის ვეფხვების ჩამოქვეითებას განიცდიდა, რომლებიც მეეზოვედ, ფეხსაცმლის მწმენდავად, მოვაჭრედ, მათხოვრად, მარჩიელად ექცია განგებას.

„ქართველთა მსოფლხატის შუაგულში გრიგოლ რობაქიძე აყენებდა კარდუს, რომელიც აუღია ქართველთა ეთნარქის სახელ ქართველისგან, ის ესახებოდა, როგორც „ჩვენი მისტიური თაურმდგენი, რომელსაც ორი ჰიპოსტასი აქვს: ქალური — წმინდა ნინო, ვაჟური — ლაშარი, თეთრი გიორგი.

გრიგოლი იზიარებდა ისტორიულ მეცნიერებაში გავრცელებულ აზრს, რომ ქართველთა უძველესი სამშობლო იყო ქალდეა და სურდა მითიური საქართველოს ისტორიულში გამოვლინება“ (9,96).

საქართველოს გამორჩეულობის დასტურად გრიგოლ რობაქიძეს მიაჩნდა „ოქროს ვერძის“ ამბავი და მედეას ლეგენდა, არგონავტების შემოსვლა (საქართველოს ხერხემალი) (10,16).

ამასთან, შესაქმისეულ სიბრძნეს, ეგზოტერულ და ეზოტერულ სიბრძნეს ხედავდა ქართულ ენაში, ქართულ ხელნაწერებში.

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში საუბარია ცოდვილი ბაბილონის დამხობაზე: 1. და შემდგომ ამისა, ვიხილე სხვა ანგელოზი, რომელიც ჩამოდიოდა ზეცით და ჰქონდა ხელმწიფება დიდი და მისი დიდებისგან განათდა მიწა. 2. და შეღაღადა და ხმამაღლა თქვა: დაემხო, დაემხო ბაბილონი დიდი და ეშმაკთა სამკვიდროდ და ყოველი უწმინდური სულის სამყოფელად და ყოველი უწმინდური და ბილწი ფრინველის საბუდრად იქცა. და ერთმა ანგელოზმა ძლიერმა აიღო ქვა, დიდი დოლაბის მსგავსი და ზღვაში ჩააგდო და თქვა: ასე სწრაფად შთაინთქმება ბაბილონი, დიდი ქალაქი და აღარ იქნება.

„...და სანთელი აღარ ინათებს შენში და ხმა სიძისა და სძლისა ჩაკვდება შენში, რადგანაც ვაჭარნი შენნი ქვეყნის მთავარნი იყვნენ და მწამვლელობით შენით შეცდა ყოველი ხალხი“ (18,1–23) (7,996).

ბაბილონელთა ცოდვას მიესადაგება ადგილობრივ თანამემამულეთა ცოდვებიც, რაც დაუჯელი არ დარჩა: „როცა ღრუბელთა მრისხანებამ სრულად აღგავა, ჩემთა ცოდვათა ბაბილონი — ოქროს გოდლები. მე დავიბადე, ვით უდაბნოს ლურჯი აგავა, როგორც სიზმარი გაყვითლებულ ჭადრის ფოთლების“, ნათქვამია ლექსში „თოთო ბავშვივით ავიტაცე თეთრი გვირილა“ (3,52).

ლექსს „ილორი“ აქვს პროლოგი: „2011 წელს რუსმა „რესტავრა–ტორებმა“ ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ფასადიდან ქართული წარწერები წაშალეს“.

ამ ვანდალიზმის გამო აღშფოთებული პოეტი წმინდა გიორგის მიმარ–თავს: „წმინდაო ჯეგე, ჩემი წინაპრის ნატერფალი იქნება ეგეც — ორივე ფეხზე მეზობელ თითს ფარავდა ნეკი. ცხუმიდან ასე სისხლიანმა იარა. მე კი შენი პერანგი, ცხრაასი წლის წვიმით ნარეცხი, შენი პერანგი, ცხრაასი წლის

ძაფით ნაკემსი ისე გულდაგულ დავარღვიე, ისე დავშალე... ვერ შემოვ-დივარ ახლა სახლში, არ მაქვს თავშალი! პირჯვრის წერისას ნატყვიარი მტკივა ლავიწთან... მხედრულით მოგწერ, მოწამეო, ასომთავრული?... ასომთავრული რა ხანია გადამავიწყდა“ (4,21-20).

პოეტის დიდი ტკივილია „სიზმრებში ჩარჩენილი ტაო“ (რეისი... თბილისი) (2,40).

გაუნელებელი სევდის წყაროა სამაჩაბლო, იქ გავლებული მავთულ-ხლართი, საკუთარი ადგილ-მამულიდან გატაცებული და ურცხვად დაპატიმ-რებული უდანაშაულო ქართველები, რომელზეც მთელი მსოფლიო საქმის კურსშია, საყოველთაო გაკიცხვას იმსახურებს ბოროტების იმპერიისგან წა-ყრუებული ეს გაუგონარი სადიზმი, მაგრამ მაინც მეორდება ერთი და იგივე.

ამ ფაქტით აღშფოთებული პოეტი ისევ წმინდა გიორგის მიმართავს, მისი ფარ-შუბის იმედი აქვს: „...გივარგი, ფარ-შუბი გივარგა, აეფარე... გაჭერი მავთულხლართი, ქართლს რომ წამოადგეს ეკლის გვირგვინივით, ჩადრიკე, მიწამ ჭამოს, გივარგი, გივარგი, სული გადაიფრენს, სული გამოძვრება რვალიდან, ეკლიდან... ცას მაინც შეკიდე ფერადი ბუშტები, ბავშვებმა ფრანებთან ერთად რომ აუშვეს — შიგ მათი სულია, მავთულს ნუ შეახევ, გივარგი!“ (ნიქოზის გაზაფხული) (1,82-83).

კაბადოკიელ წმინდა გიორგის ქართველთა მონათესავედ მიიჩნევდა ზვიად გამსახურდია და დრაკონთა, გველის ნაშიერის, მოყვრის ნიღბით მოსული მუხანათის შემუსვრას, მართალი ერის შემწეობას ევედრებოდა: „წმიდაო გიორგი, დიდების მხედარო, ვუმზერ შენს ხატებას და სული მხნედ არი... შემუსრე უწმინდურ დრაკონთა ორგია, იხსენი სამკვიდრო შენი — გეორგია, დიდების უფალი მართალთა მწე არი. წმიდაო რაინდო, გველი არ დაინდო, მოგვმადლე იმედი და უფლის სვე-დარი“ (წმიდა გიორგი)(11,9).

ცრემლია ტკივილის, სიმწრის, სინანულის, განწმენდის მაუწყებელი, რათა მოვიდეს სიხარულის ცრემლი.

პოეტი ისევ და ისევ განგვაცდევინებს ერის მოუშუშებელ ტრაგედიას, თანამემამულეთა საფლავების თუ უსაფლავობის სევდას“, აფხაზეთიდან ჩამოტანილი ერთი მუჭა მიწის საფლავებზე მიყრის წმინდა ქართულ რიტუალს. ჯერ უნდა გაითავისოს, „შავ ღამეზე უშავესი თავშლების სევდა“, გაარჩიოს „სხვა“ და „უცხო“.

მხოლოდ ზღვა მიესადაგება ერის, ქვეყნის ცრემლის სიდიდეს, ამიტომ არის მის ლექსებში „ზღვის ფობია, წყლის ფობია“.

ამ სამყაროში ზღვა მომავალი უბედურების მაცნეა, ზღვა იხევს (როგორც ოთარ ჭილაძის რომანში „ზღვაზე ერთი კაცი მიდიოდა“), ხეები გრძნობენ მომავალ უბედურებას, გვამცნობს ორაკულის სიზმარი, „ხის მონოლოგი“.

ჩამქრალია ლამპიონები, მაგრამ იმედად ანთია ბეთლემის, სვეტიცხოვ–ლის, სამშობლოსთვის თავშეწირულთა აჩრდილების ნათელი.

დამოწმებანი

1. რობერტ მესხი, Narcosis, თბ. 2020
2. რობერტ მესხი, ნიჟარები, თბ. 2008
3. რობერტ მესხი, წაშლილი ბაიათი, თბ. 2003
4. რობერტ მესხი, მზის რაფსოდია, თბ. 2013
5. რობერტ მესხი, მთვარე და ქუჩა, თბ. 2010
6. რობერტ მესხი, აპრილი უშენოდ, თბ. 2001
7. ბიბლია, თბ. 2013
8. გრიგოლ რობაქიძე, გველის პერანგი, ფალესტრა, „მერანი“, თბ. 1989
9. აკაკი ბაქრაძე, კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი, თბ. 2003
10. შერისხულნი 15 ტომად, ტ. II, თბ. 1994
11. გაზ. „ილორი“, №497 (556), 7-20 აპრილი, 2021

ლაზარე — ქართული ენისა და ქართველი ერის მარადიულობის იმედი

რობერტ მესხის უპირველესი საფიცარია სამშობლო, რომელსაც მრავალი განსაცდელი აქვს გადატანილი, მაგრამ მანუგეშებელია მესიანისტური იდეა, რომლის მიხედვითაც, ქართველი მეფეები დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები არიან, რომ ქრისტეს კვართი

დაფლულია მცხეთაში, ჩვენი ქვეყანა მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილია, რომ ქართული ენა სახარებისეულ ლაზარესთან არის გაიგივებული და მომავალში ამ ენაზე უნდა იქნას განკითხული ცოდვილი კაცობრიობა.

პოეტი მართლმადიდებლური ქრისტიანობის ერთგულია, მისი გზამკვლევია ეროვნული ტრიადა: მამული, ენა, სარწმუნოება.

აფხაზეთელს, აფხაზეთის ტრაგედიის უშუალოდ მხილველს და საკუთარ თავზე გადამტანს, სამაჩაბლოს დამკარგავი ერის შვილს, ბუნებრივია, გულგატეხილობის დასაძლევად, მხნეობის შენარჩუნებლად სჭირდება მესიანისტური იდეა, როგორც მამულის, სამშობლოს გადარჩენის იმედი.

რობერტ მესხის შემოქმედებაში სამი ათეული საღვთო სახელია. მათ შორის, სიცოცხლის ხის, ანუ ზეთისხილის.

ლექსში „ზეთისხილი“ ნათქვამია: „დგას წმინდა მიწიდან გადმორგული ზეთისხილი, ღირსშესანიშნაობა, რომელზედაც არასოდეს სხდებიან ჩიტები“.

შემდეგ კი აქცენტია იმაზე, როგორ გააცოცხლა ქრისტემ თავისი საყვარელი მოწაფე, სამი დღის გარდაცვლილი ლაზარე, რაზედეც მოთხრობილია იოანეს სახარებაში (1,203-205). „და დუმილი — ტაბუ — დაირღვევა აკლდამის კარის განხვნისას მხოლოდ, ძახილზე: „ლაზარე, გამოვედ გარეთ!“... (4,128-129).

იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, ქართულ ენას მოიხსენიებს ლაზარედ, რომლითაც მეორედ მოსვლისას უფალი განიკითხავს ცოდვილ კაცობრიობას.

X საუკუნის მოღვაწის — იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ იწყება ასე: „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.

ზვიად გამსახურდიას აზრით, „იოანე ზოსიმეს „ქებაჲ“ ეხება არა მხოლოდ ქართულ ენას, როგორც ასეთს, არამედ ქართველ ერს, ქართულ ეთნოსს, მის კულტურულ-ისტორიულ მისიას, როგორც ეს ესმოდათ საქართველოს ეზოტერულ-ქრისტიანულ წრეებში“ (4,4).

„ასე რომ, იოანე ზოსიმე წინასწარმეტყველებს: ქართველი ეროვნება, ქართული მოდგმა მიაღწევს მეორედ მოსვლამდე“ (4,7).

„ქრისტესეული ნათლისღება პირველად განხორციელდა ლაზარეზე, რომელიც მოკვდა და აღდგა, ე.ი. ლაზარე, პირველი მოინათლა სულიწმინდით და ცეცხლით, ანუ ქრისტიანული ნათლისღებით. მაგრამ მის სნეულებაზე ხომ მაცხოვარი თავიდანვე ამბობს, რომ ეს არ არის ნამდვილი, სასიკვდინე სნეულება: „სნეულებაჲ ეს არა არს სასიკვდინე, არამედ დიდებისათვის ღმრთისა, რაჲთა იდიდოს ძე ღმრთისა მისგან“ (იოანე, 11,4) (1,203).

იოანე ზოსიმისეულ ძეგლში ნათქვამია: „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად“. ცხადია, ჭეშმარიტების საწამებლად, ქართულმა ენამ, ქართულმა მოდგმამ უნდა სწამოს ჭეშმარიტი ისევე, როგორც იესო ქრისტემ. მან უნდა ადიდოს ქრისტე ისევე, როგორც იოანე ლაზარემ. ასე სწამს იოანე ზოსიმეს“ (4,11).

„ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“ — ნიშნავს, რომ ეზოტერული საიდუმლო სიბრძნეა შემონახული საქართველოში, ქართველ ერში, მის ენასა და კულტურაში (4,14), რომ ქართული ენა „მოგვთა ენაა, პირველადი მისტერიების ენა, ღმერთებთან ურთიერთობისთვის შექმნილი“ (4,36).

„საქართველო, გადმოცემით, ღვთისმშობლის წილხვდომილია, იგი არის სულიწმინდის მიწიერი გამოცხადება, სულიწმინდისა, რომელიც არის მომცემელი ჭეშმარიტი საღვთო სიბრძნისა“ (სოფიასი) (4,20).

სახარების მიხედვით, სულიწმინდის მისია არის კაცობრიობის ცოდვათა, ანუ „ყველა ენათა“ ცოდვათა მხილება. იგივე მისია ეკისრება ქართველ ერს მომავალში, იოანე ზოსიმეს თვალსაზრისით... შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ გადმოცემით, „ღვთისმშობელს წილად ერგო საქართველო სულიწმინდის გადმოსვლის დღეს“ (4,21).

„სულიწმინდა არის კაცობრიობის მამხილებელი და, ამავე დროს, „ყოველი საიდუმლოს“, ანუ საიდუმლო სიბრძნის მომმადლებელი. სულიწმინდა ქართული ენის, ანუ ქართული მოდგმის საშუალებით განახორციელებს თავის მისიას, როდესაც ამხელს კაცობრიობას მეორედ მოსვლის ჟამს“ (4,21).

იოანე ზოსიმეს გაგებით, ქართული ენა ოთხი დღის, ანუ ოთხი ათასი წლის მკვდარია, მაგრამ ეს დამდაბლება მისთვის ქრისტესეული ნათლისღებაა სიკვდილისა და დაფლვისა, რასაც გარდუვალად მოსდევს

აღდგომა და ამაღლება, რასაც განახორციელებს ის, ვინც აღადგინა და განადიდა ლაზარე. ამიტომ არის ქართული მოდგმა ლაზარესთან შედარებული“ (4,34).

„ქართული ენა ლაზარეა ყველა ენებს შორის, იგი პირველადი ენაა, მთავარი ენაა, ისევე, როგორც ლაზარე — იოანე იყო მთავარი მოციქული, უახლესი სულიერი მეგობარი ქრისტესი. იგი იყო ამავე დროს ძეობილი ღვთისმშობლისა ისევე, როგორც საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი“, ასკვნის ზვიად გამსახურდია („ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“) (4,3–46).

ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში ყურადღებას იქცევს ებრაული მესიანიზმის იდეა, რომ ამ ხალხის წიაღში დაიბადებოდა ხალხთა მხსნელი, მესია.

ერის რჩეულობის იდეა გამოვლინდა ბიზანტიაში, სომხეთში, პოლონეთში, რუსეთში.

„დიდი ქვეყნებისთვის მესიანიზმი მსოფლიო ბატონობის, იმპერიული ზრახვების რეალიზებაში ვლინდება, პატარა ერებისთვის — თვითდამკვიდრების, ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების იმპულსში“.

ქართველი ხალხი, თავისი მცირერიცხოვნების გამო, მუდმივად ძნელბედობაში ცხოვრობდა, მას განსაკუთრებით სჭირდებოდა მესიანისტური იდეა, რადგან „ეს იდეა თვითგანმტკიცებას, თვითრწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს, ამა თუ იმ ისტორიულ ვითარებაში იმედის საფუძველია და ებრძვის ეროვნულ სასოწარკვეთილებას“ (აკაკი ბაქრაძე, დავიწყებული იდეა) (5,49).

გრიგოლ რობაქიძე განარჩევდა „მესიანიზმს“ და „მისიანიზმს“. მწერალი დარწმუნებული იყო ჩვენი ერის დიდ მისიაში, ეთაყვანებოდა ქართულ ენაში დაუნჯებულ შესაქმისეულ სიბრძნეს. მწერალს უყვარდა ნიცშეს სიტყვების გამეორება: „რაც ვერ მძლევს, მხდის უფრო ძლიერს“ — საქართველოზე თუა გამოჭრილი“ (ქართული გენია როკვით განფენილი) (6,287–290).

ლაზარეს სახით დაინტერესება მრავალგზის იჩენს თავს ვაჟა ეგრისელის პოეზიაში. „საიდანღაც ლაზარეს ჩუმი სუნთქვა იგრძენ და ჭვრეტ იგავ—მითებში — ადრე ტაბუდადებულ საიდუმლო სიბრძნეს“ (ხილვა: ლაზარეს აღდგინება) (7, 288).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი სპეციალურად საუბრობს შტაინერის დაინტერესებაზე ლაზარეს სახით: „...და რუდოლფ შტაინერი იგავებში დაეძებს: მიძინებულ ლაზარეს...„ვარდის და ჯვრის მისტერიას“ (რუდოლფ შტაინერი) (7,222).

ლაზარეს მკვდრეთით აღდგომას რუდოლფ შტაინერი მისტერიას უწოდებს: „...ლაზარეში მარადიულმა სიტყვამ“ დაივანა. ლაზარე იმად იქცა, რასაც მისტერიების ენაზე“ ხელდასხმული ჰქვია“ (8, 125).

„ის მოვლენა, რომელზედაც იოანე მიგვითითებს, უთუოდ ხელდასხმისეულ ინიციაციურ მოვლენას წარმოადგენს“ (8,126).

„ბეთანიის მოვლენა ხელდასხმად ანუ ინიციაციად უნდა წარმოვიდგინოთ“.

„ხელდასხმის ძველი წესების თანახმად, საჭირო იყო რამდენადმე ძილისმაგვარი მდგომარეობის მიღწევა“.

შტაინერის მიხედვით, ლაზარეს სიკვდილი სიმბოლური სიკვდილია, როცა ამ აქტით მისტერიაში ზიარება აღსრულდა. მოხდა ის, რაც მთელს ძველ სამყაროში ესმოდათ, როგორც ხელდასხმა ანუ ინიციაცია.

„...ამ აქტში ქრისტიანობა მისტერიებს უკავშირდება. ლაზარე ხელდასხმული გახდა თვით ქრისტე იესოს მიერ, რამაც ლაზარეს სულიერ სამყაროში ამაღლების შესაძლებლობა მისცა. სწორედ იგი გახდა პირველი ქრისტიანი ხელდასხმული, თანაც ქრისტეს მიერ“ (8, 128).

„იოანეს სახარება სწორედ მისტერიას წარმოადგენს. მასში გადმოცემული ყველა მოვლენა სულიერად უნდა გავიგოთ“.

აქ არის „შემეცნების დრამა, რომელსაც ჯერ კიდევ ოდითგანვე იცნობდნენ, ამ დროს თქვენს წინაშე მისტერია წარმოდგება“ (8, 129).

რუდოლფ შტაინერის ყურადღებას იპყრობდა კოლხეთის მისტერიული სკოლაც. ამ პრობლემაზე დაწვრილებით საუბრობს ზვიად გამსახურდია „საქართველოს სულიერ მისიაში“.

ლაზარეს პრობლემას ისევ უბრუნდება რობერტ მესხი ლექსში „მეტეხთან თქმული“: „მოულოდნელად წამოგადგა ღამე მწყაზარი, ვით მოგზაური, დაკარგული უცხო მხარეში. შენ მოგელოდა გადაცმული ელიაზარი და მტკვარი ღია აივნების პირისფარეში“.

„იყო თუ არა მოლანდება? — აგერ, მეტეხიც! (ვინ იცის, ფიქრმა გადაფრენა რა შორს ინება...) შენ საკუთარი მარტოობის კარი შეტეხე, მაგრამ ვერაფრით მოახერხე დაშოშმინება“ (10,63).

„ღვთის ნებით, ქართული ენა მკვდრეთით აღდგენილ წმინდა ლაზარესთან არის გაიგივებული, ხოლო მის ჭირისუფლად შერაცხულია მთელი ქართველი ერი, რომელიც ვალდებულია, დღენიადაგ უფრთხილდებოდეს, ზრუნავდეს მისთვის, ვითარცა მართალი იოსები იფარავდა მტერთაგან ჩვილ ყრმას, მაცხოვარს ჩვენსას, იესო ქრისტეს“ (უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ქადაგებიდან (გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 14-20 აპრილი, №13 (576), 2021.

1990 წლიდან 14 აპრილს საქართველოში დედაენის დღე აღინიშნება.

ლაზარეს სახე გვხვდება ტერენტი გრანელის პოეზიაში. „მემენტო მორის“ ავტორი საქართველოს მომავალს გაიაზრებდა გარდაცვლილი, მაგრამ ქრისტეს მიერ გაცოცხლებული ლაზარეს სახეში: „კვდება ეს მდელო და ეს ქარია და საქართველო ახლა მკვდარია... მათ საქართველო დღეს გულში დაჭრეს, ახლა ძნელია სულის მიგნება. ირგვლივ ღამეა, არ ჩანს მესია და საშინელი ეს გაციგნება. მაგრამ ლაზარე აღსდგება მკვდრეთით, აღსდგება, როგორც ღვთის სიყვარული... მას ვამბობ, რასაც ვამბობდი: „კმარა!!!“ „მზეო, ამოდი! ამოდი ჩქარა!!! (ფიქრები ქაქუცას მკვლელობის დღეს) (9,18).

თბილისს 1923 წელს მოედო ჭორები საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაღუპვისა და მისი ლეგენდარული რაზმის განადგურების შესახებ.

ქართველური მოდგმის ხალხებში მოიძიება როგორც ეგზოტერული, ისე ეზოტერული ქრისტიანობის სიბრძნე.

აღმოსავლური ეკლესიის უდიდესი ბურჯები იყვნენ წმინდა გიორგი კაბადოკიელი, წმინდა ნიკოლოზ მირიან —ლუკიელი.

კაბადოკიელი მამები: ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი ქართველური მოდგმისანი იყვნენ, რომლებიც ბერძნულად წერდნენ, როცა ქართული ენის „დამდაბლება— დაწუნების“ ეპოქა იყო.

ქრისტიანული თეოლოგიის და თეოსოფიის უდიდესი ბურჯი იყო პეტრე იბერი, ფსევდო დიონისე არეოპაგელი, არეოპაგიტული ტრაქტატების ავტორი.

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. რობერტ მესხი, მზის რაფსოდია, „საუნჯე“, თბ. 2013
3. ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად, ტ. I, „ნაკადული“, თბ. 1987
4. ზვიად გამსახურდია, წერილები, ესსეები, თბ. 1991
5. აკაკი ბაქრაძე, რწმენა, თბ. 1990
6. გრიგოლ რობაქიძე ხუთ ტომად, ტ. 4, თბ. 2012
7. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები ხუთ ტომად; ტ;. 4, თბ. 2017
8. რუდოლფ შტაინერი, ქრისტიანობა, როგორც მისტიკური ფაქტი და უძველესი მისტერიები, თარგმნა მიხეილ ნიშნიანიძემ, „პითაგორა“, თბ. 1994
9. ტერენტი გრანელი, „ცისფერი სიშორე“, თბ. 1998
10. რობერტ მესხი, „წაშლილი ბაიათი“, თბ. 2004

THE SCOPE OF ROBERT MESKHI'S LYRICS

Summary

In the first chapter of the present work Robert Meskhi's aesthetic principles are studied. The criteria of Great Literature tor the poet are religiosity, a motion against the course, an impartial reflection of the past and the present events, a prognostic contemplation of the Future.

The poet's idols are the biblical prophets, foreign and Western idealist philosophy.

The Holy Spirit, the third member of the Trinity, is considered a contributor of sapience and gift. The poet drinks "the wine of sapience" thirstily. His ideal is Graal, Golden Fleece, which is a symbol of cosmic wisdom, Holy Spirit, the Virgin Mary (Z. Gamsakhurdia).

Robert Meskhi is a priest-magician of the moon, unsettled, a hunter, born as a fisherman in the sea wishing to listen to the siren melodies, a fisherman diving for right ways, a hunter for senses, for the soul and the truth.

His wishes are unsettled like the foam of the sea, his sublime aspirations are indomitable like the wind. Not only the earth is the poet's field of vision but also the heaven where the earth program is written.

The most important for him is the access to the mysteries of the soul, perceiving the cause and the purpose of a person's arrival in this world, comprehending the mystery of life and death, a journey of the souk to Hades.

The poet in love with freedom and the truth is not afraid of the evil, defeats the avdar of the soul, seeks beyond He bounds, slaking of the thirsty makes him happy, Don Quixote's complexes distinguish him, love injections make him hopeful. He strives from temporaliness to eternity, toils for the moral perfection Being gifted by. God with "the third eye poetry" notable for their own architecture.

One of the chiefest characteristics of Robert Meskhi's poetry is the poet's interest mysterious notions which in some cases emphasize

the dreamlike nature of existence, the transience of human life and imagination, fiction, peculiar to the creative process and at the same time it is a mystic world signifying the future events with prognostic insight.

The poet's "museum of dreams" has the paramount mission of exposing the nation's spiritual phenomenon and its creative potency, of focusing on the past, the present, the future, showing the spiritual end intellectual abilities of the motherlend on the international arena.

Te genuine art is beyond the visibility, beyond the destiny, exceeding the bounds destined for an ordinary human being which in creative psychology is called insanity in the positive sense. From this standpoint the giants of the human thinking Dickens, Dostoevsky, Russo, Nitsche, Gogol, Tolstoy are mentioned as insane (Chesar Lombroso. "Genius and Madness", Moscow, 1995).

Goethe was associating genius with the notions of a madmen and a demon when speaking about Beethoven.

Galaktion declared, "The soul is mad and happy". "Now madness is due to senses", announced Terenti Graneli. Grigol Robakidze called the creators' deviation from the usual boundaries "divine madness", "hieromania". "Being off one's nut" is happiness", wrote Nino Samadashvili.

In Robert Meskhi's poetry the objectification of the truth takes crucification, "mad eyes", getting to the verge of insanity and thinking about creative madness he remembers examples of Galaktion and Terenti Graneli.

The whole world with its multi-formity finds room in the whole mankind as a relative of his personality and tries to find the place of our native land, of our culture on the political or cultural map of the world.

"A human being is a little world", declared a great theologian Ioane Damaskeli.

"A person as a microcosmic being can accommodate all the rest of the world in his soul", wrote Rudolf Steiner:

“I am part, I am the whole at the Same time”, assures Robert Meskhi. The Theology, Eastern and western sapience thoroughly, that’s why he always gives but to the spiritual civilization. He knows that the mundane vanity can be defeated only by high spiritualism, faith, a master’s genius. Only the service of eternity is the herald to immortality.

In Robert Meskhi’s poetry life-and-death problems are clarified from the high altitude flight. His lyric reveals the belief in the existence of the younder world, in the eternity of the soul. In many of his poems there is a talk about selling in the younder world after death, about the Last Judgment. The aim of past is not obedience to destiny but fight against the evil, confrontation with cruelty, so hope resembles gory corrida.

The preconditions of happiness are faith, dignity, a grand target, motion along the supreme way, understanding the gist of the true existence.

The most important characteristics of Robert Meskhi’s poetry are fables, symbolic-metaphorical thoughts, seeking for the cause and effect of the landmarks to the society.

The sphere of the poet’s interests includes the types of the alluring snake, the venomous cobra, a heap of aspits, the black whale loaded with political implications as a reference to the producer of the Abkhazian tragedy.

The collection is loaded with the names of cheetahs, wolves, tigers, hyenas, ravens implicating evil, predation.

The poet denounces the age of demons predisposed to evil.

The symbolic-metaphorical images of the sea, the sky, the mountains, the wind are loaded with multiple problems which rouse reminiscences of the poet’s predecessors – Georgian or foreign classics – Dante, Galaktion, Terenti Graneli of the Scriptures and theologians.

In Robert Meckhi’s creation march attention is given to the national-political ideals, to David the builder’s aureole name, to the myth of Argonauts, to the tragedy of Abkhazia and Samachablo, to the preview of the Motherland’s future and as the hope for eternization of

the Georgian nation and the Georgian language is conceived evangelical lazarus, Christ's favorite disciple who was revived after being three days dead by Father God.

The future of the nation, of the country is implicated by the messianistic idea that Georgia is alloted to the Virgin Mary, that Christ's robe is buried in Mtskheta and the Georgian nation is the 78-th descendent of David the prophet, the author of the psalms.

The poet's prior leader is a king shepherd Christ. His ideal is Don Quixote astride for the happiness of the mankind. He is interested in the mysteries of the sky, the cosmosphere, the Mars. He travels with his soul all over the world, the sky and the earth, is gifted with the ability of making a cardiogram of the soul. He is bestowed by the gift of overcoming all kinds of threats peacefully which is the national problems and He problems common to all the mankind at the professional level.

ლუარა სორდია არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. მისი კვლევის სფეროა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ესთეტიკის პრობლემები, თანამედროვე ლიტერატურული პროცესები.

სრულიად საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატორთა კავშირის მიერ დაჯილდოებულია პოეტის სახელობის მედლითა და პრემიით. ასევე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ მიღებული აქვს ტერენტი გრანელისა და ბეჟან ხარაიშვილის სახელობის პრემიები.

ლუარა სორდია ავტორია შემდეგი მონოგრაფიების: გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, „განათლება, თბ., 1991 (დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებისთვის), უცნობი სფინქსი (დაკვირვებები ტერენტი გრანელის პოეზიაზე), „ალაშარა“, სოხუმი, 1992, გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1993 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1996 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), რევაზ მიშველაძის შეგონებანი, გამონათქვამები, ხატოვანი თქმები, ფრაზები, „ობოლი მარგალიტი“, თბ., 1999, რევაზ მიშველაძის ნოველათა სამყაროში, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2001, ანა კალანდაძის პოეზია (ბიბლიურ-ქრისტიანული ასპექტები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2005 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი (შემოქმედებითი ნათესაობის საკითხები), „მერიდიანი“, თბ., 2005, წერილები, ბიბლიის ერთი კონცეფცია, აპოკალიფსური სახეები, გრაალის იდეალი, „უნივერსალი“, თბ., 2009, საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ადეპტები ქართულ პოეზიაში, „უნივერსალი“, თბ., 2009, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები XX საუკუნის ქართულ პოეზიაში, „უნივერსალი“, თბ., 2009, ანა კალანდაძის

ესთეტიკის საკითხები, „უნივერსალი“, თბ., 2009, გოდერძი ჩოხელის „მგელი“ (პრობლემატიკა და სახეები), „უნივერსალი“, თბ., 2009, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, „უნივერსალი“, თბ., 2009 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძის ესთეტიკის საკითხები, „უნივერსალი“, თბ., 2011, ტერენტი გრანელის ბედისწერა, „უნივერსალი“, თბ., 2011, მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, „უნივერსალი“, თბ., 2011, მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ოპოზიციური ლირიკა, „უნივერსალი“, თბ., 2011, ანტიციპაცია მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“, „უნივერსალი“, თბ., 2011, ქართველი მამულიშვილი მსოფლიოს გზებზე (მსოფლიოში მოგზაურ და მსოფლიოს რეკორდსმენ ჯუმბერ ლეჟავას ფენომენი), www.sou.edu.ge 2012, ქრისტეს მხედარი კოლხეთიდან (ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“) www.sou.edu.ge 2012. ქართული სულის კოლიზეუმი (ვაჟა ეგრისელის პოეზია) „უნივერსალი“, თბ., 2015. მადლშემოსილი (გულნაზ ხარაიშვილის სულის გალობა), „უნივერსალი“, თბ., 2015, ბეჟან ხარაიშვილი — ქართული პოეზიის მიმინო, „უნივერსალი“, თბ., 2016, ტერენტი გრანელის ენიგმები, „უნივერსალი“, თბ., 2016, მერაბ კოსტავას პოეზია, „უნივერსალი“, თბ., 2017, გრაალის ორდენის რაინდი — გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობისა და სახისმეტყველების ზოგიერთი პრობლემა, „უნივერსალი“, თბ., 2017, გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სამყარო, „უნივერსალი“, თბ., 2018. „სამების სამრეკვლოდან“ („თბილისი“, 2018). ნიკო სამადაშვილის პოეზია, „უნივერსალი“, თბილისი, 2021, ედგარ პოს რემინისცენციები გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში, „უნივერსალი“, თბ., 2022.

დამკაბადონებელი

ნანა დუმბაძე

ყდის დიზაინერი

ირაკლი უშვერიძე

გამომცემლობა **„უნივერსალი"**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com